


კვირის პალიტრა




ფრთხილად!
ინჰინებრით...

10(39)
III. - 15/III

1 60 01

4468
2001



მთავარი თემა:

ქაღალდოვნები



ჩვენი დაშთაფრდა!

ჩვენ რუსებს მოვუბრით

ნატო თნიანი:

- მე ყველა მოსწრებულ ანეკდოტს ვაფასებ, არც სვანებზე მოგონილი ანეკდოტებია გამონაკლისი.
- იქნებ ერთი ახალი ანეკდოტის შეგვანოთ?
- გურულს უთხრავს, შევარდნაძე გედადგაო და იმდენი იცინა, მოკვდა სიცილით!

გვ.18



მინიატურები

გილოცავთ ქალთა დღეს
(„კველით“ და „ახლით“)! 3

სკოლიან საიდუმლოდ

ვინ იყენებს „ქუჩოკებს“
პოლიტიკოსთა მოსასვენად 4

გაზტი

ერთგული მკითხველი 6

საზოგადოება

ქუჩაში გამოსულ მოკალაღეს
პრობლემა „რეზინის ქალი“
მოუსხდის? 7

გაგაჩუვება

საქართველომ რუსეთი
ღაამარცხა! 9

მთავარი თემა

• „ბრუზნიკალას“ კი ვეუშაობდი,
რომ ბავშვებისთვის
ლუკმაკური მემოვა...“ 11

• მოქალაქეთა კავშირში თამაშის
ბანსხვავებული წესებია... 14

• „მათ ბანისკროვნებულ თვალებს
სხვა სიხარულზე ვერ ბავსვლი“ 16

• ქართულ ქურნალისტიკაში
„სიშიშვლის“ ტანდენსია იბრძნობა 18

• „ყოველ ნაბიჯზე ანგალოგები
იბაღებია“ 20

სასარგებლო აზრები

აუტორიზაციის ენციკლოპედია 13

ანტიფარკანსანი

ინფორმაციულ-შემეცნებითი
კოლაჟი გორა ღვალის
შუბს წიგნაკიდან 20

კრიმინალი

ორი სტუდენტის მკვლელობის საქმე 22

პირველი სიყვარული

„ტოტორიკას“ ვაშლებს აგზავნი 24

ტრაგედია

• უხმოლ ჩაყლაკული ტრეპლები 25
• 9 მარტის ხოსვა-ქლება
და თავდასხმა ხრუხროვზე 27

შსკარი

სუბენიორი პატრონია
გოგონებს უნდა ერიდოს 28

შეამოვნეთ თქვენი სოფლა

გაზტი ერუდინიაზე 29

ჯანმრთელობა

ჰორული - მგის „კონსა“,
რომელსაც ყველა ბავსრბის 30

**საქართველო
რუსეთი ღაამარცხა**




დაწყებამდე იყო მასკინდლებ-
ის უკანასკნელი ღორობა: მხო-
ლოდ უძლეველი რუსეთის ჰიმნი
- „Союз нерушимый“ დაა-
გუგუნეს. ბრძოლა (ნამდვილი
ბრძოლა) უკანასკნელ წუთამდე
ვრძელდებოდა. რუსების დამა-
რცხება შეგვძლება!

9


**ვინ იყენებს „ქუჩოკებს“
პოლიტიკოსთა მოსასვენად**

- თვითნაკეთი „ქუჩოკების“
უმეტესი ნაწილი საქართველოში
ჩემი „ფირმის“ დამზადებულია.
შარშან რეგო აღამიას სამუშაო
კაბინეტში „ქუჩოკი“ რომ აღმოა-
ჩინეს, ტელევიზორში კარგად
აჩვენეს და ვიცანი - ჩემი გაკეთე-
ბული იყო.



4

**„ტოტორიკას“
ვაშლებს აგზავნი**



ულამაზესი გოგო იყო. თბილი-
სიდან გაღმოვიდა საცხოვრებლად
სენაკში. ჩემი თაობის ბიჭები, რო-
გორც ერთი, ისე ვიყავით მასზე შეყ-
ვარებულები. მის უანჯრებთან
ვმღეროდით. სენაკელი ბიჭები გი-
ტარებს ვამგვრევდით, შორენას კი
თბილისში ჰყოლია შეყვარებული.

24

**ორი სტუდენტის
მკვლელობის საქმე**

უახლოეს დღეებში უზენაეს
სასამართლოში ყველაზე გაჭია-
ნურებული და, როგორც ამბობენ,
უცნაური სისხლის სამართლის
საქმის განხილვა განახლდება.
საქმე თბილისის უნივერსიტეტის
II კორპუსთან 10 წლის წინ მომხ-
დარ ორ მკვლელობას ეხება.



22

საქართველოს
მინისტროს
ბიზნეს-მედიის
სამსახური

ფსიქოლოგიური თემატიკა

განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი კომპენსიალი 31

სამყარო

„კომედი ურანსეში“ – ცოცხალი ლეგენდა 32

წმინდანები

იოვანა-პარაგვარა – წმინდანი ათონისა 34

მასონები

მასონთა ლოჟის საწევროს ქართული რინოსნების იხლიან?.. 35

სპორტის ლეგენდები

თვითნაკეთი იარაღით დაწყებული კარიერა 37

მოგზაურის დღიურები

ღანიელ ქალეხს ვერაფერი გავუბე 40

ახალი პერიოდი

„გლადიატორი“ ქორწილისთვის ემგალება 44

ესკიზები

ღაღო გულიაფვილი: „პარიზი ყველაფერს მკირღეოდა... მაგრამ მე აქ სულ მხირღეო მახარებს“ 46

რომანი

ბესიკ კეკელიძე. ახალი წლის საჩუქარი 48

ავტო

პარაკლავი

„საგვარეულო წყევლასთან“ მორკინალი ბერიმორი 54

გომონდი

სალონანი

უკლები ვხილი 57

თივილიზაზია

ღილი 60

სკანსორაღი

პოროსკოვი

კვირის (12.03 – 18.03) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტანსტი

ხართ თუ არა ყურადღებიანი 63

კალიდოსკოვი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

ბარეკანაზა: ბიოგრაფი ურსოლიანის კოლაჟი

საზომბაღოვარევი-პოლიტიკური ურსოლიანი „ზუზა“ ბაიოლის კვირაში მრთხელ, ხუთშაბათობით ბაზაში „კვირის კალიტრის“ დამატება ურსოლიანი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ურსოლიანი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მასონების ციტატები



– მანამდე მასალები მქონდა ნანახი და სურათი, სადაც შევარდნაზე მასონთა ლოჟაშია გადაღებული. ამბობენ, მე-17 თუ მე-18 დონის „აღმოსავლეთისა და დასავლეთის რაინდია“.

35

უხეოდ ჩაყლაკული ცრემლები

ცხედარს არავინ გაგვაკარა, შინ არ გამოგვაგანეს, პანაშვილები მიცვალებულის გარეშე გვექონდა... დაკრძალვის დღეს დაგვიბარეს საავადმყოფოში. ხალხმრავლობა რომ არ შექმნილიყო, მიცვალებულებს ნახევარ-ნახევარი საათის ინტერვალებით გვაგანდნენ, ისიც – პირდაპირ სასაფლაოზე.



25

სუბენიორი პატრონიან გოგონებს უნდა მრიდოს



წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა ქართველი კაცი, რომელიც თავის „ქაღელნიკებთან“ ერთად არასრულწლოვან, უმეტესად სოფელ გოგონებზე „ნადირობს“. თავს შეაყვარებენ, შეაცდენენ, თბილისში ჩამოიყვანენ და, გახრწნილებს ქუჩაში, კლიენტების გამოსაჭერად უშვებენ.

28

ახალი წლის წესჩუქარი

– ნიკო პაპა, ჭამე, მთელი დამე ქუჩაში დგახარ, – მიუგო ინგამ.
– ინგა, მე იმიტომ კი არ ვმათხოვრობ, რომ მშია. საღებავი გამითავდა, შენი თვალის ფერი გამითავდა.



48

გილოცავთ ქალთა დღეს („ახლი“ და „ძველი“)!



3 მარტი დღესასწაულად დაგვიდგინა ეროვნულმა ხელისუფლებამ და დღესასწაული ზომ უსაჩუქროდ წარმოუდგენელია. ჰოდა, წელსაც ასე მოხდა – ქართველმა ხალხმა საჩუქარი მიიღო და თანაც რა საჩუქარი: პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების „დეფიციტით“ დატანჯულ ქვეყანაში, კიდევ ერთი პარტია „გამოცხვა“ – „საქართველოს ვაზის პარტია – რუსეთთან ერთად“!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ – სახელწოდებას დაუყვირდით: ხუთი სიტყვისგან შედგება და ხუთივე ძვირფასია ჩვენთვის. მაგრამ მართო სახელწოდება ზომ არ არის მთავარი. ახლა მათი ემბლემა ნახეთ – ყურძენი და ვარდი! ყურძენი თავისთავად გასაგებია – სახელწოდებასთან არის უშუალოდ დაკავშირებული, ვარდს კი იქნებ სხვებისთვის ახსნა სჭირდებოდეს, მაგრამ როგორც ახალი პარტიის თავმჯდომარემ თქვა – მას საკრალური მნიშვნელობა აქვს და ალბათ სწორედ 3 მარტს – დედის დღეს, ანუ ქალის დღეს უკავშირდება: ამ დღესასწაულზე ზომ ქალებისთვის ყველაზე სასიამოვნო საჩუქარი ყვავილები და განსაკუთრებით ვარდი იქნებოდა.

წარმომიდგენია, როგორ გაიხარეს საქართველოს ქალებმა ახალი (თანაც ვარდით „დამშვენებული“) პარტიის შექმნით – ათასობით ლტოლვილი, ხაჭაპურის გამყიდველი, ქუჩაში სამთხოვროდ ხელგაშვერილი თუ შიმშილის გამო ოსმალეთში „საგასტროლოდ“ წასული ქართველი ქალი შევებით ამოისუნთქავდა. უამრავი უხელფასო მასწავლებელი, უპაციენტო ექიმი და უპენსიო დედაბები სიხარულით ცას ეწეოდა ახალი პარტიის შექმნით – მათ სრულ ბედნიერებას ზომ ესლა აკლდა! საერთოდ, მაგალითის ძალა გადამდებია და უკვე სერიოზული საუბრები მიდის სხვა, ანალოგიური პარტიის შექმნის შესახებ. სახელწოდებაზეც პრობლემები არ შეიქმნება: „საქართველოს საზამთროს პარტია – აზერბაიჯანთან ერთად“, „საქართველოს ლობიოს პარტია – მექსიკასთან ერთად“, „საქართველოს სიმინდის პარტია – ამერიკასთან ერთად“, „საქართველოს ჩაქაფულის პარტია – ავსტრალიასთან ერთად“ და ა.შ. საერთოდ, ეს წამოწყება დიდ პერსპექტივას შეიცავს თავის თავში „ეროვნული შერიგების“ თვალსაზრისით: საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, აირჩიოს მისთვის საყვარელი ხილი, ბოსტნეული, კერძი ან სასმელი, აგრეთვე საინტერესო ქვეყანა (თუნდაც აწ უკვე აღარ არსებული) და საკუთარი პარტია შექმნას. მე, მაგალითად, უკვე ვაპირებ იუსტიციის სამინისტროში ასეთი სახელწოდების პარტიის სარეგისტრაციო საბუთების შეტანას: „აჯიკის პარტია – აფხაზეთთან ერთად!!!“ როგორია?! – პოლიტიკურადაც გამართლებულია და კულინარიულადაც!

სხვა დადებით შედეგებთან ერთად, ეს ნოვაცია კიდევ ერთ სიკეთეს მოიტანს: კულინარიულ სასწავლებლებში

ში პოლიტოლოგიის ფაკულტეტები გაიხსნება, ხოლო პოლიტიკის შემსწავლელ სასწავლებლებში – კულინარიისა. შედეგად მივიღებთ სპეციალისტებს, რომლებსაც დიპლომში ეწერებათ: „მეხინკლე-პოლიტოლოგი“, ან „მეპერაშკე“ – საზოგადოებათმცოდნე“, ანდა სულაც „მეხაშე-იმიჯმეიკერი“!

მართალია, „მეხაშეები“ არც დღევანდელ პარლამენტს აკლია და, როგორც ერთი დიდი ქართველი პოლიტიკოსი ბრძანებდა, – „დემოკრატია ბევრს ლობიოა ჰკონია“, მაგრამ ისინი მაინც „თვითნასწავლები“ არიან და მათ „მეხაშეობას“ და „ლობიობას“ თუ შესაბამისი ცენზი ექნება – ამას არაფერი აჯობებს.


კი ვართ ქართველები ნიჭიერი ხალხი და საერთოდ: „რაც კარგები ვართ – ქართველები ვართ“, მაგრამ ამ საქმეში პირველობას მაინც ნუ დავიჩემებთ, რადგან პოლონეთის წინა მოწვევის პარლამენტში „ლუდის მოყვარულთა პარტია“ იყო წარმოდგენილი რამდენიმე დეპუტატით. თუმცა, ეს იმის იმედს იძლევა, რომ საერთაშორისო პროცესი გაგრძელდება და ამერიკაში „მაკდონალდსის“, იტალიაში კი „სპაგეტის“ პარტიები დაარსდება. მაშინ დაიწყება, თუ დაიწყება „საერთაშორისო თანამშრომლობა“ – გრძელ-გრძელი სადღეგრძელოებითა და ალავერდების გადასვლით! ამის შედეგად პარტიათა გაერთიანებებიც შეიძლება დაარსდეს, სახელწოდებით „ვახუტანგური“ ან „აჯაფსანდალი“.

ერთი სიტყვით, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება და მის მამამთავრად „რეჟისორ-შეენახე“ მოგვევლინა, რომელიც ღვიძლ ძმასთან კონფლიქტსაც კი არ ერიდება მართალი საქმის გამარჯვებისთვის. უნებურად მახსენდება ცნობილი ლექსი:

„მოვკლავ დედას და დავაზრჩობ მამას, რევოლუცია თუ მომთხოვს ამას!“

P.S. 3 მარტს რაც შეეხება: უცნაური ხალხი ვართ ქართველები – შობასა და ახალ წელს ორჯერ ვზეიმობთ, – „ძველით“ და „ახლით“. ჰოდა, 8 მარტი – ჩვენი ძვირფასი ქალების დღე კენტად გვყავდა „მიტოვებული“. ამადაც მოიგონა ხალხზე მზრუნველმა ხელისუფლებამ 3 მარტი – ახლა ქალთა დღესასწაულსაც „ძველი“ და „ახალი“ სტილით ვიზეიმებთ და ერთშიც დარწმუნებული ვარ: ისევე, როგორც 3-ში, არც 8 მარტს დავრჩებით ახალი პარტიის შექმნის გამოცხადებით გამოწვეული სიხარულის გარეშე – რომელიმე „კომპოზიტორ-მებოსტნე“ შეჭვებლად მოიფიქრებს რამეს!

პრომპტორი



თბილისის ერთ-ერთ ბაზრობაზე სამხედრო ფორმაში (ე.წ. „კამუფლიაჟი“) გამოწყობილი სლავური გარეგნობის, კაფანდარა მამაკაცი თითქმის ყოველდღე დგას. მას არც სავაჭრო ჯიხური აქვს და არც დასლზე უწყვია რაიმე საქონელი. ჯიბეებში ხელებჩანყობილი, გულგრილი მზერ-

ით ათვალიერებს გამგლელებს. თუ დააკვირდები, ვილაც მოცლილი გეგონება. სინამდვილეში კი მას არც კლიენტი აკლია და, ასე განსაჯეთ, მისი ყოველდღიური საქონელბრუნვის მოცულობითაც ბევრი ოფიციალური ქართველი ბიზნესმენიც ვერ დაიტრაბახებს.

ვინ იყენებს „ჟუროკებს“

კოლიზიკოსთა მოსასვენად

გვიან ჩაკვებთაქე

აი, მასთან საკმაოდ კარგად ჩაცმული მამაკაცი მივიდა. ყურში რაღაც ჩასწურჩულა. ხალხს გამოერიდნენ და შედარებით მყუდრო ადგილისკენ გაემართნენ. რამდენიმე წუთი ილაპარაკეს. შემდეგ კლიენტმა ჯიბიდან რამდენიმე ოცდოლარიანი ამოიღო, გადათვალა და სამხედროფორმიანს ჯიბეში ჩაუდო. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და დაშორდნენ.

პირველად თავში გამოივლა — ნარკოტიკებით მოვაჭრეს წავაწყდი-მეთქი. მერე, უფრო რომ დავაკვირდი, საკუთარი ვერსია თავადვე უარყვავი, რადგან ნარკოტიკების „ბარივ“ ასე სახალხოდ და ერთ ამოჩემბულ ადგილზე არ ივაჭრებდა. მოკლედ, სამხედროფორმიანმა და მისმა საიდუმლო საქონელმა საკმაოდ გამოღვიძა ცნობისმოყვარეობა და დასახმარებლად ერთ ნაცნობ ვაჭარს მივმართე. მასთან საუბარში სამხედროს სახელიც გავარკვიე (პირობითად სლავა დავუძახოთ) და „ჩვენი სლავიკა“, არც მეტი, არც ნაკლები, — თვითნაკეთი საიდუმლო სასმენი აპარატურით მოვაჭრე აღმოჩნდა.

— მთელმა ბაზარმა იცის, სლავიკა რა საქონლით ვაჭრობს. მიდი და გამოეცნაურე, თითქოს კლიენტი ხარ, და ყველაფერს გეტყვის. ოღონდ არ უთხრა, რომ ჟურნალისტი ხარ, — დამარიგა ნაცნობმა ვაჭარმა და ასეც მოვიქციე.

— გამარჯობათ, სლავიკ, როგორ ხართ, თქვენთან ერთი ბატარა საქმე მაქვს — ხმადაბლა, შინაურულად მივესალმე ორმოციოდე წლის კაფანდარა ჭვალარათმიან მამაკაცს.

— გავიმარჯვოთ. აი, იქით წავიდეო, —

ხელით მანიშნა და წინ გამიძღვა. — ჩემი კლიენტი ხართ? რაღაც არ მეცნობით, ჩემთან ვინ მოგასწავლათ?

დამღვას აზრი არ ჰქონდა და გულახდილად ვუთხარი, ვინც ვიყავი სინამდვილეში. ბევრი არ უყოყმანია — ინტერვიუზე დამთანხმდა, ოღონდ ერთი პირობით — ბაზრის ადგილმდებარეობას არ დავასახელებდი. რა თქმა უნდა, პირობა მივეცი და, ვვითქობ, სლავიკამაც გულახდილად მამბო ყველაფერი.

— თბილისელი, დედით რუსი, მამით ქართველი, რადიოტექნიკოს-ინჟინერი ვარ. ათ წელზე მეტია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ვმუშაობ ჩემი პროფესიით. სხვათა შორის, საკმაოდ მაღალი ჩინის ოფიცერი გახლავართ და ჩემი საქმის პროფესიონალიც ვარ — თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ — მაგრამ რად გინდა?! ორი წლის ხელფასი გაყინული მაქვს. ამჟამად, სამ თვეში ერთი თვის ხელფასს თუ ავიღებთ, ღმერთს მადლობას ვუებნებით. არადა, ჩემი თავი ჯანდაბას, ოჯახი მყავს შესანახი. სხვა გზა არ მქონდა, თავი ხომ რაღაცით უნდა მერჩინა და მეც სასმენი მოწყობილობის, ე.წ. „ჟუროკების“ კეთება და გაყიდვა დავიწყე. პირველად, საცდელი პარტია დავამზადე, რომელიც ასე, 50 მეტრის რადიუსში მოქმედებდა, ხმა არცთუ ისე კარგად ისმოდა, მაგრამ მაინც გავარჩედი, ვინ რას ლაპარაკობდა. „პამენებიც“ ნორმაზე მეტი ჰქონდა. მოკლედ, არ ვარგოდა, მაგრამ მაინც გამოვითანე გასაყიდად. ერთ ათ დღეში გავასალე ყველა. ეგ იყო და ეგ წამოვიდა და წამოვიდა „ზაკაზები“, ზოგი

უფრო სრულყოფილ აპარატურას მოხვდა. მეც ავდექი და სპეციალური ლიტერატურა გადავიკითხე და საკმაოდ კარგი „ჟუროკები“ გავაკეთე. ახლა ამ საქმეში ისე დავოსტატდი, რომ ჩემ მიერ შექმნილ „ჟუროკს“ წყლის წვეთის ხმის „გაგონება“ და ჩაწერაც შეუძლია, თანაც ღია სივრცეში 500 მეტრზე მეტ მანძილზე, დახშულ სივრცეში (ე.ი. შენობა-ნაგებობაში) კი მისი მოქმედების რადიუსი მხოლოდ 200-250 მეტრია. თვითნაკეთი აპარატურისათვის ეს საკმაოდ კარგი მონაცემებია. „ჟუროკის“ მთავარი ღირსება კი, მისი მცირე მოცულობა, მუშაობის რადიუსი და ძლიერი, კომპაქტური კვების წყაროა.

— ერთი სული მაქვს გკითხოთ და კაცურად მითხაროთ, არ მომატყუოთ — თქვენ მიერ დამზა-





დებულებული „ჟურნალები“ თუ უპოვობათ პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიაში ან პარტიის ლიდერების ოფისებში ან თუ მანქანებში?

— თვითნაკეთი „ჟურნალების“ უმეტესი ნაწილი საქართველოში ჩემი „ფირმის“ დამზადებულია. აბა, როგორ გითხრა, როცა „ჟურნალებს“ აღმოაჩინებ, მე ხომ არ მივალ — მანასეთი, მანტერესებს ჩემი გაკეთებული თუ არის-მეთქი. თუ ტელევიზორში აჩვენებენ ახლო პლანით, მაშინ კიდევ შემიძლია ვთქვა და ისე როგორ გამოვიცნობ?! აი, შარშან რეზო ადამიას სამუშაო კაბინეტში „ჟურნალებს“ რომ აღმოაჩინეს, ტელევიზორში კარგად აჩვენეს და ვიცანი — ჩემი გაკეთებული იყო. ისე, კაცურად რომ გითხრა, 90% ჩემი „ფირმის“ ნაწარმია ან ჩემი კოლეგების.

— ახლა ის მაინტერესებს, ვინ იყიდა ადამიას კაბინეტში აღმოჩენილი თქვენი „ჟურნალები“?

— აბა, რა ვიცი? ერთი კაცი იყო — თუ მეხსიერება არ მღალატობს, მაღალი, სიმპათიური, ლამაზად შეკრებილი წვერით. მე ხომ არ მეტყვოდა თავის ნამდვილ სახელსა და ვინაობას. მე საქონელი მიყვიდე, მან ფული გადამიხადა. ანგარიშები კი — რისთვის და რატომ სჭირდებოდა, ჩემთვის არ ჩაუბარებია და არც მე მითხვია.

— ახლახან, შალვა ნათელაშვილის მანქანაში დამონტაჟებული „ჟურნალები“ თქვენი ნახელავია?

— ეგ „ჟურნალები“ ერთ ქალს მიყვიდე. ეს ამბავი იმიტომ დამამანსოვრდა, რომ ჯერ ერთი, ძალიან ლამაზი ახალგაზრდა ქალი იყო. მეორე — ახლახან მოხდა და ზუსტად მასსოვს, როდის შეიძინა და, შესაძლოა უმთავრესი — იმ ლამაზმა გოგომ თვითონ მომიტანა „ჟურნალებს“ დასამზადებელი ნაწილები. სხვათა შორის, ის ნაწილები საკმაოდ ძვირი ღირს და თბილისში არ იშოვება...

— რეზო ადამიასთან აღმოჩენილი „ჟურნალები“ რამდენ ხანს იმუშავებდა?

— გაანია, რომელი დენის წყარო ჰქონდა, ე.ი. რომელი ტიპის ელემენტებით იკვებებოდა. მაგალითად, „კრონას“ 24 საათი შეუძლია „ჟურნალებს“ ამუშაოს. „ფირმა“ — მაღალი კლასის სპეცელემენტებს კი 3-4 „სუტაც“ შეუძლიათ უწყვეტად მუშაობა. ყველაფერი კი მაინც „ჟურნალებს“, ე.ი. სასმენი მოწყობილობის სიძლიერეზე დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რა კლასისა და ტიპის გადაცემისა და ანტენას იყენებენ. რაც შეეხება მიღების

ხარისხს, აქ მნიშვნელოვანია თვითონ მიღები რადიოს ხარისხი. საერთოდ, სვობს, „ჟურნალებს“ მუშაობის პრინციპზე ერთ ლექციას ჩავატარებთ და ყველაფერში კარგად გაერკვევით. თანაც მარტივი, გასაგები ენით აგიხსნით. დავიწყეთ ისტორიიდან.

პირველად, მისაყურადებელი ანუ სასმენი აპარატურა გერმანელებმა მოიგონეს, ფამისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვამ — „აბვერმა“ შექმნა. შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო „ჟურნალების“ შექმნაზე და სრულყოფაზე მუშაობა. მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას ბერიას ხალხმა მიაღწია — როგორც იმ დროს თანამედროვე „ჟურნალებს“ გამოგონებაში, აგრეთვე მის უჩუბრად დამონტაჟებაში. სტალინის და ბერიას არ ასვენებდათ იმაზე ფიქრი, რომ ისინი ვერაფრით ასერხებდნენ მოსკოვში მდებარე ამერიკის საელჩოს მიყურადებას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ფიზიკოსებმა შექმნეს ძალზედ ორიგინალური, კომპაქტური, მაგრამ ძლიერი სასმენი აპარატურა, დღის წესრიგში იდგა საელჩოში მისი შეუმჩნეველად დამონტაჟების საკითხი. ბევრი ფიქრის შემდეგ, ბერიას მითითებით, იშვიათი ჯიშის ძვირფასი ხის მერქნისაგან საბჭოთა მხატვრებმა

დელი თანამედროვე სასმენი აპარატურა ნეკა ფრჩხილის ოლენაა. „ჟურნალები“ შედგება მგრძობიარე მიკროფონისგან, გადაცემისგან, კონდენსატორებისა და ანტენისგან. ყველა ეს ნაწილი ერთ კორპუსშია მოთავსებული. აღსანიშნავია, რომ „ფირმა“ „ჟურნალებში“ კვების წყარო ან ასევე კორპუსშია, ან გარედან, ეთერით იღებს სპეციალური აპარატით, ხოლო თვითნაკეთი „ჟურნალების“ უმეტესი ნაწილი „ფირმისაგან“ იმით განსხვავდება, რომ მათი, ე.ი. „ჟურნალების“ კვების წყაროს ელემენტი კორპუსის გარეთ მდებარეობს. თვითნაკეთები აგრეთვე გაცილებით დიდია. და კიდევ ერთი განსხვავება: ბუნებრივია, „ფირმები“ ბევრად უფრო ხარისხიან გადაცემებს აწვდიან. ოღონდ ეგაა, რომ ძალიან ძვირი

მე ყველას ვჭირდება — უშიშროებასაც, პოლიციასაც, პოლიტიკოსებსაც და ბიზნესმენებსაც. მე რომ დამიჭირონ, ისეთი ამბავი ატყდება, დედა შვილს არ აიყვანს...

დაამზადეს ამერიკის ულამაზესი გერბი და ის ელჩს დიდი ამბით მიართვეს აშშ-ის დამოუკიდებლობის საიუბილეო დღესასწაულზე. მაშინდელი აშშ-ის ელჩს ისე მოეწონა გერბი, რომ თავის სამუშაო კაბინეტში დადგა. მასში კი წინასწარ ჩამონტაჟებული იყო „ჟურნალები“ და საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახური მრავალი წლის მანძილზე უსმენდა საელჩოს. რაც შეეხება „ჟურნალებს“ კვების წყაროს, საბჭოთა ფიზიკოსებმა აქაც ახალ გადაწყვეტილებას მიაგნეს: ენერგიას „ჟურნალებს“ გარედან, სპეციალური გადაცემით მოწყობილობიდან იღებდა. შემდეგ „ჟურნალებს“ სრულყოფაში ჩაებნენ იაპონელი და დასავლეთგერმანელი სპეციალისტები. ახლან-

დღის — რამდენიმე ასეული დოლარიდან, რამდენიმე ათას დოლარამდე. არ იფიქროთ, რომ ასეთი ძვირი „ჟურნალებს“ დამზადება მე ან ნებისმიერ რადიოინჟინერს არ შეეძლოს, მაგრამ მისი ნაწილები ძვირიცაა და ძნელი საშოვიც. რაც მთავარია, ასეთ ძვირ „ჟურნალებს“ საქართველოში არავინ იყიდის.

— თქვენს „ჟურნალებს“ ვინ ყიდულობს?

— ძირითადად, ძალიან სტრუქტურების თანამშრომლები. ჩემი და ჩემი კოლეგების კლიენტთა რიგს მსხვილი თუ წვრილი ბიზნესმენებიც შეადგენენ, რომლებიც ცდილობენ, „ჟურნალებს“ მეშვეობით ერთმანეთზე მაკომპრომეტირებული მასალები მოიპოვონ, თორემ კომერციული საიდუმლოება მათ

ერთგული პიტიხველი

თქვენ, ერთგულ პიტიხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტექსტის კითხვებზე გავიჭირდე-
ბათ პასუხის გაცემა...

1. სად გაიხსნა სპილოს მწვრთნელითა და მომთვინიერ- ებადითა მოსამზადებელი სასწავლებელი?



- ა) ინდოეთში;
- ბ) რუსეთში;
- გ) ტაილანდში.

2. პარიზში მცხოვრებ ნამოვ ზუბალაშვილს 1941 წელს სახლში შეეჩრნენ და გაძაბრებენ:



- ა) ქართველებმა;
- ბ) გერმანელებმა;
- გ) ფრანგებმა.

3. სად დაიბადა სანდრო ახმატელი?



- ა) სიღნაღის მაზრაში;
- ბ) ახმეტაში;
- გ) ვარშავაში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

არ აინტერესებთ. ბიზნესმენებს ძირითადად
აინტერესებთ, თუ თავიანთი კონკურენტები
რა მექანიზმებით არიდევენ თავს გადასახა-
ლებს, როგორ და რა ღროს, აგრეთვე, რა
მარშრუტით შემოაქვთ კონტრაბანდა. შემ-
დეგ მოპოვებულ მასალებს, შესაბამის მაკონ-
ტროლებულ ორგანოებს, სხვისი ხელით
უგზავნიან ან ჟურნალისტებს გადასცემენ
და თქვენც მეტი რა გინდათ?.. რაც შეეხება
პოლიტიკოსებს, ამ შემთხვევაშიც, კომპრო-
მატების შეგროვება აინტერესებთ – მათზე
თუ პარტიაზე, რადგან იცან, რომ თითქმის
ყველა პარტია უკანონოდ შემოსული ფუ-
ლით არსებობს და აინტერესებთ, კონკრეტ-
ულად საიდან და ვისგან შემოდის ფული...

— მე ვფიქრობ, შემაქვს თქვენს
იმ განცხადებაში, თითქოს უშიშ-
როების ან შინაგან საქმეთა
სამინისტროს თანამშრომლები
ყიდულობდნენ თქვენგან კუს-
ტარულად დამზადებულ აპარა-
ტურას.

— თქვენ რა გგონიათ, საქართველოს
უშიშროებას ან შსს-ს ფული აქვს? ისინი
ხელფასებს ვერ არიდევენ და ძვირად ღირე-
ბულ „ჟურნოკებს“ რით შეიძენენ?! თანაც,
ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: როცა
ძალადგანი სტრუქტურის თანამშრომელი,
ჩემგან იაფფასიან, თვითნაკეთ „ჟურნოკს“
ყიდულობს, თავის ჯიბის ფულს ხარჯავს
და ამ თანხას არსად ოფიციალურ ხარჯ-
თაღრიცხვის საბუთში არ უჩვენებს. თუ
გაუმართლდა და კომპრომატები მოიპოვა,
თავისი ჯიბის შესავსებად შანტაჟს მიმა-
რთავს და ფულს გამოსძალავს. ოფიციალ-
ურად ნაყიდი „ჟურნოკით“ მოპოვებულ
მასალებს კი ვერ დამალავს...

— გამოდის, რომ უშიშ-
როებისა და შსს-ს ხაზით კარ-
გი „კრიშები“ გცოლიათ და
ჩემთან ასე თამამად იმიტომ
ლაპარაკობთ?

— კაი, ერთი, თუ ძმა ხარ – რა
„კრიშები“. მთელმა ბაზარმა აგერ უკვე
რამდენიმე წელიწადია იცის, თუ რით
ვვაჭრობ, მაგრამ ჩემი დაჭერა არავის
ფიქრადაც არ გაუვლია. ან რაში აწყობთ,
რომ დამიჭირონ? მე ყველას ვჭირდები
– უშიშროებასაც, პოლიციასაც, პოლი-
ტიკოსებსაც და ბიზნესმენებსაც. მე რომ
დამიჭირონ, ისეთი ამბავი ატყდება, დედა
შვილს არ აიყვანს. დარწმუნებული ვარ,
ორ დღეში ბოლიშეებით გამიშვებენ. თქვენ
რა გგონიათ, ვინ უდებს „ჟურნოკს“
ნათელაშვილს – უშიშროება? არ
დაიჯეროთ: ისევ ის დაუმონტაჟებს, ვინც

მათი მტერია – მაგალითად, მოქალაქეთა
კავშირი. „მოქალაქეებს“ კი ნათელაშვი-
ლის ახლო წრიდან ის გოგო ჰყავდათ
ნაყიდი, რომელსაც ორ-სამ დღეში ერთხ-
ელ იმ მანქანით მგზავრობა უწევდა და
იმ ღროს კვების წყაროს, ე.ი. ელემენტ-
ებს ცვლიდა. ბოლოს და ბოლოს, ისიც
შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ შრომის
პარტიამ, თავისი ავტორიტეტის ასამაღ-
ლებლად თვითონ ჩამონტაჟა „ჟურნოკი“,
როგორც ამას ასლან აბაშიძე აკეთებს.

— ახლა არ მითხრათ, ასლან
აბაშიძეს მე ვაძლევ „ჟურნოკე-
ბსო“...

— არა. არ მგონია, მაგრამ გამორიცხ-
ული არაფერია. აჭარაში ერთი კარგი
რადიოინჟინერი ან ფიზიკოსი როგორ
არ იქნება, რომ „ჟურნოკის“ დამზადება
შეძლოს.

— მე თუ მომიყიდი თქვენს
გაკეთებულ „ჟურნოკს“?

— ფული თუ გაქვთ, რატომ არ მო-
გვიყიდი?! გააჩნია, რა ფასიანი გინდათ.
თუ მეტყვი, რისთვის გჭირდებათ, ცო-
ტას დაგიკლებთ კიდეც.

— რედაქტორს დაგუდებ...


— ო, ეგ აზრი მომწონს. ორ დღეში
ყველაფერს გაიგებთ – რას ფიქრობს თქვენ-
ზე – და კომპრომატებსაც მოაგროვებთ.
ოღონდ ფრთხილად იყავით. ჩემი „ჟურნო-
კი“ ღია ეთერში მუშაობს და ნებისმიერ
რადიომიმღებს შეუძლია დაიჭიროს თავის-
უფალ სიხშირეზე, ასე რომ, არ გაიყიდოთ,
თორემ, ასპროცენტაინი, სამსახურიდან გა-
მოგადგებენ. ჰო, მართლა, სანამ დაუყენებ-
დეთ, კარგად გაასუფთავეთ, რომ თქვენი
თითების ანაბეჭდები არ დარჩეს, თორემ
ხომ იცით – თუ რედაქტორმა ნახა, ერთ
ამბავს ატყენს, პოლიციას გამოიძახებს, ამ-
იტომ დაყენებისას ხელთათმანებით იმ-
უშავეთ.

„ჟურნოკი“, რა თქმა უნდა, არ ვიყიდე,
მაგრამ მეორე დღეს ფოტოკორესპონდენტ-
თან ერთად მისი სურათი გადავიღეთ – რა
თქმა უნდა, სლავიკას ნებართვით. როგორც
ხედავთ, „კრონის“ ტიპის ელემენტში არის
დამონტაჟებული, კვების წყაროდ მეორე –
ნამდვილი „კრონა“ უერთდება, ანტენის მა-
გივრობას კი რამდენიმე სანტიმეტრის სი-
გრძის წვრილი საღვინე წვეს. სხვათა შორის,
ამ „ჟურნოკის“ მოქმედება სლავიკასთან
ერთად შეგამოწმეთ: 96 სიხშირის თავისუ-
ფალ ტალღაზე მშვენივრად მუშაობდა და
ჩურჩულით ნათქვამსაც 100 მეტრის
სიშორეზე გადასცემდა...



თენგიზ მაღანია

ადამ და ევას სამოთხიდან გამოძევების შემდეგ კაცობრიობას ვერ დაუდგენია, რა არის ადამიანურ ურთიერთობებში ნორმალური და რა — პათოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა მანძილზე ფილოსოფიური ტრაქტატები იწერებოდა ქალისა და მამაკაცის სასოფარო ურთიერთობების შესახებ, ადამიანი მაინც ძიებაშია და, სამწუხაროდ, ამ ურთიერთობებში ბუნებრივი ფაქტორების ხელოვნურით ჩანაცვლებასაც ცდილობს. როგორც ჩანს, ცივილიზებულ მსოფლიოშიც და, მათ შორის საქართველოშიც, მიაჩნიათ, რომ ღმერთმა რაღაც დაგვაკლო და ამ ხარვეზის შევსებას ადამიანი შეძლებს.



გასაბერი ქალი

ქუჩაში გამოსულ მოკალადას

პრობლემებს „რეზინის ქალი“ მოუხსნის?

ეკატერინე ლიჩელი

მას შემდეგ, რაც ჩვენთან ყველაფერი გადემოკრატიულდა და ყოველგვარ სიახლეთა „ბუმი“ ატყდა, მსოფლიო მიღწევების ხილვის საშუალება მოგვეცა. არ ვიცი, რამდენად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე ახლახან გახსნილი სექს-შოპი „აფროდიტე“ (სადაც შესვლისათვის 1 ლარია გადასახდელი, თითქოს მუზეუმი იყოს...), ერთი კია: არ მინდა, ეს სიახლე ხელაღებით ნეგატიურად ან პოზიტიურად შევაფასო და, სპეციალისტთა აზრის გაცნობის შემდეგ, დასკვნაც თქვენთვის მომიხდვია. თუმცა, მანამდე უსათუოდ უნდა აღვნიშნო, რომ საინფორმაციო წყაროების მიხედვით, მსგავსი ობიექტები უცხოეთის ქვეყნებში დედაქალაქის ცენტრალურ გამზირებზე არსად უნახავთ.


ანდრო კანდელაკი, საქართველოს სექსოლოგთა საზოგადოების ხელმძღვანელი:

— შპს „აფროდიტე“ უფრო ინტიმ-სალონია, ვიდრე სექს-მალაზია. მისი არსებობა გახსნიდან სამი კვირის შემდეგ გავიგე. „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ასოციაციის“ წევრიც მას შემდეგ გავხდი, როცა „აფროდიტეში“ ჩემი თვალით ვნახე

ყველაფერი. განზე დგომას, სჯობს, შესაძლო უარყოფით მოვლენებს ისევე ჩვენ, სპეციალისტებმა მივხედოთ და ისეთი მცდარი ინფორმაციაც უარყვეოთ, თითქოს თვეში 2000 ვიბრატორი იყიდება და სხვა ამგვარი... იქ არსებულ პროდუქციას ჩემი პაციენტებიდან 10-15 ადამიანს თუ დაუნიშნავდი. თუმცა, როგორც სექსოპათოლოგი, ნებისმიერ წყვილს, პრობლემური ურთიერთობის გამოსასწორებლად, ფსიქო და სექსუალური თერაპიით მკურნალობას უფრო ვურჩევ და, თუკი ყველა გზა მოიჭრა, პაციენტს მხოლოდ მაშინ შეუძლია გამოიყენოს ხელოვნური საშუალებები. ამ მალაზიაში არ შევა ჰარმონიული წყვილი. გონიერი ადამიანი, პრობლემის გაჩენის შემთხვევაში, ალტერნატიულ გზას მონახავს პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობის მისაღწევად. სამწუხაროდ, არა გვაქვს სექსუალური განათლების შედეგად მიღებული კულტურა და არც სპეციალისტთან მისვლის ტრადიცია. სჯობდა, ჯერ ამ საკითხისთვის მოვეველო და მალაზიაც მერე გავგეხსნა. თუმცა, იქ წარმოდგენილი პროდუქციის ერთი ნაწილი — თანამედროვე თერთრული, პრეზერვატივები, მალაძო, მასტიმულირებელი საშუალებები გაღიზიანებას არ უნდა იწვევდეს. ყოველივე ეს ძველ ეგვიპტეშიც იყო და

ქართულ კარაბადინშიც წაიკითხავთ კაცის პოტენციის ასამაღლებელ თუ ქალის ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო რეცეპტებს. მაგრამ იქ, სადაც მექანიკური, ეროტიკული საგნებია, პრეტენზიები მიჩნდება. ვიბრატორები და რეზინის ქალები შეიძლება მოიხმაროს მხოლოდ „პრობლემურმა“ ადამიანმა. სექსუალური სფეროს განვითება დიდ ტრაველიად მიმაჩნია, მაგრამ არიან ფსიქოლოგიურად „პრობლემური“ ადამიანები (მცირე რაოდენობით), რომლებიც ალბათ ამ ნივთებს შეიძენენ. აჯობებდა, ეს მალაზია სპეციალისტების ეგიდით გახსნილიყო. სექსუალობა, პირველ რიგში, ორი ადამიანის ერთობლივი სულიერი და ფიზიკური განცდაა. სამწუხაროდ, საქართველოშიც უამრავი პრობლემაა, თუნდაც მოზარდთა პროსტიტუციის თუ სხვა. სექსუალური აღზრდის პოლიტიკა სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა ავიდეს. თბილისში გახსნილი „სექს-შოპის“ არსებობას თვით დრო ან გაამართლებს, ან უარყოფს.

შპს „აფროდიტეს“ დირექტორმა თენგიზ მაღანიამ განაცხადა, რომ „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ასოციაციის“ სახელით, მისი სამოღვაწეო ასპარეზის საკანონმდებლო ბაზით განმტკიცებას შეეცდება. ლობისტის ამპლუაში კი, თურმე, პარლამენტარი კოლე



კემულარია იგულისხმება, რომელმაც ჩვენთან საუბარში ბრძანა:

„სექს-შოპის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი სიმბოლურად არის ჩვენი ასოციაცია, მე ამ ობიექტთან არაფერი მესაქმება, ალბათ ასოციაციის წევრმა აკადემიკოსებმა და პროფესორებმა ჩათვალეს საჭიროდ და იმიტომ გაიხსნა; თუ მკითხავთ, როგორც მოქალაქეს და ადამიანს, ეს არის გახსნილი იმ მოძალადეებისთვის, ვინც დღეს ქუჩაში დადის, და ის რეზინის ქალი მათ პრობლემას მოუხსნის. მცირეწლოვანთა ამ მალაზიაში შესვლა სასტიკად აკრძალულია, ჩვენ ვეროსაბჭოს წევრი ქვეყანა ვართ და უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვინც იქ შედის, ისიც ადამიანია. თუ არაფერი გაიყიდება, ბუნებრივია, მალაზია დაიხურება. სულ მალე პროსტიტუციის ლეგალიზაციაც უნდა მოხდეს, ეს მაინცდამაინც ბორდელების გახსნას არ გულისხმობს, არამედ პრობლემის საკანონმდებლო მოწესრიგებას. შეიძლება აიკრძალოს კიდევ...“

სანდო წყაროდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ შპს-ს არ აქვს სამედიცინო ლიცენზიისთვის აუცილებელი ერთ-ერთი კომპეტენტური ორგანიზაციის თანხმობა, თუმცა, **თენგიზ მალანიას** თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ლიცენზია მათ სახელზე გაცემულა. მალაზიის სამედიცინო პროფილის არარსებობას ისიც ადასტურებს, რომ, დირექტორის თქმით, მალაზიაში არსებული პროდუქცია ხელს უწყობს სექსუალური თამაშების მრავალფერ-

ოვნებას. თურმე, იქაური აქსესუარის გარეშე შეუძლებელია წყვილის სრულყოფილი კავშირი, რადგან ინტიმური ურთიერთობები ასე უფრო ამაღლებული ხდება და სასურველია, პარტნიორთან ერთად ვიბრატორიც იქნას გამოყენებული...

ამ შეხედულებას კომენტარს უკეთებს „ახალგაზრდა ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი, **ნინო ქვარიანი**:

– მისაღებია, თუ მალაზიის მფლობელი იტყვის, რომ მისი პროდუქცია განკუთვნილია მხოლოდ მათთვის, ვინც თავისი შესაძლებლობების რეალიზებას ვერ ახერხებს სექსუალურ ურთიერთობებში, მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია, რომ ეს აქსესუარები სრულყოფილს ხდის ბუნებრივ სექსუალურ ურთიერთობებს – თითქოს ადამიანის ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ხელოვნური ფაქტორების არსებობა. თუ ადამიანი პარტნიორთან შესაძლო ბუნებრივ ურთიერთობებს გამოირჩევს, ე.ი. ინტიმური ურთიერთობის დეფიციტი აქვს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად მხოლოდ რაღაც ნივთები იქცეს. როგორც ადამიანის ფიზიკური არსებობისთვის საჭიროა ნივთიერებათა ცვლა, მისი

სულიერი განვითარებისთვის აუცილებელია ფსიქოლოგიური გარემოს ჩამოყალიბება. თუ ადამიანში სექსუალური იმპულსები ადამიანურობის უარყოფიდან გამომდინარეობს, ე.ი. თუ იგი უარს ამბობს საკუთარ არსზე, ეს საგანგაშოა, რადგან ამგვარი რამ ყოველგვარ ადამიანურ ურთიერთობებში გამოიწვევს დისბალანსს. უცხოეთში ბევრი რამ არის დანერგილი და აპრობირებული, მაგრამ სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ უამრავი გამოვლენა პოზიტიურ გავლენას როდი ახდენს საზოგადოებაზე. ამიტომ დიდი სიფრთხილე და კომპეტენტურობა გვმართებს ნებისმიერი ასეთი წამოწყების მიმართ.

რადგან შპს „აფროლიტეში“ მყიდველთა ვინაობაც და რაოდენობაც კონფიდენციალურია, შეუძლებელია შევამოწმოთ, რამდენად რეალურია ის, რასაც თენგიზ მალანია ამბობს. კერძოდ:

– მომხმარებელთა 40% ქალია, 60% კი კაცი. ძირითადი ასაკი – 35-45 წელია. ამ საქმეს გერმანელები საქველმოქმედო მიზნით ახორციელებენ, რათა 21-ე საუკუნეში ამ სფეროში მსოფლიო მიღწევები ჩვენც გავითავისოთ და ევროპის სრულყოფილებანი წევრებიც გავხდეთ(!..). კაცობრიობა, პირველ ყოვლისა, სექსუალურად უნდა იყოს თავისუფალი, თორემ სხვაგვარად ვერ გავითავისუფლებით. ამ აზრს, ვერავინ გადამათქმევინებს. ■





საქართველომ რუსეთი დაამარცხა!

ერთი თვის წინ ჩვენს ჟურნალში ქართველ მორაგბესთან — გია ლაბაძესთან გვეკონდა ინტერვიუ და იქაც აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყნისა და რუსეთის ნაკრებების მომავალი მატჩი მხოლოდ რაგბის თამაში — სპორტული სანახაობა კი არა, ომი იქნებოდა და

აჰა, ეს ომიც შედგა და ქართველებმა ქართულად — უთანასწორო ბრძოლაში გაიმარჯვეს.

რაგბის ორი თხუთმეტკაციანი გუნდი თამაშობს და უთანასწორობა რა შუაშიაო — იტყვის მკითხველი, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

გვიან გურული

ვისაც საქართველოსა და რუსეთის ნაკრები გუნდების პირველი, რამდენიმე წლის წინანდელი მატჩი ახსოვს, ის აქოტაჟიცი ემანსოვრება, რომელიც ამ თამაშს უძღოდა — პრესაში, გულშემატკივრებში... მაშინ ზოგიერთი მეტიჩარა „დემოკრატი“ გამოვიდა და ტელევიზიასა და პრესაში ყველას მოგვიწოდა — „სპორტს პოლიტიკად“ ნუ ვაქცევთ(!). მოწოდება მოწოდებად და — როდესაც პირთამდე გადაჭედვით სტადიონზე შეინდისფერი ზღვა აღელდა, ყველა — მათ შორის რუსი სპორტსმენებიც — მიხვდა, რომ ეს მართლაც არ იყო პოლიტიკა, ეს უფრო მეტი იყო — ომი, წაგებული ომის რევანშის წყურვილი, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ბოღმა და სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში გამარჯვებით წინასწარ ტკობა... რუსებმა ის თამაში დაწყებამდე წააგეს, ბოდიში მკითხველთან და — „ჩაისვარეს“!

შემდეგ წელს მეორედ შეყარა ბედმა უკვე „დაუძინებელი მეტოქეები“ ერთმანეთს და თბილისიდან ისევ კულამობუბულები წავიდნენ ჩრდილოელები. მანამდე კი, თამაშის შემდეგ, მორაგბეთა საერთაშორისო საძმოში დადგენილი დაუწერელი კანონი დაარღვიეს რუსებმა — გამარჯვებულს „ცოცხალი ღერეფანი“ არ მოუწყვეს და არც ტაშით გააცილეს

გასახდელისაკენ. თუმცა, ამისთვის სად ეცალათ — გულამოსკვნილი ტიროდნენ ამხელა მუტრუკები (არ ვაჭარბებთ — მართლა ტიროდნენ)...

და ამ ამბების შემდეგ — მესამე თამაშში, რომლის მასპინძლობაც წილისყრამ რუსებს არგუნა! ადვილი წარმოსადგენია რევანშის აღების ის სურვილი, რომელიც მთელ რუსულ სარაგბო სამყაროს ამოძრავებდა — დარწმუნებულები იყავით, არც ერთ მათგანს იოტისოდენა ეჭვიც არ ეპარებოდა თავის მომავალ გამარჯვებაში, რადგან მათაც ომად აღიქვეს ქართველებთან თამაში. თავიანთ ქვეყანაში კი, რუსები ყოველთვის იგებდნენ ომს.

მანამდე იყო ორივე გუნდის ორ-ორი თამაში შედარებით სუსტ მეტოქეებთან და ორივემ გაიმარჯვა, როგორც მოსალოდნელი იყო. სწორედ პორტუგალიასთან მეორე თამაშის შემდეგ თქვა საქართველოს ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა: მთავარი რუსეთია და ისიც ვიცი, რომ ქართველებისთვის რუსებთან პაექრობა მხოლოდ სპორტი არ არისო. ამ კაცის დიდი ღვაწლი, პროფესიონალიზმი და საქმისთვის თავდადება საგანგებოდ არის აღსანიშნავი, მაგრამ უფრო საოცარი მისი ერთგულებაა საქართველოს ნაკრებისადმი, რადგან ამ დონის მწვრთნელი ნებისმიერი გუნდისათვის სანატრელია და არც მაღალანაზღაურებას დაამადლიან. როდესაც

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს ბიძინა გეგიძეს ვკითხე — როგორ მოახერხეთ სორელის ასე „გაქართველება“ — მეთქი, მიპასუხა: ეგ სორელი კი არა — „სორელიშვილია“ უკვე და შენ მაგისი თამაძობა უნდა ნახო.

ახლა კი, ზემოთ ნახსენებ უთანასწორობას დავუბრუნდეთ: რუსეთში ჩასვლას, როგორც მოგესვენებათ, ამიერიდან ვიზები სჭირდება და საქართველოს რაგბის კავშირის მესვეურებმა, როგორც წესი და რიგია, რამდენიმე კვირით ადრე მიმართეს რუსეთის საკონსულოს თბილისში. საფრანგეთში მოთამაშე ქართველმა ლეგიონერებმა კი, მარსელის საკონსულოს მიაკითხეს. აქაც და მარსელშიც საბუთები დაიტოვეს და ჩვენები რამდენიმე დღის შემდეგ დაიბარეს, დათქმულ დღეს მისულეს კი განუცხადეს, რომ... რუსეთის საელჩოები ამ ქვეყნის რაგბის ფედერაციას არ სცნობენ და მათ მიერ გამოგზავნილი მიწვევა მხოლოდ ფართინა ქაღალდია! მოკლედ რომ მოვჭრათ, ნაკრებმა მხოლოდ წინა დღეს, ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა მარშრუტით ჩააღწია კრასნოდარში, სადაც მატჩი იყო დანიშნული. ჩააღწია, მაგრამ რუსებმა ისეთი პირობები დაახვედრეს, „ავ თვალს არ დაენახებოდა“: არც თეორიული მეცადინეობის ოთახი, არც ავტობუსი და არც... სტადიონი(!). ბიჭებმა სასტუმროსთან განლაგებულ სკვერში ივარჯიშეს უბურ-

თოდ. ხოლო როდესაც მატჩზე წასვლის დრო მოვიდა და არც ავტობუსი ჩანდა, იმავე სასტუმროში მცხოვრებმა ფრანგმა მსაჯებმა და უკრაინელმა კომისარმა ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებს რაგბის საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით შესთავაზეს – გამარჯვებას უთამაშებლად მოგანიჭებოთ, მაგრამ ქართველებმა – უკლებლივ ყველამ – შორს დაიჭირეს, მათ უბრალოდ, ორი ქულა კი არა, ჩრდილოური დათვის მისსავე ბუნაგში მონადირეობა ეწადათ!

როგორც იქნა, გამოჩნდა დაფახვასებული წითელი (რა თქმა უნდა) „იკარუსი“. უკვე კარგა დიდი მანძილი ჰქონდათ გავლილი, როდესაც ჩვენს ერთ-ერთ მორაგბეს გზა ეცნო და მგონი აეროპორტისკენ მივიღვართო – თქვა. მძღოლმა დაადასტურა – „პუტოვკა“ მაქვს გამოწერილი და თქვენეი წაყვანაც აეროპორტში მაქვს ნაბრძანებო. სანამ „პოპულარულ ენაზე“ არ აუხსენეს, რომ სტადიონისკენ უნდა წასულიყო, ავტობუსი არ მოატრიალა...

მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როგორც იქნა, სტადიონსაც მიაღწიეს და იქაც „სიურპრიზი“ ელოდათ: თურმე ნუ იტყვით და, მასპინძლებს ჰკონებიათ, რომ ჩვენებს გასასხდელი არ სჭირდებოდათ(!). ხალხით გადაჭვდილი, აღრიალებული ტრიბუნების თვალწინ გამოეწყვიტნენ ჩვენები შინდისფერ კვართებში და სავარჯიშოდ გავიდნენ. იქაური მაყურებელი ალბათ კარგად იყო ინფორმირებული წინა მატჩებისას ქართველი გულშემატკივრების „უღირსი საქციელის“ შესახებ და მათი გამწარებული ყიჟინა მატჩის ბოლომდე არ დამცხრალა. თამაში მოედნიდან გამოუსვლელად

დაიწყეს ჩვენებმა – მოთელვის შემდეგ დასვენების დრო აღარ იყო. მაგრამ დაწყებამდე იყო მასპინძლების (ასე ჰქვია, თორემ შევარცხვინე ასეთი მასპინძელი) უკანასკნელი ღორობა: მხოლოდ უძღვეელი რუსეთის ჰიმნი – „Союз нерушимый“ დააგუგუნეს და შემდეგ ასე ახსენეს ეს უმსგავსობა: კასეტა, რომელზეც საქართველოს ჰიმნი გვქონდა ჩაწერილი, გაფუჭებულაო!

თამაში დაიწყო. სამხრეთ აფრიკელი მწვრთნელის მიერ დამოძღვრილი რუსები ჯიქურ ეკვეთნენ ქართველებს და პირველი ოცი წუთის მანძილზე საკუთარ ნახევარსაც მიაჯაჭვეს. ამას ამინდიც ხელს უწყობდა – ჩვენების მხარეს ძლიერი პირქარი ქროდა.

პირველი ნახევარი გაძღებისა იყო და საქართველოს ნაკრებმაც გაუძლო – ორი ქულის სხვაობით დათმო ტაიმი – 13:15.

მეორეში კი ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო – ქართული ლელოს ელემენტებით გენეტიკურად გაჯერებული მარდი ბურთაობა ხელით, ჩაუქი სირბილი, მძლავრი აბრაგანები, მეტოქის ძვლებსმტვრეველი შებოჭვა და ეს ყველაფერი – კლოდ სორელის ბრწყინვალე ტაქტიკის ფონზე. ბიძინა გეგეიძის თქმით – სწორედ ისეთი მატჩი იყო, რომელსაც მწვრთნელი იგებს ან აგებს და სორელმა პირწმინდად დაჩაგრა თავისი სამხრეთაფრიკელი ვიზავი.

ბრძოლა (ნამდვილი ბრძოლა) უკანასკნელ წუთამდე გრძელდებოდა. ბრწყინვალე ლელოს გამტანი, ჩვენი ჟურნალის ძველი მეგობარი გია ლაბაძე თამაშის ბოლოს მოედნიდან გააძევა მსაჯმა და კაცნაკლულმა საქართველოს ნაკრებმა

გამარჯვების ლელოც მოახერხა!

საბოლოო ანგარიშად 25:23 დაფიქსირდა. მაგრამ ეს არ იყო უბრალოდ ორბურთიანი სხვაობით მოგება – ომი დამთავრდა! ჩვენ გავიმარჯვეთ! ჩვენ რუსებს მოვუგეთ! შეგვეძლება! საქართველოს ნაკრებს სპორტის არც ერთ სახეობაში არ დაუმარცხებია რუსეთის ეროვნული გუნდი მის მოედანზე! მორაგბეები პირველნი არიან, ღმერთმა ქნას, მათი წყალი სხვებსაც გადასხმოდეთ!

კაცი ბოლმიანი არ უნდა იყო, მაგრამ მომკალით და, რას არ დავთმობდი, რომ იმწუთას იქ ვყოფილიყავი და პირში დამეცინა „სტუმართმოყვარე“ მასპინძლისთვის, რომლებიც სიმწრისგან იდაყვებს იკებენდნენ...

წინ ესპანეთთან შეხვედრას და უკვე წარმოიძღვინა, თამაშის წინ, როგორ მიესალმება ფეხზე წამოდგარი ათასობით ქართველი თავიანთი ეროვნული (სწორედ ეროვნული და არა სპორტული) ღირსების დამცველთ! ხოლო მატჩის შემდეგ ჩვენი ბიჭები იმეღია, კვლავ გამარჯვებულები დატოვებენ მოედანს, მანამდე კი, გულშემატკივარს, როგორც წესად აქვთ – ალაღად გადაუხდიან მადლობას სტადიონზე საპატიო წრის დარტყმით და უკვე მომავალ დიდ სარაგბო ფორუმზე დაიწყებენ ფიქრს...

ეს ის კაცები არიან, რომელთა მსგავსებმაც, ავად თუ კარგად, აქამდე მოგვიტანეს საქართველო! ეს ის ქართველები არიან, რომლებითაც ჩვენი ყველა დიდი წინაპარი იამაყებდა! ესენი ქართველი ვაჟკაცები არიან!

და კიდევ ერთხელ: რუსების დამარცხება შეგვეძლება!



პორტუგალიის ნაკრებთან თამაშის მომენტი



კლოდ სორელი



ქალი

ქალი — დედა, მეუღლე, დიასახლისი, ქალი — პოლიტიკოსი და ბიზნესმენი... მის ყველა როლსა და ამბულას ვერ ჩამოვთვლით და ეს ბუნებრივია. მაგრამ ამ კუთხით ქალზე ფიქრისას, დღევანდელ საქართველოში ყველაზე მეტად, გონებაში სხვა სიტყვები ამოტივტივდება ხოლმე: ქალი — მარჩენალი, ქალი — ოჯახის წინამძღოლი...

„გრუზიკადას“ კი ვეუზაოზდი, როგორ ბავშვებისთვის ლუკმაკური მეუოვა...

ძნელია ახალგაზრდობილი ადამიანი აიძულო „გაიხსნას“, გული გადაგიშალოს და თავისი ტკივილი და სიხარული გულწრფელად გაგიზიაროს. ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ახალგაზრდა რესპონდენტი (27 წლის), ერთი შეხედვით მშვიდი და მხიარული რომ ჩანდა, გულში უამრავ დარდს იტევდა. მარინა (ასე დავარქვავთ პირობითად) ჩემი პროფესიის წყალობით აღმოვაჩინე.

60600 ჯავახიშვილი

რამდენიმე წელი იქნება, რაც ბენზინ-გასამართ სადგურებზე მძღოლებს სპეციალურ სამოსში გამოწყობილი გოგონები ემსახურებიან. ბუნებრივია, დავინტერესდი მათი ვინაობით და ერთ-ერთ მათგანთან გასაუბრება გადავწყვიტე. ასე ვაკიცხიანი მარინა, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, უკვე ჭიპი აქვს მოჭრილი ე.წ. „კალონკებზე“ მუშაობაში. თავიდან იუარა — არა მგონია, ჩემი ცხოვრება ვინმესთვის საინტერესო იყოსო, მაგრამ

რომ აღარ მოვეუბნი, მხოლოდ ერთი პირობით დამთანხმდა — მისი ნამდვილი ვინაობა არ უნდა გამემჟღავნებინა. მარინა თბილისელია, ლაბორანტად მუშაობდა ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში. ორი ქალიშვილი (12 და 8 წლისები) ჰყავს და თავის მშობლებთან და დამასთან ერთად ცხოვრობს.

— როგორ მოგწონს შენი ახლანდელი პროფესია?

— რა მოსაწონია — მთელი დღე გარეთ, ქარსა და წვიმაში რომ ღვასარ და ბენზინს ასხამ, მაგრამ სხვა რა გზა

მაქვს, რა უნდა გავაკეთო — თითქმის მთელ ოჯახს მე ვარჩენ. ჩემ გარდა არავინ მუშაობს. მართალია, აქედანაც ბევრი არაფერი გამოდის, მაგრამ თვეში 200 ლარიც ხომ ფულია... რაღაც განსაზღვრული ხელფასი არა გვაქვს — კლიენტები რასაც მოგვცემენ, ეს არის და ეს. 6 წელია აქ ვმუშაობ და დღესაც კომპლექსი მაწუხებს: მათხოვარივით სურდებს რომ ვიღებ, ხელები უკან გამიბრბის ხოლმე.

— სურდა რომ არ მოგცენ მძღოლებმა, გამოდის, რომ ტყუილად უნდა იმუშაო?

— ასე გამოდის. არადა, ყველა არც გვიტოვებს სურდას. ხომ იცით, ახლა ისეთი დროა, 10 თეთრსაც უფროთხილდება კაცი... ყველაზე ბევრი, რაც ოდესმე ჩემთვის კლიენტს მოუცია, 1 ლარი იყო. ისე, ვისაც ერთი შეხედვითაც კი შეატყობ, რომ მაგარი ფულიანია, კაი „ფირმა“ მანქანით მოდის და კაი ჩაცმულ-დახუ-

რულია, სწორედ ისეთი უფრო მუნწობს და კაპიკსაც არ გიტოვებს. ასეა – ალბათ იმათთვის წარმოუდგენელია, რომ ვიღაც სწორედ იმ ნაჩუქარი ხურდებით ცხოვრობს.

— ოჯახის წევრები ან შვილები როგორ ეგუებიან შენს საქმიანობას?

— თავიდან მაგარი ჩხუბი მქონდა ძმასთან. მაშინ მე თვითონაც „მიტყდებოდა“ „კალონკაზე“ დგომა – უბანთან ახლოს ვმუშაობდი და იმიტომ. ნაცნობებს რომ დავინახავდი, ვიმალებოდი ხოლმე. მამაჩემიც მეჩხუბებოდა – ჩემი შვილი რომ ხარ, არსად არ თქვაო. თუ ჩემთან სამუშაოზე მოვიდოდა, ისე დამე-ლაპარაკებოდა, თითქოს უცხო ვიყავი. სახლში, ჭამის დროს ჩემი მონატეხი პური ძმას რამდენჯერმე გადაუგდია: მეზიზღება შენი ხელმონაკიდებიო. ერთხელ ხელიც კი ასწია ჩემზე... თითქოს შრომა და ქუჩის ქალობა ერთი და იგივე ყოფილიყო. შვილებმა იციან, რომ მთელი დღე ქუჩაში ვარ და ვმუშაობ. ორივეს ვებრალები. ამას წინათ მითხრეს: დედიკო, შენ ხელთათმანები არა გაქვს და გაიყინები, ცოლო ხარ, გინდა თუ არა, ჩვენს ხელთათმანებს გაჩუქებთო. გული დამეწვა... ძალიან ვიღლები, მაგრამ „ვინუყდენი“ ვარ, ვიმუშაო, რომ შვილები არ მოვაშშიო და, რაც მთავარია, ვასწავლო, იქნებ ჩემზე უკეთესად იცხოვრონ. არავის არ ვუსურვებ აქ მუშაობას, იმდენი შეურაცხყოფა მაქვს ატანილი. რატომღაც, ოფიციალურად უფრო კარგი თვალით უყურებენ, ვიდრე ჩვენ. ალბათ ქუჩასა და მეძაობას ერთმანეთთან აიგივებენ.

— რადგან საუბარს მოჰყვა, ქართველ კაცებს როგორი რეაქცია აქონდათ, ბენზინგასამართ სადგურებზე პირველად რომ გამოჩნდნენ გოგონები?..

— ზოგს უკვირდა: ვა, აქ თურმე გოგონებიც მუშაობენო – და ჯენტლმენურად იქცეოდნენ: გამოვკარითმევენენ „პისტოლეტს“ და თვითონვე ემსახურებოდნენ თავს; ზოგიც კომპლიმენტებს არ იშურებდა და მაშინვე „შებმას“ იწვებდა: „როდის ამთავრებთ სამუშაოს? რა გქვიათ? ამის შემდეგ სულ თქვენთან ჩავსახამ ხოლმე ბენზინს და ალბათ, დავეგობრდებით, არა?!...“ ბევრი მარტო კომპლიმენტს გვეუბნება და ხურდასაც არ გვაძლევს – ვითომდა ამით „იძვრენს“ თავს. ისე, ზოგჯერ გადავრჩენილვარ კიდეც იმის წყალობით, რომ გოგო ვარ. ერთხელ ღია „პისტოლეტი“ მეჭირა, ჩაკეტვა დამეწვება თურმე. მანქანა რომ მოვიდა, ოპერატორმა ვერ დაინახა, ბაჭი რომ არ მქონდა ჩადებულ ი „პისტოლეტი“ და აპარატი ჩართო. ბენზინმა პირდაპირ მანქანაში შეასხა... ზომ წარმოვიდგენიათ, რაც მოხდებოდა! მაგრამ მე თვითონ იმდენად შეშემინდა, რომ მძღოლი აქეთ მამშვიდებდა – არა უშავს, გაიწმინდებაო. კარგი აღამიანი აღმოჩნდა, ზოგი ენით ამალოკვინებდა იქაურობას... მეორედაც, ერთი ქალბატონი გავეწუწუე, ოღონდ მაშინ ნამდვილად ოპერატორის ბრალი იყო. ქალს სახეში შეესხა ბენზინი, კინაღამ ტირილი დაიწყო, მისმა ქმარმა კი გინებით აიკლო მთელი ქუჩა. ბიჭი რომ ვყოფილიყავი, ალბათ მაგრადაც მომხვდებოდა. მაგრამ მაშინაც გადავრჩი...

— ალბათ ბავშვობაში ოცნების კოშკებს აგებდი...

— ოცნება არც დამცალდა. ცუდი ბავშვობა არ მქონია, არც საჭმელი მაკარგად ცხოვრობდა, მაგრამ სწავლაზე კი თავს არასდროს ვიკლავდი. მშობლები რკინიგზელები იყვნენ და მინდოდა, მეც რკინიგზელი გავემდარიყავი, თუმცა მამაჩემი თავს იგოჟებდა: ვიცი, იქ რა „ამარაშკა“ ხალხიც მუშაობს და არ გირჩევო. სწავლა მაინც არ დამცალდა. VIII კლასში ვიყავი, რომ გავთხოვდი.

— ძალიან კი გიჩქარია, გიყვარდა ალბათ, არა?

— მიყვარდა?! ნეტავ, არასდროს შეგვევლოდი – მთელი ცხოვრება ამირია იმ კაცმა, იქამდეც მიმიყვანა, რომ ერთხანს მოკვლაც კი დაუპირე, მაგრამ შვილები ვისთვის დამეტოვებინა?! ვიდრე გავთხოვდებოდი, სხვა მიყვარდა – ახლა ცოცხალი აღარ არის ის ბიჭი, აფხაზეთში მოკლეს... შეყვარებულებივით ვიყავით. როგორც მერე მივხვდი, არ ვყვარებივარ: ერთხელ თავის მეგობართან ერთად (მერე ჩემი მეუღლე რომ გახდა, იმასთან) შემხვდა და გამომიცხადა: თუ გიყვარვარ, ჩემთან „იყავი“, თუ არადა – შენთან სასაქონლოდ არა მცალია, აგერ ჩემი ძმაკაციო... გაგებრაზდი და ჯიბრზე დავიწვეე გაისტან შეხვედრები. რა თქმა უნდა, მშობლებს არ გამორჩენიათ, სახლში რომ ხშირად ვიკვიანებდი და ერთხელაც მცემეს. წუთებსა და წამებს მითვლიდნენ, მეთვალყურედაც მომიჩინეს უფროსი და, მაგრამ მაინც ვავიპარე – ვიამ მითხრა, თუ კიდევ გეჩხუბებიან, მითხარი და გავიპაროთო. მეც მეტი რა მინდოდა, სულელი ვიყავი. ახლა ალბათ ვერასდროს ვაპატიებ ჩემს შვილებს, ასე რომ მოიქცნენ... კარგად ვცხოვრობდით, ვა მუშაობდა და ოჯახს არჩენდა, ორი ქალიშვილიც შეგვეძინა, მალე დედამთილ-მამამთილის სახლიდან საცხოვრებლად ცალკე გადავედით. არ ვიცი, მერე რა მოხდა და რატომ შეიცვალა – აბსოლუტურად მიუღებელი, გადაგვარებული სექსუალური მოთხოვნილებები გაუჩნდა და ყოველთვის წინააღმდეგობას რომ აწყდებოდა ჩემგან, სხვასთან წავიდა. საყვარელი გაიჩინა, მაგრამ ამას ვინღა ჩივის – სახლშიც მოურიდებლად მოჰყავდა და თან მეტრამახებოდა: ამასთან ასე და ასე ვარო... ამ დროს უკვე აღარც მუშაობდა. იძულებული გავხდი, მე თვითონ მომიკიდა ხელი რაიმე საქმისთვის. თავიდან საწ-



ყოველიდან საქონელს ვიღებდი და ვყიდ-
დი – დღეში 7-8 ლარი მრჩებოდა, მა-
გრამ სხვისი არაკაცობისა და თაღლი-
თობის გამო ვალები „ავიკიდე“ და თავი
დავანებე, ბაზრობაზე მუშაობას. აღარ
ვიცოდი, რა მექნა, ბავშვებს მშვივებს
ხომ არ დავხოცავდი!

**— დაშორება მაინც არ
გინდოდა?**

— როგორ არა – უკვე აღარ შემეძ-
ლო მასთან ცხოვრება, მაგრამ ვფიქრობ-
დი, ბავშვებისთვის ოჯახური გარემო შე-
მენარჩუნებინა, თუმცა ბოლოს მაინც ვერ
მოვახერხე. იცი, მაშინ ვერაფრით წარ-
მოვიდგენდი, თუ მსგავსი რაღაცებიც
ხდებოდა ცხოვრებაში. ჩემს ქმარს ვი-
დაც ბიჭი დაუმეგობრდა. სულ ეჩხუბე-
ბოდა ვიას: რატომ ამწარბე და სცემ
მარინას, ამის ღირსი არისო?! კარგი
ადამიანი მეგონა. მაგრამ თურმე, ჩემს
ქმარს რომ შეატყო, რა ბედოვლათიცა
და ლოთიც ბრძანდებოდა, ამ ვითომდა
მეგობარს მოუფიქრებია – ვიას რუს-
თაველზე სახლს გავაყიდვინებ, ვითომ
საქმეში „ჩასადებად“ და ფულთან ერ-
თად „მოვტყდებიო“. მერე, უკვე ოჯახი
რომ დამინერია და განაცხადა, თითქოს
მისი საყვარელი ვიყავი, მითხრა: თქვენი
ოჯახის დანგრევა ყველანაირად ხელს
მაძლევდა და ამიტომ ვთქვიო... როგორც
გაირკვა, იმ ბიჭს თურმე პოლიცია რაღაც
დანაშაულისთვის ეძებდა. ოჯახში არავინ
დაიჯერა, რომ მართალი ვიყავი. დედამთილმა –
ან ახლავე წაიყვანე ბავშ-
ვები და წადი (იცოდა, რომ მშობლები
ბავშვებიანად არ მიშვებდნენ სახლში),
ან არა და, ხელწერილი დაწერე, რომ
შვილებზე პრეტენზია აღარ გექნებაო.
სხვა რა გზა მქონდა – ქუჩაში ხომ არ
დავტოვებდი ბავშვებს: ხელწერილი და-
ვუწერე და წამოვედი. დედამთილმა
სოფელში წაიყვანა ორივე და თვეში
ერთხელ მივდიოდი მათ სანახავად. ერთი
წლის შემდეგ ვიას ხვეწნა-მუდართით მოვ-
იდა: ოღონდ შემირიგდი და გამოვსწორდე-
ბიო. შევურიგდი – მშობლების სახლში
როდემდე ვიქნებოდი?! თითქოს გამოიცვ-
ალა, მუშაობაც დაიწყო, მაგრამ ხომ იცით
– ძაღლის კუდი არ გასწორდებაო, ნათქ-
ვამია: მალე ისევ ძველებურად დაიწყო.
იძულებული გავხდი, სამუშაოზე მეზრუ-
ნა. სხვა რომ ვერაფერი ვნახე, „გრუმ-
ჩიკად“ დავიწყე მუშაობა. ყველას უკვირ-
და, მაგრამ რა იცოდნენ, როგორ მიჭირ-
და. ქურთის ბიჭებთან ერთად ვმუშაობ-
დი, ზოგჯერ ფულს არც მაძლევდნენ

ხოლმე. ერთხელ, ჩემი წილი ისევ თვი-
თონ რომ ჩაიჯიბეს, გამწარებულმა და
შეურაცხყოფილმა ტირილი დავიწყე.
ბედად, დაცვის ბიჭები შეესწრნენ ამ ამბავს
და თავიანთ უფროსს უთხრეს. იმის
მერე „გადაგდებას“ ველარ მიბედავდნენ.
ასეთი წვალებითა და სიმწრით ნაშოვნ
ფულს ქმარი მპარავდა და სასმელს ყიდ-
ულობდა. ალბათ, უარესსაც გავუძლებდი
და არ გავშორდებოდი, რომ არა...

*მარინა გაჩუქდა, ღრმად ამოისუნთქა.
ვგრძნობ, ძალიან უჭირს რაღაცის თქმა
და იმდენად წუხს, რომ ერთხანს ვერც
მე ვბედავ სიჩუმის დარღვევას. ბოლოს
მაინც ვეკითხები:*

**— სხვა რაღა იყო ისეთი
გაუსაძლისი, სამუდამოდ გაშ-
ორება რომ გადაგანწყვეტინა?**

— დაუჯერებელია და შემადრწუნებე-
ლი, მაგრამ... ერთხელ სამუშაოდან სახ-
ლში დაბრუნებულს უფროსი შვილი –
მაშინ 5 წლის გოგონა დათრგუნვილი
და შეშინებული დამხვდა. თითქოს რაღა-
ცის თქმა უნდოდა და ვერც მეუბნებო-
და. თურმე ჩემი ქმარი მთვრალი მისუ-
ლა მასთან და... მეგონა გავგიჟდებოდი,
მინდოდა მომეკლა და ამის ძალაც არა
მქონდა. ბავშვებს დღესაც ეჩიზლებათ
მაძა...

**— როგორც ქალს, ბედ-
ნიერების უფლება ხომ გაქვს?!
პირველი მარცხის შემდეგ უკვე
7 წელი გასულა. ძნელია მარ-
ტობა...**

*უცებ ვერ გადაუწყვეტია, გულახდილი
იყოს თუ არა, მაგრამ ბოლოს მაინც
გულწრფელად მპასუხობს:*

— კი, მეგობარი მამაკაცი მართლა
მყავდა, ძალიან გამიჭირდა მართლ ყოფ-
ნა. ალბათ არავინ გამამტყუნებს, თუმცა
ესეც სულერთია ჩემთვის... ბედნიერი
არასდროს ვყოფილვარ. ქალი ვარ და
ოჯახური სითბო და სიმყუდროვე მჭირდ-
ება, მაგრამ ორი ბავშვით ვინ წამიყვანს
ცოლად?! მთხოვნელები კარს ნამდვილად
არ ამიტალახებენ. ასეც რომ იყოს, ვინ
იცის, მამინაცვალს როგორ შეეგუებიან
ბავშვები. თან, თეთრ ცხენზე ამხედრებულ
პრინცსაც დიდი ხანია აღარ ველოდები.
ისეთი ცხოვრება მქონდა, იმდენი შეუ-
რაცხოფა და ტკივილი მაგემა ამ წუთ-
ისოფელმა, რომ ყველაფრის ხალისი
დაკარგული მაქვს – ველარც კი ვგრძნობ,
ახალგაზრდა რომ ვარ და სიყვარული
და სითბო რომ მჭირდება...



ჭკვიანი კაცი მტრისგანაც სწავლობს.
არისტოფანე

წიგნები – საუკეთესო მეგობრები არი-
ან, ცხოვრების ყოველ განსაცდელში შეგი-
ძლიათ, მათ მიმართოთ. წიგნები არასოდეს
გიღალატებენ.
ალფონს დოდე

კონება უღაოვდ უმალღესი ნიჭია, მაგრამ
წიგნებზე გამარჯვების შედეგად მოპოვებული.
ნიკოლაი გოგოლი

ოღეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა
ძმა და თვისი.
შოთა რუსთაველი

სიყვარული სძლევს სიძულვილს,
როგორც წყალი ცეცხლს.
ბო ძიუ-ი

ადამიანები მეტად ღმობიერნი არიან.
ისინი მზად არიან, ყველაფერი შეიწყნარონ,
გარდა გენიისა.
ოსკარ უაილდი

კაცობრიობის მიზანია, სძლიოს საკუ-
თარ თავს და მიაღწიოს უზენაეს იდეალს,
ჩამოყალიბდეს თავად ადამიანი, ძლიერი
პიროვნება.
ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე

ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეც-
ნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან.
ილია ქავჭავაძე

თავის საგან ღირსეულად კაცი პატივს
უნდა სდებდეს,
თვით მახედვე მტკიცე ღარჩეს, რასაც
სხვებზედ ქადაგებდეს!
გიორგი ქალაღიდელი



გასულ ზაფხულს მმართველი პარტია საამაყო ახალმა სახეებმა სკანდალურად დატოვეს და „ახალი ფრაქცია“ ჩამოაყალიბეს. საშემოდგომო სესიის დასრულების შემდეგ „ახლებს“ მოქკავშირის „უბეში გამოზრდილი“ მე-11 ნეფრიც შეემატათ. კიდევ ერთი „ახალფრაქციელი“, რომელიც რეფორმატორებმა დიდი გლოვით გამოაცხადეს, ხოლო „ახლებმა“ ზარ-ზეიმით მიიღეს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს მიხეილ სააკაშვილის მიერ გარსკვლავად მონათლული, თამარ ნინოშვილი აღმოჩნდა.

მოქალაქეთა კავშირში თამაშის განსხვავებული წესებია...

ნათია გობსაძე

— დავიბადე თბილისში 1974 წლის 21 ოქტომბერს. სკოლაში ვსწავლობდი, როცა 1989 წელს საფრანგეთის „როტარი-კლუბმა“ ჩაატარა კონკურსი 15-25 ახალგაზრდისთვის, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. გამარჯვებულს ერთთვიანი მოგზაურობა ელოდა პარიზში. ჰოდა, სწორედ მე აღმოვჩნდი კონკურსის ყველაზე იღბლიანი მონაწილე. საფრანგეთში მოგზაურობისას, „როტარი-კლუბის“ ხელმძღვანელობამ შემომთავაზა, რომ კიდევ ერთი კონკურსი გამეგლო და თუკი სასურველ ქულებს დაგვაროვებდი, საფრანგეთში ერთი წლით დავრჩებოდი სასწავლებლად. ღვთის წყალობით, ისევე გამიმართლა და საშუალო სკოლა იქ დავამთავრე. ამის შემდეგ სწავლა ლა როშელის უნივერსიტეტში განვაგრძე. ეს იყო ძალიან ბედნიერი წლები, რომლებსაც ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიხსენებ. ლა როშელი ისტორიული ქალაქია, რომელიც დიუმას გმირებს, მუსკეტერებსა და კარდინალ რიშელიეს გვაგონებს. ზღვის ნაპირას მდებარე პატარა ქალაქს კუნძულები აკრავს გარს (არაჩვეულებრივი კურორტი). ტენიანი ჰავის გამო, ძველ უბნებში ახლაც შემორჩენილია თალოვანი, გადასურული ქუჩები. ადგილობრივმა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ ლა როშელი საუნივერსიტეტო ქალაქად აქცია. ამიტომ იქ გამუდმებით ახალგაზრდების ჟრიაბული ისმის.

მოგვიანებით, საბუთები სორბონის უნივერსიტეტში გავაგზავნე და 1998 წელს სახელმწიფო სამართლის ფაკულტეტი

დავამთავრე. 1999 წელს კი საქართველოს პარლამენტის წევრი გახვდი.

— თქვენი კარიერა საკმაოდ მაღალი სახელისუფლო საფეხურიდან დაიწყო: უნივერსიტეტიდან პირდაპირ პარლამენტში, რაშიც დიდი წვლილი პირადად მიხეილ სააკაშვილს მიუძღვის...

— სააკაშვილი პარიზში გავიცანი. მას ძალიან საინტერესო მოსაზრებები ჰქონდა საქართველოში რეფორმების განხორციელების თაობაზე. მიზამ შემომთავაზა თბილისში დაბრუნება და ამ პროცესებში მონაწილეობა. მაშინვე დავეთანხმე და ფრაქციაში დავიწვე მუშაობა. მოგვიანებით კი ჩემი გვარი საარჩევნო სიაში 61-ე ნომრად შეიტანეს.

ძალიან კარგად მახსენდება წინასაარჩევნო პერიოდი. სააკაშვილის შტაბის აქტიური წევრი გახლდით. დავდიოდით უბან-უბან, ვხვდებოდით მოსახლეობას, ვეცნობოდით მათ პრობლემებს. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან წლების მანძილზე პარიზში ცხოვრებამ, გარკვეულწილად მომწვევითა აქაურობას.

— თქვენ პოლიტიკაში სააკაშვილის წყალობით მონაწილეობით, მოგვიანებით ზურგი აქციეთ მის გუნდს და „ახალ ფრაქციას“ შეუერთდით. როგორ შეაფასა ეს ნაბიჯი ახლანდელმა იუსტიციის მინისტრმა?

— სამწუხაროდ, ჩემი საქციელი უმაღურობად აღიქვეს, თუმცა, ვინც მე მიცნობს, მიხვდება, რომ ასე არ არის. უბრალოდ,

მიხვდი, რომ მოქალაქეთა კავშირში ვერ შევძლებდი საკუთარი მიზნების რეალიზაციას, იქ თამაშის განსხვავებული წესებია... ძალიან განვიცდი ამას, მაგრამ ეს ჩემგან პროტესტის გამოხატულება იყო — იმის მიმართ, რაც ხდებოდა.

— კონკრეტულად რას გულისხმობთ, რა არ მოგწონდათ ასე ძალიან?

— ის, რაც ადრე არ მომწონდა, არ მომწონს დღესაც. რეალურად დავინახე, რომ ჩვენი დაპირებები, თუნდაც ის რეფორმები, რომლითაც ხალხი მოვხიბლეთ, დაპირებულად დარჩა. გარდა ამისა, უმრავლესობაში, პარლამენტში დაიწყო არა იდეების, პროგრამების ჭიდილი, არამედ პიროვნული კინკლაობა. ჩემთვის ეს განსაკუთრებით მიუღებელია. შესაძლოა, წინასწარ უნდა მეთქვა მოქკავშირის ლიდერებისათვის ჩემი გადაწყვეტილების შესახებ და ფრაქცია ისე დამეტოვებინა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაშინ ამ ნაბიჯს ვეღარ გადავგდამდი... არ მინდოდა, ეს თემა პოლიტიკური სპეკულაციების საგანი გამხდარიყო. გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე და მსურს, თვითონ ვზილო ის ტვირთი, ტკივილი და სიმძიმე, რაც მას ახლავს თან, თუნდაც უსიამოვნო ეპითეტები მივიღო, იმედი მაქვს, არ ვინანებ.

დღეს რომ ისევ მოქალაქეთა ფრაქციის წევრი ვყოფილიყავი, „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაციისას დავტოვებდი უმრავლესობას. ჩემთვის აღმაფოთებელია ის, რაც მოხდა. ბოლო მომენტამდე მჯეროდა, რომ პარლამენტი საბჭოთა კავშირის მილიარდობით ქონებას რამდენიმე მილიონში არ გაცვლიდა. ეს ყველაფერი უმრავლესობაზე ზეწოლის გამო მოხდა.

— თქვენი მეუღლე ფრანგია. როგორ შეხვდა თქვენს გადამწყვეტილებას საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ?

— რასაკვირველია, პირველად მას ვუთხარი და ძალიან დაღებითად მიიღო. თუმცა, რომ არ მოენდომებინა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, რადგან, ორივეს ძალიან გვიჭირს განმორება და თუ ურთიერთთანხმობა არ იქნა, არავითარ პოლიტიკასა და კარიერას აზრი არ ექნება. საერთოდ მომწონს, როდესაც ქალი პოლიტიკაშია ჩაბმული. მაგალითად, შევედეთში პარლამენტარების 50%-ზე მეტს ქალები შეადგენენ. ეს მსოფ-



სასეირნოდ შვილთან ერთად ვერსალში

ლიოში უმაღლესი მაჩვენებელია. მაგრამ ჩვენთან კარიერისა და ოჯახის შეთავსება ძნელია. ხშირად მნიშვნელოვანი სხლომები საღამოს 8-9 საათზე იმართება, არადა, ამ დროს დედა შვილთან უნდა იყოს. საზღვარგარეთ კი დღე ისეა განაწილებული, რომ ყველაფერს ასწრებ.

— ახლა უფრო ახლოს გაგაცანით თქვენი მეუღლე.

— ჩემი მეუღლე, მანუელ პლუვინაჟი 30 წლისაა. 6 წლის წინ დავექორწინდით — 1995 წლის 1 ივლისს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, სხვა ეროვნების ადამიანთან თუ შევქმნიდი ოჯახს. ალბათ, ესეც ბედი იყო. ძალიან საინტერესოა ჩვენი გაცნობის ამბავი:

ერთ საღამოსაც ტელეგადაცემას ვადევნებდი თვალს, სადაც საუბარი იყო საფრანგეთის ერთ-ერთ უძველეს სკოლაზე, რომელსაც 200 წელი შეუსრულდა. სტუდიაში ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეები ჰყავდათ მიწვეული. სტუმართა შორის იყო ჩემი მომავალი მეუღლე. მან საუბარში საქართველო ახსენა, დაახასიათა მისი მდიდარი ტრადიციები, ბუნება. აღნიშნა ისიც, რომ ერთხელ უკვე ნამყოფი იყო ამ ულამაზეს ქვეყანაში და მეორედ წასვლაზე ოცნებობდა. გადავწყვიტე, ამ ახალგაზრდას დაგკავშირებოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. გავიდა 6 თვე და ჩემს დას ვხვდებოდი პარიზის აეროპორტში. უეცრად დავინახე — თბილისიდან ჩამოფრენილი თვითმფრინავიდან ჩამოდიოდა. მაშინვე მივიჭერი და კკითხე — თქვენ ის ახალგაზრდა არ ხართ, ნოლდ თვის წინ სატელევიზიო პროგრამაში საქართველოზე რომ საუბრობდით-მეთქი? დიახ, მე ვარო — მიპასუხა. აი, ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. მაშინ პარიზში არ ვცხოვრობდი, მაგრამ შორიდან მაინც გვქონდა ურთიერთობა. 6 თვის

შემდეგ კი შევუღლდით. მთელი ამ ხნის მანძილზე ყოველდღე მწერდა 3-4 თაბახ წერილს — მიუხედავად იმისა, მნახავდა წინა დღეს თუ არა.

ახლახან ძალიან საინტერესო სამსახური იშოვა: ვერსალის ბაღის დირექტორად დანიშნეს. ასე რომ, ვერსალში გადავედი საცხოვრებლად, სამსახურის ბინაში ვცხოვრობთ. ვერსალი პარიზთან ახლოსა, მაგრამ პარიზისაგან რადიკალურად განსხვავდება, უფრო კლასიკური სტილის ქალაქია და არისტოკრატიული წარმოშობის ადამიანებით არის დასახლებული.

— ამბობენ, ყოველი დღე მანდილოსნებს ეკუთვნით, განსაკუთრებით გაზაფხულზეო. სამ მარტს დედის დღე ვიზეიმეთ, 8 მარტი დღესაც ქალთა დღესასწაულად ითვლება. საფრანგეთში როდის აღნიშნავენ მანდილოსანთა დღეს?

— საფრანგეთში არსებობს არა მარტო ქალთა დღეები, არამედ ბებიების, დეების, მამებისა და ბაბუების ცალ-ცალკე. წელს ბებიების დღესასწაული 3 მარტს დაემთხვა. მართალი გითხრათ, მე არ მიყვარს სპეციალური დღეები: მიმანია, რომ ეს უფრო კომერსანტების დღესასწაულია, რომლებიც ამ დღეებში უფრო მეტ ყვავილს, სუნამოსა და საჩუქარს ყიდიან.

ყველაზე დიდი დღესასწაული კი ჩემთვის ის დღეა, როდესაც დედა გავხვდი. სალომე 11 ივნისს უნდა დაბადებულიყო — ექიმები ასე

გვარწმუნებდნენ. მე და მანუელი სახლს ვარემონტებდით: გვინდოდა, პატარა გალამაზებულ ბინაში მიგვეყვანა. ჩემი მეუღლე პარკეტს აგებდა, მე კი, შეძლებისდაგვარად, ვეხმარებოდი, რომ უეცრად ტკივილი დამეწყო.

— 9 თვის ორსული პარკეტს აგებდით?..

— ძალიან მსიამოვნებს, როდესაც მანუელს ვეხმარები. კარგი „შავი მუშა“ ვარ... ის დღესაც დარწმუნებულია, რომ სწორედ ამან დააჩქარა სალომეს დაბადება და ერთი დღით ადრე მოაფლინა ქვეყანას. იქაური წესისამებრ, მშობიარობას ჩემი მეუღლეც დაესწრო. პირველად ბავშვი მამას მისცეს ხელში და მერე მე. მალე დაგვტოვა, რადგან რემონტი ჰქონდა დასამთავრებელი. დღე და დამე გაასწორა და ყველაფერი მოასწრო — ასე რომ, ჩვენ გასუფთავებულ სახლში დავბრუნდით. 2 თვის იყო სალომე, როდესაც საქართველოში ჩამოვედი და მუშაობას შევუდექი. მიუხედავად ამისა, მოვახერხე, რომ შვილისათვის ძუძუ წელიწადზე მეტხანს მეწოვებინა. ძალიან კარგია, როდესაც ბავშვი დედის რძით იკვებება.

სამწუხაროდ, ჯვარი არა გვაქვს დაწერილი, მაგრამ ვაპირებთ ეკლესიურად საქართველოში ვიქორწინოთ. ჩემი მეუღლეც ჩვენს სარწმუნოებაზე გადმოსვლას აპირებს. მან უკვე ცოტა ქართულიც იცის. პროფესიით ისტორიკოსი და სოციოლოგი გახლავთ. ხმელთაშუა ზღვისპირეთის ფლორითაა დაინტერესებული. სწორედ ამ მიზნით იყო ჩამოსული საქართველოში. ჩემს მეუღლეს სურს, თბილისში იცხოვროს, მაგრამ აქ მისთვის შესაბამისი სამსახური ჯერ ვერ ვიშოვეთ. თუმცა, იმედი აქვს, საფრანგეთის საელჩოში შესაფერის საქმეს გამოუძებნიან.

ოჯახთან ერთად



მარინა ბაბუნაშვილი

ერთ საზოგადოებაში მოხვ-
დი. ძირითადად, 30-დან 40
წლამდე ასაკის ქალები იყვნენ
შეკრებილნი. ფინჯან ყავასა და
ტკბილეულზე მიპატიჟებულმა
მანდილოსნებმა პირად ცხოვრე-
ბაზე საუბარი ზოგადი თემითა
და პოლემიკით შეცვალეს,
დავა-კამათის საგანი კი, ქალის
დანიშნულება იყო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში
კარგა ხანს არ ჩარეულა ერთი
სიმბათიური ახალგაზრდა ქალი.
ბოლოს, ვერ მოითმინა და
თავისი სიტყვაც თქვა: არ
გინდათ ამდენი კამათი! ყველამ
იციტ, რომ 12 წელია გათხ-
ოვილი ვარ და აგერ, ახლახან
შემეძინა გოგონა. სიყვარული,
სითბო და ზრუნვა არც ქმრის-
გან მაკლდა და არც ქმრის
სანათესავოსგან, მაგრამ სულ
ვერძნობდი, რომ ბედნიერი არ
ვიყავი, რადგან ქალისთვის
უმთავრესი რამ — დედობა
მაკლდა. ღმერთმა არ გამწირა
და მეც მარგუნა ეს სიხარული,
ამიტომაც ხმამაღლა ვაცხადებ:
დედაშვილობა ამქვეყნიურ
გრძნობათა შორის, უპირველესია
და ქალის ბედნიერებაც შვილის
გაჩენით იწყებაო.

იქ მყოფი საზოგადოება,
თითქოს ამ ქალის „განაჩენს“
ელოდაო, — ერთბაშად ჩანყ-
ნარდა. მე კი უნებურად ის
ქალები გამახსენდა, რომლებიც
დედობას ვერ ეღირსნენ, მა-
გრამ დედაშვილობის მაღლს
მაინც ეზიარნენ.

ბავშვთა სოფელ KINDER-
DORF-ის შესახებ ბევრი დანერ-
ილა, მათ შორის ჩვენს ჟურ-
ნალშიც და ამჯერად მის
ყოველდღიურ ცხოვრებას აღარ
დავუბრუნდებით. ერთს ვი-
ტყვეთ მხოლოდ: საკმარისია, ამ
მშვენიერ, თბილ გარემოში
თუნდაც ერთი საათი დავყო,
რომ ირწმუნებ — უცნაური
ფრაზა — „პროფესია —
დედა“ სავსებით ბუნებრივი
შეიძლება იყოს...

„KINDERDORF“-ის ერთ-ერთი
დედა — რუსუდან წერეთელი
გულითადი ღიმილით დამხვდა.
ოჯახში ხალვათობა იგრძნობო-
და — შვიდი ბავშვიდან,
მხოლოდ ორი ბიჭი იყო შინ.



მათ გასისკროვნებულ თვალებს სხვა სიხარულზე ვერ გავსული

— ქალბატონო რუსუდან,
სანამ ქალი „დედობისკენ“
ნაბიჯს გადადგამს, ერთგვარი
ფსიქოლოგიური ბარიერი უნდა
გადალახოს ჯერ. თქვენ, როგორ
მოსვენით დღევანდელ დღემ-
დე?

— პროფესიით იურისტი ვარ. წლებ-
ის განმავლობაში ვმუშაობდი სახელმ-
წიფო მომარაგების კომიტეტში. საკმაოდ
მაღალანაზღაურებადი სამსახური მქონ-
და. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ქალებმა
სოფელში მოსვლა მატერიალური უზრუნ-
ველყოფის მიზნით გადაწყვიტეთ. მე მინდა,
აქ მყოფი ყველა დედის სახელით ვთხრაო,
რომ ჩვენი უმთავრესი მიზანი ბავშვებთან
სიახლოვე და დედობის შეგრძნების
უმძაფრესი სურვილი იყო. როგორც ვითხ-
ართ, სამსახურიც მქონდა, ხელფასიც,
ახლოლებიც, კარგი მეგობრებიც და სამ-
ეზობლოც, მაგრამ ჩემი ცხოვრება ნელ-
ნელა კარგავდა თავის მნიშვნელობას და
ელფერს. მე უფრო და უფრო ეულად,
მარტოსულად ვგრძნობდი თავს. გაფერ-
მკრთალებული ყოველდღიურობა ისე მიმ-
ძიმებდა სულსა და გულს, რომ ხშირად,
შინ მისული ცრემლად ვიღვრებოდი. „კარ-
გად“ რომ გამოვიტირებდი ჩემს ყოფას,
თავის დასამშვიდებლად მერეა დავასკნი-
დი — ჩვეულებრივი ნევროზი მაქვს-მეთ-
ქი. გავიღოდა ორი დღე და ისევ იგივე
მეორდებოდა. 1996 წელს, როცა ტელევიზი-
ით გამოცხადდა ბავშვთა სოფლისა და
„დედების“ მიღების შესახებ, გადავწყვიტე,
ბედი მეცადა. „დედების“ და „დედების“
შესარჩევად დაინიშნა დღე. შერჩევას
კონკურსის სახე არ ჰქონდა, თუმცა, წერ-
ილობითი ტესტირება და ზეპირი გა-

საუბრება საკმარისი გახდა იმისათვის,
რათა ხელმძღვანელობას გადაეწყვიტა,
სოფელში ვინ მიეღო. ბუნდოვნად მახს-
ოვს ის წუთები, როცა სოფლის ქართველ
დამფუძნებლებს ვესაუბრებოდი. მახსოვს
მხოლოდ ის მომენტი, როცა დედობაზე
დამისვეს კითხვა, ცრემლად დავიღვარე.
ჩემთვის ბავშვი წმინდა საფიცარია და
ღმერთს მაღლობას ვწირავ, რომ მაღირსა
დედობა. მე ახლა შვიდი შვილი მყავს
და მათი ცხოვრებით ვსუნთქავ, მათი სიხ-
არულით ვსულდგმულობ და მათი მო-
მავლით ვხარობ.

— თქვენ ახლაც გატირე-
ბათ... წარმომიდგენია, როცა
ბავშვები პირველად დაგიძახ-
ებდნენ დედას, რა განცდა
დაგეუფლებოდათ.

— როცა „დედებად“ მიგვიღეს, ერთგ-
ვარი რჩევა-დარიგება და კონსულტაციე-
ბი მივიღეთ სოფლის ადმინისტრაციის-
გან. ისინი ფსიქოლოგიურად გვაშადადებ-
ნენ მოსალოდნელი სირთულისთვის და
გვეუბნებოდნენ, რომ შესაძლებელი იყო
გაველო დიდ დროს და ბავშვს ჩვენთვის
მაინც არ დაეძახა დედა. ასეთი სირთულე
მე არ შემხვედრია, თუმცა სიმართლე
უნდა ვთქვა, რომ პირველ პერიოდში
ძალიან დაძაბული ვიყავი. თავდაპირვე-
ლად მომიყვანეს სამნი — და-ძმა არაბ-
ულები. მაშინ გააა 10 წლის იყო, თონა
— 9-ის, თათია კი — 8 წლის. მათგან
თონა ყველაზე თბილი აღმოჩნდა: მაშ-
ინვე მომიკვლა და დედაც დამიძახა. ეს
იმდენად ბუნებრივად მოხდა, რომ განცდე-
ბისთვის აღარ მეცალა და დღეურ ორომ-
ტრიალში ჩავები. რამდენიმე კვირა მაინც
მოუსვენრად ვიყავი, განსაკუთრებით მა-

შინ მიჭირდა, როცა ბავშვებს დაეპინებდი და ჩემს თავთან მარტო ვრჩებოდი. „შეძლებ, რომ ბავშვებს ნამდვილი დედობა გავუწიო? შემიყვარებენ თუ არა ისინი?“ – განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს ვფიქრობდი. მერე მოვიდნენ დათო აბესაძე, როსტომ წერეთელი (ჩემი მოგვარე), ჯაბა ცხომელიძე, შარშან კი მობრძანდა ყველაზე ჭირვეული „ქალბატონი“ – 2 წლის სალომე ბერძენიძე. ის ჩვენი ოჯახის ნებიერაა.

— დედისთვის ძნელია რომელიმე შვილის გამორჩევა... და მაინც, რომელი ბავშვისკენ ისრება თქვენი სიყვარულის სასწორი?

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნებისმიერ დედას გაუჭირდება. მეც მიძინებდა რომელიმე გამოცალკეება, მაგრამ ის კი შემიძლია გითხრა, რომ მეტ ყურადღებას ნაბოლარა სალომეს ვუთმობ. ეს ხომ ყველა ოჯახში ასეა? ყველაზე პატარას ანებიერებენ და ათამამებენ... ჩვენთანაც ასეა!

— მაშინ სალომეზე მთავრად რამე.

– პატარა ცულუტია... ამას წინათ, ტელევიზორში ბალერონი დაინახა. უცებ მომიბრუნდა და მკითხა: დედიკო, ასეთი კაცი ხომ არასოდეს შეგიყვარდებაო. გამეცინა და დავეთანხმე.

— ისე, მართლაც რომ გამოჩნდეს თქვენი ცხოვრების მამაკაცი და გახვდეთ ცოლბა, რას გადაწყვეტთ?

– მე დედა ვარ და ჩემი დღევანდელი ყოფით უზომოდ ბედნიერი ვახლავარ. ჩემს შვილებთან ყოფნა ყველაფერს მირჩევნია და მათ თავს ვერავის ვანაცვალე.

— ვიცი, რომ ნელინადში ერთხელ ერთი თვე შეგებულება გაკუთვნილ. როგორ ძლებთ მთელ შეგებულებას ბავშვების გარეშე, ან როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

– ჩვენში „შეგებულება“ პირობითია. ამ დროს „დეიდები“ რჩებიან ხოლმე ოჯახში. როგორც წესი, თავისუფალი დრო არა მაქვს. რაც შეეხება შეგებულებას, პირველსავე კვირას ჩემს სახლში იწყება რეკვა: ბავშვები დღეში ცხრაჯერ მირეკავენ და მეკითხებიან – როდის დავბრუნდები შინ (მე თბილისელი ვარ, ვაჟა-ფშაველაზე ვცხოვრობ). როგორ ფიქრობთ, განა შემიძლია მშვიდად და მოსვენებით გავატარო შეგებულების დღეები,

როცა ვიცი, რომ შვილები მელიან? მე ბავშვებთან ერთად ვამჯობინებ შეგებულების გატარებას. ზაფხულობით, მთელი წლის დანაზოვით, ორი კვირით მივდივართ ხოლმე ზღვაზე, მერე კი ჩემს ჭორვილაში (საჩხერის რაიონის სოფელია – ავტ.) ვატარებთ დანარჩენ დროს. ბავშვებს საოცრად უყვართ ჩემი სოფელი.

— როგორია თქვენი ოჯახის ჩვეულებრივი დღე?

– ისეთივე, როგორც ყველა ჩვეულებრივ ოჯახში. სირთულეები სწავლასთან დაკავშირებით გვაქვს ხოლმე. უფროსები უკვე გარდატეხის ასაკში არიან და მეცადინეობა ეზარებათ. როცა ის წუთი დგება, რომ თითოეული თავის ოთახში უნდა შევიდეს სამეცადინოდ, ისეთ კითხვებს მისვამენ, რომელიც აუცილებლად საჭიროებს ახსნა-განმარტებას... ეშმაკუნები არიან, ჩემთან საუბრით დრო გაჰყავთ. სურთ, რომ რაც შეიძლება დიდხანს იყვნენ ჩემ გვერდით, ვიმხიარულოთ და გავერთოთ... ამას მე გვიან ვაფიქსირებ, მაგრამ მაინც ვერ ვტუქსავ. ალბათ სხვის თვალში რბილი დედაც ვარ. დედაჩემი იცინის ხოლმე და მეუბნება: შენს შვილებს გამოჭერილი ჰყავხარო. რა ვქნა, რაცა ვარ – ესა ვარ. ერთი კია, რომ ბავშვები ჩემს სიყვარულს გრძნობენ და ბოროტად არ იყენებენ ამ გრძნობას.

— ვიცი, რომ დაბადების დღეებს დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავთ!

– ოო... მართლაც. დაბადების დღე ჩვენთვის დიდი დღესასწაულია. ჩემი ოჯახის ორი ბავშვი და ამ სოფლის ერთ-ერთი ოჯახის ორი ბავშვი ერთ დღეს არიან დაბადებულები. სხვათა შორის, მათი დედა თქვენი კოლეგა – ჟურნალისტი

გიული ტატიშვილია. ჰოდა, ჩვენც ვაერთიანებთ სადღესასწაულო სუფრებს და ორმაგი ზარ-ზეიმით აღვნიშნავთ ხოლმე ჩვენი შვილების დაბადების დღეს. იმ წუთებში ძალიან ბედნიერები არიან ჩემი პატარები და მათი გაცისკროვნებული თვალების სხვა „სიხარულზე“ გაცვლა ყოველად წარმოუდგენელია ჩემთვის.

— სომ არ მომიყვებით თქვენი შვილების წარსულს?

– ამ თემაზე ჩვენ არ ვსაუბრობთ ხოლმე და ამჯერადაც შეეკავებ თავს.

— თქვენი ახლობლები როგორ შეხვდნენ თქვენს გადამწყვეტილებას?

– შეგნებით. ისინი მიხვდნენ, რომ ჩემს ცხოვრებაში მზის ნათელივით გამოჩნდა შანსი, რომელიც ბედნიერს გამხდოდა.

— დაბოლოს, ქალურ ბედნიერებას თუ განიცდით?

– ამ კითხვაზე მრავალი, დამაჯერებელი არგუმენტი „სავსე“ პასუხი მომისმენია. ამბობენ, რომ ქალური ბედნიერებაა, როცა საყვარელ მამაკაცს უსაზღვროდ უყვარხარ, გაფასებს და ყურადღებით განებიერებს. ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ ბედნიერების აუცილებელი „ატრიბუტი“ მატერიალური დოვლათი და ფუფუნებაა... რატომაც არა?! მართლაც, ყველა ქალისთვის სასურველი და საოცნებო რამ არის ზემოთ ჩამოთვლილი, მაგრამ ყველაფერი ხუნდება იმ დიდ გრძნობასთან, რასაც დედაშვილობა ჰქვია. ჩემი ღრმა რწმენით, ქალური ბედნიერების საწყისიც და გვირგვინიც, ისევე და ისევე დედობა და კარგი შვილის ყოლაა. ჩემზე ბედნიერი არავინ არის, როცა შვილებს მიქებენ. მე მგონია, ყველა დედა ასე ფიქრობს. ■

„დედა“ (მუამი) – რუსუდან წერეთელი და „დეიდა“, ოჯახთან ერთად



იცით, რისი უმინოდა ნატო ონიანს ბავშვობაში ყველაზე მეტად? _ სასაფლაოების! მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა კი მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რაც ყურმოკვრით იცოდა. მაგალითად, ის, რომ ბრეჟნევი საბჭოთა კავშირის „უფროსი“ იყო, შევარდნაძე კი – საქართველოს „უფროსი“. აინტერესებდა ფეხბურთი, „ჯოჯოხეთი“ და „ბურთი წრეში“, რომლის თამაშიც დიდიდან დატამბამდე შეეძლო. სამიანებით „გატენილ“ მოსწავლეს – ნატოს სკოლაში „ნიჭიერ, მაგრამ ზარმაცთა“ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ. ყოველ შემთხვევაში, მაშინ არავის ეგონა, მისგან თუ ასეთი „დიდი ქალი“ დადგებოდა. დღეს კი, ცელქი ნატოს პოპულარობა, მისნაირ ზარმაც, მაგრამ ნიჭიერ „ძნელად აღსაზრდელებთან“ იმის მაგალითად მოჰყავთ ხოლმე, რომ თუ ცხოვრებაში გაჩენილ შანსს ჭკვიანურად გამოიყენებენ, შეიძლება მათაც გაუმართლოთ და „მეფისტოლა ხალხთანაც ურიგოდ შეესვლებოდეთ...“



ქართულ ჟურნალისტიკაში „სიუჟეტის“ გენდენსია იგრძნობა

ნანა კიბიშაური

— რას იტყვოდა დიდი ნატო პატარა ნატოს შესახებ?

— პატარა ნატო ქობულეთში დაიბადა, ზღვის სანაპიროზე მდგარ სამშობიარო სახლში. შეიძლება ამიტომაც შეიყვარა ასე უზომოდ წყლის სტიქია. დედა ამბობდა, რომ რაღაც უჩვეულო გრძნობა მუუფლებოდა, როდესაც ზღვას ვხედავდი. მე ის დღესაც საოცრად მამშვიდებს და მიზიდავს.

ქობულეთში, სკოლის მასწავლებლად ერთი ძველი სასაფლაო იყო. ჩემი ბავშვობის ყველაზე მძაფრი მეგრძნობა სწორედ ამ სასაფლაოს უკავშირდება. იქ მიახლოებისას კი ისე მეშინოდა – დავხუჭავდი თვალებს, მოვმუჭავდი ხელებს და ისე ვცდილობდი იმ ადგილას გავლას. ბაიები ყვარდნენ და მთელი სასაფლაო ყვითლად იყო გადაპნტული. დიდხანს ვერ მოვიცილე ის გრძნობა, რასაც მაშინ განვიცდიდი: ჩემთვის ბაიები დღემდე იმ ძველ სასაფლაოსთან ასოცირდებიან.

ბავშვობიდან მახსოვს ისიც, როგორ შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში პირველად მათხოურის ცნება. სკოლისიკენ მიმავალს, ერთი მათხოვარი მხვდებოდა ხოლმე.

„პონჩიკებისთვის“ დაგროვილ ხურდას ვაძლევდი და ძალიან ბედნიერი ვიყავი იმით, რომ იმასვე ვაკეთებდი, რასაც დედაჩემი.

— ჟურნალისტიკით სკოლიდანვე დაინტერესდით?

— ჟურნალისტიკასთან ჩემი პირველი შეხება საზის რადიოს საშუალებით მოხდა. მახსოვს, დიდ დასვენებაზე ჯერ მე კკითხულობდი რაღაც ტექსტებს, მერე კი „ბითლზების“ სიმღერები მიდიოდა. ჟურნალისტიკის სფეროში პრაქტიკული ცოდნა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მივიღე. ჯერ რადიოში მიმყავდა „პიკის საათი“, შემდეგ გადავედი ტელევიზიის მერე არხზე, ინფორმაციის მთავარი რედაქტორის მოადგილე. ვიყავი „მოამბის“ მთავარი რედაქტორი, დღესდღეობით ვასრულებ ტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას. პარალელურად მიმყავს „ტაიმ-აუტი“.

— საინტერესოა, რამდენს იხდის „ტაიმ-აუტის“ ერთ გადაცემაში ტელევიზია?

— თავიდან ოთხ ლარს მიხდიდნენ. ის ჟურნალისტიკის კი, ვინც „ტაიმ-აუტისთვის“ ამზადებდნენ სიუჟეტებს, ცნო-

ბილი ქართული ენთუზიაზმით მუშაობდნენ და გვერდში მხოლოდ ადამიანური თანადგომის გამო მედგნენ. საბედნიეროდ, ბოლო ორი წელია, რაც მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა.

— „ტაიმ-აუტი“ პოლიტიკურ-ანალიტიკური პროგრამაა, თანაც, ისეთი კურსი გაქვთ აღებული, რომ... თქვენი ჟურნალისტური კარიერა, პოლიტიკური კარიერისკენ ხომ არ მიდის?

— წლების განმავლობაში პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში ვმუშაობდი და ამ სფეროში მართლაც ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ამის მიუხედავად, პოლიტიკური კარიერის შექმნაზე ჯერჯერობით ნამდვილად არ ვფიქრობ. ალბათ იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ძალიან მომწონს ის საქმე, რომელსაც ახლა ვაკეთებ, მერე – მე ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსივით მარტივად არ ვუყურებ იმას, რასაც პოლიტიკოსობა ჰქვია. და მესამე – მაინც სჯობს, ისეთ მხარეს დადგე, საიდანაც შეგიძლია აკრიტიკო. შენ რომ გაკრიტიკებენ, ეს ცოტა უფრო ძნელი გადასატანია.

— ძირითადად, პირდაპირ ეთერში მუშაობთ, ეს ალბათ

გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ალბათ კურონების ბევრი სდება...

— ძალიან მომწონს პირდაპირ ეთერში მუშაობა. ამის გამო ჩემი რედაქტორი ხშირად მეუბნება ხოლმე — ნატო, რატომ ფიქრობ წინასწარ, რა თქვა, შენ ხომ მაინც იმას იტყვი, რასაც კამერის წინ მოიფიქრებო... ამის საშუალებას მხოლოდ პირდაპირი ეთერი იძლევა. ჩაწერის დროს ხარ მაქსიმალურად მობილიზებული და კამერის წინ აზროვნებ — აი, ამაშია პირდაპირი ეთერის მთელი ხიბლი. თუმცა, ამ პროცესს გარკვეული დაძაბულობაც ახლავს თან. მე არ ვარ აღფრთოვანებული იმ წამყვანებით, ვინც აბსოლუტურად უკომპლექსოა კამერის წინ. როდესაც ვიგრძნობ, რომ ჩემთვის ეთერში გასვლა ჩვეულებრივი და უბრალო მოვლენა გახდა, მაშინვე წავალ და სხვა სამსახურს მოვხაზავ, რადგან ჩავთვლი, რომ მე „ხალტურაზე“ ვმუშაობ. პირდაპირი ეთერის დროს აბსოლუტური უკომპლექსობა, გარკვეულწილად, მაყურებლის უპატივცემულობასაც ნიშნავს. ჟურნალისტს არ უნდა გაუჩნდეს იმის ილუზია, რომ მაყურებელი ან მკითხველი მასზე სულელია და ვერ ხედავს, რას, როგორ ან რისთვის აკეთებს.

საერთოდ, ქართულ ჟურნალისტიკაში რატომღაც „სიშიშვლის“ ტენდენცია იგრძნობა. მე ეს არ მომწონს. არ მომწონს, როდესაც ვიღაც ეკრანიდან მიქნევს თითს და თავის აზრს, თუნდაც სიმართლეს, ცხვირ-პირში მახლის. მე უპირატესობას ქვეტექსტებზე აგებულ ჟურნალისტიკას ვანიჭებ და მიმაჩნია, რომ საქართველოში მას უფრო აქვს მომავალი, ვიდრე პლაკატურად მოაზროვნე მასმედიას.

რაც შეეხება კურიოზებს, „ტაიმ-აუტის“ გადამღები ჯგუფი იმდენად მობილიზებულად მუშაობს, რომ ასეთი რამ თითქმის გამორიცხვლია. კურიოზები რადიოში მუშაობის პერიოდში მქონდა. ერთხელ პირდაპირ ეთერში გამოვაცხადე, რომ მრავალრიცხოვანი რადიოსმენელის თხოვნით, სიმღერას „თბილისო“ თავად რევაზ ლალიძის შესრულებით შევთავაზებდი. ვთქვი თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც დიდი სისულელე წამომცდა, შუბლზე ვიტკიცე ხელი, მაგრამ გაფრენილ სიტყვას უკან ხომ ვერ დავაბრუნებდი.

— „ტვის“ ეს ნომერი, სადაც თქვენთან ინტერვიუ და-

იბეჭდება, ქალებს ეძღვნებათ. თქვენ ვინ მიგაჩნიათ სამაგალითო ქართველ ქალად?

— ნინო რამიშვილი. მასხოვს, სტუდენტობის პერიოდში ნინო რამიშვილთან მივედი ინტერვიუს ჩასაწერად. ჯერ, სანამ მივედი, ერთი სიკვდილი გავათავე: ხუმრობა ხომ არ იყო — უნდა შევხვედროდი ადამიანს, ვისაც ჩემი ერის წინაშე ამხელა დამსახურება მიუძღოდა. როდესაც ქ-ნ ნინოს ავუსხენი ჩემი მდგომარეობა... — „... მე პრაქტიკანტი ვარ, III კურსის სტუდენტი...“ — ყურადღებით მომისმინა და იცით, როგორი რეაქცია ჰქონდა? — „ილიკო, ახლავე მოდი, ბავშვს ინტერვიუ უნდა!“ ეს იყო ძალიან დიდი ადამიანი, ძალიან ამაყი და ძალიან თავმდაბალი. და რაც მთავარია, თავისი ხალხისთვის თავდადებული.

— დღეს ცნობილ ადამიანებზე უამრავი ქორი დადის. თქვენზე თუ გსმენიათ რაიმე განსაკუთრებული?

— ბოროტი ქორი არ გამიგია, ძირითადად „მათხოვებენ“ ხოლმე. ძალიან ვწუხვარ, რომ მაინც ვერა და ვერ გამოათხოვეს — მეც დავისვენებდი და ისინიც... ერთხელ ბათუმში ვისვენებდით და დედაჩემი ჩემზე ჭორობის მოწმე გახდა. ერთი ქალი ეუბნებოდა მეორეს: ნატო ონიანი ხომ იცი, „ბიგ-ბენში“ აქვს წილი. დედაჩემს უკვივლია, — მითხარით ერთი, ეგ რომელი მალაზიაა — სახლში არაფერი მოაქვს და მაგას ვაჩვენებ სეირსო...

— ვიცი, რომ ნატო ონიანს ძალიან უყვარს ანეკდოტები...

— კი, ძალიან უყვარს.

— სვანებზეც ბევრი ანეკდოტი იცით?

— მე ყველა მოსწრებულ ანეკდოტს ვაფასებ, არც სვანებზე მოგონილი ანეკდოტებია გამონაკლისი.

— იქნებ ერთი ახალი ანეკ-



საქართველოს სამთავრობო დელეგაციასთან საბერძნეთში ვიზიტის დროს. მარცხნივ — პარლამენტარი ვასილ მალაფერიძე, მარჯვნივ — ბერძენი მომღერალი იოვანა

დოტიც შეგვანოთ?

— გურულს უთხრეს, შევარდნაზე გადადგაო და იმდენი იცინა — მოკვდა სიცილით!

— რამდენადაც ვიცი, ძალიან აზარტულიც ხართ?

— ძალიან. თუმცა აზარტული თამაშები არ ვიცი და კაზინოშიც არ დავდივარ. ერთი უბრალო მიზეზის გამო — სამაგისო ფული არ მაქვს. ნარდის თამაშში არ ვიცი, მაგრამ რამდენჯერაც კამათელი გავაგორე, იმდენჯერ „დაჯდა“. ჩემი მეგობრები იცინიან — კიდე კარგი, თამაში არ იცისო.

წარმატების მისაღწევად მთავარი, თამაშის ცოდნა არ ყოფილა. მთავარი სხვა რამ არის და ის მთავარი ნატომ ძალიან კარგად იცის...



ინფორმაციულ-შეხვედრითი კონკრეტი

ეონა დვალის უბის ნიგნაკიდან:

1. მარინა ვლადისა და ვლადიმირ ვისოცკის სახელები ასტრონომებმა ერთ-ერთ ახალდმოჩენილ ვარსკვლავს უწოდეს. P.S. მარინა ვლადის ნამდვილი გვარი ვლადიმეროვაა.

2. აგრება ალაღინის მშობლიური ქალაქი იყო.

3. სამკვდრო-სასიცოცხლოდ მებრძოლ ორ მეგლს, ხროვა მდუმარედ აღევენებს თვალყურს. მათ მებრძოლთა ირგვლივ წრე აქვთ შეკრული და მოუთმენლად ელიან, ერთ-ერთი მებრძოლის დაცემას. დაცემული განწირულია. P.S. ასეთი ბრძოლები არაერთგზის აქვთ აღწერილი ჯეკ ლონდონსა და ჯეიმს კერუდს.

4. თმა ადამიანის გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს ზრდას.

5. კეისრის გვამს 23 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. P.S. ერთ სხეულზე ამდენი ჭრილობის მიყენებისას ბევრმა შეთქმულმა ერთმანეთი დაჭრა.

6. ჯოკონდას უკვდავი ღიმილი 500 წლისაა.

7. შერ-ხანის ტყავი 100 რუბიად იყო შეფასებული.

8. „როგორც მეცხრე სართულზე აყვანილი ვაზი, მტკვინისხელა გოგონა მხარზე ისე აზის“.

ტარიელ ჭანტურიას ამ ლექსს „მაღალი მამა“ ჰქვია.

9. დაღესტანში საქორწინო დამის მეორე დილას დედამთილი ყველას დასანახად ეზოში სისხლიან ზეწარს ფენდა. P.S. არცთუ იშვიათად იყო შემთხვევა, როცა სრულიად უმიზეზოდ ნეფე-პატარძლის ზეწარი სუფთა რჩებოდა. ამ შემთხვევაში პატარძალი თავს იკლავდა.

10. პუშკინის არაბ ბაბუას ჰანიბალი ერქვა.

11. გოთჰემი ბეტმენის მშობლიური ქალაქია.

12. მხ. ფილმის - „ვილცამ გუგულის ბუდე გადაუფრინა“ მთავარ გმირს რენდელ პატრიკ მაკ მერფი ერქვა.

13. ვიეტნამის ომში ორჯერ დაჭრილ ამერიკელ ჯარისკაცს შინ აბრუნებდნენ.



..ყოფელ

ნაბიჯზე

ანგელოზები იბადებიან

ქვა ლომიძე

— როდის და როგორ დავიბადე, ვერ ვიხსენებ, თუმცა უკვე ოთხი წლისა ვარ. ხშირად მეუბნებიან — უფრო ღიძის შეხედულება გაქვს და მიკვირს ამ ხალხის; სარკეში რომ ვიციქობ, თავი სულ ბავშვი მგონია.

— მაგრამ შენ მაინც ბავშვი ხარ.

— (ამოიხრა) აბა, რა ვიცი, ალბათ ვერცა, თუმცა ჩემს მეგობრებთან ამ საკითხს არასდროს არ ვარჩევთ. რა უბედურებაა, ბავშვობა და ღიძობა. მინა და მუნა ჩემზე უფროსები არიან და არასდროს მაგრძობიანებენ ამას. ღიძი და პატარა კი არა, ადამიანები ვართ.

— მინა და მუნა შენი მეგობრები არიან?

— კი, მაგრამ რატომღაც ჩემ გარდა მათ ვერაფერს ხედავს, არადა, სულ აქ არიან, ჩემ გვერდით, ან ინსტიტუტში ლექციებზე. სულ მიკვირს, იქ რა აჩერებთ. საბავშვო ბაღში წამიყვანეს მშობლებმა, ვეუღარებოდი, აქედან წამიყვანეთ-მეთქი, მაგრამ ერთი გვირა მოუნდნენ იმის შეგნებას, რომ ბავშვი ადამიანების საყრობილეა. რა უბედურებაა უფროსების მიერ მოგონილი რეჟიმი, კანონები. სასწაული ხალხია უფროსები. ბაღში გაიძულენ მათი სურვილების ასრულებას. არ გეძინება? გიბრძანებენ და უნდა დიძინო, არ გეძინა? აბა, გაბუდე და არ ჭამო. ფისები არ გინდა? მაინც უნდა გაიქცე ტუალეტში. ეს ბავშვი მაგარი უბედურებაა.

— შენ მითხარი — მინას და მუნას ჩემს მეტი ვერაფერი ხედავსო, საიდან განდნენ?

— არ ვიცი. ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ოთახში ვიჯექი და ვფიქრობდი ლეონარდო დი კაპროზე. უცებ ვილცამ დამიძახა, მი-

ნინო მეტიქიშვილი ჯერ მხოლოდ ოთხი წლისაა. მაგრამ ამ პატარა „ქალბატონის“ გარემოცვაში თავი უხერხულად შეიძლება იგრძნოთ, თუკი მას ბავშვივით ენის მოჩლექით მოფერებას გაუბედავთ და ყურცქვიტაზე ან იხვის ჭუჭულზე ლექსებისა და ზღაპრების თხრობას სთხოვთ. ნინიკო თვითონ თხზავს ლექსებს და ზღაპრებს და რადგან წერა-კითხვა არ იცის, დედა და დეიდა ყოველთვის მზად არიან მისი ნაამბობის ჩასაწერად. გავა წლები და ალბათ ნინო მეტიქიშვილი თავის ბავშვობას, ანტუან სენტ-ეზიუპერის თქმისა არ იყოს, გაიხსენებს, როგორც ქვეყანას, რომელშიც დღეს ცხოვრობს და სადაც სტუმრად გახლდით მასთან. ნინიკო გატაცებით მიაბობს თავის თავგანდასავალს, დიას, თავგანდასავალს: „ოთხი წელი მთელი ცხოვრებააო — დიდი ადამიანით მეუბნება.

ვიხედე და მინა და მუნა იდგნენ. ისინი ჩვეულებრივი ლამაზი გოგონები არიან და თბილისურ კილოზე ლაპარაკობენ (ნინოს შეუძლია გაარჩოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი კილო — ავტ.). იცი, მე ღმერთიც გამოძეცხადა, ძალიან ხშირად მოდის ხოლმე ჩემთან და ძალას მძღვეს, ჩემი მამიკოსავით ძალიან ლამაზი თვალები, ღიძი და ნათელი შუბლი აქვს, ოქროსფერი ანაფორა აცვია და რაღაცებს მელაპარაკება ხოლმე. როცა ჩემთან არ არის, მაშინაც კი სულ ყურთან მესმის ღმერთის ხმა.

— რის შესახებ გელაპარაკება ხოლმე?

— სამოთხისა და ჯოჯოხეთის, ადამიანებისა და სხვა ცოცხალი არსებების შესახებ. შენ რა გვინა, ღმერთი მარტო ადამიანის მოკვლას თვლის ცოდვად? ცხოველის, ფრინველის, მწერის მოკვლაც ცოდვაა.

— აბა, ლომი ან ვეფხვი თავს რომ დაგესხას, არ უნდა მოკლა?

— ნუ გააბრაზებ და თავსაც არ დაგესხება. კი არა და, შეგიყვარებს. ჩვენზე მეტი სიყვარული შეუძლიათ. იცი, რატომ? რომ ვერ ლაპარაკობენ, იმიტომ — ისე, მე რომ შენ გეტყვი, მიყვარხარ-მეთქი. ჩემს სიყვარულს მაშინ პაწაწინა ძალა დააკლდება შენ მიმართ. ბევრჯერ ამის თქმა კი სულ გამოაცლის ძალას ჩვენს სიყვარულს და ერთ დღეს ერთმანეთს მივატოვებთ, ისე, რომ უკან არც მივიხედავთ. ცხოველები თუ შეგიყვარებენ, მთელი ცხოვრება უსიტყვოდ ეყვარები.

— ჯოჯოხეთი და სამოთხე რაღაა?

— სამოთხე ღიძი სინათლეა, ჯოჯოხეთი კი სიბნელე. თუ ცუდი იქნები, გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთში მოხვდები და აქ შენ მიერ მოკლული ნებისმიერი არსება გამოგეცხ-

ადება და გაწამებენ. გინდა, ჩემი ნათლობის შესახებ ვთხოვრა? — მითხრეს, დიდ საიდუმლოს უნდა ეზიარო. მეც ყველაფერს უხმოდ ვადევნებდი თვალს, მაგრამ დიდ ქვაბში, წყალში რომ ჩამაყუდეს, მაშინ კი შიშისგან ავღრიალდი. მერე მღვდელმა დამამშვიდა.

— **შენ რას ელაპარაკები ხოლმე ღმერთს?**

— როცა ავად ვხდები, ვთხოვ დახმარებას და მენდარება, თუ ვილოცებ, სიცხეც არ მექნება. გინდა, ჩემს ლექსს გეტყვი? „ღმერთო, მაპატიე ყველა ცოდვა, ღმერთო, დამლოცე. დამილოცე ყველა, ღმერთო, მინდა ყველაფერი ჰქონდეთ ადამიანებს. მინდა ყველას ყველაფერი ვაპატიო, მაგრამ როგორ შევძლო ეს, როცა ყველა მე მერჩის. რატომ ამბობ, რომ მე დამოუკიდებელი და უვნებელი ვარ, ამ დროს კი ქარიშხალია ყველაზე“. ეს ლექსი მაშინ მომაგონდა, გული რომ მეტკინა.

— **ეს როდის იყო, რამ გატკინა გული?**

— გული ხშირად მეტკივა. „კურიერს“ ვერ ვიტან, ამდენი საცოდობის ცქერა აღარ შემიძლია. ამას წინათ ფანია ამბობდა, მოვიფიქრებ რაღაცას, გადაწყვეტილებას მივიღებო. მთელი დღე მაგას გაიძახოდა. ვეღარ მოვიტოძინე და ვუთხარი: დროზე მიიღე გადაწყვეტილება და შუქი ჩართე-მეთქი, მაგრამ არ გაუგონია ტელევიზორში. ისე, „ფისიქო“ მომწონს, საინტერესო ფილმები აქვთ. დილობას ისწავლის იქიდან ბავშვი (ეცინება), ფილმის ბოლოს გარჩევა რომაა, ისიც მომწონს.

— **ნინიკო, რომ გაიზრდები, ვინ უნდა გამოხვიდე?**

— ბალერინა ან მოდელი. იცი, რა კარგად ვპოზირებ? ყველა სტილი მიხდება (სურათებს მიჩვენებს და მიხსნის, რომ დეიდა მისი საკუთარი ფოტოგრაფია). დეიდას კოსტიუმებს ვიცვამ ხოლმე. ზოგი დიდი მაქვს, მაგრამ არა უშავს. ზღვაზეც მისი „კუპალნიკი“ მეცვა. სანამ შუქები წესი-



ერად იყო და ტელევიზორის ჩართვა შემეძლო, დილაობით სინდისთან ერთად ვვარჯიშობდი. მერე პოდიუმს ვაწყობდი და ოჯახური პუბლიკის წინაშე გამოვდიოდი. მაგარი მოდელი თუ ვიქნები, ბევრი ფული მექნება.

— **რად გინდა ბევრი ფული?**

— მსოფლიოში ძალიან ბევრი გაჭირვებული ბავშვია, მათ ყველაფერს ვუყვით. როგორც ჩემი ნათლიები ზრუნავენ ჩემზე, მეც ისე ვიზრუნებ სხვა ბავშვებზე. ვერ ვიტან უპატრონო ბავშვთა სახლებს. ეგ საშინელებათა სახლები უფროა. ღმერთი ბავშვების მიტოვებასაც ცოდვად თვლის. მართლა, იცი რა, იესომ ცოტა ხნის წინ ძალა მომცა, მინდა ყველა ბავშვს გავუნაწილო ძალა ხელისუფლებიდან და თვალებიდან, მაგრამ რატომღაც არაფერი არ გამოდის.

— **ნინიკო, მე ვიცი, რომ შენ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვს ლეონარდო დი კაპრიოს მიმართ. მომიყვი მის შესახებ.**

— ლეონარდო „ტიტანიკის“ ნახვის შემდეგ შემეყვარა. მინდოდა, სულ ჩემ გვერდით ყოფილიყო, მაგრამ მას პოლიგულში ბევრი საქმის გამო, ჩემთვის არასოდეს არ ეცალა. მეც დავიღალე მისი მოლოდინით და მივატოვე. ახლა გავა მიყვარს, პატარა გულივით მიყვარს, გავა ოცი წლისაა და დეიდაჩემთან მუშაობს ოფისში. ვალენტინობის დღესასწაულიც მივულოცე. იმანაც საჩუქრად კლოუნი გამოიფიქრა (მაჩვენებს), ნახე, როგორია. ასეთებს იშვიათად ნახავ, მაგრამ, იცი რა, თუ გაგაც ვერ მოიცლის ჩემთვის, მასაც მივატოვებ და ვერაფერი ვერ უშველის. ისე, ღმერთმა კი მითხრა, გაგას როგორც პატარა ბავშვი, ისე უყვარხარ და არა როგორც გოგო. ამიტომაც მინდა გავიზარდო და ყველაფერი გავარკვიო.


— **ნინიკო, ასეთი ქვიანი რომ ხარ, წერა-კითხვას რატომ არ სწავლობ?**

— დრო მოვა და ვისწავლი. ეს ხომ ჩემი საქმე არ არის. როდის უნდა ვისწავლო — ღმერთი მეტყვის. რასაც შენ თვითონ მონილობ, ვერ გააკეთებ. ღმერთს უნდა დაუჯერო.

ნინიკო მელიქიშვილთან საუბარს აქ შევწყვეტთ. ალბათ წლების შემდეგ ისევ იქნება ეს პატარა „ქაღალტონი“ რესპონდენტი და თავის პირველ ინტერვიუსაც გაიხსენებს. იმედია, მომავალშიც ის ფაქიზი და სუფთა სული ექნება, რომელიც დღეს ამოდრავებს მის პატარა, მოუსვენარ და უცნაურ გონებას. ჩვენ გვერდით ყოველ ნაბიჯზე ანგელოზები იბადებიან და ქვეყანაც იმიტომა თბილი. გაუფრთხილდი ანგელოზებს, რომ არ შეგცივდესო — მითხრა გამოცდილებისას და კიდევ ერთხელ დამაბნია თავისი უცნაური აზრებით.

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეორი დეალის უბის წიგნაკოდან:



14. აგავა სიცოცხლეში ერთხელ ყვავის და ნაყოფის მომწიფებისთანავე კვდება.

15. სოკრატეს გარეგნობა სრულიად არ შეესაბამებოდა მის სულიერ სილამაზეს.

16. „ცენტავრა“ პირველი ამერიკული რაკეტა იყო, რომელიც წყალბადზე მუშაობდა. P.S. იგი აფრენიდან 55 წამის შემდეგ აფეთქდა.

17. მიკენის მეფე აგამემნონი ტროას ომში ბერძენთა ლაშქარს სარდლობდა. P.S. კლიტემნესტრას უსინდისო დედა ვატირე...

18. ამერიკაში მაწანწალა ძაღლებზე სპეციალური სამსახური ზრუნავს. დანცვის ნაცვლად, მათ კარგად კვებავენ, საჭმელში კი გამრავლების საწინააღმდეგო აბებს ურევენ.

19. სერჯიო ლეონეს ფილმში „კარგი, ცუდი, ბოროტი“ ჩრდილოელები და სამხრეთელები ერთმანეთს ბრენსტონის ხიდისთვის ხოცავდნენ.

20. ზებგერითი თვითმფრინავი „მიგ 29“ ბურევიჩისა და მიქოიანის პირმშოა.

21. აფგიას თავლა 30 წლის განმავლობაში არ დასუფთავებულა. P.S. ჰერაკლემ იგი ერთ დღეში გაწმინდა.

22. პატარა კაკალს რაჭაში „წრუპას“ ეძახიან.

23. „კახა ქალის საქმეში ჩარევა, რა ვაჟაკის საქმეა!“ — ამბობდა დათა თუთაშხია. P.S. ცნობილი აბრაგის ამ სიტყვებს, მისივე საქციელი ეწინააღმდეგება, როცა ფოთში მეზღვაურებმა კახას აწყენინეს და დათა გამოესარჩლა. P.P.S. ამ ჩხუბში, დათა თუთაშხიას ნეკი მოაკვნიტეს.

24. თავის ტკივილს თავის მოჭრით არ კურნავენ.

25. მოსკოვში სტუმრად ჩამოსულმა იაპონელმა ტურისტმა, სასტუმროში, საკუთარ ნომერში ონკანი გახსნა და როდესაც წყალი არ წამოვიდა, უყოყმანოდ შეუშვირა ხელები ონკანს და თავისი გვარი წარმოთქვა. P.S. იაპონელს უწყლობაზე უფრო ადვილად ის ამბავი წარმოედგინა, რომ ონკანში ფოტოსინთეზი იყო დამონტაჟებული.



დათო ჯორბენაძე

ორი სკულენოს გველეხის საქმე

ეჭვიტანილი 9 წლის მანძილზე იხალავოდა?

უახლოეს დღეებში უზენაეს სასამართლოში ყველაზე გაჭიანურებული და, როგორც ამბობენ, უცნაური სისხლის სამართლის საქმის განხილვა განახლდება. საქმე თბილისის უნივერსიტეტის II კორპუსთან 10 წლის წინ მომხდარ ორ მკვლელობას ეხება. იმ დღეს ოთხმა ბიჭმა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსელებს ჩხუბი აუტყნა, ერთმა მათგანმა კი ორი სტუდენტის — 19 წლის დათო ჯორბენაძისა და 19 წლის ზაზა როინიშვილის სიცოცხლე შეინარა. ამჟამად განსასჯელის სკამზე მკვლელობებში ბრალდებული 29 წლის ზურაბ ლომაძე ზის. იგი სამართალ-დამცავებს 9 წლის მანძილზე ემალებოდა.

მეზი ტანავა

დანაშაული 1991 წლის 19 აპრილს მოხდა. გამოძიების მასალებისა და მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებს — დათო ბაკურაძესა და დათო ჯორბენაძეს უნივერსიტეტის II კორპუსის წინ, ორი უცნობი დახვდა. მათ საუბარი ჯორბენაძეს დაუწყო, ბაკურაძე კი მოშორებით დადგა, თუმცა მალე დაინახა, რომ ლაპარაკი ძალზე დაიძაბა — უცნობებმა მის მეგობარს, სიტყვიერის გარდა, ფიზიკური შეურაცხყოფაც მიჰყენეს — და ჩხუბში ჩაერია. მან ისინი გააშველა, სტუდენტები მოჩხუბრებს დაშორდნენ. ცოტა ხნის შემდეგ, II კორპუსიდან I კორპუსის მიმართულებით მიმავალ დათო ჯორბენაძეს, დათო ბაკურაძესა და მათთან ერთად მყოფ რამდენიმე თანაკურსელს უცნობები, სხვა ორ პირთან ერთად კვლავ გამოეცხადნენ. ჯორბენაძე და ბაკურაძეს „გვერდზე გასვლა“ შესთავაზეს — წამოდი, თურამე გვაქვს გასარკვევი, ვილაპარაკოთო. თუმცა, მათ საუბრის დაწყებისთანავე ხმამაღალი ლაპარაკი და გინება დაიწყო. დათო ბაკურაძემ შეურაცხყოფელს ხელი გაართვა, რადგან უცნობმა უშუალოდ მას შეაგინა. ბაკურაძემ და ჯორბენაძემ, საპასუხო დარტყმები მიიღეს. ჩხუბის დროს დათო ჯორბენაძე დაიჭრა. მოულოდნელად, მათთან ერთ-ერთი თანაკურსელი — ზაზა როინიშვილი აღმოჩნდა. როგორც დადგინდა, იგი ჩხუბის პირველ ეპიზოდს არ დასწრებია და თავიდან არც მეორეში მონაწილეობდა. I კორპუსისკენ მიმავალმა როინიშვილმა თავშეყრილი თანაგუგუფელები დაინახა და მათკენ გასწია. ის სიტუაციაში გარკვევის მიზნით, მოჩხუბრებს შორის

აღმოჩნდა. თუმცა, უცნობმა პირებმა იქაურობა მალე დატოვეს და წავიდნენ. ზაზა როინიშვილმა ხელი გულის ჯიბეში ჩაიყო, ბლოკნოტი ამოიღო და ნახა, რომ ხელი სისხლიანი ჰქონდა. მაშინ მიხვდა, რომ ისიც დაჭრილი იყო. იგი შოკში ჩავარდა და იქვე ჩაიკეცა. გულმკერდში სასიკვდილოდ დაჭრილი დათო ჯორბენაძე — იქვე, ზაზა როინიშვილი კი — მე-9 საავადმყოფოში, გამოთენისას გარდაიცვალა. ორივე, დანით იყო დაჭრილი. ჯორბენაძის სხეულზე ექსპერტებმა გულმკერდის არეში სამი ჭრილობა (ორი წინ და ერთი ზურგში) დააფიქსირეს. ჭრილობები როინიშვილსაც სხეულის იმავე ადგილებში აღმოაჩნდა — დანა გულში წინიდანაც და ზურგიდანაც ჰქონდა ჩარტყმული.

რისთვის აუტყნეს ჩხუბი თავდაპირველად დათო ჯორბენაძეს? ვინ იყვნენ ის უცნობი პირები? ამის შესახებ გარდაცვლილის დედა, **გულიკო ჯორბენაძე** მოგვითხრობს:

„ჩვენი ოჯახი მაშინ ბათუმში ცხოვრობდა. ჩემი შვილები, დათო და მისი უფროსი ძმა სტუდენტები იყვნენ, მეც ჩამოვდიოდი რამდენიმე დღით და შემდეგ კვლავ ბათუმში ვბრუნდებოდი. 1991 წლის 17 აპრილს, ჩვეულებრივ, თბილისში შვილებთან ჩამოვედი. როცა დათოს ტანსაცმელს გადავხედე, ვნახე, რომ მის ქურთუკზე საყელი მოგლეჯილი იყო. დათოს მიგუბრუნდი — რა, დედა, შენ აქ ჭედაობ? საჭიდაოდ გცალია-მეთქი? არაფერიო — მიპასუხა, უფრო სწორად, პასუხს თავი აარიდა. მერე ქურთუკზე ბასრი იარაღით, თითქოს დანით დასერილი ადგილიც შევნიშნე და მაშინ უკვე სერიოზულად ავნერვიულდი. წინა დღეებში ძალიან ცუდი სიზმრები ვნახე. მართალია, ამის გამო არც ერთ შვილზე ცუდი

არ მიფიქრია, მაგრამ უსიამოვნო წინათგრძნობა და ეჭვები მაინც მიპყრობდა. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით ვაიძულე, ყველაფერი ეთქვა. მითხრა: დედა, უკვე ყველაფერი მორჩა, საწერეიულო არაფერია და ამიტომაც გეუბნები — ორი დღის წინ უნივერსიტეტის I და II კორპუსებს შორის ვიღაც ბიჭები დამხვდნენ, ქურთუკის წართმევა უნდოდათო. მარტო ვიყავი, ისინი ორნი იყვნენ, მაგრამ მათი მოგერიება და თავის დაღწევა მაინც შეუძელიო (დათო ძალიან მაღალი და ძლიერი აღნაგობის განხლდათ). ამ ფაქტის მოწმე კორპუსის დარაჯიც იყო, რომლის თქმით, დათომ იმ ბიჭებს დანა გადაუტეხა და გადატეხილი, მას (დარაჯს) დაუტოვა. სამწუხაროდ, დარაჯის ეს სიტყვები ოფიციალურად არსად არ არის დაფიქსირებული, რადგან ამ ეპიზოდს, რატომღაც გამოძიება არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ... იმ დღეს კი, როცა მკვლელობა მოხდა, შემთხვევის ადგილას მყოფმა სტუდენტებმა გაიგონეს ერთ-ერთი უცნობის სიტყვები — ვიღაც ბათუმელ „გოიმის“, „კურტკა“ რატომ არ უნდა გაეხადაო. ჩხუბი რომ გამწვავებულია, ბავშვებს უთქვამთ — რა ვახდა, ეს „კურტკა“, აჰა, წაიღეთო — მაგრამ ამჯერად თურმე უცნობებმა იუკადრისეს. აქედან დგინდება, რომ ის პირები, ვინც 19 აპრილს ჩემს შვილსა და დათო ბაკურაძეს (რომელიც ამ სიტუაციაში შემთხვევით აღმოჩნდა, ისევე, როგორც გარდაცვლილი ზაზა როინიშვილი) შეხვდნენ, ზუსტად ისინი იყვნენ, ვინც 15 აპრილს თავს დაესხნენ დათოს, დაყაჩაღების მიზნით. საქმის მასალებში დაყაჩაღების მცდელობის ფაქტი 17 აპრილით არის დათარიღებული, რაც არასწორია. ეს შემთხვევა 15 აპრილს მოხდა, რასაც ჩემი უფროსი ვაჟიც (ძმის მონათხრობის საფუძველზე) ადასტურებს.

ოფიციალურად დაფიქსირებული რიცხვი კი, შესაძლოა, დღეს დანაშაულში ბრალდებულისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდეს. ბოლოს და ბოლოს, ამით მას ისეთი მოწმეების მოყვანის საშუალება ეძლევა, რომლებიც იტყვიან, რომ 17 აპრილს ის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე კი არა, სულ სხვა ადგილას იყო...”

1991 წლის 19 აპრილს მომხდარი ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე მაშინვე აღიძრა. პროკურატურამ უცნობი პირების ვინაობა დაადგინა, დანაშაულში ეჭვმიტანილები, მარდალეიშვილი, ბელიძე, ჩხუტიაშვილი და ლომაძე აღმოჩნდნენ, თუმცა სამართალდამცავებმა მხოლოდ სამი მათგანი დააკავეს. ლომაძის დაპატიმრება მათ, რატომღაც, ათი დღის შემდეგ მოინდომეს, მისი ადგილსამყოფელი ვერ დაადგინეს და მასზე ძებნა გამოაცხადეს.

ლეევან ალაფიშვილი, დაზარალებულთა ადვოკატი:

„პროკურატურამ გამოძიება თავიდანვე მცდარ გზაზე დააყენა. მომხდარი ფაქტიდან სულ ცოტა ხანში სამართალდამცავებმა ოთხი ეჭვმიტანილიდან მხოლოდ სამი დააკავეს და მიუხედავად იმისა, რომ მათ ინფორმაცია ლომაძის შესახებაც ჰქონდათ, მასზე რატომღაც არც დაპატიმრების სანქცია ვასცეს და არც ძებნა გამოაცხადეს. მოწმეები თავიდანვე აღნიშნავენ, რომ ჩხუბში ოთხი პირი მონაწილეობდა და ლომაძის აღწერილობასაც იძლეოდნენ. ამ უკანასკნელის გვარი კი საქმის აღძვრიდან ათი დღის განმავლობაში ოქმებში საერთოდ არ ფიგურირებს. ამან საუცხოო საშუალება მისცა ლომაძეს, მიმალულიყო და 9 წლის მანძილზე იმალებოდა კიდევ“.

აღსანიშნავია, რომ ეჭვმიტანილთან ერთად, უკვალოდ გაქრა მთავარი ნივთმტკიცება — დანა, რომელსაც სამართალდამცავებმა, მათივე თქმით, ვერსად მიაკვლიეს. რაც შეეხება დანარჩენ სამ პირს — მარდალეიშვილს, ბელიძესა და ჩხუტიაშვილს, სასამართლომ მათ ხულიგნობის მუხლით ჩადენილი დანაშაული დაუმტკიცა. მსჯავრდებულებმა ბრალი აღიარეს, თუმცა იმ პერიოდში გამოცხადებული ამინსტია შეეხათ და პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ. ლომაძის დანაშაულთან დაკავშირებით უზენაეს სასამართლოს ისინი ვერ არ დაუკითხავს.

ზურაბ ლომაძეს პროკურატურამ ბრალი დარცვა-ყაჩაღობის, ხულიგნობისა და ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მუხლებით წაუყენა. 1991 წელს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული მუხლების დამტკიცების შემთხვევაში, დამნაშავეს სიკვდილით დასჯა — დახვერტა ემუქრებოდა. ახალი კოდექსის თანახმად, ეს სასჯელი სამუდამო პატიმრობით არის შეცვლილი.

მკვლელობიდან 9 წლის შემდეგ, ზურაბ ლომაძე პროკურატურაში თავისი ფეხით მივიდა, თუმცა მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ უცნია. წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების მიხედვით, იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში საზღვარგარეთ იმყოფებოდა, აქამდე არ იცოდა, რომ მკვლელობაში ედებოდა ბრალი და პროკურატურაში სწორედ იმ მიზნით გამოცხადდა, რათა გაერკვია, სინამდვილეში რა მოხდა. სად და ვისთან ერთად იმყოფებოდა იგი 1991 წლის 19 აპრილს, მისივე თქმით, მას ზუსტად არ ახსოვს.

დაზარალებულების განცხადებით, სასამართლო პროცესების მსვლელობის დროს განსასჯელის მხარე მათზე ზეწოლას ახორციელებდა. მათი თქმით, ისინი მოწმეებს ჩვენებების შეცვლას სთხოვდნენ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მუქარასა და ზეწოლას მარტო დაზარალებულები და თვითმხილველები არ განიცდიდნენ, ამგვარი ქმედების ობიექტი რამდენიმე ყურნალისტი და ტელეარხიც გახდნენ, რომელთაც პროცესებზე დასწრება „არ ურჩიეს“. დაზარალებულები ამის მიზეზად ზურაბ ლომაძის გავლენიან ნათესავებს ასახელებენ.

ზურაბ ლომაძეს უზენაესი სასამართლოსთვის ჩვენება ვერ არ მიუცია. თუმცა, მისი პოზიციისა და ზემოთ აღნიშნული დეტალების გასარკვევად, მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს — ავთო ჭაჭუას მივმართეთ. მან აღნიშნული საქმის შესახებ დაწვრილებით საუბარი არ ისურვა, ვერც განსასჯელის ოჯახთან დაკავშირებას დაგვპირდა.

— რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ლომაძის მიმართ პროკურატურის მიერ წაყენებული მუხლები?

— ეს სასამართლო პროცესებზე გაირკვევა. მე მჯერა, რომ სასამართლოში სიმართლეს დავადგენთ.

— რატომ იმალებოდა ლომაძე 9 წლის განმავლობაში?

— ის არ იმალებოდა. ადამიანი მაშინ იმალება, როცა დამნაშავეა. მან უბრალოდ, თავი აარიდა გამოძიებას, რადგან იცოდა, რომ პროკურატურა მას რაღაცაში ბრალს სდებდა. მოგეხსენებათ, 1991 წლის საქართველოს მდგომარეობა, პოლიტიკური არეულობა, დესტაბილიზაცია იყო ქვეყნად და მან იფიქრა, რომ თავის სიმართლეს აქ ვერ დაამტკიცებდა. ხოლო როცა შეიტყო, თურმე მკვლელობაში ადანაშაულებდნენ, პროკურატურაში თავისი ფეხით გამოცხადდა.

— როდის შეიტყო?

— როცა გამოცხადდა, მაშინ. დაუკავშირდა თავის ოჯახს და მისგან გაიყო.

— მისმა ნათესავებმაც ახლა შეიტყვეს? 9 წლის მანძილზე მათ არ იცოდნენ, რომ ლომაძეს მკვლელობაში ედებოდა ბრალი?

— ვერ გეტყვით, როდის გაიგეს.

— დაზარალებულების მტკიცებით, სასამართლო განხილვის მსვლელობისას, განსასჯელის მხარე მათზე ზეწოლას ახორციელებდა...


— რა თქმა უნდა, ეს სინამდვილეს არ შეეფერება.

— ამბობენ, ლომაძეს ახლო ნათესაური კავშირი აქვს ნიკო ლეკიშვილთან, მამამისი კი სპორტის სასახლის დირექტორია...

— რა შუაშია ლეკიშვილის ნათესავი ან სპორტის სასახლის დირექტორი? თუნდაც პრეზიდენტის შვილი იყოს — კანონის წინაშე ყველა თანასწორია და თუ ადამიანი დამნაშავეა, ყველაფრის მიუხედავად პასუხი უნდა აგოს...

აღსანიშნავია, რომ ყაჩაღობის მცდელობის გარდა, საქმის მასალებში განსასჯელის მხრიდან სხვა ვერსიაც ვრცელდება, რომელიც დათო ჯორბენაძის შეყვარებულს უკავშირდება. ამ ვერსიას დაზარალებულები არ ადასტურებენ. რაც შეეხება განსასჯელის ადვოკატს, ის საქმის არსებით მხარეებზე საუბარს სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ დაგვპირდა. სასამართლო პროცესი, რომელზეც მკვლელობების თვითმხილველთა დაკითხვა უნდა გაგრძელდეს, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში განახლდება.

ერთ დროს პროფესიონალი აზიკი, ულამაზეს ქალთა გულთამბყრობელი, დიმა ჯაიანი მთელი ბავშვობა უიმედო სიყვარულით იტანჯებოდა. კი, მაგრამ, რა შუაშია ვაშლები? ვაშლები მთავარია, თუკი საოცნებო გოგონას უყვარს. ასეთ შემთხვევაში რა უნდა ქნას შეყვარებულმა ბიჭმა? რა და ის, რაც დიმაქნა. რა ქნა დიმაქმ? რა და...



„სოცოტრიქაჰს“ შეშლვის ხმჩხში

ნანა კიბიშაური

— მთელი ჩემი ბავშვობა, მეხუთე კლასიდან მკათედლე ჯერ ჩანთით, მერე კი ჯიბეებით ვაშლებს დავატარებდი. სასაცილო ის არის, რომ ამას დიდი სიამოვნებით ვაკეთებდი. მეტიც, ბენიერი მხოლოდ მაშინ ვიყავი, როდესაც ჩემი პირველი სიყვარული ჩემს მიტანილ ვაშლს მიირთმევდა.

უფრო დანვრლებით მოგვიყვებით ამ ვაშლებისა და პირველი სიყვარულის ამბავი.

— მე-5 კლასში ვიყავი, როდესაც ჩემი თანაკლასელი შემიყვარდა. ისე შემიყვარდა, რომ მზად ვიყავი მისთვის სიცოცხლეც გამეწირა. მაგრამ იმ გოგოს ჩემზე მეტად ვაშლი უყვარდა. წავიღებდი სახლიდან ვაშლს, პირველი შევიპარებოდა კლასში და მერხის სიღრმეში ვუწყობდი. მერე უუთვალთვალელები — აბა, როდის ნახავს, აბა, როგორ გაუხარდება, რომ ნახავს... მერე, დიდ დასვენებაზე როგორ შეჭამს და ა.შ. ეს ამბავი მხოლოდ მისმა დაქალმა იცოდა. მერე, ცოტა კიდევ რომ წამოვიზარდე, მის მოსახიბლავად სხვა ხერხი ვიხმარე: თმასა და ტანსაცმელზე არაყს ვისხამდი და სკოლაში ისე მივდიოდი. არყის სუნით აქოთებული, თავს მთვრალად ვაჩვენებდი და იყო ერთი ამბავი — შეხედეთ, დიმაქს ერთი გოგო უყვარს, წასულა, დაუღევია და ახლა სკოლაში მთვრალი მოვიდა... ასე „გველები-ცობდი“. ახლა რომ ვიხსენებ ჩემს თავს... როგორ უნიჭოდ ვთამაშობდი. რა სასაცილო ვიყავი, ის კი, ის, ვისთვისაც ამ სისულელეებს ვაკეთებდი, ისე გულგრილად იფერ-

ებდა ამ ყველაფერს, თითქოს მისი მერხი განსაკუთრებული იყო და ვაშლს თავისით ისხამდა.

მოკლედ, არც ვაშლმა გაჭრა და არც არაყმა.

— არა, არაფერმა არ გაჭრა. ახლა ეს რომ მეხუთეკლასელმა ბავშვმა წაიკითხოს, იფიქრებს — ზედ რას ისხამდა ის დალოცვილი, მართლა დაელიაო... მაშინ სხვა დრო იყო, ბიბიუბო, მაშინ რასაც ვაკეთებდი, იმის გაკეთებაც „ბიჭობა“ იყო.

იქნებ იმიტომაც არ გამოვიდა არაფერი, რომ თამაშობდიო...

— არა, იმ გოგოს გული სხვა ბიჭისკენ იყო „გადახრილი“. კლასში ჩემ გარდა, ბარე 10 ბიჭს კიდევ უყვარდა. ამაში დღესაც დარწმუნებული ვარ — უბრალოდ, არ ამბობდნენ.

ის გოგო ალბათ ფრიადოსანი იყო, კარგი მოსწავლე. კლასში სომ ყველა ბიჭს „ხუთოსანი“ გოგო უყვარს.

— არა, „ხუთოსანი“ არ იყო, მაგრამ თქვენ რომ გენახათ, როგორ ცეკვავდა! ძალიან ლამაზად ცეკვავდა, ლექსებსაც კარგად კითხულობდა და... ძალიან ლამაზიც იყო. მეტი რა უნდოდა ჩვენს „ქორფა“ გულებს.

როდის გამოუტყდით სიყვარულში?

— დაბადების დღეზე ვეცეკვე ტანგო. მაშინ შევეცადე, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა. ეს მართლა დიდი სიყვარული იყო, ძალიან დიდხანს გამყვა, ლექსიც დამაწერინა და

მოთხრობებიც. მერე ერთი მეგობარი მყავდა, თამაზ კაკია, კოლორიტული და პატივსაცემი კაცი! ჩემი შემოქმედება მას გავაცანი და იცით, როგორი წერილი მომწერა? იმდენად დიდია პროზაში კონსტანტინე გამსახურდიას გავლენა, პოეზიაში კი გალაკტიონის, რომ სჯობს, ორივეს თავი დაანებო. მეც მეყო სინდისი და დავაფასე ქართული მწერლობა. მას შემდეგ აღარ მქონია „შედევრების“ შექმნის მცდელობა.

— ბოლოს ვის დარჩა ის გოგო?

— იმ 10 შეყვარებული თანაკლასელ-იდან ერთ-ერთს.

— გული დაგწყდათ?

— ჩემი დიდი სიყვარული დამპურ სიყვარულში გადაიზარდა. ის გოგო დღეს ჩემი მეგობრის ცოლია — აი, აქ მთავრდება ყველაფერი.

— სიყვარულის დასაინწყებლად, ალბათ სხვა სიყვარულია საჭირო...

— იმ გოგოს შემდეგ ერთი ტრავიკული ბედის ულამაზესი გოგო შემიყვარდა. მე მისი სახელი და გვარი მინდა ვთქვა. მეამაყება, რომ ასეთი გოგო მიყვარდა. ეს იყო შორენა გვარამია. ნათელში იყოს მისი ლამაზი სული...

— დაიღუბა?

— ორთაგალაში მოკლეს პოლიციელებმა, ყანალებთან ერთად ჩაცხრილეს მანქანაში. იმ ყანალებმა შორენა მძევლად გამოიყვანეს სახლიდან. ულამაზესი გოგო იყო. თბილისიდან გადმოვიდა საცხოვრებლად სენაკში. მისთვის, „გამარჯობის“ მეტი, არავის არაფერი გაგვიბედავს — არადა, მთელ სენაკს უყვარდა. ჩემი თაობის ბიჭები, როგორც ერთი, ისე ვიყავით მასზე შეყვარებულები. მის ფანჯრებთან ვმდებოდით. სენაკელი ბიჭები გიტარებს ვამტვრევდით, შორენას კი თბილისში ჰყოლია შეყვარებული. შესანიშნავ ყმაწვილს გაჰყვა, შესანიშნავი ოჯახი შექმნა და შესანიშნავი შვილებიც დაგვიტოვა. მახსოვს 1989 წელი. გასტროლები გვქონდა თბილისში. ვხედავ, თეატრის წინ შორენა დგას, აქეთ-იქიდან კი შვილები ამოუყვებიან — ისევ ისეთ ლამაზს, ჰაეროვანს, არამიწიერს. ბავშვებს გადახედა და უთხრა — აი, ამ კაცს უყვარდიო! მიუახლოვდი, ხელზე ვეამბორე სათაყვანებელ ქალს... მერე ეს ტრავიკელია მოხდა...

— თქვენითაც ბევრი მანდილოსანი იყო მოხიბლული...

— მე უფრო ბევრი მანდილოსნით ვიყავი მოხიბლული. მთელი ცხოვრება ასე მოხიბლული დავდივარ. ყოველი ქალი ლამაზი სიზმარია. ცხადში ნანახი ლამაზი სიზმარი. იმდენად ლამაზი, რომ „გაღვიძება“ არ მინდა...

ლელო ჩიყაშვილი

„ცხრამარტელთა“ მშობლები, თითქმის არავინ არის ცოცხალი. მხოლოდ ერთი დედა – 82 წლის ქალბატონი ლიდა გულიშვილია ატარებს იმ სასტიკი დღის გამო დარჩენილ მშობლის ტკივილს... დღეს ის ყველა „ცხრამარტელის“ დედა... მას ცხადად ახსოვს 1956 წლის მარტის მოვლენები:

– ქუჩები სავსე იყო ხალხით. სამი ბიჭის დედა ვიყავი და ვერც ერთს ვერ ვაკავებდი სახლში. გაიპარებოდნენ მიტინგზე... უფროსი ბიჭი – ლეო – რომელიც 9 მარტს დაიღუპა, 15 წლის იყო. ცელქი, მოძრავი, ცნობისმოყვარე ბავშვი იყო... არ ვიცი, როგორ შემორჩა დაღამებამდე გარეთ... ღამით სროლა იყო, ქალაქში ხმა გავარდა. ვიცოდით, რაღაც უბედურება მოხდა. გათენდა თუ არა, მე და ჩემი მეუღლე საავადმყოფოებში წავედით შვილის მოსაძებნად... ვიპოვეთ... ტყვიები ფეხში მოხვედროდა... ეტყობა, სისხლისაგან დაიცავდა. ცხედარს არავინ გაგვაკარა, შინ არ გამოგვატანეს, პანაშვილები მიცვალებულის გარეშე გვქონდა... დაკრძალვის დღეს დაგვიბარეს საავადმყოფოში. ხალხმრავლობა რომ არ შექმნილიყო, მიცვალებულებს ნახევარ-ნახევარი საათის ინტერვალებით გატანდნენ, ისიც – პირდაპირ სასაფლაოზე. გაფრთხილებულები ვიყავით: ტირილი და წივილ-კივილი არ დაიწყით, შეუმჩნეველად მოიქცით, თორემ თუ არეულობა გაგრძელდა, მთელ თბილისს დაბომბავდნენ... რა გვექნა, ხალხს ხომ არ გავწირავდით?! სიმწრით ვიკავებდით თავს...

ჩვენ, „ცხრამარტელების“ მშობლებმა, ერთმანეთი გავიცანით, ყოველ წელს ვიკრიბებოდით სასაფლაოზე. ოღონდ ყველაფერი ძალიან სწრაფად უნდა გაგვეკეთებინა: მივიდოდით, სანთელს ავანთებდით, ყვავილებს დავაწყოვდით და უკან გამოვრბოდით... მერე, როცა სამიშროება აღარ არსებობდა, სანაპიროზეც ვიკრიბებოდით... მარტოლა დაერჩი. ავად ვარ. ფეხზე ავდგები თუ არა, ისევ წავალ სასაფლაოზე...

ბევრი უბედურება მოიტანა 9 მარტმა. პედაგოგი იყო სონია მერაბიშვილი. ერთადერთი 16 წლის ბიჭი – კიაზო ჭანტურაძე მოუკლეს. ჩვენ შემოგვანატროდა – სხვა შეილმკვდარ დედებს: თქვენ კიდევ გყავთ შვილები, მე რა მეშველებაო...

ხრუსთოვი რომ ჩამოვიდა თბილისში, „ცხრამარტელებმა“ გადავწყვიტეთ – ერთერთმა დედამ თავი გაწიროს და ნიკიტას მანქანას შეუვარდესო. გულს მოვიოხებთ, რომ ჩვენს ტკივილს ხმამაღლა ვიტყვიითო... ბოლოს გადავიფიქრეთ: მერე მთელ თბილისს დაერეოდნენ და კიდევ რამდენ დედას ჩააცვამდნენ შავებს...

9 აპრილის ტრაგედია რომ მოხდა,

45 წლის წინათ, 1956 წლის 9 მარტს, თბილისში ტრაგედია დატრიალდა. რა თქმა უნდა, იმ წლებში ამ ამბის ირგვლივ ყოველგვარი ფაქტის გასმაურებაზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო... მაგრამ შემდეგაც, როცა წლები გავიდა, ტკივილიც თითქოს მიყუჩდა და ხმის ამოღებაც ისეთი საშიში აღარ იყო. თუმცა, 9 მარტის ირგვლივ მაინც დუმდნენ... მხოლოდ იმ ავადასახსენებელ დღეს გარდაცვლილთა ოჯახები, როგორც თვითონ უწოდებენ თავს — „ცხრამარტელები“, იკრიბებოდნენ ერთმანეთის ჭირის გასაზიარებლად და თავიანთი დაღუპულების გასახსენებლად...



უხეოდ ჩაყლაკული სრამლები

ტკივილი გავკიახლდა... ჩვენი შვილები ტყვიით მაინც მოკლეს და ესენი კი ისე აჩეხეს, ისე მოწამლეს! ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ შეკრებაზე მოვიწვიეთ 1989 წელს დაღუპულთა მშობლები. მარტო ერთის ბეზა მოვიდა და ერთის დედა. ისინი ერთმანეთს არც იცნობენ! ჩვენ, „ცხრამარტელებმა“ კი ერთმანეთის ოჯახები ვიცით... უბედურება ერთმანეთის თანადგომით გადავიტანეთ.

– მთქმა-მოთქმა არ ცხრება: დაღუპულები ბევრნი იყვნენ და არ გაამხილესო. თქვენ, აქ მხოლოდ 27 ახალგაზრდის სურათი გაქვთ...

– მეტი არც იყო ალბათ, – საუბარი განაგრძო ქალბატონი ლიდას ვაჟმა, მიხეილ ხანგულიძემ. – ჩვენ იმდენჯერ გავგზავნეთ საქართველოს ყველა კუთხეში შეკითხვები – ხომ არავინ იყო 9 მარტს დაღუპულის ახლობელი, – ვინმე რომ ყოფილიყო, აუცილებლად გამოგვეხმაურებოდა. ახლა მაინც აღარავის შევმინდებოდა გაცხადების, მაგრამ როგორც ჩანს, სულ ეს იყო მსხვერპლი... გულდასაწყვეტია, რომ მათ სახელზე შემორიალური დაფაც კი არ გვაქვს... სხვათა შორის, არც „ცხრაპირილელებს“ გაუკეთეს რაიმე განსაკუთრებული, არადა, ნუთუ ეს ასე ძნელია?!

... 9 მარტის ტრაგედიამ იმსხვერპლა 15 წლის თენგიზ შანიძე. მისი ძმა – ბატონი ჯემალი იხსენებს:

– ისეთი დრო იყო, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყველა გასული იყო ქუჩებში. მეც იქ ვიყავი, ჩემი ორივე ძმაც. მე და უფროსი ძმა დაბრუნდით. მამაჩემი – აკაკი შანიძე (მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორი. – რედ.) – გარეთ იდგა, გველოდებოდა. თენგიზი სად არისო – მკითხა. ცალ-ცალკე ვიყავით-მეთქი. იქ კი იმდენი ხალხი იყო, ძნელად შეგვხვდებოდით ნაცნობს. სროლები რომ იყო, გავიგეთ და გადავწყვიტეთ, წავსულიყავით მოსაძებნად. დედაჩემი და ჩემი უფროსი ძმა ტრამვაის ხაზს გაჰყვნენ, ყოფილი კალინინის ქუჩისკენ, მე და მამა – პლენაროვის გამზირს გაუყვევით. გზად მეორე საავადმყოფოსთან გამოვიარეთ. მამამ მითხრა – მოდი, შევიდეთო... ჩავედით. ეზოში ბევრი ხალხი ირეოდა, კარი კი დაკეტული იყო, არავის უშვებდნენ შენობაში. მამაჩემი ნაცნობმა ექიმმა დაინახა. ცოტა ხანში კარი გაგვიღეს და შეგვიყვანეს. თურმე ჩემი ძმა დაჭრილი იყო და ოპერაციას უკეთებდნენ. დიდხანს გრძელდებოდა ოპერაცია. გამთენიისას გადმოიყვანეს პალატაში. ცოტა ხანს იცოცხლა. ერთი რამ მახსოვს: მიტინგზე თურმე ახალგაზრდები მოითხოვდნენ – „სალუტი“ გაუშვანო. როცა თენგიზი გონზე მოვიდა და თვალი გაახილა, მე დამინახა, მის ფეხებთან მდგარი. მითხრა: „სალუტი“ იქნებაო!.. დღლით მე და ჩემი ძმა სკოლასა და ინსტი-

ტუტში უნდა გამოვცხადებულყოფიყავით. საავადმყოფოდან წამოვედი. ხომ არ უნდა დარღვეულიყო საბჭოური რწმენა – „ყველაფერი რიგზეაო“... ვიყავი სკოლაში. რომ დაბერუნდი, მალე ჩემი ატირებული მშობლები მოვიდნენ: თენგიზი აღარ იყო. დაიწყეს ჩვენს ოჯახში სიარული რაკომის მდივნებმა, ქლაქომის პირველმა მდივანმა, კომკავშირის ცეკოს წარმომადგენლებმა. თავის თავს აღარ ჰგავდა მამა, ისინი კი გვეუბნებოდნენ: არაანირ ხარვეზზე არ იფიქროთ, ყველაფერს ჩვენ გადავიხდითო: სასაფლაოს, დაკრძალვის თანხებს გულისხმობდნენ. მართლაც გადაგვიხადეს. ოღონდ კი ჩემთავრებინათ ეს ამბავი და უხმაროდ მოვეშორებინეთ თავიდან... ნემტი არ გამოვკატანეს შინ – პირდაპირ სასაფლაოზე წავსვენეთ საავადმყოფოდან. სასწრაფო დახმარების მანქანაში, სადაც ჩემი ძმა ჩასვენეს, ჩავსვენეს ოჯახის წევრები, დედაჩემი და ბიძაჩემი. სულ 7 კაცი ვიყავით... ჩვენ გავაცივლეთ უკანასკნელ გზაზე. სასაფლაოს ალყა ჰქონდა შემორტყმული... აი ასე, არც ვგატირეს ჩვენი უბედურება...



იუზა წერეთელი

დედაჩემი დიდიდან სადამომდე დადიოდა, კითხვა-კითხვით მიაგნო სხვა „ცხრამარტლებს“ ოჯახებს, მისი დიდი ღვაწლია, რომ ჭირსა და ლხინში ეს ხალხი გაერთიანდა. მინდა ერთი რამეც ვთქვა: გული მწყდება, რომ დღეს იმ დაღუპულთა სამახსოვროდ თბილისში არც ძეგლი არსებობს, არც რაიმე მონუმენტი. რაიმე გრანდიოზულს კი არ ვგულისხმობ! უბრალოდ, მომავალი თაობებისათვის „ცხრამარტლების“ მოსაგონარ პატარა ძეგლს... „ცხრაპრილელების“ სახელები ქუჩებსაც ჰქვია... მათ კი, 1956 წელს შეწირულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს არავინ ასხენებს...

ბევრი ლამაზი სიცოცხლე დასრულდა მაშინ. რამდენი ნათელი მომავალი დაინგრა, რამდენი იმედი გაცრუვდა... ერთ-ერთი, იუზა წერეთელიც იყო... თვრამეტი წლისა ვერ გახდა. თავის დაბადების დღემდე, ერთი კვირით ადრე საფეთქელში მოხვედრილმა ტყვიამ მარად 17 წლის ბიჭად დატოვა; მისი ძმა, ბატონი გურამ წერეთელი იმ დღის შემდეგ ბავშვობაწართმეული, საკუთარი თვალთ ნახახ სისასტიკეს დღესაც ცხადად ხედავს:

– საოცრად, ბევრი ხალხი იყო გამოსული ქუჩაში. ზემოდან რომ გადახედავდი, პურის ყანასავით ირწეოდა და ღელავდა მთელი სანაპირო. მაგრამ ერთი რამ ვიცი ნამდვილად: არც ერთი მაშინდელი დაჭრილი და გარდაცვლილი, შემთხვევის მსხვერპლი არ ყოფილა. მე მახსოვს ფიცი, რომელსაც

ახალგაზრდები დებდნენ: თავს შევწირავთ შელახული თავმოყვარეობის აღდგენასო, მაშინ სტალინს განაქიქებდნენ და საქართველოსაც, როგორც სტალინის სამშობლოს...

იუზა ნიჭიერი, სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო. ის რომ ჩვენი სახლის აივანზე გიტართი ხელში მღეროდა, ქვემოთ გოგონები იკრიბებოდნენ და უსმენდნენ. გარეგნობაც თვალში საცემი ჰქონდა. მაღალი,

მოხდენილი ბიჭი გახლდათ. მოასწრო, ოპერის თეატრში ხალხური ცეკვის სოლისტი ყოფილიყო. მისი გარეგნობისა და მონაცემების გამო, – ეპიზოდურ როლშიც გადაიღეს ფილმში „ეთერის სიმღერა“. იმ უბედურების შემდეგ ეს სურათი „დაჩეხეს“, იუზას სახე ყველგან ამოჭრეს... მეორე ფილმშიც – „ბაში-აჩუკში“ უნდა გადავლეთ. უკვე სინჯებიც გავლილი ჰქონდა... ის-ის იყო, უნდა დაწვებულიყო გადაღებები, ეს უბედურება მოხდა. შემდეგ ლეო ესაკიამ სხვა მსახიობის ტებნა დაიწყო. „ბაში-აჩუკის“ მთავარ გმირად ახლა ოთარ კობერიძე აირჩია.

მახსოვს, როგორ ჩავედით პროზექტურაში მე და იუზას მეგობარი. ორმოცი საფეხური იყო მიწის ქვეშ სარდაფში ჩასასვლელი. გრძელი ღერფიანი სავსე იყო გვამებით. იუზაც იქ იყო...

– თქვენ თვლით, რომ მაშინდელი მსხვერპლი 27 კაცს აღემატებოდა?

– აუცილებლად! ამ ზღვა ხალხს ესროდნენ, ჩეხდნენ, ხიდიდან ყრიდნენ... იმ პერიოდში საქართველოს კუთხე არ დარჩენილა, რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იქიდან ქართველები არ ჩამოსულიყვნენ თბილისში და მიტინგებში მონაწილეობა არ მიეღოთ. რაიონებში მცხოვრებმა ზოგმა

მშობელმა ვერც გაიგო, სად იყო მისი შვილი. ტრაგედია რომ მოხდა, გიზეთში არაფერი დაუწერიათ და რადიოთი არ გამოუცხადებიათ. ვინც იმ დამესვე არ იპოვა თავისი მიცვალებული, ამბობდნენ – სამძო საფლავებში დაკრძალესო ქალაქკარეთ, ზოგი მტკვარშიც გადაყარესო. მაშინ ხმას ვერავინ ამოიღებდა. ორი-სამი კაციც ვერ გაჩერდებოდა ერთად.

56 წლის 9 მარტს, გარდაცვლილთა გარდა, ბევრი დაჭრილიც იყო... ბატონი ჯონი გაბედავა ერთ-ერთი დაჭრილთაგანია. მას ქული ტყვიამ გაუხვერიტა, შუბლთან დაიჭრა კიდეც, ოღონდ მსუბუქად – ძვალმა აისხლიტა...

– მომდევნო დღეებში გარეთ ვერ გამოვდიოდით. თუ ვინმეს შეხვეული ექნებოდა ჭრილობა ან საავადმყოფოს მიაკითხავდა, იმ წუთში „აიყვანდნენ“. სახლებში, ჩუმიდ ვმკურნალობდით, ექიმებმა ბევრი გადაარჩინეს სიკვდილსაც და მთავრობის რისხვასაც. მე და ჩემს მეგობარს – შოთა ჩიკაშვილს დაჭრილი გამოგვყავდა, როცა დავმავდი... დიდი არეულობა იყო, ვინ საით გარბოდა, არ ვიცოდით. კავშირგაბმულობის სახლიდან ტყვიების წვიმა მოდიოდა... ერთი რამ მინდა აღვნიშნო: იმ დღეებში მთელი საქართველო ერთიანი იყო. საიდანაც არ უნდა წამოსულიყავი, მანქანა, ავტობუსი უფასოდ მიგიყვანდა მიტინგამდე. სახლებს არ ვკეტავდით, არც ტრანსპორტს, მაგრამ არაფერი იკარგებოდა. თუ ვინმე დაკარგავდა რამეს, ერთ ადგილას აგროვებდა ხალხი ნაპოვნ ნივთებს. ასეთი სიყვარულითა და რწმენით ვიყავით ყველა ანთებული...

ბევრ ტყვიულს იტყვს ისტორია. საქართველოს წარსულში იშვიათი როდია გოდებით სავსე დღეები და წლები. 9 მარტიც ერთ-ერთი იმ დღეთაგანია, ერთი განსხვავებით: ის გამოირჩევა გულში ჩაბრუნებული მართალი სიტყვით, ვერგამოთქმული მწუხარებით, ჩუმიდ ჩაყლაპული ცრემლებით...

წინა პლანზე, მარჯვნივ – ჯონი გაბედავა. 1956 წელი



6060 შეპარდნაპე

— ბატონო ნოდარ, სტალინის კულტის წინააღმდეგ მონაწილე აქცია თავისი შინაარსით, უფრო მეტის მოქმედი იყო, ვიდრე იმ დროს ფიქრობდნენ?

— მიტინგის რეალური შინაარსი სტალინი კი არ იყო, არამედ საქართველო. ეს მიტინგი მიმართული იყო იმ გაძლიერებული ანტი-ქართული კამპანიის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო სტალინის სიკვდილის შემდეგ და თავის აპოგეას მიაღწია 1956 წელს. რუსებში გავრცელებული იყო აზრი, რომ საქართველოს არ შეეძლო არც კოლმეურნეობა, არც რეპრესიები, არც ომი და სხვა უბედურებანი საბჭოთა კავშირის არსებობისას. ისინი თვლიდნენ, რომ საქართველო აქამდე არსებობდა სტალინის წყალობით და რაკი ის აღარ არის, საქართველოს არსებობაც შეუძლებელია. რუს ჯარისკაცებს სროლის ბრძანება ჰქონდათ, მაგრამ ფსიქოლოგიურად, ეს ნებართვა უფრო იყო: მე საკუთარი თავით დავინახე, რომ მათ უხაროდათ სროლა, ისინი სიამოვნებით გაუღებდნენ მთელ თბილისს. ეს იყო პირველი ქუჩის აქცია, ღია გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მანამდე იყო 2 აშხოხება, ციხიბრძოლა — საკონცენტრაციო ბანაკებში და ნოვოჩერკასკში იყო კიდევ გამოსვლა, რომელსაც პატარა მსხვერპლი მოჰყვა. იმ ოფიცერმა, რომელიც ამ რეპრესიას ხელმძღვანელობდა, მერე თავი მოიკლა. საქართველოში თავი არავის მოუკლავს — მშენებრად შეირგეს ეს სისხლი, შეფასება გააფორმეს ისე, ვითომ სულ 4 ადამიანი მოკვდა. დასავლეთმაც არავითარი რეაგირება არ მოახდინა, რადგან ეს გამოსვლა, სტალინთან იყო დაკავშირებული.

— ბატონო ნოდარ, მიტინგის ორგანიზატორების შესახებ რას გვეტყვით?

— ამ მიტინგის ინიციატივა ეკუთვნოდა სტუდენტებს და რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს, რომლებმაც ისე კარგად არ იცოდნენ ქვეყნის ისტორია, ის, თუ რა დანაშაული მიუძღოდა სტალინის ქართველების წინაშე.

მიტინგის დამრბევი იყო მე-8 პოლკი, რომელიც ახორციელებდა სროლებს, მაგრამ ქალაქი გადავსებული იყო ჩვეულებრივი, საველე ნაწილებით. ღამით გამოჩენილი ტანკები, რომლებიც „ინტურისტის“ წინ ტრიალებდა და ხალხს მუხლსუბოებით სრესდა, მე-8 პოლკს არ ეკუთვნოდა. ტანკები მათ არ ჰყავდათ. დანაშაულებით ვერ გეტყვით, მაგრამ ერთმა მითხრა, მაგათ „როტა საპრაგაუდინა“ ერქვაო. მსხვერპლის რაოდენობა 500-დან 1200-მდე მერყეობს. რამდენჯერმე, დაახლოებით 20-ჯერ მიიტანეს იერიში კავშირგაბმულობის სახლზე. უშიშროების კომიტეტიც იქვე იყო. პროვოცირების მიზნით, ჩაკეტული ჰყავ-



9 მარტის სოცვა-ულეტა და თავდასხმა სრუშროვზე

ღათ ბიჭები შენობაში, ჯარისკაცები იდგნენ კიბეზე. ყოველგვარი გამაფრთხილებელი გასროლის გარეშე, პირდაპირ ხალხს უშენდნენ ტყვიებს. სროლები იყო სადღურის მოედანთან. იქ პისტოლეტებით ისროდნენ. დიდი ულეტა მოხდა სტალინის ძეგლთან. დაშლილი ხალხი გაიქცა კუკიის ხილზე, მაგრამ ხიდი შეკრული დაუხვდათ, ამიტომ ბევრი იქ ამოხიციეს და მტკვარში გადაყარეს. ერთი ქუთაისელი ვაგონა ხიშტზე წამოაგეს. კინოსტუდიაში მუშაობდა ნანა ჭონხელიძე — ისიც ხიშტით იყო დაჭრილი...

— ბატონო ნოდარ, მეორე დღეს, თუ გახსოვთ, რა ხდებოდა?

— ყველაზე საშინელი სურათი იყო 10 მარტს, ქალაქი მკვდარი იყო. ბევრი გამოსული იყო კავშირგაბმულობის შენობასთან. ვინც დაჭერილი ჰყავდათ, იმათი გამოხსნა იყო საჭირო. სრული დუმილი სუფევდა. ქუჩებში დაქროდნენ სამხედრო ჯიპებით. 9-ში, პარასკევს მეც დამიჭირეს კოლმეურნეობის მოედანზე და ერთი კვირა ვიყავი უშიშროების შენობაში. 10-ში 5 სთ-თვის ოთახში აღარ ვეტოვდი. „საჭირო ოთახში“ გავეყავით ხოლმე, სადაც ვიწრო ფანჯარა ჰქონდათ შეღებული. იქიდან გავივინეთ ავტომატის ჯერი — „ზარმაცი“ სროლა, პატარა ჯერი, მერე დიდი პაუზა. სრული შთაბეჭდილება იყო იმისა, თითქოს სროლა გრძელდება და სადაც ვილაცას ესვრიან. ვიფიქრეთ, ქალაქში სოცვა გრძელდებაო. ერთი წითური მეთვალყურე, ზემდევი იყო, იმან „ამოიწვიტა ყველაფერი“ — გარეთ სიწმინარეაო. მრავალი წლის შემდეგ, ერთმა იურისტმა მითხრა — მაშინ 72 კაცი დახვრიტეს, ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშეო.

— ბატონო ნოდარ, ნიკიტა სრუშროვს ქართველების გასახლება უნდოდა, ამის შესახებ რა იცით? და

პოლიტიკოსთაგან თუ ვინმეს მიუხედავად საზოგადოების ყურადღება 1956 წლის ტრაგედიისადმი, უპირველესი ბატონი ნოდარ ნათაძეა — თავადაც ამ სოცვა-ულეტის მოწმე და თვითმხილველი. თუმცა სტალინელი არც მაშინ ყოფილა და ამიტომაც იმ აქციების კონკრეტულ მოთხოვნებს არ იზიარებდა. მათი სულისკვეთება ბატონი ნოდარისთვის ახლოც არის და ტკივილიანაც. ეს ტკივილი მან თავისი ბროშურით — რამდენიმე წლის წინ დასტამბული „სისხლიანი პარასკევით“ გამოხატა.

კიდევ — გამიგია, ვილაც ორი ქართველი კაცი სრუშროვის აფეთქებას აპირებდაო.

— ქართველების გასახლება რომ უნდოდა, ამის კონკრეტული მოწმეც არსებობს. ამაზე თავის დროზე ზვიად გამსახურდიამაც დაეწვდა „ოქროს საწმისში“ მასალა. არის კაცი, რომელმაც გადასახლებაში ყოფნისას, საკუთარი თვალთა ნახა დიდი ტრამალები — ვოლგის იქით უერთლება კასპიის ზღვას შენაკადი ემბა, სადაც ახალი, განშტოებული გზატკეცილი იყო გაშენებული. ერთ მხარეს ეწერა — „სოვეტსკაია გრუზია“, მეორე მხარეს — „სოვეტსკი აზერბაიჯანი“. აშენებული იყო კოტეჯები და ბარაკები. მოკლედ, ასეთი გეგმა არსებობდა. რაც შეეხება ნიკიტას აფეთქებას, ესეც მართალია — იყო ორი კაცი, ერთს 25 წელი ჰქონდა მისჯილი და 1956 წელს გამოვიდა — ეს ალექო მელაძე გახლდათ, 1948 წელს დაიჭირეს, რადგანაც პოლიტიკურ ჯგუფს მეთაურობდა. მეორე იყო მექაბიშვილი. მათ ასაფეთქებელი ნივთიერება გამოართვეს ერთ ქართველ მწერალს, რომელსაც სათევზაოდ ჰქონდა გაღანახული. საქართველოს უშიშროება დაინტერესებული იყო, რომ ეს ამბავი მიეჩქადა, მაგრამ დამნაშავენი არ მალავდნენ ამ ფაქტს. მელაძეს სამელიცინო ცნობა ჰქონდა და აღარ გაასამართლეს, მექაბიშვილს კი დახვრეტა მიუსაჯეს. დედამისი მანქანასთან ჩაუვარდა ნიკიტას, რომელიც იმ მომენტში წყნეთში იმყოფებოდა და სრუშროვს შეიწყვალა... ამჟამად ალექო მელაძე ცოცხალი აღარ არის. სიცოცხლეში კი ჩემთვის ნათქვამი აქვს: ჩვენ გვინდოდა იმის დემონსტრირება ისტორიის წინაშე, რომ 1957 წელს საქართველო ცოცხალია და ვილაცა არის, ვისაც უნდა, რომ სისხლი აიღოს იმ საშინელი სოცვა-ულეტისთვისო...

მარტივი ჭეშმარიტებაა: ექიმმა თუ ავადმყოფი შეიძულა, რაც არ უნდა ეცადოს, ვერ გამოაჯანმრთელებს. ჟურნალისტებიც ასე ვართ. რაც არ უნდა გვძულდეს რესპონდენტი, თავი უნდა შევიკავოთ, ჩვენი ემოციები მის მიმართ არ უნდა გამოვხატოთ, მით უმეტეს, თუ ეს გრძნობა — უკიდურესი ზიზღია...

ნარმოიდგინეთ, ახალგაზრდა ქართველი კაცი, რომელიც თავის „პადელიკებთან“ ერთად არასრულწლოვან, უმეტესად სოფლელ გოგონებზე „ნადირობს“. თავს შეაყვარებენ, შეაცდენენ, თბილისში ჩამოიყვანენ და, გახრწნილებს შემდეგ, ქუჩაში, კლიენტების გამოსაჭერად უშვებენ.



სუბანიტი გახიზნა მოგონებს უნდა ჯიღოს

გვიან ჩაკვება

... გვიანი საღამო იყო, შინ ვბრუნდებოდი. ის იყო, ვაგზლის მოედნის გადაჭრა დავაპირე, რომ მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე დავინახე — ახალგაზრდა კაცი, ასე, 15-ოდე წლის გოგონას გამეტებით ურტყამდა. გოგო მოძალადეს არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა, მხოლოდ აკანკალებული ხელებით ძლიერი მუშტებისაგან სახის დაფრავას ცდილობდა. იქვე 4-5 ბიჭი იდგა, რომელიც ამ სასტიკ სცენას გულგრილად ადევნებდა თვალს. ეტყობოდათ, რომ ერთი „ბანდის“ წევრები იყვნენ.

გულგრილად ვერ ჩაუვლიდი, არადა, გამოსარჩლებაც შეიძლებოდა ძვირად დამჯდომოდა. ამიტომ ეშმაკობას მივმართე და პოლიციელობა გავითამაშე.

— რა ხდება აქ? სულ გახვედით თავს! ტყეში ხომ არ გკონიათ თავი?!

ხერხმა გაჭრა:

— არაფერია, უფროსო, ერთი-ორი ჭკუის სასწავლებლად შემოვარტყე ამ ნადირალას... — ცემას თავი ანება ქერათმიანმა, რომელიც, როგორც ჩანს, მათი წინამძღოლი იყო.

— ახლავე დაიშალეთ ყველა, თორემ... — ისევ იმ რიხით და კილოთი განვაგრძე თამაშს.

— კაი, ხო, მივლივართ, — მერე გოგოს მიუბრუნდა, კბილებიდან გასცრა — ახლა დამეკარვე აქედან... და ისევ ჩემკენ წამოვიდა, მლიქნელურად გამოიღმა:

— უფროსო, წამო, თითო ჭიქა „ჩავარ-

ტყათ“, თან დავილაპარაკოთ. არ ვარ მე ცული კაცი — ვისაც გინდა, ჰკითხე განყოფილებაში და გეტყვიან, რომ სიტყვის კაცი ვარ. ჟურნალისტურმა ინტერესმა თავისი გაიტანა — ვფიქრე, ერთი კეთილი საქმე ხომ გავაკეთე, ახლა უჩვეულო ინტერვიუსაც გამოვკრავ-მეთქი ხელს...

სასადილოში შევედი. ოფიციანტს შეკვეთა მივეცით.

— რატომ სცემდი?

— ოხ მე მაგისი... სამი დღის წინ ერთმა „მერსელესიანმა“ ბიძამ ჩემთან „წათორმუნა“ და კაი სუფთა ნაშა მისოვა. მე ეგ მათხოვარი მოუყვანე. ერთი დღით მინდაო. შევატყვე — ფულით გაძევილი „მელეხი“ იყო და 100 ლარი მოვთხოვე. ეგრევე ამოიღო ფული და „ჩამასუტა“. კაი ტიპი იყო,რა. ამ წაკლას ვუთხარი — რაც გთხოვოს, ყველაფერი შეუსრულე და შეიძლება კიდევ „მოწველო“, ისეთი კაცი ჩანს-მეთქი. ისე ყველაფერი კაი ავიხდეს, როგორც ეგ ჩემი სიტყვა გამართლდა. წაუყვანია იმ ბიძას თავის „ხატაში“, კაი ზომიანად უბანაგებია, კარგი სუფრაც გაუმლია. „შკაფი“ გაუხსნია და სულ ცინცხალი ცელოფანიანი მაგარი „ფირმა შმოტკებიც დაუადებია“ — „კოლოტკებიდან“ დაწყებული, კაბით დამთავრებული. თავისი ხელით გაუხდია ამ მაიუნისთვის ძონძები და თავისივე ხელით ჩაუცმევია. მოკლედ, ის ბიძა იმპოტენტი გამოძღვარა და მთელი ღამე აცმევდა და ხდიდა თავის ნაჩუქარ „შმოტკებს“. სხვა არაფრის თავი არ ჰქონია საწყალს და რა ექნა... ისე ძან კი მოუნდომებია — გოგომ მითხრა,

ქათამივით ყლაპავდა „ვიაგრას“ აბებსო, მარა ამანაც არ უშველა. დილას კი, — წარმოიდგინე, ტო! — 200 ლარი უჩუქებია, თან უთქვამს, ერთ კვირაში კიდევ მოდიო, ამ „ახვარს“ კი ბიძასაგან ერთი 58 გრამიანი ბაჯალლო ოქროს „ცეპი“ „აუხევია“ და ისე წამოსულა. გუმინწინ იყო ეს ამბავი: დაბრუნდა და ნაჩუქარიდან მხოლოდ 100 ლარი მომცა, მეორე ასიანი კი დამიმალა, არც ქურდობის თაობაზე უთქვამს რამე. დღეს კი იმ ბიძამ მომძებნა და ყველაფერი მითხრა, თან დამემუქრა — „ცეპს“ თუ არ დამიბრუნებ, დედას გიტრებო. ახლა მითხარი — არ იყო საცემი? თან ამ შტერს მოპარული „ცეპი“ კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული. — სუტენიორმა ჯიბიდან ოქროს ძეწკვი ამოიღო: — ა, ნახე, რა მიძივა, 1.500 ლარი მაინც ეღირება ოქროს ბირჟახე.

— გაყიდვას ხომ არ აპირებ?

— რა ვიცი, ვფიქრობ. ეგ კაცი აწი ჩემთან არ მოვა და ჩივილითაც ვერ მიჩივებს. თუ ბევრი „გაანამახა“, ყველას მოვდებ — იმპოტენტი მამამადლია-მეთქი და მორჩება ამით „ბახარი“, მაგრამ ჯერ უნდა გავიგო, „შავებთან“ რა კავშირშია. თუ „ფრაერი“ აღმოჩნდა, ჩემს ფეხებს მივცემ...

ამსობაში თითქმის ერთი ბოთლი არაფი გამოცალა და უფრო ენაწყლიანი გახდა.

— ისე, კაცურად რომ გითხრა, ამ „ცეპის“ ფულით ერთი კაი ვიდეოკამერის ყიდვა მინდა... ერთი იდეა მაქვს...

— რა იდეა?

— შენ კაი ტიპი ხარ და თუ დამეხ-

ტესტი ერუდიციისაზე

1. ქალის ყველაზე დაბალ სასიამოვნო ხმას ეწოდება:



- ა) კრონი;
- ბ) სოპრანო;
- გ) კონტრალტო.

2. მსოფლიოს რომელ უდიდეს მუზეუმში ინახება ლადო გუდიაშვილის სურათები?



- ა) „პრადოში“ (მადრიდი);
- ბ) „ლუვრში“ (პარიზი);
- გ) „ერმიტაჟში“ (პეტერბურგი).

3. ძვეყანა, სადაც მონარქი ტახტზე ადის არა მთავრად, რომელი არამედ არჩევითი გზით:



- ა) დანია;
- ბ) ინგლისი;
- გ) მალაიზია.

3. დიდი რუსი კომპოზიტორი, რომელსაც თბილისში განსწავლეს დროს, ძუთაინიდან მთელი ვაგონი შრომანი გამოუგზავნეს:



- ა) ჩაიკოვსკი;
- ბ) შოსტაკოვიჩი;
- გ) რახმანინოვი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მარები, მაგარ მაყუთს ვიშოვით... ხომ იცი, ჩემთან ხნიერი და მოხუცებული „მაყუთისტები“ მოდიან – ნორჩი, წიწკი ბოხები უყვართ. აბა, სხვა ასაკის ქალები მაგათ უკვე აღარ აინტერესებთ... ერთი კაი გოგო ჰყავს ჩემს „პადელნიკს“ სოფელში შერჩეული. გაჭირვებული ოჯახიდან არის. პატრონი ან ნათესავი არ ჰყავს – ერთი დედა ჰყავს და ისიც აგერ, თბილისში, ონკოლოგიურში წევს: საწყალს, კიბო ჰქონია. იმ ქალს კიდევ სამი პატარა ბავშვი ჰყავს. მოკლედ, ჩემი „პადელნიკი“ ინახავს მაგ ოჯახს, ქვეყანა ფული სჭირდებათ. მარტო კიბოს მკურნალობა თქვე, რა ღირს. ორი წელია ჩვენ ვარჩენთ, რა ვიცი, რამდენი მაყუთი დავხარჯეთ. ახლა საქმე ისეა, რომ დედამისი ერთ-ორ თვეში, ასპროცენტებიანი მოკვდება. ეს საავადმყოფოს ექიმებმა გვითხრეს. დამარხვასაც ხო ფული უნდა... ჰოდა, იმ გოგოს ჩვენს იქით გზა არა აქვს, თანაც, დარწმუნებულია, რომ ჩემს „პადელნიკს“ უყვარს, თვითონ ყურებად შეყვარებული... მოკლედ, სიმონ, მაგის „მოჩანთვას“ არაფერი უნდა. ისე, სხვათა შორის „პადელნიკსაც“ ერთი მომენტი შეუყვარდა და ცოლად მოყვანასაც კი აპირებდა, ისეთი ლამაზია, ოხერი, მაგრამ ჩემებურად, უცბად, მოეყვანე ჯკუაზე... მაგ გოგოს თბილისში რომ ჩამოეყვანა, ქვეყანა „მელენი“ მილიონერი დაიხვევება. ავდგეთ და გოგოს ჩანთაში ვიდუო ჩავუდოთ და როცა „სექსობას“ დაიწყო, გადაიღებს. ეგ ბიძები ისეთ რადაცებს აკეთებენ ჩემს პატარა „წაქლებთან“, რომ გადაგვადებინა, მაგარ ფულს „მოიწველებიან“. ა, სიმონ, რას იტყვი, ხო მაგარი იდეაა?

– ეგ ჩვეულებრივი შანტაჟი იქნება და შენც და მეც შეიძლება მაგრად „გაგვკვდონ“.

– კაი, ერთი, თუ ძმა ხარ, ვინ უნდა დაგვიკვიროს, შენმა უფროსმა? ხმასაც არ ამოიღებს: თავისი წილი მივცეთ და სამარე იქნება. სანამ „ბეზარიდებლობა“ ქლაქში, მანამდე მოვასწროთ, თორემ მერე გვიანი იქნება... შარშან ზამთარში დიდი ფული დამჭირდა რაღაც საქმისთვის და ერთ ბიძას ზუსტად მასეთი „შტუკა გავუწალიჩე“, არადა – რა კასეტა, რის ვიდუო – ყველაფერი „ტუფტა“ იყო. იმ ტიპს ჩემს „პადელნიკთან“ ჰქონდა საქმე. მორე დღეს „წაქლამ“ ყველაფერი ზუსტად „ჩავიყვანა“ – როგორი ავეჯი და სერვიზები აქვს, სახლში სად რა დგას, როგორ „ეჩალიჩებოდა“ პატარა ბოზს „ბაბუა“... ყველაფერი მაგრად დავიმახსოვრე და სამსახურში მივადექი. მაგარ თანამდებობაზე მუშაობდა, თანაც ისეთ

დროს მივედი, რომ სამსახურში მაგის მეტი არავინ იყო და შენ რომ თქვი – შანტაჟიო, ის მოუწვევებ. ბევრი არ „გაუჩინებია“, ორი ათასი „დაყაჭა“ გვრევე და კიდევ ორი ათას დოლარს მეორე დღეს შემპირდა. მნახა, რა, სიმონ, არიფი – იმის ჩიტი ვიყავი, მეორე დღეს მასთან მივსულიყავი?! ხომ დამახვედრებდა „ვერხილა“ ბიჭებს... ა? ხომ ვარ, სიმონ ჯკვიანი ტიპი!

– ჯკვიანი კი ხარ, მაგრამ ამ საქმეს კარგი დაფიქრება უნდა. ახლა რამდენი გოგო გყავს „პარამხანაში“?

– პარამხანაო (იცინის), ეგ რა კაი რამე თქვი, ტო!... თორმეტი არიან. მარა აქედან მარტო სამია „ვიში პილოტაჟის“ გოგო, ორს კიდევ არა უშავს რა, დანარჩენები გაბანდნენ. ამათი დედა ვატირე, ტო, ყოველ წელიწადს გოგოებიც ახალი გინდა: უცბად მახინჯდებიან და იმჯარებიან! რა ჯანდაბა სჭირთ, ვერ გავიგე, ერთმა ექიმმა მითხრა ვენდისპანსერში, რომ საერთოდ, თურმე მოუწიფებელ ქალებს ემართებათ ეგ. „ახურებს“ ეგ ექიმი და მეტი არაფერი. ბებიჩემი 14 წლის გათხოვდა, მარა ქალი ვერ სჯობდა რაიონში.

– ვენდისპანსერზე გამახსენდა. შენს გოგოებთან საქმის დაჭერა სარიცხოა?

– არა, ტო! მაგენის მკურნალობასა და გასინჯვაზე იცი რამხელა მაყუთს ვხარჯავ? ახლა ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა, თქვენც ხომ გინდათ, პოლიციელებს... მოკლედ, ქვეყანა ხარჯი მაქვს. ამიტომ ყველას გამომუშავების მინიმუმი დავუწესე – 30 ლარს ვაძლევ. თუ მეტს მოიჭანს, ზედმეტი თანხიდან 10% მისია – მეტი რა უნდაა?! ვერავინ ვერ „გადაავდებს“, თითს ვერ დააკარებს. აბა, სხვები ნახეთ, ვინც ჩვენ გარეშე მუშაობენ – დაღეწილი აქვთ ძვლები.

– ამ პატარა გოგოების „შებმას“ როგორ ახერხებთ, ან ისინი როგორ ვთანხმდებიან?

– თხუთმეტი წლის გოგოს, თანაც სოფელში გაზრდილს, ჯკუა სადა აქვს?! მაგენმა ოღონდ ლამაზი, მანქანიანი ბიჭი დანახონ, თან თუ გიტარაზე დაკვრა იცის, ხო სულ აფრენენ – ერთი-ორი ღამე ფანჯრებთან გაათენე, ერთი „სერენადა“ უმღერე, სიყვარული აუხსენი და სიკვდილამდე შეგიყვარებს... მაგრამ პატრონიანი გოგოებისაგან თავი შორს უნდა დაიჭირო, თორემ „მოგეხახება“... ცოტა კი დავთვრი... მოდი, ახლა მოვრჩეთ და ხვალ ისევ იმ ადგილზე შევხვდეთ. მე რაც ვითხარი, იმაზე იფიქრე, იქნებ, ჯკუაში ჩავივდეს. მაგარი „პონტა“, რომ იცოდე...



სუფთა, კრიალა კანი სილამაზის განუყოფელი ატრიბუტია. ხშირად უღამაზესნაკვთიანი ქალი ყურადღებას სწორედ იმიტომ ვერ იპყრობს, რომ კანის ცუდი მდგომარეობა შეუმჩნეველს ხდის მის ღირსებებს. ასევე ხშირად, ფრიად უბრალო, პროვინციული სახე, სუფთა, ხავერდოვანი კანის წყალობით მთვარესავით ანათებს. რამდენჯერ გვსმენია ვინმეს მისამართით ნათქვამი ფრაზა — მთელი მაგისი სილამაზე კანია!



ჭორფლი — მზის „კონსა“, რომელსაც ყველა ბავშვის

მელა მოგსაპე

კანის სისუფთავეს დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი ბებიები. მაღალ საზოგადოებაში ჭორფლი და პიგმენტური ლაქები ცუდ ტონად თვლებოდა, ამიტომ ზებური მანდილოსნები გამორჩეულად ზრუნავდნენ, რომ მათ კოსმეტიკურ არსენალში ყოველთვის ყოფილიყო კანის მოსაველი სხვადასხვა საშუალება: კრემი, ლოსიონი, ტუალეტის წყალი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხური კოსმეტიკოლოგიის მეთოდები. თუცა, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მაღალი საზოგადოების ქალბატონებს ნაკლებად უხდებოდათ მზეზე ყოფნა, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, კინოფილმებიდან კარგად ცნობილი ფართო ქუდები, პირბადეები და ქოლგები ჩინებულად იცავდა მათ მზის „კონსიდან“; მხრებს და ხელებს კი წამოსასხამებით იფარავდნენ.

თანამედროვე მანდილოსნებს ცხოვრების წესი ნაკლებად აძლევს ასეთი ფუფუნების საშუალებას, თუ, რა თქმა უნდა, მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მთელ დროს საკუთარი თავის მოვლას არ ახმარენ და ძვირად ღირებულ სალონებზე ხელი მიუწვდებთ. ჩვენს მანდილოსანთა ძირითადი მასა მოკლებულია ასეთ სიამოვნებას, მაგრამ, სურვილის შემთხვევაში, მინიმალური შესაძლებლობებითაც შესაძლებელია დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღება.

ჭორფლი და ლაქები დღესაც დისკომფორტის წყაროა, თუცა, ჭორფლის შემთხვევაში, პოზიცია ერთგვარად „შერბილდა“. წინწკლებით დაფარული პაჭუა ცხვირი კიდევ ამშვენებს, ხოლო, რთვ შემთხვევებში, ახალგაზრდაებს ქალის სახეს. ასე რომ, სანამ ჭორფლს ბრძოლას გამოუცხადებდეთ, კარგად დაფიქრდით, იქნებ სწორედ ამაშია თქვე-

ნი შარმი და განუყოვრებლობა?!

ჭორფლს იწვევს კანში პიგმენტის არასწორი განაწილება, რასაც მზის ულტრაიისფერი გამოსხივება პროვოცირებს უწვეს. ზამთარში ჭორფლი, როგორც წესი, ღიაფეხა და, ხშირად, სრულებით ქრება, მაგრამ გაზაფხულის მზეზე ყველაფერი თავიდან იწყება. უნდა ითქვას, რომ ჭორფლის მოშორების რადიკალური საშუალება, პრაქტიკულად, არ არსებობს და ყოველგვარ მეთოდს მხოლოდ დროებითი ეფექტი გააჩნია, თანაც ყოველთვის მოსალოდნელია რეციდივი. ამდენად, ჭორფლის მოშორების პროცედურაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია პროფილაქტიკა, ანუ დამცავი საშუალებების გამოყენება.

ჭორფლის მოსაშორებლად, უფრო სწორედ, მის გასაფერმკრთალებლად, გამოიყენება ამქერცლავი საშუალებები, რომელთა მოშხადება სახლის პირობებშიც შეიძლება. ვთავაზობთ ზოგიერთ ასეთ მარტივ რეცეპტს.

ემულსიები

- 1) ცხიმიანი, ფორებიანი კანისთვის: ათქვიფეთ ერთი კვერცხის ცილა, შეათქვიფეთ ერთი ლიმონის წვენი, ოთხი გრამი გლიცერინი და 100 გ არაყი.
- 2) ნორმალური და ცხიმიანი კანისთვის: წამოაღლეთ 100 გ რძე, ერთი ლიმონის წვენი, 15 გ არაყი და შაქარი. კარგად მოურიეთ.

ტუალეტის წყალი

ნორმალური და ცხიმიანი კანისთვის: შეურიეთ ათი გრამი პერეჰიდროლი, 10 გრამ გლიცერინი, 20 გ სპირტი, 80 გრამი გამოხდილი (ანაღლარი) წყალი. დაისველეთ სახე დღეში რამდენჯერმე.

მშრალი კანისთვის:

50 გ ხენდროს, ან მარწყვის წვეს შეურიეთ 25 გ გამოხდილი (ანაღლარი) წყალი და 5 გ გლიცერინი. გაიწმინდეთ სახე ამ ტუალეტის წყლით და შეიზილეთ მკვებავი კრემი.

ლოსიონები

ნორმალური კანისთვის:

3,5 გ ბორის მყავა, 20 გ ლიმონის წვენი, 30 გ 70 გრადუსიანი სპირტი, 70 გ ვარდის წყალი.

ნორმალური და ცხიმიანი კანისთვის:


20 გ ღვინის ძმარი, 10 გ ლიმონის წვენი, 100 გ გამოხდილი წყალი, 0,5 გ რაიმე სუნამო.

ცხიმიანი კანისთვის:


3 გ ბორის მყავა, 1 გ რძის მყავა, 1 გ სალიცილისმყავა, 20 გ ლიმონის წვენი, 40 გ 70 გრადუსიანი სპირტი, 50 გ გამოხდილი წყალი.

გარდა ამისა, ძალზე სასარგებლოა მყავე მაწვნის და მოხარშული ტყეშლის მასის ნიღბები, რომლის შემდეგაც უნდა შეიზილოთ მკვებავი კრემი.



ეფექტის მისაღებად აუცილებელია ამ საშუალებათა რეგულარული გამოყენება, ხოლო შესანარჩუნებლად ზამთრის ბოლოდან — გვიან შემოდგომამდე ნუ გახვალთ ქუჩაში ულტრაიისფერი გამოსხივების წინააღმდეგ დამცველი სპეციალური ტონალური კრემის გარეშე, რომელთა ასორტიმენტი ძალზე ფართოა. სცადეთ, თუნდაც ეკატერინბურგის "VISAGE" და „Чёрный жемчуг“, რომლებიც უცხოურ ანალოგებს არაფრით ჩამოუვარდება.



განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი პოპენსიული
განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი პოპენსიული
განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი პოპენსიული
განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი პოპენსიული



იპოვეთ კანონზომიერება და კითხვის ნიშნის ადგილას ჩასვით საჭირო რიცხვი:



$$17+13+9=39$$


$$15+14+10=39$$

$$22+18+X=46$$

$$19+12+15=46$$

სწორად იპოვეთ კანონზომიერება და კითხვის ნიშნის ადგილას ჩასვით საჭირო რიცხვი:

იპოვეთ კანონზომიერება მწკრივებში და განსაზღვრეთ, მოცემული ეჭვის ფიგურებიდან რომელმა უნდა დაიკავოს თავისუფალი ადგილი?




იპოვეთ კანონზომიერება და კითხვის ნიშნის ადგილას ჩასვით საჭირო რიცხვი:

$$2+ = 1- 3+$$

$$2- = 1+ 3-$$


$$2+ = 2- 3+$$

თქვენთვის უცხო რიცხვების დასაზღვრად (მაგნიტუდა) - იმპულსი დასაზღვრად (მაგნიტუდა) + იმპულსი დასაზღვრად (მაგნიტუდა) - იმპულსი დასაზღვრად (მაგნიტუდა) + იმპულსი დასაზღვრად (მაგნიტუდა)



«კომედი ფრანსეზი»

სოცხალი ლეგენდა



სამ საუკუნეზე მეტია, რაც „კომედი ფრანსეზს“ განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უჭირავს ევროპის თეატრთა შორის. თავისი ორგანიზებით, უძველესი ტრადიციებით, უწყვეტი არსებობის უნიკალური მოდელითა და ერთგული მაცურებელით დანყვებული, კონკურენტებით დამთავრებული — ყველას აოცებს და აჯადოებს.

პარიზი, XVII საუკუნის ბოლო: სპექტაკლები სრული ანშლაგით იმართება ძიულ ქალაქში. პიესები იღვმება ყველგან: თეატრებსა თუ სხვადასხვა დარბაზში, ქუჩებსა თუ ბაზრის მოედნებზე...

იტალიელი მსახიობები საფრანგეთის მოქალაქეობას იღებენ, ფრანგი მსახიობების გვერდით ჩნდება სხვადასხვა მოპაექრე თეატრალური დასი, რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის მეფის გულის მოსაგებად და ღვამს დიდი მწერლების — კორნელის, რასინისა და მოლიერის პიესებს. 1673 წელს, მოლიერის სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ ორი მოპაექრე მხარეა რჩება: გენეგოდის თეატრალური დასი (მოლიერის მეტეკვიდრე) და ტრაგიკული ფანრის სპეციალიზებული სასტუმრო — „ბურგონის“ დასი.

1680 წ. თორილიერი — სასტუმრო „ბურგონის“ თეატრალური დასის შეფი კვდება. დგება ომის საშიშროება, ლუი XIV ჩრდილოეთის საზღვრებს აკონტროლებს. მეფის ბრძანება, რომელიც 18 აგვისტოს იგზავნება შარლევლიდან, 22 აგვისტოს აღწევს დედაქალაქში: „მისი უდიდებულესობის სურვილია, პარიზში წარმოადგინოს ორი თეატრალური დასის გაერთიანება. მეფის ნებაა, თავის სამსახურში იგულოს



გაერთიანებული და ერთადერთი თეატრალური დასი, ხოლო მას, ვინც მეფის ბრძანებას არ დაემორჩილება, ამიერიდან ეკრძალება პარიზის თეატრში თამაში!...

ეს სიტყვები ორივე თეატრალური დასისთვის მენის გავარდნის ტოლფასი იყო, მაგრამ მოგვიანებით, სწორედ ამ აქტმა ჩაუყარა საფუძველი ფრანგული თეატრის დიდ საძირკველსა და მომავალს. დაბნეული რეჟისორები და მსახიობები სასწრაფოდ ადგენენ სპექტაკლების პროგრამას და უკვე სამ დღეში... ლა გრანჟი (1635-1692) სარეგისტრაციო ფურნალში აღნიშნავს: „მოულოდნელი გაერთიანების შემდეგ, პარიზის თეატრალურმა დასმა მუშაობა დაიწყო კვირას, 1680 წლის 25 აგვისტოს, „ფედრას“ წარმოდგენით...“

ძალიან მალე, ორივე დასის წევრებმა საუკეთესო მსახიობები (როგორც ისინი უწოდებდნენ — „მსახიობი-თილისმა“) შემოიკრიბეს და ერთ საზოგადოებად გაერთიანდნენ, რომელსაც შემდეგში „კომედი ფრანსეზის აქტუალური ორგანიზაცია“ ეწოდა...

„კომედი ფრანსეზის“ კოლექცია მის უძველეს და უძვირფასეს მეტეკვიდრობას წარმოადგენს. თეატრში შემონახულია ოთხასამდე ფერსურული ნამუშევარი, ორასორმოცდაათი ქანდაკება, ასეულობით დეკორაცია და სცენაზე დასამონტაჟებელი მოწყობილობები. ეს ყველაფერი როდია, თუ არ ჩავთვლით იმ კოსტუმებს, რომელთა რაოდენობაც ახალ სპექტაკლებთან ერთად იზრდება, თეატრის გარდერობი ათი

აფრიკის სახელმწიფო	მსახიობი დანაუკი	დედაქალაქი — ლაგოსი. სახელმწიფო — აზანი	... ანუ...	ციმციმე ანუ	სხეულის ნაწილი
გაიხი	ნაი	ნაი	ნაი	ნაი	ნაი	ნაი
„კეველა და ...“	მაგონიზირებელი ნივთიერება ჩაიში	სხეულის შეილა	„ხანუბა“ ... დარღვი-მანდიანც	ფერადი ნაზაგი წიგნში	სავედრებელი ლოცვა	



ვარძელი. ეს სავარძელი დიდხანს „თამაშობდა“ სცენაზე. ვიდრე სამუხეუძო ექსპონატად არ იქცა და თეატრის ფოიეში არ მიუჩინეს ადგილი.

სცენაზე ყოველი ფარდის აწვევა, თეატრალური გუნდის ხანგრძლივი შრომის დაგვირგვინება. მის ემბლემაზე შემთხვევით არ არის გამოსახული ფუტკრები — ეს არის „სკა“, სადაც დილის 8 საათიდან — გვიან ღამემდე ოთხასზე მეტი ადამიანი მუშაობს, რათა მთელი დღის განმავლობაში, რიშელიეს დარბაზში (ან სხვა დარბაზებში) ოთხი ან ხუთი სპექტაკლი იქნას მონაცვლეობით წარმოდგენილი.

მარტო ტექნიკურ ნაწილში, კულისებს მიღმა ორასამდე ადამიანი მუშაობს. როგორც კი დეკორაციებს შეიმუშავენ, „კომედი ფრანსუზის“ დასი ექვსი თვით ადრე იწყებს პრემიერაზე მუშაობას. 1994 წლიდან თეატრში ახალი სცენის მექანიზმი დამონტაჟდა, რომლის მეშვეობითაც ბევრად უფრო პრაქტიკული გახდა სცენაზე თუ სცენის მიღმა დეკორაციების დამონტაჟება და სხვადასხვაგვარი მანევრირება. დეკორაციებზე ერთობლივად მუშაობენ როგორც რეჟისორი და სცენოგრაფი, ისე მხატვრები, მოქანდაკეები,

დიზაინერები, მკერავები, მშენებლები, ზინკლები, ღურგლები, რკინისა და ალუმინის ოსტატები. დეკორაციებისთვის იყენებენ ხეს, რკინას, ტილოს, თაბაშირს, ალუმინს და რეზინს.

როგორც „კომედი ფრანსუზის“ გენერალური ადმინისტრატორი — ჟან-პიერ მიკელი აცხადებს, ეს არის თეატრალური ტრადიციების სიმბოლო, რომელიც ყოველთვის ცდილობს, უკვდავოს დრამატული რეპერტუარი და ამავე დროს, სცენაზე თანამედროვე და უცხოელ ავტორთა პარმონიული მონაცვლეობა წარმოადგინოს.

ეს არის პროფესიონალთა ოჯახი, რომლის „საფირმო კერძი“, უპირველეს ყოვლისა, ტრადიციებისაგან, შემდეგ კი — რისკის, ცნობისმოყვარეობის, აქტუალურობის, კლასიკურ და თანამედროვე რეპერტუართა უნიკალური შერწყმისაგან შედგება.

დღესდღეობით, „კომედი ფრანსუზის“ ყველანაირი შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ სრულად დააკმაყოფილოს მაყურებლის მოთხოვნები, დარჩეს მოწოდების სიმაღლეზე და კვლავ დაადასტუროს თავისი უნიკალურობა.

ეს არის განუმეორებელი თეატრი — არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ მსოფლიოში, რომლის რეპერტუარიც, მისი დაარსებიდან — 1680 წლიდან მოყოლებული, სამი ათასამდე პიესას მოიცავს...

ათასზე მეტ სამოსს ითვლის, რომელთა უმრავლესობასაც XVIII საუკუნიდან მოსდევს სცენის მტკერი...

„კომედი ფრანსუზის“ უმეტეს ნაწილსაც შემონახული აქვს აგრეთვე ძველი სამახსოვრო ნივთები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა მოლიერის სა-

<input checked="" type="checkbox"/>	ი. ხეიჩიას როლი ფილმ „განგაშში“	ქიმიური ელემენტი, რომელიც კიურიმ აღმოაჩინა	ვაზის წველი მტკერი	პარლამენტარი წერეთელი	საგანის ბინადარი ცხოველი
<input checked="" type="checkbox"/>	ფეხსაცმლის თასა	ხელის ფრჩხილების მოვლა	ესკიმოსების ნაფი	ძაღვის ჯიბი	შეურაცხალი
<input checked="" type="checkbox"/>					ლტვი ური მანქანა



იოვანე-გარაზვაჩე წამილანი ათონისა

წამილანი იოვანე მთაწმინდელის ხსენება ჩვენს მეხსიერებაში X საუკუნის მეორე ნახევრის წარსულს და ათონის მთაწმინდის მიერ დაარსებულ ივერიის მონასტერს აცოცხლებს. ამ უძვირფასესი ადგილიდან მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ეკლინებოდნენ მადლშემოსილი სასულიერო პირნი, აქედან იღებდა ქართული ეკლესია უნაკლო თარგმანებს, როგორც საღმრთო წერილისას, ისე საეკლესიო წიგნებისა. მეცნიერების ყოველი დარგის უპირველეს იარაღს ქართული ენა წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს განვითარებისა და წინსვლის მანათობელი იყო.

იოვანე ყოფილა ძალზედ ლამაზი შეხედულების, სახელოვანი მხედარი, ბრძენი გონებით და სულით ღვთისმცოდნე. მამა-პაპით ეკუთვნოდა წარჩინებულ თავადიშვილთა სახლს, რომელიც დაახლოებული იყო დავით III კურაპალატთან. იოვანე – სასულიერო სახელია ვარაზვაჩე ჩორდვანელისა.

მან ერთ დღეს ფარულად დაუტყუვა ამქვეყნიური ბედნიერება: ცოლი, შვილები, სიმდიდრე და მხოლოდ ქრისტეს ჯვრით აღჭურვილმა იმერეთის ერთ-ერთ მონასტერს შეაფარა თავი. მალე ადგა და სულ წავიდა საქართველოდან. უდაბნოებში მოღვაწეობის შემდეგ, ულუმბოს მთაზე დაიდო ბინა. თავიდან ჯორთა მწყემსველი, იმ დროის ათონის მთის სახელოვან სასულიერო მოღვაწეს ათანასე დიდს მიენდო. მან იოვანეზე ადრე დატოვა ულუმბოს მთა და ათონისაკენ გაემგზავრა, სადაც ქართველთა დიდი ლავრა დააარსა.

ამ დროს იოვანემ თავისი შვილი – ეფთვიმე (რომელიც ორი წელიწადი ბიზანტიის კეისარს ჰყავდა მძევლად სხვა

წარჩინებულთა შორის) დაიბრუნა და ულუმბოს მონასტერში მიიყვანა. ბავშვს ქართული ენა სულ დავიწყებოდა. მალე მძიმე სენი შეეყარა, ძლიერი ზურვებით იტანჯებოდა და ვერავინ შველოდა. იოვანემ ღვთისმშობლის ხატს შესთხოვა: „ნუ იწებებ, დედაო სახიერო, მომიკვდეს ძე ეგ ზომ ენადავიწყებული, ნუ ჩაუქრობ კიდევ ერთ სანთელს შენს წილხელომილ საქართველოს“. შვილთან დაბრუნებულმა სასწაული იხილა. ეფთვიმე ლოგინზე იჯდა, აღარაფერი სტკიოდა, უფრო დიდი სასწაული კი ის იყო, რომ ქართულად დაელაპარაკა მამას...

მალე იოვანე, შვილითა და რამდენიმე მოწაფითურთ გაუჩინარდა ულუმბოდან და ათონს მივიდა. ამ მთის შესახებ ქრისტიანული თქმულება არსებობს: მარიამ ღვთისმშობელი და იოანე მახარებელი ხომალდით კვიპროსისკენ მიემართებოდნენ. ზღვამ ისინი ათონის კლდოვან ნაპირზე გამოიყვანა. აქაური ბუნებით მოხიბლულმა ღვთისმშობელმა შესთხოვა ძეს, ებოძებინა მისთვის ათონის მთა. წამსვე გაისმა ხმა ზეციდან: „ამინ, ადგილი ესე საცხოვრისი შენი, წალკოტი შენი, სამოთხე და სალხინებელი!“

და ამიერიდან ეწოდა ათონის მთას „აგიოს ოროს“ – „წმიდა მთა“.

იმავდროულად საქართველოში საქვეყნოდ იყო ცნობილი იოვანეს უფროსი ძმა – თორნიკე ჩორდვანელი, რომელიც ერთ დღეს ბერის სამოსელში გამოეცხადა მას. იოვანემ აკურთხა და სახელად მასაც იოვანე დაერქვა. „სვინგელოზსაც“ უწოდებდა მას იოვანე. ათონის მთაზე ქართველები მომრავლდნენ. ამიტომ დადგა ჟამი, ახალი ეკლესიის აშენებისა. წმინდა იოანე მახარებლის სახელობის ეკლესიას სხვა სალოცავნი, სენაკნი და

სადგომნიც მიემატა.

იოვანეს მშვიდი ცხოვრება ბარდა სკლიაროსმა დაარღვია, რომელიც საბერძნეთის მეფეს განუდგა და სატახტო ქალაქის აღებით იმუქრებოდა. მცირეწლოვანი მემკვიდრეები – ბასილი, კონსტანტინე და დედოფალი თეოფანაც სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. ბოლოს, თხოვნაკვედრების წერილი გაუგზავნეს იოვანეს – თორნიკე გამოგვიგზავნეთო. თორნიკე უარზე იდგა – ისევ ქვეყნის შფოთში ჩამაგდებენო. იოვანემ დაიყოლია იგი. რასაც მოჰყვა თორნიკეს შებმა 12 ათასი ქართველი მეომრით სკლიაროსის ჯართან, ჰალისის პირას.

გამარჯვებული და ალაფით ავსებული თორნიკე ისევ ძმასთან ბრუნდება და მოტანილ ოქრო-ვერცხლთან ერთად, თავის ფარ-ხმალს გადასცემს. წმინდა იოვანე გადაწყვეტს ამ სიმდიდრით ღვთისმშობლის სახელობის ახალი დიდი ქართული ლავრის აშენებას, მთაწმინდის უმშვენიერეს ადგილზე. ამ კერამ შეიძინა სახელი „ივერონი“ ანუ „ქართველთა“. ივერონის კარიბჭის თავზე კი აღმართეს სასწაულმოქმედი ხატი მარიამ ღვთისმშობლისა. მას კარის ღვთისმშობელი უწოდეს. ტაძრის წინამძღვარი იოვანე – ათანასემ საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი ლავრის „სულიერ ეპიტროპად“.

ერთხელ, იოვანემ თავის შვილთან და კიდევ რამდენიმე მოწაფესთან ერთად გადაწყვიტა წასვლა „სპანიად“, სადაც ქართველთა ნათესავნი ეგულებოდა. რადგან თავის ძმის გამო, ისევ ჩავარდა შუღლით აღსავსე ერისკრებაში. ახლა კი სურდა შორს წასვლა და ზრუნვა სულისათვის. მაგრამ ბერძენმა კეისრებმა გადაათქმვენიეს იოვანეს ეს განზრახვა.

თითქოს ღმერთმა ბოლომდე ისურვა წმინდა იოვანეს გამოცდა. საშინელმა ნიკრისის ქარმა სარეცელს მიაჯაჭვა, მაგრამ იოვანე მხოლოდ მადლობას უძღვნიდა ღმერთს. უკანასკნელი სიტყვები სამწყსოს მიმართ ასეთი გახლდათ: „იყოს თქვენ შორის სიყვარული ღმრთისა, მორჩილება მამასახლისისა, სიყვარული ერთმანეთისა, განუკვეთელი ერთიანობა სათვისტომოისა თქვენისა“.

თუ იოვანეს სახელი სიცოცხლეში იზიდავდა ქართველებს სამოღვაწეოდ ათონის მთაზე, მისი გარდაცვალების შემდეგ ღირსის საფლავზე მომხდარ სასწაულებს განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველი.

ქართულ პერიოდიკაში სშირად ინერება მასონების შესახებ, მაგრამ სად ტყუილია და სად მართალი, არავინ იცის. ასეთი ტიპის პუბლიკაციები, უკეთეს შემთხვევაში, უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებია, უმეტესად კი ნათარგმნი იდეოლოგიზებული აბდაუბდა, რომელიც მასების გუნება-განწყობის მანიპულირებას ისახავს მიზნად და არცთუ ისე სასიკეთო საქმეს ემსახურება.

მასონთა ლოჟის

სანეჰროს ქართული რინოსნებიც იხდინან?..


მანანა იაშვილი

ყოველ შემთხვევაში, არც მე მინახავს მასონთა ლოჟა და მასონები და არც მსმენია, რომ ვინმე ნაცნობს ენახოს. და აი, სულ ახლახან ჩემი მეგობარი დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. როგორც ჩვეულებრივ ხდება, შევიკრიბეთ და მან, სხვა საინტერესო ამბებთან ერთად, გამოგვიცხადა:

„მასონთა ლოჟა ვნახე: სადაც მიწისქვეშეთში კი არა – შუა ვაშინგტონში, მე-16 ქუჩისა და Q-ს გადაკვეთაზე, აქვთ სათავო ოფისი, ნაძვლილი სასახლე“.

რა თქმა უნდა, ვრცელ ინტერვიუზე დავითანხმე.

– ჩემს სახელსა და გვარს აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს. არც მე მჭირდება რამეში. ჩვეულებრივი ექიმი ვარ და მიწვევით ვიყავი შტატებში. მრავალი წელია ეზოთერიით ვარ დაინტერესებული და საიდუმლო ორგანიზაციების ისტორიას ვიკვლევ. რა თქმა უნდა, მაინტერესებს დღევანდელი მასონებიც. ყოველთვის ვოცნებობდი – თუ ასეთი რამ დღესაც არსებობს, ჩემთვის უფრო ხელშესახები და რეალური გამხდარიყო. ჩემდა გასაოცრად, მეგობრებმა, რომლებიც ვაშინგტონში დამხვდნენ, მითხრეს, რომ ჩვენგან სულ ახლოს იყო „შოტლანდიელ თავისუფალ მასონთა“ სათავო ოფისი, სადაც დილის საათებში თავისუფლად შეიძლება შესვლა. როგორც კი დრო გამონახე, მაშინვე გავემუხრე აღნიშნული



მისამართით. დიდი შენობაა, რომელიც მილიანად მასონური სიმბოლიკის გათვალისწინებით დაიგეგმა და აიგო. ვიდეოც გაცემული და თვალებს არ ვუჯერებდი, ასეთი რამ ვერ წარმომდგინა...

– რა არის საოცარი? ჩვეულებრივი, ლამაზი სასახლეა.

– როდესაც ამერიკაში წავიდი, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ჯორჯ ვაშინგტონი და მრავალი სხვა სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწე მასონი იყო, მაგრამ მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ვაშინგტონის შუაგულში დგას შენობა – ისევე, როგორც ჩვენი მთავრობის სასახლე – რომელიც მასონებს ეკუთვნის.

– მაინც რა აქვს განსაკუთრებული?

– სასახლეს თუ ტაძარს გარედანაც ეტყობა, რომ მასონებისაა. მის წინ აშენებული კიბე 33 საფეხურიანია. მასონთა იერარქიის მიხედვით, ბოძებიც ტიპურია. შენობას ორი სფინქსი „იცავს“: ერთს თვალები დახუჭული აქვს, მეორეს – ღია, რაც ყოფიერების ორი პოლუსის სიმბოლოა. უზარმაზარი კარის მარჯვენა მხარეს, დაფაზე წერია, რომ ეს არის შოტლანდიელ მასონთა ლოჟა და აღნიშნულია – „33“⁰⁰, რაც უმაღლეს იერარქიას ნიშნავს. ზარი დავრეკე და კარი გაიღო, ასე, 70-ოდე წლის კაცმა, რომელმაც დაწვრილებით გამომკითხა, ვინ ვარ და რა მსურს. დიდხანს ვუხსნიდი და ბოლოს, შემიშვა. მოვხვდი უზარმაზარ ლამაზ დარბაზში. კაცმა, რომელმაც კარი

გამიღო, გიღობა იკისრა. დაწვრილებით მიხსნიდა, თუ ქვეყნიერების რომელი კუთხიდან იყო ჩამოტანილი მოსაპირკეთებელი მარმარილო იატაკისთვის, კედლებისა და კოლონებისა თუ ჭერიისთვის. შევატყვე, რომ მოსწონდა, როცა ვხვდებოდი მასონური სიმბოლიკის არსს. მან მიჩვენა გვერდითა დარბაზიც, სადაც იდგა ხისა და ტყავისაგან დამზადებული სავარძლები და მითხრა, რომ ისინი რუსეთიდანაა საჩუქრად ჩამოტანილი.

– ვინგან?

– აბა, მაგას როგორ მეტყოდა. თუ ჩემს კითხვაზე პასუხის გაცემა არ სურდა, საუბარი ძალიან ოსტატურად სხვა თემაზე გადაჰქონდა.

– ჩვენი მასონების საჩუქრებიც სომ არ იყო?

– სხვათა შორის, რამდენჯერმე ვახსენე ელჟარდ შევარდნაძე, მაგრამ მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეს გვარი საერთოდ გაგებულეც კი არ ჰქონდა.

– შენ ფიქრობ, რომ შევარდნაძე მასონია?

– მანამდე მასალები მქონდა ნანახი და სურათი, სადაც შევარდნაძე მასონთა ლოჟაშია გადაღებული. ამბობენ, მე-17 თუ მე-18 დონის „აღმოსავლეთისა და დასავლეთის რაინდია“. თუმცა დღეს ტექნიკა ისეა განვითარებული, რომ ყველაფრის მონტაჟი და ფაქტობრივობა შესაძლებელი.

– იქნებ ეს კომპრომატია?

– დიას, ამიტომაც ვკითხე იმ კაცს, მაგრამ ასეთ რამეებს რომ ვეკითხებოდი,

პირდაპირ უარს კი არ ამბობდა პასუხზე, არამედ სხვა თემაზე გადაჰქონდა საუბარი: „ჩვენ ბევრ ქვეყანაში ვართ, გვაქვს ჰუმანიტარული სკოლები, ვენმარებით გაჭირვებულებს...“ რამდენიმე კითხვის შემდეგ — „ახალი მსოფლიო წესრიგისა“ თუ „გლობალიზაციის“ შესახებ, მიგხვდით, რომ აზრი არ ჰქონდა ჩამიებას და სჯობდა არ მეკითხა: არავითარ „მაფს“ არ მაძლევდა, თუმცა იყო რაღაც მინიშნებები, მეტყველი მიმიკა, მაგრამ ეს ყველაფერი მტკიცებად არ გამოდგება... ისეთი აზრი დამეხდა, რომ საქართველო „ნაჩუქარია“.

რატომ?

— მასონად კურთხევისთვის, ორი მასონის რეკომენდაციისა და ცხოვრების რომელიმე სფეროში მიღწევების გარდა, საწევროს გადახდის თავიც უნდა გქონდეს. შესატანი კი ძალიან დიდია. რაღაც-რაღაცები ერთმანეთს დაუკავშირე და ასეთ დასკვნამდე მივდი: საქართველოში კორუფცია იმიტომაც აყვავებულია, რომ ძალიან ბევრი მოღვაწე მასონად ეკურთხა და იქაურ საწევროს იხდის...

სურათების გადაღების საშუალება გქონდა?

— გადავიღე, მაგრამ იყო ადგილები, სადაც გადაღება ამიკრძალა. დიდი დარბაზიდან ხელმარჯვენე ბიბლიოთეკაა, სადაც უამრავი ძველისძველი წიგნი ინახება, მაგრამ იქ გადაღების უფლება არ მომცა. აქვეა რაღაც მუზეუმის მსგავსი ოთახიც — ვიტრაჟებით, სადაც ინახება ძალიან ძვირფასი ყელსაკიდები, სამკერდე ნიშნები, სარიტუალო წინსაფრები და



ქუდები. ყველაფერი ოქროში ჩასმული, ბრილიანტებითა და ლალის თვლებითაა გაწყობილი. ბიბლიოთეკაში არის უამრავი, სხვადასხვა ზომის, ჯორჯ ვაშინგტონის სკულპტურა. აქვეა ფერწერული ტილო, რომელზეც გამოსახულია, თუ როგორ აკურთხა ვაშინგტონმა კაპიტოლიუმის საძირკველი. ჩემმა დაინტერესებამ იმ კაცს, ეტყობა, გული მოუღობ და ვერ მთავარი დარბაზის ქვემოთ ჩამიყვანა, სადაც მასონთა პერსონალური კაბინეტებია განთავსებული. ნება არ დამართო, ფოტოსურათები გადამეღო. შევამჩნიე, რომ ქვევით კიდევ იყო ჩასასვლელი, მაგრამ იქ აღარ ჩავსულვართ. პატარა ქალაქივითაა, რამდენიმე დონეზე განლაგებული, საიღუმლო გასასვლელივითა და დარბაზებით.

მთავარი დარბაზის ზემოთ კიბეა, რომელსაც ასევე ორი შავი სფინქსი იცავს. გიდმა ზევით ამიყვანა და სარიტუალო დარბაზი მაჩვენა. იგი 190 კაცზეა გათვლილი და ისეთი აკუსტიკა აქვს, მიკროფონი საჭირო არ არის. სიმბოლოურად, დარბაზი მოსეს კიდობანია. შუაში, მაღალ კვარცხლბეკზე დევს უზარმაზარი წიგნი, რომელზეც გონიო და ფარგალია გამოსახული. შემადღებას ოთხივე მხრიდან მაღალი შანდლები და კელაპტრები ამშვენებს. იქვე დგას ორგანიც. სურათებს ვიღებდი და გიდი, ჩემდა გასაკვირად, არ მეწინააღმდეგებოდა, მაგრამ გამუდვანების შემდეგ გაირკვა, რომ ფირი ჩამავებული იყო... დარჩა მხოლოდ ქვედა დონეზე გადაღებული მასონთა მონეტები. ყველა მომსვლელი მასონი იქ ტოვებს ოქროს მონეტას. რამდენიმე ათასია შეგროვილი.

ტაძარში, გიდის გარდა, თუ იყო ვინმე?

— სხვა არავინ მინახავს — ეტყობა, ეს დრო დამთავალიერებლებისთვის იყო განსაზღვრული. ვაშინგტონში მყოფი მასონები იქ იკრიბებიან. ამ კაცმა მითხრა, რომ ქალაქში 30 ათასამდე სხვადასხვა დონის მასონია. ეს დაუჯერებელი ციფრია ნახევარმილიონიანი ქალაქისთვის,

ინკოგნიტო რესპონდენტი სასახლის ერთ-ერთ დარბაზში



„შოგლანდიელ“ მასონთა აგრიბუგია

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაშინგტონი პოლიტიკურ მოღვაწეთა და მოხელეთა ცენტრია, არ უნდა გაგვიკვირდეს. მაგრამ „33⁰“ — ე.ი. უმაღლესი იერარქიის მასონი იქ მხოლოდ 90 კაცია. ჩემი მეგზური, რომელიც ძალიან უბრალოდ მესაუბრებოდა და უბრალო გიდივით მიხსნიდა ყველაფერს, გამომშვიდობებისას „გაიხსნა“: მან თავისი ბეჭედი ამოაბრუნა, რომელზეც ამოტივტივებული იყო — „33⁰“. მაშინ კი მიგხვდით, რამდენად სულელი ვჩანდი ჩემი დაჟინებული კითხვებით... მან კი თბილად გამიღიმა და, ოფიციალური პროსპექტების გარდა, პირადი სავიზიტო ბარათიც გადმომცა.

ამერიკელები ყველაფრისაგან შოუს ქმნიან. ეჭვი არ გიჩნდება, რომ ეს ყველაფერი მისტიფიკაცია იყო?

— კაპიტოლიუმის საძირკვლის ჩაყრის დღის აღსანიშნავად მასონები ღია რიტუალს აწყობენ ხოლმე. ენახე ფოტოსურათები, სადაც სარიტუალო წინსაფრებში გამოწყობილი პოლიტიკური მოღვაწეები არიან ჩამწკრივებულნი კაპიტოლიუმის შენობასთან. კაპიტოლიუმში, ვაშინგტონის მემორიალი და თეირი სახლი ერთ ზოლზე, ერთმანეთთან ძალიან ახლოს არის განლაგებული.

მასონთა ოფისიც ნამდვილია, ეჭვი არ შეგეპარება. ასევე აშკარაა, რომ იქ ინახება ღია, ყველასთვის გათვალისწინებული ინფორმაცია და საიდუმლო ცნობები, რომლებიც მხოლოდ რჩეულებს ეკუთვნის. ჩემი მეგზურის დაჟინებული მტკიცება, რომ ისინი პოლიტიკურ ორგანიზაციას არ წარმოადგენენ და მხოლოდ ჰუმანური მიზნები ამოძრავებთ, ის მინიშნებები, რომლებსაც ზოგიერთ კითხვაზე პასუხისას აკეთებდა — ნათლად მეტყველებს, რომ მისტიფიკაცია გამორიცხულია...

გვიან გურული

ძველი ბერძნები საყოველთაო სპორტულ დღესასწაულზე — ოლიმპიურ თამაშებზე ქალებს არათუ მონაწილეობას, არამედ დასწრებასაც უკრძალავდნენ და ამ აკრძალვის დამრღვევთ აღფრას სანაპიროზე აღმართული კლდის ფრიდენს. მხოლოდ ქალმერთ დემეტრას ქურუმს ჰქონდა ოლიმპოს მთის ძირას მონაწილეობის თამაშების ნახვის უფლება. მაგრამ ელინებს მთლად არ „დაუჩაგრავთ“ ქალები: მათთვის ქალმერთ ჰერასადმი მიძღვნილი თამაშები ტარდებოდა და მონაწილეობასც ჰერაიდებს ეძახდნენ, თუმცა შეჯიბრებები მხოლოდ სირბილში ტარდებოდა.

ძველი ბერძნები ალბათ ვერც წარმოიდგენდნენ, რომ მათი თამაშების „შორეული შთამომავალი“ — თანამედროვე ოლიმპიადის მოჭიდავე, ძალოსანი, ცხენოსანი, მოფარიკავე და თუნდაც მშვილდოსანი ქალების ასპარეზადაც იქცეოდა. რაღა ძველი ბერძნები, როდესაც თვით ბარონი პიერ დე კუბერტენიც, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი, ოდენ კაცებისთვის ფიქრობდა შეჯიბრებების ჩატარებას და მხოლოდ მეორე ოლიმპიადაზე გამოჩნდა ექვსად ექვსი ქალბატონი — გოლფისა და ჩოგბურთის მოთამაშე... მაგრამ ფემინიზაციამ, ბევრ უარყოფითთან ერთად, ზოგიერთი დადებითი შედეგიც მოიტანა და ერთ-ერთი მათგანი — ოლიმპიურ თამაშებში ქალების სრულყოფილი მონაწილეობაც გახლავთ...

და ძალიანაც კარგია, რომ ასე მოხდა — ნინაალმდეგ შემთხვევაში ლეგენდარულ ქართველ სპორტსმენტა კოპორტას, სხვა ქალბატონებთან ერთად ვერ დაამშვენებდა ქეთევან ლოსაბერიძე — რიონისპირა ქალაქში დაბადებული მშვილდოსანი, რომლის ისრებსაც მსოფლიოს არაერთი სპორტული არენის სამიზნის „ათიანში“ გაუფლია!



თვითნაკეთი იარაღით დაწყებული ქარიერა

მისი ბავშვობა საკმაოდ მძიმე იყო და ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები არ არის, რომლითაც ავტორები თავიანთი ნარკვევის გმირისა თუ ინტერვიუს რესპონდენტის დამსახურებათა გაზვიადებას ცდილობენ — იქნებ სასმელსაჭმელი არ აკლდა ბაგრატ ლოსაბერიძის ოჯახს (თუმცა იმ დროშიც არ გადასდიოდა თავს პატიოსან მშრომელს), მაგრამ ცხრაშვილიან ოჯახში დიასახლისის უდროოდ გარდაცვალებაზე მეტი გაჭირვება რაღა უნდა იყოს, როდესაც მცირეწლოვანი ბავშვების მომვლელად და აკვნის დამრწევად ჯერ თვითონაც ბავშვი, მოუწიფებელი გოგონა რჩება...

მამა ტყიბულის ქვანახშირის მადაროში შრომობდა და ხშირად ღამის ცვლაში უხდებოდა მუშაობა — ამ დროს

ქეთინო იყო ოჯახში „ქალიც და კაციც“ და სახლსაც არაფრით ეტყობოდა უდიასახლისობა. რაც მოთავრია, ნიჭიერ და ცხოვრებისაგან ნაადრევად დაღინჯებულ გოგონას ოჯახური სიმყუდროვის შესანარჩუნებლად „ამქვეყნიურ ცხოვრებაზეც“ არ უთქვამს უარი — შესანიშნავად სწავლობდა და განსაკუთრებული ნიჭიერებით ტექნიკურ საგნებში გამოირჩეოდა: მედალზე სკოლის დამთავრების შემდეგ, სწორედ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი აირჩია ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

რა იცოდა მაშინ ქეთევან ლოსაბერიძემ, რომ ამ არჩევანით მათემატიკის მასწავლებლობისთვის კი არა, უფრო დიდი აღიარებისთვის ემზადებოდა — იგი პირველი და ჯერჯერობით უკანა-

საკნელი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონია მშვილდოსნობაში.

„სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“ – ხალხს უთქვამს და ალბათ, მართალიც არის. ასე რომ არ იყოს, ინსტიტუტში პირველკურსელთა ერთ ჩვეულებრივ ფიზკულტურის გაკვეთილზე დარბაზში არ შემოვიდოდა სამხედროფორმიანი ჭარმაგი კაცი – შალვა ჯაშიაშვილი და გოგონებს სპორტის მათთვის ახალი, „ეგზოტიკური“ სახეობის „ავიტაცია-პროპაგანდას“ არ გაუწევდა. მართლაც რომ „ეგზოტიკური“ – რადგან სტუდენტ-გოგონებს და მათ შორის ქეთევან ლოსაბერიძესაც, მშვილდი და ისარი მხოლოდ მაშინ ჩვენში ძალზე პოპულარულ, „დემოკრატიულ გერმანიაში“ გადაღებულ, ჩრდილოამერიკელი ინდიელების ცხოვრების ამსახველ ფილმებში თუ ენახათ (მე თვითონ მახსოვს – „ლოკომოტივის“ სასროლეთზე მოვარჯიშე მშვილდოსნებს „აპაჩებს“ და „ჩინგაჩგუკებს“ ვეძახდით ხოლმე).

პოდპოლკოვნიკი შალვა ჯაშიაშვილი ნამდვილი ენთუზიასტი აღმოჩნდა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით – მიტოვებული სარდაფიც თვითონ „გააჩალიჩა“, თვითონვე მოაწესრიგა, სამიზნეები და ისრებიც(!) საკუთარი ხელით დაამზადა და სტუდენტი გოგონები პირველ ვარჯიშზე მიიყვანა. ასე ჩამოყალიბდა ქუთაისის პედაგოგიკის ბა-



შალვა ჯაშიაშვილი ახალშექმნილი საქართველოს ნაკრების წევრებთან (მარცხნიდან მესამე – ქეთევან ლოსაბერიძე)

ზაზე მშვილდოსნობის პირველი სექცია საქართველოში.

იმავე – 1968 წლის ზაფხულში ქუთაისში საქართველოს პირველი ჩემპიონატი ჩატარდა (თუმცა, სხვაგან ვერც ჩატარდებოდა – არც ელემენტარული სასროლეთი იყო და არც სპორტსმენები) და პირველივე ჩემპიონი ქეთევან ლოსაბერიძე გახდა!

ეს იყო დასაწყისი იმ დიდი გზისა, რომლის ბოლოსაც ოლიმპიური ჩემპიონის დაფნის გვირგვინი და ქართველი ხალხის საყოველთაო აღიარება ელოდა!

იმავე წელს ქუთაისელებს თბილისელებმაც მიჰბაძეს და დედაქალაქის ორ უმაღლეს სასწავლებელში ჩამოყალიბდა მშვილდოსნობის სექციები. თუმცა უფროდში, საკავშირო პირველობაზე წასული საქართველოს ნაკრები მხოლოდ ქუთაისელი მშვილდოსნებისგან შედგებოდა – კუსტარული, მართლაც „ინდიელების“ მშვილდ-ისრებით აღჭურვილი ქართველი გოგონები უმედლოდ დაბრუნდნენ. ბევრმა გული აიცრუა, მაგრამ ქეთევან ლოსაბერიძე „ჯიუტი“ იყო...

ამ „სიჯიუტემ“ თავისი გაიტანა და წარმატება ძალიან მალე მოვიდა – შემდეგ წელს ლენინაკანის საკავშირო ტურნირი მოიგო, მაგრამ არც ეს და არც საქართველოს რეკორდი იმდენს არ ნიშნავდა, რამდენსაც თვით ნაჩვენები შედეგი, რომლითაც ქეთევან ლოსაბერიძემ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრუ-

ლა.

მალე საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადა ჩატარდა მოსკოვში – საქართველოს ნაკრები მესამე იყო გუნდურ პირველობაში, ხოლო რამდენიმე თვეში პირველი საერთაშორისო აღიარება მოვიდა: ლვოვში გამართულ ჩემპიონატზე საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე კი გავიდა ქეთევან ლოსაბერიძე, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს, რუს კრაპჩენკოს გაუსწრო და, რაც მთავარია – ერთ-ერთ დისტანციაზე, 50 მეტრზე, მსოფლიო რეკორდი დაამყარა! ეს კი საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და, აქედან გამომდინარე – საერთაშორისო შეჯიბრებებისკენ უხსნიდა გზას.

და ამ გზის „პირველივე პუნქტი“ – ლუქსემბურგი, პირველი დიდი წარმატების ადგილად იქცა: პირადი ოქროს მედალი და მისი ამ მიღწევის წყალობით, გუნდურ ჩემპიონად გამოცხადებული – საბჭოთა ნაკრები...

1972 წელი, მიუნხენი, ყველა სპორტსმენის ოცნება – ოლიმპიადაზე გამარჯვება, მაგრამ... როგორც ცნობილი ქართველი სპორტული ჟურნალისტი შალვა ქირია ივონებს, მწვრთნელს აცრემლებული ლოსაბერიძისთვის უთქვამს: „ოქროს მედალი დაკარგე, ვერცხლი პოლონელს დაუთმე, ბრინჯაო კი კრაპჩენკოს აჩუქე...“ მეოთხე ადგილი – ოლიმპიადაზე ბევრისთვის მიღწევა და ოცნების ზღვარი იყო, მაგრამ არა ქართველი მშვილდოსნისთვის... ეს მან შემდეგ წელს დაამტკიცა, როდესაც რეკორდებისა და ოქროს



მედლების უხვი მოსავალი მოიძეო — საფრანგეთის გრენობლისა და იტალიის ამპროზიანოს დიდი საერთაშორისო ტურნირები, ალმა-ათის საკავშირო პირველობა... და ყველგან — აბსოლუტური ჩემპიონობა, ყველგან — რეკორდები...

მაგრამ ქეთევან ლოსაბერიძე პირველ რიგში ქალი იყო, თანაც ქართველი ქალი, და შემდეგ — ჩემპიონი. იმავე წელს დაოჯახდა, მალე დედაც გახდა და მისმა მშვილდმაც სამი წლით „დაისვენა“. სამი წელი იმხელა დროა სპორტში, რომ თითქმის წარმოუდგენელია უვარჯიშებლად დაკარგული ფორმის აღდგენა, მაგრამ ქეთევან ლოსაბერიძეს ახსოვდა, რომ ჯერ სპორტული ოლიმპი უნდა დაეპყრო — ჯერ „ჩუმიად“, ვითომ გასართობად დაიწყო ვარჯიში, შემდეგ კი არცთუ ისე პრესტიჟულ შეჯიბრებაზე — „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობაზე გამოჩნდა პროვინციულ ჩემპიონატში, ასევე „უჩუმრად“... მაგრამ ისეთი შედეგი აჩვენა, რომ „შუბი (მშვილდი) ხალათში აღარ დაიმალებოდა“ — მსოფლიო რეკორდი!

იგი დაბრუნდა! გულშემოტყვივრებს გაუხარდათ, მეტოქე-თანაგუნდელებს — „არც ისე“...

გერმანია, როსტოკი — ოქროს მედალი და ახალი მსოფლიო რეკორდი! აშხაბადი, საკავშირო თასი — კვლავ გამარჯვება და, ცხადია, „დესერტად“ — კიდევ უფრო გაუმჯობესებული მსოფლიო მიღწევა!

ასეთი შედეგების მიუხედავად, მის ოცნებას — ოლიმპიადაში მონაწილეობას (გამარჯვება უკვე მისი საქმე იყო) საფრთხე ელოდა: საბჭოთა კავშირში რვა მშვილდოსანი ეცილებოდა ერთმანეთს ორ ოლიმპიურ საგზურს და ქართველ სპორტსმენს ორი თავით უნდა ეჯობნა სხვებისთვის, რომ რუსებზე წინ დაეყენებინათ (ეს უკვე წესად დაადგინეს საკავშირო სპორტის „მამებმა“). რეკორდების მიუხედავად, საკავშირო სპორტკომიტეტმა მადრიდის საერთაშორისო ტურნირი დათქვა ოლიმპიური საგზურისათვის ბრძოლის „საჯილდო ქვად“ — ლოსაბერიძემ სხვებს აჯობა, მაგრამ მოსკოვში კვლავ ყოყმანობდნენ. ბოლოს, ნაკრების მწვრთნელმა, ალექსანდრ ბალოკმა თავისი გაიტანა, მისთვის ხომ, ფუნქციონერთაგან განსხვავებით, შედეგი იყო მთავარი: ქეთევან ლოსაბერიძე და ნატალია ბუტუზოვა.

მსოფლიოს საუკეთესო მშვილდოსანთა შორის ძალების მაშინდელი განლაგებით, უკვე ყველამ იცოდა, რომ სწორედ თანაგუნდელები იქნებოდნენ ერთმანეთის მთავარი მეტოქეები ოქროს მედლისათვის ბრძოლაში...

მე კარგად მახსოვს ტელერეპორტაჟები მოსკოვის „კრილატსკოეს“ ოლიმპიური სასროლეთიდან — და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველმა სპორტსმენმა გაიმარჯვა, არამედ უფრო იმიტომ, რომ ბავშვი ვიყავი და ბავშვურმა გონებამ მაშინ პირველად აღიქვა შემდგომში არაერთხელ დაფიქსირებული შოვინიზმი, რომლითაც რუსი წამყვანის კომენტარები იყო გამსჭვალული. მიუხედავად იმისა, რომ ორივენი **наши, Советские спортсменки** იყვნენ, აშკარად იგრძნობოდა მიკერძობა და დაუფარავი სიხარული, როდესაც პირველ — 70 მეტრიან დისტანციაზე, პირველ ცდაზე ბუტუზოვამ 2 ქულით აჯობა ლოსაბერიძეს. შემდეგი ცდა — 60 მეტრი და ლოსაბერიძემ 3 ქულით მეტი აჩვენა. საერთო ჯამში ერთი ქულით გაუსწრო მეტოქეს. კომენტატორი კარგა ხანს დუმდა. 50 მეტრი: ბუტუზოვა — 301 ქულა, ლოსაბერიძე — მხოლოდ 295. კომენტატორმა ენა ამოიღა და კარგა ხანს არ გაუჩერებია: **Бутузова — наша олимпийская надежда!** ლოსაბერიძეს კი წარსული დამსახურებები გაუსწენა და მეორე ადგილი „სპორტულ გმირობად“ მოუნათლა, თუმცა სინანულით აღნიშნა, იქნებ სხვა — უფრო ახალგაზრდა სპორტსმენის შეყვანა სჯობდა ნაკრებში, მეტად დაძაბულ ბრძოლას ვიხილავდითო!..

მეორე დღის ბოლო დისტანცია — 30 მეტრი და... 346:335 ლოსაბერიძის სასარგებლოდ! არ ვიცი, როგორ დაემინა იმ კომენტატორს, მაგრამ მე და ალბათ ათასობით ქართველი სულმოუთქმელად ველოდით მესამე-მეოთხე — დასკვნით დღეს და გვჯეროდა, რომ ქართულ „ოლიმპიურ ყულაბაში“ კიდევ ერთი ოქრო ჩაჩხრიალდებოდა. მესამე დღეს ძალები დაახლოებით თანაბარი იყო — საერთო ჯამში ლოსაბერიძემ რვაქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

გადამწყვეტი მეოთხე დღე, სამად სამი ცდა — 60, 50 და 30 მეტრიან დისტანციებზე. წინა დღეს — პირველ აგვისტოს ქეთევან ლოსაბერიძის და-

ბადების დღე იყო და საქართველოდან მისულმა უამრავმა მისალოცმა დეპეშამ კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ სამშობლოში მხოლოდ ჩემპიონად ელოდებიან!

50 მეტრი — კიდევ ოთხქულიანი უპირატესობა, სულ — 12 ქულა!

60 მეტრი — ბუტუზოვამ ორი ქულა „ამოქაჩა“ — 10 ქულა!

და მეტოქის უკანასკნელი გაბრძოლება — 342 ქულა 30 მეტრიან დისტანციაზე, ბრწყინვალე შედეგი! თუმცა ლოსაბერიძეს ძალუმს, მინიმუმ 333 ქულის აღება, რაც მას სანუკვარ ოლიმპიურ ოქროს მოუტანს.

მაგრამ ეს მაინც „ხინჯიანი“ გამარჯვება იქნება — ბოლო სერიაშიც უნდა აჯობოს და სრული უპირატესობა დაუმტკიცოს!

მაგრამ კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რომელსაც ძლიერი ქარი დაერთო! სროლა შეუძლებელი იყო, არადა, ბოლო სამი ისრის სასროლად ორნახევარი წუთია დარჩენილი და... ქეთევან ლოსაბერიძის ნასროლი ისრებიდან ორი „ათიანში“ მოხვდა და ერთი „ცხრიანში“! — გამარჯვება ბოლო სერიაშიც, საერთო გამარჯვებაც და ოცნების ასრულებაც!

რუსული ცის ქვეშ ქართველი ქალბატონი იღვა და კოკისპირულ წვიმაში, მშვიდი ღიმილით იღებდა აღტაცებულ მილოცვებს — პირველი მილოცველი აღფრთოვანებული მეტოქე, ნატალია ბუტუზოვა იყო!



აკაკი გეგენაფას პირველი წერილი ჩვენი ჟურნალის №36-ში დაიბეჭდა და შვედეთში მის მოგზაურობას ასახავდა. ამჯერად, მასთან ერთად, დანიაში გადავინაცვლებთ.

აკაკი გეგენაფა

შვედეთი, ასე თუ ისე, დავათვალიერეს. სხვაგან გადასვლას ვაპირებდი, მაგრამ სად – არ ვიცოდი. ჩემი ბედის მწყალობელი, თომასი, დედით დანიელი იყო. ძალიან უყვარდა ბაბუა და ხშირადაც ჩადიოდა მასთან. ერთ დღეს, წასვლის სამზადისში რომ იყო, ჩავეძიე:

- თომას, სად მიდიხარ?
- ბაბუა მომენატრა, დიდი ხანია არ მინახავს, – მი პასუხა.
- რამდენი წლისაა?
- იქნება ასე, 75-ის. – თან დასძინა:
- არა მგონია, მასზე მეტად ვინმე მიყვარდეს ამ ქვეყანაზე, – თვალები გაუბრწყინდა ბედნიერებისაგან.
- მერე, არ გამაცნობ?
- რა პრობლემაა, წამომყვი და გაცანი.

ასე გადაწყდა ჩემი შემდგომი მარშრუტი.

ერთი კვირის თავზე, სტოკჰოლმიდან ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, მანქანით რ საათი ვიარეთ, შემდეგ კი, ბორნით, 8 საათში ჩავედით დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში.

ჩვევად მექცა – სანამ ქვეყანაში ჩავალ, გემში ან თვითმფრინავში ვიძენ პატარა ბროშურებს მის შესახებ და გულდასმით ვეცნობი.

ამ მიწაზე ვერ კიდევ 100000 წლის წინათ ცხოვრობდნენ ადამიანები, მაგრამ ბოლო გამყინვარების შემდეგ, ცხოვრება პრაქტიკულად შეწყდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მერვე ათასწლეულში ყინულმა დნობა დაიწყო და ბალახის საფარი გამოჩნდა. ამან მოიზიდა ჩრდილოეთის ირმის ჯოგები. ჯოგებს კი, კვალდაკვალ, მომთაბარე მონადირე ტომები მოჰყვნენ. დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვით X საუკუნეში დანიელმა და სხვა სკანდინავიელმა ვიკინგებმა, დაიწყეს საომარი მოქმედებები ევროპის სანაპიროებზე. 1016 წელს მათ დაიპყრეს ინგლისი, შემდეგ კი გააფართოეს თავიანთი საზღვრები და გერმანიის ტერიტორიაც მიიერთეს.

1397 წელს დანიამ, შვედეთმა და ნორვეგიამ ერთიანი სახელმწიფო შექმნა. შუა საუკუნეებში ეს ქვეყნები ერთმანეთს



daniel ქალეხს პერაფერი გავუბა

წაეკიდნენ და დანიამ საკმაოდ დიდი ტერიტორიაც დაკარგა. დღევანდელი ქვეყნის საზღვრები კი, საბოლოოდ, 1920 წელს დაადგინეს. სახელოვანი ვიკინგების დღევანდელ მემკვიდრეებს აღარ ესაჭიროებათ ვინმეს შეშინება თავიანთი რქიანი ჩაფხუტებითა და უზარმაზარი ხმლებით: დღეს მათი ძირითადი იარაღი, პერსონალური კომპიუტერები და ცივილიზაციის უამრავი სხვა მონაპოვარია.

დანიელებმა მსოფლიოს აჩუქეს გენიალური ფიზიკოსი ნილს ბორი, მეზღაპრე ჰანს კრისტიან ანდერსენი, მშვენიერი ფეხბურთელები და სახელოვანი არქიტექტორები. საყოველთაოდ ცნობილია დანიური ლუდი „თურბო“ და ტკბილი დანიური ორცხობილები, რომლებიც რკინის ლამაზ ყუთებშია ჩაწყობილი.

კოპენჰაგენი

გზაში თომასს ვკითხე:
– მამა შევედი გყავს, დედა დანიელი, სად გირჩენია ცხოვრება?

- რა თქმა უნდა, შვედეთში.
- რატომ, განსხვავებას ვერ მეტყვი?
- როგორ გითხრა... შვედეთში ცხოვრება დინამიურია, დანიაში კი, თითქოს ერთ ადგილზე დგას. ყველგან სიწყნარეა გაბატონებული...

– მერე, რა სჯობს სიმშვიდეს?! – გავიკვირე.

– რაღაც, ვერ ავიხსენი კარგად – გაეცნობი ქვეყანას და შენ თვითონ მიხვდები.

ნავსადგურში გადასვლისას, ჩვევისამებრ, პასპორტი და ვიზა მოვამზადე. ყველა საბუთი წესრიგში მქონდა, მაგრამ

ყოველთვის, როდესაც საზღვარზე გადავივარ, შიგნით რაღაც „მილიტინებს“ ხოლმე... მაგრამ ნავსადგურიდან ისე გამოვედით, კაციშვილს არ გავუჩერებვართ – არც მებაჟე და არც პოლიციელი არ შეგვხვდნო.

– თომას, გამაგებინე, რა ხდება – სად არიან მებაჟეები?

– რომელი მებაჟეები? შენ რა, რაიმე საქონელი ჩამოიტანე? – გაიღიმა მან.

– საქონელი არა, მაგრამ საზღვარი ხომ გადმოვლახეთ.

– ნუ ნერვიულობ, ამაზე უკვე შეგდეთის მთავრობამ იზრუნა. აი, რუსეთიდან რომ ჩამოსულიყავი, მაშინ კი შეხვდებოდი ფორმიან კაცს...

1993 წელს ევროკავშირი შექმნილი არ იყო, მაგრამ სკანდინავიის ქვეყნებს შორის საზღვრები პრაქტიკულად აღარ არსებობდა.

დანიამ 5 მლნ ადამიანი ცხოვრობს, აქედან 1,7 მლნ – დედაქალაქში. კოპენჰაგენი ერთ დიდ სათამაშოს ჰგავს. ყველგან არაჩვეულებრივად სასიამოვნო ატმოსფეროა გამეფებული. ყველა ეს იენსენი, ხანსენი და ლარსენი უსაზღვროდ ზრდილობიანია. მოედნები და ტროტუარები ქაფენილით არის მოკირწყლული. ასფალტს აქ მხოლოდ საავტომობილო გზებზე აგებენ.

დანიელები ძალიან ამაცობენ თავიანთი მეფით – კრისტიან მეოთხით. ყოველ ნაბიჯზე გაიგონებ: კრისტიანმა ააშენა ეს, კრისტიანმა ააშენა ისო. მრავალსართულიანი კოშკიდან, რომელიც ჭარბაკის ფიგურას – „ეტლს“ ჰგავს, მთელ ქალაქს შეგიძლია გადახელო, კარგ ამინდში კი

შედეგის ნაპირსაც დაინახავ.

ქალაქი საუცხოო სილამაზით გამოირჩევა. მინიმუმამდეა დაყვანილი თანამედროვე ურბანიზაციის ერთ-ერთი ნიშანი – ბეტონითა და მეტალოკონსტრუქციებით აშენებული სახლები და თვალში საცემია აგურის სახლების სიჭარბე. ქალაქში შუა საუკუნეების ატმოსფერო სუფევს. თვალს ახარებს უმაღლესი დონის არქიტექტურა, რომელიც მე-18–მე-19 საუკუნეებმა შემოგვიანა.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, კოპენჰაგენი ყოველთვის იყო ცენტრალური ნავსადგური ჩრდილოეთ ევროპაში. საზღვაო ვაჭრობა დღესაც ძირითად საქმეს წარმოადგენს ქალაქისთვის. გარდა საზღვაო ვაჭრობისა, აქ განვითარებულია კემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, კვების მრეწველობა და ლუდის წარმოების დიდი ბიზნესი.

კოპენჰაგენის უნივერსიტეტი 1479 წელს დაარსდა. აქაური სამეფო ბიბლიოთეკა ყველაზე ძველია სკანდინავიაში – ის 1673 წელს შეიქმნა. დანიის სამეფო აკადემია 1742 წლიდან მოღვაწეობს. ქალაქში ბევრი მუზეუმი და სამხატვრო გალერეაა. დიდი პოპულარობით სარგებლობს ხელოვნების აკადემია. ქალაქში მოქმედებს სამი სიმფონიური ორკესტრი, საბალეტო დასი და თეატრები.

ეს ინფორმაცია იმ ორ დღეში მივიღე, რომელიც მე და თომასმა ქალაქში გავატარეთ. თომასის ბაბუა დედაქალაქიდან 200 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდა. ჩემმა მეგობარმა პატივი მცა და ორი დღე მის ნათესავთან, კოპენჰაგენში ვცხოვრობდით. ბუნებრივია, გიღობას თომასი მიწევდა.

თომასის ბაბუას კურტი ერქვა. 75 წლის პირობაზე საკმაოდ მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ბატონი კურტი ფერმერი იყო. რაც თავი ახსოვდა, მხოლოდ ამ საქმით იყო დაკავებული. ჰქონდა ოთხი საკუთარი ფერმა და ათასამდე სული საქონელი ჰყავდა. სახელმწიფოს რძესა და რძის პროდუქტებს აბარებდა. საკმაოდ შეძლებულად და კომფორტულად ცხოვრობდა. ერთი დარდი აწუხებდა მხოლოდ: სამი შვილი ჰყავდა – ორი ქალიშვილი და ვაჟი. ქალიშვილები გათხოვდნენ, ერთი შვედეთში, მეორე კი დანიის ჩრდილოეთ ნაწილში. ვაჟიც დაცოლშვილდა და კოპენჰაგენში დასახლდა. მამის ხეყნას – მშობლიურ დაბაში დარჩენილიყო, არად ავლებდა და ბერიკაცს მთელი ცხოვრების ნაშრომი წყალში ეყრებოდა. მეუღლე 15 წლის წინ გარდაცვლიდა და დარჩა მარტო,

თავის უზარმაზარ სამფლობელოში.

შვილიშვილებზე გიჟდებოდა, განსაკუთრებით თომასი უყვარდა. თომასიც არ ჩამორჩებოდა სიყვარულში. მათი შეხვედრა ისეთი გულის ამარყუებელი იყო... მეც საკმაოდ თბილად მიმიღო.

თომასმა იცოდა ჩემი გეგმები, ის, რომ სტაბილურ სამუშაოს ვეძებდი და ნებისმიერ საქმეს მოვკიდებდი ხელს. სამსახურზე ლაპარაკს რომ დავიწყებდი, თომასი მაჩერებდა და მეუბნებოდა: პურის ფულს ხომ შოულობ, მეტი რაღა გინდა?! მიდი, დრო ატარე, ისიამოვნეო.

მე ვპასუხობდი: შენ რა გიჭირს – აწყობილი ქვეყნის მოქალაქე ხარ, რომ არ იმუშაო, მთავრობა შენზე მაინც იზრუნებს-მეთქი... ბოლოს ბაბუას სთხოვა, რაიმე საქმე დაევალებინა ჩემთვის და ისიც სიამოვნებით დასთანხმდა.

ამრიგად, დანიაში ჩასვლის პირველსავე კვირას სამსახური ვიშოვე. ჩემი მუშაობა კანონის დარღვევად ითვლებოდა, მაგრამ ვიცოდით, არავინ მოვიდოდა ფერმაში იმის საკითხავად – რატომ მუშაობს ეს კაცი (ბოლოს და ბოლოს, იმას ვიტყვოდი, ხანში შესულ მეგობარს ვეხმარები-მეთქი). ბაბუა კურტმა თავისი ოთხი ფერმიდან, ერთ-ერთი ჩამაბარა. 150-მდე ძროხისთვის უნდა მომეკლო. დილის 5 საათზე უნდა ავმდგარიყავი, მომეწველა საქონელი (ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ავტომატიზებულია), რასაც 3-4 საათს ვანდობდით. შემდეგ საქონელს საძოვარზე გავუშვებდი, მე კი რძეს ვანაწილებდი ბიდონებში. ორ დღეში ერთხელ მის წასაღებად რძის კომპანიიდან მოდიოდა სპეციალური სატვირთო ავტომობილი. ჩემს მოვალეობაში კიდევ, სადგომის დასუფთავება შედიოდა. ყველა ამ საქმეს დაახლოებით დღის პირველი საათისთვის ვამთავრებდი და საღამოს 6 საათამდე თავისუფალი ვიყავი. 7 საათისთვის საქონელი ფერმაში ბრუნდებოდა და ისევ უნდა მომეწველა. სამუშაო დღეს, ფაქტობრივად, 11-12 საათზე ვამთავრებდი. ამ სამუშაოსთვის ბაბუა კურტი კვირაში 1.000 დანიურ კრონს (რაც 200 ამერიკულ დოლარს უტოლდებოდა) მიხდიდა, სამ კვირაში ერთხელ ორი გამოსასვლელი დღე მქონდა.

ფერმა საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო: ცხელი წყალი, სინათლე, ტელევიზორი. საჭმელი და რძის პროდუქტები თავზე საყრელი მქონდა. თუმცა, მარტო ვცხოვრობდი, უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე 5 კილომეტრი იყო და, ცხადია, მოწყვნილობას მაინც ვგრძნობდი. შეიძლებოდა, კვირა ისე გასულიყო, სატვირთო მანქანის

მძღოლის გარდა, არავინ მენახა. დასვენების დღეებში თვითონ ბაბუა კურტი მცვლიდა ან რომელიმე მუშას მიგზავნიდა სხვა ფერმიდან. მანამდე მთელი ცხოვრება ქალაქში, ასფალტზე მქონდა გატარებული, მაგრამ ახლა, გამოცდილი ფერმერივით უზარმაზარ მეურნეობას ვუძღვებოდი. სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავი, დედაჩემს ერთი თვალით მაინც დაანახვა, რა შრომისმოყვარე შვილი ჰყავს-მეთქი...

დასვენების დღეები ჩემთვის დიდი ზემოქმედება იყო. დანიაში იმდენი ველოსიპედი, რამდენიც ავტომანქანა, შეიძლება მეტიც. ასაკისა და სქესის მიუხედავად, ყველა ველოსიპედს დააქროლებს. გზები ორ ნაწილად არის გაყოფილი – საავტომობილო და საველოსიპედო. საველოსიპედო ბილიკებზეც შუქნიშნები და საგზაო მაჩვენებლებია დამონტაჟებული. მეც შევიძინე ორბორბლიანი „მეგობარი“ და ექსკურსიებს ვაწყობდი: დილით ავიღებდი რუკას, სასურველ დასახლებას ან ქალაქს ავირჩევდი, დავადგენდი მარშრუტს და ღიღინ-ღიღინით გაუდგებოდი გზას.

გზები ერთნაირად ხარისხიანია ქალაქში და ქალაქგარეთ. ისეთი სისუფთავეა, წვიმიან ამინდში მანქანას საერთოდ არ ეტყობა ჭუჭყი. შევამჩნიე, რომ სოფლად, გზების გასწვრივ საქონელი ძოვს ბალახს, მაგრამ გზაზე არ გადმოდის. ვიფიქრე – ნუთუ აქაური ძროხები ჩვენსაზე ჭკვიანები არიან?.. თურმე სხვა რამეშია საქმე: უბრალოდ, ყოველი გზის გასწვრივ, ნახევარი მეტრის სიმაღლეზე ელექტრომაკუთულია გაჭიმული,

ბაბუა კურტის ფერმა





ჰანს კრისტიან ანდერსენის სირინოზის ძეგლი კოპენჰაგენში

რომელშიც დაბალი ძაბვის ღენი გადის. დანიაში, ფაქტობრივად, წაშლილია განსხვავება სოფელსა და ქალაქს შორის. მრავალსართულიანი სახლებიც ნაკლებად შეგხვდებათ. ყველა სოფელში, როგორც წესი, არის სტადიონი, ბიბლიოთეკა, ერთი დიდი უნივერსიტი, სადაც პრაქტიკულად ყველაფერს შეიძენ, ბენზინგასამართი სადგური და პატარა ეკლესია თავისი სასაფლაოთი. დანიაში არ არის ერთიანი ენერგოსისტემა – თითოეულ დასახლებას თავისი ელექტროსადგური აქვს. დასახლებაში რომ შედიხარ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს არავინ ცხოვრობს – „ბირჟა“ არ არსებობს და ადამიანების გასაცნობად, დღისით სტადიონზე, საღამოს კი დისკოთეკაზე უნდა წახვიდე. სპორტიც და ცეკვაც დანიელებს საკმაოდ უყვართ და, ჩაუყარდებათ თუ არა საამისო შანსი, დიდი სიხარულით ეძლევიან ამ სიამოვნებას.

ბაბუა კურტს 40-იან წლებში გამოშვებული გერმანული „ოპელი“ ჰყავდა. თვითონ იშვიათად იყენებდა – ფერმებს შორის ველოსიპედით სიარულს ამჯობინებდა. სამაგიეროდ, ჩემს თხოვნაზე, მანქანა წამეყვანა, უარი არასოდეს უთქვამს. მეც ვსარგებლობდი ამით და კოპენჰაგენში დავდიოდი ხოლმე მისი მანქანით. ერთი სიტყვით, ველოსიპედისა და მანქანის საშუალებით, მთელი დანია თუ არა, ნახევარი მაინც შემოვიარე.

დანიელები

ენის ბარიერი ქვეყანაში თითქმის არ არსებობს. ინგლისური, პრაქტიკულად ყველამ იცის. დანიელები ქერათმიანები, მალელები და საკმაოდ სიმპათიურები არიან, თავიანთ თავს დანებს ეძახიან. სახვებით საფუძვლიანად, თავს ვიკინგების შთამომავლებად თვლიან. დანიელთა ორ მესა-

მელს მაინც ტანზე სვირინგები აქვს. ეს საქმე აქ ხელოვნების დონემდეა აყვანილი. წელიწადში ორჯერ იმართება კონკურსი – ვის უფრო მაღალმხატვრული და ელევანტური სვირინგი აქვს. გამარჯვებულის ფოტო მეორე დღეს გაზეთების პირველ გვერდებზე იბეჭდება.

საშუალო ასაკის დანიელებს განსხვავებით, ასალგაზრდა ქალბატონებს პარლამენტი და პოლიტიკა არ უყვართ. სამაგიეროდ, უყვართ ცეკვა, არაფი ფორთოხლის წვენი და ეგზოტიკური ქვეყნებიდან ჩამოსული საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები... ქალიშვილების უმრავლესობა გარუჯული დადის და მუდამ გამომწვევად გიღიმის. ყოველ შემთხვევაში, მე შემექმნა ასეთი შთაბეჭდილება და ბედნიერად ვგრძნობდი თავს... მკვდარი უნდა იყო, რომ დამის ბარში დაჯდე და იქ რომელიმე სიმპათიური ქალბატონი ვერ „შეახვიო“. თუ შენ ვერ მოახერხე, გარკვეული დროის შემდეგ, ვინმე თვითონ მოგიჯდება მაგიდასთან და არშიფობის მორევეში გაგხვევს. თანაც, თუ ჯიბეში ფული არ გიჩხრიალებს, შენს დანახარჯსაც გადაიხდის და დილაღე ან შენსავე მანქანაში, ან სულაც, პირდაპირ თავის საძინებელში მიეცემა შენთან ერთად თავდავიწყებას...

ასეთი ურთიერთობა სამიოდე დღე ან ერთი კვირა შეიძლება გაგრძელდეს, მერე კი, საკმაოდ უეცრად წყდება. რაც არ უნდა მოიმოქმედო, როგორც არ უნდა დაიხარჯო – ვერაფრით დაიბრუნებ. ძალიან მიკვირდა, ვერ გამეგო რა ხდებოდა, ერთხელ თომასს გაუზიარე ჩემი გაკვირება:

– რაღაც, დანიელ ქალებს ვერ გავუგე: ან მე ვარ კრეტინი, ან ისინი ვერ არიან მთლად „კარგად“...

– არაფერი გასაკვირი აქ არ არის: დანიელ ქალებს უყვართ სექსი, ამას არც მალავენ, მაგრამ, მათი აზრით, ყველაფერს ზღვარი უნდა დაუდო: სექსი სიყვარულში გადავა, სიყვარული – „სერიოზულ“ ურთიერთობაში. მათ კი ეს სერიოზული ურთიერთობა სულაც არ აძლევთ ხელს...

– ვა?... ეს როგორ?

– როგორ, ჩემო ძმაო, და – როდესაც სერიოზულად შეგიყვარდებათ ერთმანეთი, ცოლქმრობას მოინდობენ. მერე შენ გახდები დანიის მოქალაქე. უმეტეს შემთხვევაში, შენნაირი „მოქალაქეები“, საბუთს რომ ჩაივლებენ ხელში, ტოვებენ თავიანთ „მეორე ნახევრებს“ და ბრუნდებიან სამშობლოში. ამისათვის კი ქალებს, მთავრობა პასუხს აგებინებს. გაიგე?...

დანიელები კანონმორჩილი ხალხია.

კონფლიქტური სიტუაციები, სადაც პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო, ძალიან იშვიათად მინახავს. ყველაზე დიდი საშიშროება კოპენჰაგენის ღამის ქუჩებში, „კაიფში“ მყოფ ჰიპისთან შეხვედრაა – თუმცა ის ზრდილობიანად მოგთხოვს ცოტა ფულს თავისი ღიზისთვის. შეიძლება კიდევ, მათხოვარი შეგხვდეს. მათხოვრები იქ რკინის ჯამებით ღვანან თავისთვის და მშველად საუბრობენ – იფიქრებ, ეს საქმე მათთვის უბრალო გართობაა...

დანიელები სამაგალითოდ იხდიან გადასახადებს, რომლებიც საკმაოდ მაღალია. საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილი სოციალურ პროგრამებზე, უმუშევართა შენახვაზე მიდის. ასეთი სისტემა ბევრ უსაქმურს ბადებს: მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნა საკმაოდ ძნელია, არაკვალიფიციურ მოსამსახურეს კი იძენს უხდიან, რომ გადასახადების შემდეგ რაც დარჩება, სახელმწიფო დახმარების თანხაზე ნაკლებია. ბუნებრივია, ადამიანი, რომელიც დიდი შრომისმოყვარეობით არ გამოირჩევა, უმუშევრობას ამჯობინებს: უმუშევრობისთვის დადგენილი დახმარება იმის კარგ საშუალებას იძლევა, რომ საშუალოზე ცოტა უფრო მაღალ დონეზეც კი იცხოვრო.

ამ კატეგორიის ხალხი ბილიარდის თამაშისა და ლუდის სმის მეტს არაფერს აკეთებს. რა თქმა უნდა, მთავრობა ფიქრობს ამ პრობლემის გადაჭრას. კანონიც გამოიცა, რომლის თანახმად, რაც უფრო დიდხანს ცხოვრობს კაცი „უმუშევართა დახმარებაზე“, მით უფრო უმცირდება, დროთა განმავლობაში, ამ დახმარების თანხა. თუმცა, ელემენტარულ პირობებს ის მაინც დაუკმაყოფილებს და, ამდენად, საკმაოდ მშვიდადაც აცხოვრებს უქნარას.

დანიის ჰუმანური პოლიტიკით დიდად სარგებლობს ემიგრაცია, რომელიც, როგორც წესი, სულ არ გამოირჩევა კანონმორჩილებით. მაგალითად, ფიქტიური ქორწინება საკმაოდ დიდი დანაშაულია: დანიის მოქალაქე ამისთვის მკაცრად ისჯება – 5 წლამდე პატიმრობა შეიძლება მიუსაჯონ, უცხოელს კი ქვეყნიდან ამეკებენ და სამუდამოდ უკრძალავენ ჩამოსვლას.

უცხოეთში იარგია, მაგრამ სახლი მუდამ გენატრება

მაისის თვეც მოვიდა. ფერმა, სადაც ვცხოვრობდი, მწვანეში იყო ჩაფლული. მინდორში ფეხშიშველი დავდიოდი და მიხაროდა. ბაბუა კურტი დამიმშაკცდა. თავიდან თუ კვირაში ერთხელ დამხე-

დავდა, ახლა დღევამოშვებით მოდიოდა ხოლმე. მოიტანდა ერთ ბოთლ არაყს, ჩამოესხდებოდა მდელით, გაველიდით პატარა სუფრას და ვსაუბრობდით. თავიდან ვერაფერს ვიგებდი – ცუდად ლაპარაკობდა ინგლისურად, მაგრამ მერე ყური შევაჩვიე მის გამოთქმას და ერთი სიტყვით ვუვებდი.

– ახლა კარგია საქართველოში, არა? – მკითხა ერთხელ კურტმა. საქართველოზე იმდენი რამ მქონდა მისთვის მოყოლილი, უკვე როგორც კარგად ნაცნობ ქვეყანაზე, ისე მელაპარაკებოდა.

– ეეჰ... კარგია, ძალიან კარგია... – სევდიანად ვუპასუხე.

– წასვლას მალე აპირებ?

– წავალ, აბა რას ვიზამ.

– დარჩი აქ, კარგ გოგოს გაგაცნობ, ცოლად მოიყვან და ჩემი მეზობელი იქნები, – კურტს გრადუსი მოეკიდა.

– მერე, მთელი ცხოვრება ძროხები ვწყემსო?

– დიდი რამე, მე რა, მთელი ცხოვრება ამას არ ვაკეთებ? – წყენა შეეპარა ბერიკაცს ხმაში.

მივხვდი – უტაქტოდ მომივიდა, ჭიქა ავიღე და კურტი ვადღეგრძელე:

– ბაბუა კურტ, მაპატიე, ცოტა გაღიზიანებული ვარ... კარგად იყავი და ილღეგრძელე.

ესიამოვნა და გულში ჩამიკრა.

უკვე მეორე წელი იყო, რაც თბილისიდან წამოსული ვიყავი. ზოგჯერ სევდიანი ფიქრები მიჰყვებოდა – რა მინდოდა აქ? რასაც აქ ვაკეთებ, საქართველოში ვერ გავაკეთებდი? ძროხები არ გვყავს თუ საქმე არ არის საკეთებელი?... აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი...

ექვსთვიანი ვიზის დრო გამდიოდა. მის გასაგრძელებლად პოლიციის განყოფილებაში უნდა მივსულიყავი. ბაბუა კურტთან ერთად, სამი საათი მოვუნდით პოლიციის შენობის პოვნას: ვისაც ვკითხეთ, ზუსტად არავინ იცოდა, სად იყო: დანიაში თვალში რაც ვაკლია, ეს ფორმიანი კაცია. პოლიციელები სამოქალაქო ფორმით დადიან, თვალში არავის ეჩრებიან, სამაგიეროდ, რაიმე კონფლიქტური სიტუაციის დროს უმაღლეს დონეზე ჩნდებიან. ერთი სიტყვით, თუ არაფერი დააშავე, სიკვდილამდე შეიძლება ვერც შეხვდე...

პოლიციის ერთსართულიანი შენობაში ისეთი სიხარულით მიმიღეს, ჩემი თავი პრეზიდენტი მეგონა. ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ერთადერთი პიროვნება ვიყავი, ვინც განყოფილება „შეაწუხა“. ორი საათი მომიწია იქ ყოფნა – ყავაც დამალევიან და საქართველოზე ლექცი-

აც წამაკითხეს. მე რომ არ „მეძალა“, ალბათ უფრო დიდხანსაც არ გამომიშვებდნენ...

მთელი ისტორიის მანძილზე დანიაზე რამდენჯერმე გადაიარა ემიგრაციის ტალღამ. შუა საუკუნეებიდან, სკანდინავიის სანაპიროებზე თავშესაფარს პოულობდნენ ჰოლანდიელები, გერმანელები, ბოშები. მე-20 საუკუნეში რუსეთიდან წამოვიდნენ ებრაელები, 1956 წელს – უნგრელები. 60-იან წლებში დაიწვეს ლაპარაკი იაფ მუშახელზე, რომელიც თურქეთიდან, პაკისტანიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან შემოდიოდა. მაშინ ყველა დანიელი პოლიტიკოსი ამ მოვლენას დადებითად აფასებდა, მაგრამ 70-იან წლებში თავში შემოირტყეს ხელი და საკმაოდ მკაცრად „ჩაკეტეს“ საზღვრები. იმ პერიოდში ასეთი ანეკდოტიც იყო გავრცელებული: „რა მოხდება, ატომური ბომბი რომ ჩამოვადო ანკარაში?“ პასუხი: „არაფერიც არ მოხდება – ყველა თურქი უკვე კოპენჰაგენშია...“

პირველი ემიგრაციული ტალღის დროს ქვეყანაში 10 ათასამდე მუსულმანური ოჯახი დასახლდა. მეორე ემიგრაციული ტალღა 80-იან წლებში, ახლო აღმოსავლეთში ახლად გამწვავებული სიტუაციის გამო წამოვიდა. ქვეყანა აივსო ლტოლვილებით, რომლებიც მოდიოდნენ ლიბანიდან, ირანიდან, ერაყიდან. შემდეგ მათ მოჰყვნენ იმიგრანტები სომალიდან და იუგოსლავიიდან. ქვეყანაში ისლამური კულტურის ინტენსიური გავრცელება დაიწყო.

მუსულმანური ოჯახები არ ექვემდებარებიან ინტეგრაციულ პროცესებს, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მთავრობაში. დისკუსია მუსულმანების შესახებ დანიურ საზოგადოებაში დაუსრულებლად მიმდინარეობს. თუმცა, როცა მუსულმანებზე ლაპარაკობენ, სიტყვა „უცხოელებს“ ხმარობენ, მაგრამ ყველამ იცის, ვინც იგულისხმება. მასხოვს, ერთხელ, როგორ ვერ მოითმინა გამოსვლისას შინაგან საქმეთა მინისტრმა და განაცხადა: „რატომ არ გვაქვს პრობლემა ვიეტნამელებთან ან შრილანკელებთან? იმიტომ, რომ მათ უნდათ ინტეგრირება ჩვენს საზოგადოებაში, მუსულმანებს კი – არა“.

დღეს დანიის მოსახლეობაში უცხო-ტომელთა რაოდენობა 7%-ს აღწევს. ბოლო 30 წლის განმავლობაში მათი რიცხვი 7-ჯერ გაიზარდა. სტატისტიკოსთა გამოვლენით, 2020 წელს უცხოელების რაოდენობა 14 პროცენტს მიაღწევს.

დანიის ყოფნისას, დიდი მონღოლებით ვეძებდი ჩვენს თანამემამულეებს. სამწუხაროდ, მარტო რუსებს, უკრაინელებსა და სომხებს ვხვდებოდი. ერთხელ თბილისში რომ დავრეკე, გავიგე – ჩემი თანაკლასელი, ფიზიკოსი ზაზა ჯალიაშვილი კოპენჰაგენში, სამეცნიერო სიმპოზიუმზე უნდა ჩამოსულიყო. სამწუხაროდ, სულ რაღაც სამი დღე ყოფილა და გვიან გამოგია. სამაგიეროდ, შევიტყვე, რომ ქართველების ნაშრომმა დიდი მოწონება დაიმსახურა სიმპოზიუმზე; თითქმის ყველა სამეცნიერო ჟურნალში მათი ფოტოსურათები დაიბეჭდა. მეცნიერებათა აკადემიაში კი დიდი ბანკეტიც გაუმართეს.

გახარებული ვიყავი, დამქონდა ეს ჟურნალი და ყველა ნაცნობს ვუჩვენებდი. ბაბუა კურტს კი ნიშნის მოგებით ვუთხარი – აი, ხომ ხედავ, ქართველები დანიაში, მარტო ფერმაში სამუშაოდ არ ჩამოდიან-მეთქი...

ჩემს გაგრძელებულ ვიზასაც დრო გასდიოდა. მეტად აღარც გამიგრძელებდნენ. რჩევისათვის ვიტყვი: ვინც უცხოეთში წავა, არაფრით არ უნდა დაარღვიოს სავიზო რეჟიმი, რათა მომავალში პრობლემები არ შეექმნას. ბევრი ევროპული ქვეყანა ამისთვის პიროვნებას 5-10 წლით უკრძალავს ქვეყანაში შესვლას.

ამრიგად, მოვიდა დრო, როცა ეს მშვენიერი პატარა ქვეყანა უნდა დამეტოვებინა, მე კი ჯერ ვერ გადამეწყვიტა – თბილისში დავბრუნებულიყავი თუ რომელიმე სხვა ქვეყანაში გადავსულიყავი. არადა, დრო საკმაოდ ცოტა მქონდა.



მას თანამედროვე კლარკ გეიბლს უწოდებენ, ახალ ჯეიმს დინს, ახალ მარლონ ბრანდოს, ახალ ნიკ ნოლტს და ახალ მიკი როურკსაც კი. უფრო მართალი იქნება, რასეულ ქროუს ახალი მელ გიბსონი ვუწოდოთ. „შემლილი მაქის“ შემდეგ ავსტრალიას აღარაფერი წარუდგენია მასზე უფრო ღირებული ჰოლივუდში. დღეს მასზე ყველა

გაზეთი წერს, მისი სახე უამრავი უურნალის გარეკანს ამშვენებს, სახელგანთქმული ტელეჟურნალისტები კი, მასთან ინტერვიუს ასაღებად იბრძვიან. ინტერნეტის მომხმარებელთა შორის ის პოპულარობით მხოლოდ პამელა ანდერსონს ჩამორჩება, ჰოლივუდის ჟურნალმა ENTERTAINMENT WEEKLY-მ მსახიობი წლის ადამიანად დაასახელა.



„გლადიატორი“ ქორნილისთვის ეზადაბა

თვით რასელი საკუთარი მოულოდნელი აღმავლობის შესახებ ამბობს: „არ ვიცი, იქნებ ეს ილბალია?“ ალბათ ილბალმაც შეასრულა თავისი როლი, მაგრამ მსახიობმა თავდაუზოგავად იმუშავა (მთელი წლის განმავლობაში შინ მხოლოდ 21 დამე გაატარა), მომეტა და შემდეგ მოიკლო წონაში 25 კგ, ისწავლა აკრობატული ილეთები და ხმლის მოხმარებასაც დაეუფლა, შემდეგ ორი თვე ეკვალორის ტყეებში გაატარა, მაგრამ შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ერთი წლის წინ, ეკრანებზე გამოვიდა დრამა „ჩენიანი კაცი“, რომელშიც ქროუს ალ პაინოსთან ერთად გამოჩნდა მთავარ როლში. ორივემ შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ ყველა პრიზი მანც ავსტრალიელ მსახიობს ერგო. ამ ფილმისთვის მან ათზე მეტი პრემია მიიღო და „ოსკარის“ მთავარ პრეტენდენტადაც ითვლებოდა. მართალია, მამინ მსახიობმა მოქროული ქანდაკება ვერ მიიღო, მაგრამ ორი თვის შემდეგ, ეს წარუმატებლობა არავის ახსოვდა – ეკრანებზე გამოვიდა ისტორიული საგა – „გლადიატორი“.

გენერალ მაქსიმუსის როლმა (რომელიც ლალატის შედეგად მონობაში ჩავარდა და გლადიატორი გახდა), ქროუს არა უბრალოდ წარმატება, არამედ სუპერვარსკვლავის სახელიც მოუტანა. ის ჰოლივუდის განსახიერებათა – არნი შვარცენეგერის, ტომ კრუზის, მელ გიბსონის გვერდით აღმოჩნდა. საქმე არც ის არის მხოლოდ, რომ ფილმმა კინოგაქირავების მეშვეობით 445 მილიონი დოლარი მოიპოვა და წლის მეორე კინოპიტი გახდა, მთავარი ის არის, რომ მსურბელმა (განსაკუთრებით ქალებმა) რასელი შეიყვარა. მისთვის „გლადიატორი“ იგივე გახდა, რაც ლეონარდო დი კაპრიოსთვის „ტიტანიკი“. ამ მწვერვალზე ასასვლელად კი ავსტრალიელს ათი წელი და ოცი შესრულებული როლი დასჭირდა.

სინამდვილეში რასელი ავსტრალიელი არ არის. ის 1964 წლის 7 აპრილს სტრატმორ-პარკში – ახალზელანდიური დედაქალაქის გარეუბანში დაიბადა. მეზობელ კონტინენტზე მისი ოჯახი მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გადაბარდა, ასე რომ, მსახიობი თავს

ნახევრად ავსტრალიელად, ნახევრად ახალზელანდიელად თვლის. ქროუს ეროვნულობის განსაზღვრა უფრო რთული ამოცანა აღმოჩნდა: ტრადიციული ბრიტანული სისხლის გარდა, მასში ნორვეგიელი ვიკინგების ცოტაოდენი სისხლიც ჩქევს. წარმომავლობის ერთი მეთექვსმეტედით კი ის მაორია: კუნძულები მისი დიდი ბებია იყო დედის მხრიდან და ეს საკმარისია იმისთვის, რომ ქროუს ამ ხალხის ტომის საბჭოში იყაროს კენჭი. გამოიყენა თუ არა მსახიობმა ეს უფლება ოდესმე – უცნობია.

ქროუს კინოკარიერა ბავშვობიდანვე იყო განსაზღვრული. მისი მშობლები კინო და ტელევიზიის გადასაღებ მოედნებს პროდუქტებით ამარაგებდნენ, ბიჭუნამ მთელი ბავშვობა დეკორაციებს შორის გაატარა, ეს კი დაეხმარა ქროუს მომავალში, ავსტრალიელ დედილია კამერის შიში. ის იხსენებს, რომ თავიდან ძალიან აინტერესებდა, რა იყო ბუტაფორიულ კარს მიღმა და როცა არავინ უყურებდა, დარწმუნდა, რომ იქ არაფერი იყო.

პირველად რომ გადაიღეს, 6 წლისა იყო! პატარა როლზე მიიწვიეს ადგილობრივ სერიალში. ასეთი მიწვევები შემდეგ სულ უფრო ხშირად მეორდებოდა: რატომ უნდა ეტყინათ მსახიობი სადმე შორს, როცა ეს ბიჭუნა იქვე იყო და ყველას ფეხებში ედებოდა. თითხმეტი წლის ასაკში ამას ბოლო მოედო – რასელი სკოლის დასამთავრებლად ახალ ზელანდიაში გაამგზავრეს, მან სკოლაში ჯგუფი ჩამოაყალიბა და „რას ლე როკის“ სახელით როკ-ოლიმპის მწვერვალის დალაშქრას შეუდგა. ჯგუფის პირველ სიმღერას ეწოდებოდა I WANT TO BE LIKE MARLON BRANDO („მინდა მარლონ ბრანდოს ვგავდე“), მაგრამ ყმაწვილების ყველა ცდის მიუხედავად, მათი ფირფიტები ნაგავსაყრელზე აღმოჩნდა. ქროუს აღნიშნავს, რომ ახალზელანდიური როკის ისტორიაში რამდენიმე ცული ჩანაწერის გაკეთება შეძლო. ამის მიუხედავად, ის დღესაც სიამოვნებით უკრავს ჯგუფში – 30 ODD FOOR OF

ვინ იფიქრებდა, რომ ახალზელანდიელ ფერმერს დევიდ ბოუს მეგობრობას შესთავაზებდა, ხოლო მეგ რაიანი – სიყვარულს...



GRUNTS. „გლადიატორის“ გამოსვლის შემდეგ, ვგუფმა ტენასში კონცერტი გამართა, რომლის ბილეთებსაც სპეკულანტები 500 დოლარად ყიდდნენ.

როკ-კარსკვლავი, ქროუ ვერ გახდა, მაგრამ მან ლუკმაპურის მოპოვების სხვა გზა იპოვა – რესტორანში ჭურჭელს რეცხავდა, ოფიციალურად მუშაობდა და მოხუცებთან ერთად „ბინგოს“ თამაშობდა. მისი თანატოლები დრამატული ხელოვნების პრესტიჟულ, ნაციონალურ ინსტიტუტში განავრძობდნენ სწავლას, რასელმა კი ჩათვალა, რომ ამის შესახებ ისედაც ყველაფერი იცოდა და ქუჩის მსახიობობა არჩია. ასეთი დაუდევრობის მიუხედავად, 19 წლის ყმაწვილს გაუმართლა – განმარტებული ჰიესის – „ბრილიანის“ ავსტრალიურ თეატრალურ ვერსიაში მიიღო როლი (სადაც ჯონ ტრაველტა ბრწყინავდა) და თეატრალურ დასთან ერთად 400-ზე მეტი წარმოდგენა გამართა.

კინოში კი საქმე ჯერ არ იძვროდა. შეიძლება ამის მიზეზი წინა კბილების არქონა იყო, რომელიც 10 წლის რასელს ფეხბურთის თამაშის დროს ჩაუმტვრიეს (ავსტრალიური ფეხბურთი რაგბის ჰვავს, ოღონდ უფრო უხეშია).

წარმატებას ქროუმ 1989 წელს მიაღწია, ის ერთდროულად ორ სურათში მიიწვიეს – „სისხლიანი ფიცა“ და „გზავჯარედინი“. პირველმა მსახიობი ახალი კბილებით „დაავიჯილოვდა“ (რა თქმა უნდა, გადაძვება ხარჯით), მეორეთი კი ქროუ ავსტრალიური კინოინსტიტუტის პრემიის ნომინაციაზე წარადგინეს. ერთი წლის შემდეგ, ის ამ პრემიით დაჯილდოვდა – მეორეხარისხოვანი როლისთვის, ორი წლის შემდეგ კი ავსტრალიის საუკეთესო მსახიობი გახდა ფილმში „რომკერ სტომპერი“ (ჩვენში ფილმი „სკინი“-ს სახელით შემოვიდა). თავდახოტრილთა წინამძღოლის სახე ქროუსთვის ჰოლივუდში შესასვლელი ბილეთი გახდა – ფილმი რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობდა და ამის წყალობით ავსტრალიის ფარგლებს გასცდა.

პირველად, რასელ ქროუს ჰოლივუდის სექსობამამ, შერონ სტოუნმა მიაქცია ყურადღება. სწორედ იმ დროს ის მუშაობას იწყებდა ვესტერნზე „სწრაფი და მკვდარი“ და რასელს ჩაეჭიდა. მას ძალიან უნდოდა ქროუს საკუთარ ფილმში მიწვევა (ფილმი შერონის პირველი პროდიუსერული ცდა იყო) და იმაზეც კი დასთანხმდა, რომ მსახიობის მოუცლევლობის გამო, გადაღებები გადაედო, მაგრამ შედეგი სავალალო აღმოჩნდა: „სწრაფი და მკვდარი“, ასევე „სწრაფად მოკვდა“, შერონ სტოუნ კი ქროუს, როგორც ყველაზე სექსუალურ პარტნიორს დღესაც იხსენებს.




„ლოს-ანჯელესის საიდუმლოებანი“

ჰოლივუდში ქროუს წარმატებული კარიერა ელოდა. ის რამდენიმე სერიოზულ ფილმში მიიწვიეს, ერთ-ერთი მათგანი „ლოს-ანჯელესის საიდუმლოებანი“ იყო. ავსტრალიელი ოდნავ ბრწყინვალე პოლიციელის როლს ასრულებდა და ჰოლივუდის სექს-სიმბოლოსთან – კიმ ბესინჯერთან ფილმში სარეკელიც გაიყო. მართალია, ფილმს „ტიტანიკთან“ ერთ სეზონში მოუწია „ცურვა“, მაგრამ მაინც შეძლო პრიზების შთამბეჭდავი მოსავალი მიეღო და ორი „ოსკარიც“ ხვდა წილად. ქროუც არ დარჩენილა განაწილებული, თუმცა ჯერ სასურველ დონეს ვერ მიაღწია: მისი პერსონაჟები ერთნაირები იყვნენ – ძლიერი და არცთუ ისე გონიერი ყმაწვილები. ნიჭის ბოლომდე გამოსავლენად მსახიობს სულ სხვა როლი ესაჭიროებოდა, მაგალითად ისეთი, როგორიც „ჩვენთან კაცში“.

ამ როლის გამო, რასელმა ნამდვილი მსახიობური გმირობა ჩაიდინა – თავის სტანდარტულ 80 კგ-ს კიდევ 25 დაამატა. შედეგად რეჟისორმა მაიქლ მანმა საჭირო პერსონაჟი მიიღო, ქროუმ კი – კიდევ ერთი კომპლექსი გარეგნობის გამო. საქმე ის არის, რომ მანამდე რცხვენოდა თავისი აღნაგობის – 180 სმ სიმაღლის მიუხედავად, თავი მსუქნად მიაჩნდა, ზედმეტი კილოგრამების დამატების შემდეგ კი ეს ფსიქოზში გადაეზარდა. ამჟამად მსახიობი სპეციალურ,

„გლადიატორი“



ჩადგმულქუსლიან ფეხსაცმელებს იკერავს, რათა მისი „კვადრატული“ აღნაგობა აღარ ჩანდეს.

წონის მომატება კი უბედურების მხოლოდ ნახევარი აღმოჩნდა. ხუთი თვის შემდეგ „გლადიატორის“ გადაღებები იწყებოდა და ამ დროის განმავლობაში, მოუქნელი „ბუთსუხა“ კარგად ნავარჯიშებ ლეგიონერად უნდა გადაქცეულიყო. მან ეს ყოველგვარი დიეტისა და საჭრენაურო დარბაზების გარეშე შეძლო – უბრალოდ, ავსტრალიაში მამის ფერმაში გაემგზავრა. „როცა 560 აკრი (1 აკრი 4046 კგ. მ-ს უდრის – რედ.) მიწა გაქვს, 270 ძროხა გყავს და დღის მანძილზე მილიონი საქმე უნდა მოასწორო, ეს დიეტაზე ბევრად უკეთ მოქმედებს – ჰყვება მსახიობი. – მე უბრალოდ, ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდი“. სწორედ ამ ფერმაში აპირებს გამგზავრებას ქროუ კინოკარიერაში წარუმატებლობის შემთხვევაში.

მანამდე კი ჯერ დიდი დროა. „გლადიატორის“ წარმატების შემდეგ მსახიობი ჰოლივუდის ელიტაში შევიდა და თითოეული როლისთვის 15 მილიონ დოლარზე ნაკლებს აღარ იღებს. ამასთან, კალიფორნიაში მას სხვა ინტერესი – მეგ რაიანი აკავენს. მათი რომანი ფილმის – „ცხოვრების მტკიცებულებები“ გადაღებებზე დაიწყო. თავიდან ყველაფერი დაფარული იყო, კოლეგებაც კი ვერაფერს ამჩნევდნენ. ჭორები მას შემდეგ ავირდა, რაც რაიანმა ქმართან გაყრა მოისურვა. პაპარაცები ეკვადორის ტყეებში გაემუხრნენ, ჟურნალებში კი ბედნიერი წყვილის ფოტოსურათები გაჩნდა. და რადგან გულჩათხრობილი რასელი ჟურნალისტებს აღარ ემალებოდა, ყველა მიხვდა, რომ საქმე მართლაც სერიოზულად ყოფილა. იმასაც ამბობენ, მალე ჰოლივუდი კიდევ ერთი შესანიშნავი ვარსკვლავური ქორწილის მომსწრე გახდება.



ლეა ღივახიანი

50-იანი წლები იდგა. ბიჭვინთის მონასტერში მხატვრები აღდგენით სამუშაოებს ატარებდნენ. უნიკალური მოზაიკა უნდა გადაერჩინათ. საღამო ხანს ორი ფრანგი ტურისტები მივიდა მათთან. განცვიფრებულები იყვნენ ამ ისტორიული ძეგლის ნახვით. განსაკუთრებით მოზაიკა აოცებდათ. მხატვრები დიდი სიამოვნებით უწევდნენ მეგზურობას. დამშვიდობებისას მოკრძალებით უკითხავთ ფრანგებს: შემთხვევით, მხატვარ გუდიაშვილს ხომ არ იცნობდით, გაგიგეთ, ცოცხალი აღარ არისო... ღუმელი ჩამოვარდა, უხერხული და ხანგრძლივი... როცა ტურისტები მანქანაში სხდებოდნენ, ერთი შუახნის, გამხდარი, მოძრავი ქართველი მხატვარი გამოეყო სხვებს და ღრმად დადარდინებულმა თქვა: ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ, მე ვარ ის ქართველი მხატვარი გუდიაშვილი, თქვენ რომ წელან იკითხეთ... გაფართოებული თვალებით უყურებდნენ ფრანგები. ნამდვილად გაუჭირდათ დაჯერება... არადა, მართლაც ასე იყო: მათ წინ იყო გუდიაშვილი, რომელსაც პარიზში ყველაფერს პპარდებოდა – დიდებს, სიმდიდრეს, უზრუნველ ცხოვრებას... ეს იყო გუდიაშვილი, საბჭოთა ცნობიერების მიერ მრავალგზის შევიწროებული და განაწამები და მაინც თავისი ხელოვნების ერთგული, მოკრძალებით, უხმაუროდ მცხოვრები...

ის 1896 წლის 18 მარტს დაიბადა. მამა – დავით გუდიაშვილი წყნარი, პატიოსანი მშრომელი კაცი წარმოშობით მთიული იყო, რკინიგზის დეპოში მსახურობდა. დედა – ელიზავეტა ოთონიშვილი ფასანაურელი მღვდლის ქალიშვილი იყო. რამდენიმე ხანი ისინი დუშეთშიც ცხოვრობდნენ. ორი ვაჟი ჰყავდათ: ვახტანგი და ლადო. შემდეგ თბილისში გადმოვიდნენ. შვილების აღზრდა-განათლებაზე დედა ზრუნავდა. ლადო გუდიაშვილი ხშირად აღნიშნავდა, რომ მისი მხატვრად ჩამოყალიბება, პირველ რიგში, დედის დამსახურება იყო. ვახტანგი ბავშ-

„პარიზი ყველაფერს მიიკლბოდა... მაგრამ მე ამ სულ მსირაღის მახარებს“

ვობაში ძალიან კარგად სატავდა. პატარა ლადოს უყვარდა ძმის შემოქმედების დათვალიერება. ვახტანგი, საბოლოოდ, ექიმი გახდა, ლადო კი – მხატვარი. ორივეს პროფესიის არჩევისას ლომის წილი დედისა იყო. დედა ყოველთვის ცდილობდა, მის უმცროს ბიჭს სატვა ესწავლა. მოჰქონდა ილუსტრირებული ჟურნალები. ლადოც ინახავდა იქიდან სურათებს... განსაკუთრებით, გაჭენებული ცხენებისა და პეპლებით სავსე მინდვრების სატვა უყვარდა...

1910 წელს ლადო გუდიაშვილი თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში შეიყვანეს, რომლის დამთავრების შემდეგ ხატვისა და არქიტექტურის შესწავლა დაიწყო...

მერე იყო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მუშაობა ექვთიმე თაყაიშვილთან.

თბილისში კი „ცისფერყანწებლებთან“ მეგობრობდა... კაფე „ქიმიონის“ კედელს სატავდა... ვერ წარმოიდგენდა, რამხელა ტკივილი გაუჩნდებოდა გულში მომავალში, როცა ეს კაფეც, მისი მოხატული კედლებიც, აღიგებოდა პირისაგან მიწისა... არ დარჩებოდა არც ფოტო, არც სხვა რამ... მხოლოდ ზეპირი მოგონება. „ქიმიონის“ იყო, როცა ტიცინამა დაუძახა: „ამოდი, რაღაც უნდა გახარო... შენი და დავით კაკაბაძის კანდიდატურები გავიდნენ... პარიზში მიდიხარო...“

დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი ბათუმში ელოდნენ გემის ჩამოდგომას. ის კი იგვიანებდა. ყოველდღე გადიოდნენ პორტში... ერთხელაც, გზად დუღუკის ხმა მოესმათ. გაიხედეს, დაინახეს, რომ ერთი მოხდენილი ახალგაზრდა კინტაურს ცეკვავდა. ლადო გუდიაშვილს, ცეკვის ცნობილ ოსტატს, იმდენად მოეწონა, რომ მეგობართან ერთად იქვე ჩამოჯდა, ერთ-ერთი დუქნის მაგიდასთან. გასაოცარი ის იყო, რომ მოცეკვავე, ზანგი აღმოჩნდა... კაკაბაძე გაცოცხლებული ეკითხებოდა: კაცო, თბილისელი კინტოები ვინ არიან, ვიცით, მაგრამ შენ ვინ ხარო? მსგავსი მოხდენილი კინტაური, არც ლადოს და არც დავითს არ ენახათ...

მაღე ქართველი მხატვრები რომში იყვნენ. თვე-ნახევარი დაჰყვეს იქ. რომიდან მატარებლით პარიზისკენ გაემართნენ... როცა ერთ პატარა სადგურთან დროებით შეჩერდნენ, ლადო გუდიაშვილმა ფანჯრიდან შადრევანი დაინახა. ძალიან სწყუროდა. იფიქრა: მოდი, ჭურჭელს წყლით ავავსებო... ჩავიდა... მოინედა და ხედავს, მატარებელი დაიძრა. ძლივს მიუსწრო

ბოლო ვაკონს და მოეჭიდა, რომ იტყვიან, შეახტა... მაგრამ კარი არ გაიღო... რა უნდა ექნა – ხომ არ დარჩებოდა!.. ძალა მოიკრიბა და მთელი ნახევარი საათი დაკიდებულმა იმგზავრა. კიდევ კარგი, შემდეგი სადგურიც მალე გამოჩნდა... მთლად გათოშილი, დასვრილი, გაწამებულნი ლადო გუდიაშვილი თავის კუბეში შევიდა. იქ გაოგნებული დავით კაკაბაძე დახვდა, რომელსაც ვერ გაეგო, რა ექნა, რით დახმარებოდა მატარებელს ჩამორჩენილ მეგობარს. როცა კაკაბაძე დამშვიდებულა, ღიმილით უთქვამს ლადოსთვის: შენ ახლა იმ ზანგზე უფრო შავი ხარ, ბათუმში რომ ვნახეთ, ბარემ ერთი კინტაურიც დაუარეო...

პარიზში ყოველდღე კაფე „როტონდაში“ იკრიბებოდნენ ხელოვნების მოტრფილები; იქ დადიოდნენ გენიალური მხატვრები, რომლებიც ერთსა და იმავე ადგილას სხდებოდნენ. მათი სკამები საშუალოდ დაამახსოვრდა ლადო გუდიაშვილს.

პირველივე გამოფენა პარიზში, რომელზეც ლადო გუდიაშვილმა 4 სურათი გაიტანა, წარმატების მომტანი იყო მისთვის. მისი ორი სურათი მოეწონათ და ყიდვა ისურვეს. ერთ-ერთი მათგანი ცნობილ ესპანელ მხატვარს, იგნასიო ზულოაგას უნდოდა თავისი კოლექციისათვის... სალონის მფლობელებს აუწყა ლადო გუდიაშვილმა, რომ ზულოაგას ჩუქნიდა სურათს. გაოცდნენ: ჯერ იუარეს, შემდეგ დასთანხმდნენ, მისი სურვილი გადაეცათ ესპანელი მხატვრისთვის. მეორე დღეს იგნასიო ეწვია ლადოს. დიდხანს ისაუბრეს, ბოლოს, იგნასიომ უთხრა: თქვენ საქართველოს წარსულზე მესაუბრებოდით, მე კი ესპანეთის ისტორია დამიღვა თვალწინო... ლადომ ბასკებისა და ქართველების საერთო წინაპრის არსებობის ვარაუდი აუწყა სტუმარს. ის საბოლოოდ აღფრთოვანდა: ხომ ხედავ, „ძმა“, რამდენ მხატვარში გამოგაჩინეო. ზულოაგა წავიდა. ლადომაც „როტონდაში“ გადაწყვიტა წასვლა. ჩაიცვა, ქუდის დახურვა მოინდომა და... მიხვდა – ზულოაგას ქული შეცვლიდა. ქუჩის ბოლოში დაეწია:

- მაესტრო!
- რა მოხდა?
- პატარა გაუგებრობაა... თქვენ ჩემი ქული აგიღიათ.

და პარიზის ერთ პატარა ქუჩაზე გენიალურმა ბასკმა და ქართველმა მხატვრებმა ქულები გაცვალეს.

„როტონდაში“ ლადო გუდიაშვილი ამეღეო მოდილიანის ხედავდა. მის ნახ-

ატებს არავინ ყიდულობდა, არც არავინ აღიარებდა სიკვდილამდე... დახატა კიდეც ლადომ სურათი – „ამედეო მოდილიანი კაფე „როტონდაში“.

ერთხელ, კაფეში რომ შევიდა, პიკასოს თავისი სკამი დაკავებული დახვდა. მიიხედ-მოიხედა და ლადოს მაგიდისაკენ გაემართა. ჩამოჯდა. გაიცნეს ერთმანეთი. ხანმოკლე საუბრის შემდეგ გენიოსმა მხატვარმა დამოძღვრა: ფრთხილად, თავი არ დაიჩაგრეთ, ეს ხომ პარიზიაო!..

პარიზი ზღაპრულ ქალაქს ჰგავდა. იმართებოდა კარნავალები, დღესასწაულები... განსაკუთრებული ხმაურით აღნიშნავდნენ 14 ივლისს – ბასტილიის აღების დღეს. ერთხელაც, სწორედ ამ დღესასწაულზე, გაუსაძლის სიციხეში, ლადო გუდიაშვილმა გადაწყვიტა, თმა გადაეღო. საპარიკმაზეროში ურჩიეს, გადაეფიქრებინა მომხიბლავ ქორხორთან განშორება, მაგრამ მისი გადაწყვეტლება მტკიცე იყო. როცა თავგადაპარსულმა სარკეში ჩაიხედა, მიხვდა შეცდომას. შინ დიდი წითელი თავსაფარი ჰქონდა. ჯერ ის მოიხვია, შემდეგ კი ფართოფარფლებიანი ქუდი დაიხურა და ასე წავიდა „როტონდაში“. უეცრად უნიდან ვიღაცამ ხელი სტაცა. მოიხედა – ვიღაც ზორბა კაცი ბორკილებს უკეთებდა. როცა ჰკითხა: რა გნებაეთ, ვინ ბრძანდებითო, ამერიკელი პოლიციელი ვარო, – უპასუხა უცნობმა და ჯიბიდან ძეხნილის სურათი ამოიღო დამსწრეთა დასარწმუნებლად – შეხედეთ, აი, ეს კაცი – ყაჩაღია, დიდი ხანია ვეძებთ და ძლივს დავიჭირეთო... შემოეხვივნენ, დაუწყეს ახსნა: ეს ქართველი მხატვარია, ჯორჯია... ჯორჯიაო... დიან, სწორედ ჯორჯიის შტატიდან გამოიქცაო... კინაღამ საპატიმროში მიაბრძანეს. ხსნად ამერიკელი მხატვრები მოეკლინენ, რომლებმაც შეძლეს პოლიციის დარწმუნება, რომ სულ სხვა კაცს ეძებდა – ყაჩაღთან მსგავსება მართლაც გასაოცარი აღმოჩნდა...

ერთ-ერთ კარნავალზე, სადაც ყველა აუცილებლად საკარნავალოდ გამოწყობილი უნდა მისულიყო, ლადო გუდიაშვილი მისი მეგობრის მიერ საქართველოდან ჩატანილი ჩერქეზული ახალუხითა და ქამარ-ხანჯლით გამოცხადდა. მეგობრებმა დაინახეს თუ არა, ლეკურის ციკვა სთხოვეს. ლადო ესტრადლაზე ავიდა და შესანიშნავად იცეკვა, თუმცა დამკვრელებმა ქართული მელოდია ვერა და ვერ დაუკრეს...

უკვე თბილისში დაბრუნებულ მხატვარს ერთხელ ასეთი რამეც შეემთხვა. წვიმა იყო. მარჯანიშვილის თეატრთან მოხვდა და თავი იქ შეაფარა. კოტე მარჯანიშვილს რეპეტიცია ჰქონდა. დაინახა თუ არა, ანთებული თვალებით გამოექანა: შენი თავი ღმერთმა გამომიგზავნაო: ეს



ახალგაზრდა ვერა და ვერ მივახვედრე, როგორ უნდა ჩამოუაროს კინტაური და აჩვენე გეხვეწებიო. იქვე კინტოს ტანსაცმელში გამოწყობილი გიორგი შავგულიძე იდგა. ლადომ იუარა: ამ ჩაცმულობით როგორ ვიცეკვებო. როცა კოტე არ მოემეცა, სცენაზე ავიდა და იცეკვა. ჯერი გიორგი შავგულიძეზე მიდგა. აღფრთოვანებული კოტე მარჯანიშვილი სიხარულს ვერ ფარავდა: შეხედე, რახანია ვეწალობით, შენი ერთი ჩამოვლა კი საკმარისი იყო, რომ ასე მშვენიერად ეცეკვაო.

... როცა ლადო გუდიაშვილმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, ბილეთები აიღო, ბარგი გაავსაზნა პორტში. პარიზის ერთ-ერთი ცნობილი გალერეის მეპატრონე, როზენბერგი ეწვია. ჩვეულებრივ, ასეთი მასშტაბის გალერეის მფლობელები მხატვრებთან არ დადიოდნენ. გუდიაშვილს ძალიან გაუკვირდა. როზენბერგმა უთხრა: „თქვენ წასვლას აპირებთ სწორედ მაშინ, როცა აღიარება მოიპოვეთ. თუ არ გადაიფიქრებთ, ეს დიდი შეცდომა იქნება. მე თვითონ ვიზრუნებ თქვენი ბილეთების დაბ-

ჩაბლინი და იმპრესარიო კაფე „როტონდაში“



რუნებაზე, თქვენი ბარგის უკან მოტანაზე. თქვენთვის ადრეა პარიზიდან წასვლა. მე თქვენზე დიდი გამოცდილება მაქვს – დამიჯერეთ, დარჩით...“ ლადო გუდიაშვილმა უპასუხა: „მაგრამ მე ჩემი სამშობლოს შვილი ვარ. მართალია, ძალიან შემეყვარდა პარიზი... მან ძალიან ბევრი მომცა... მაგრამ მაინც უნდა წავიდე. სამშობლოს მიწა და მზე მენატრება“.

ლადო გუდიაშვილი დაბრუნდა. დიდი ილიას სახლ-მუზეუმის გახსნისას ექსპოზიციის მოწყობას ხელმძღვანელობდა... როცა დამთავალიერებლებმა აღფრთოვანებულებმა იკითხეს, რომელი მხატვარი მუშაობდა ამაზე და გოგლა ლეონიძემ გუდიაშვილი დაუსახელა, აღშფოთდნენ: როგორ, ის ხომ ფორმალისტიკაო! მთელი დღე მარტო დადიოდა ტყეში მხატვარი. გული აღარ მიუწევდა ხალხისკენ...

როცა 1957 წელს მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო, იდგა ცნობილი მხატვარი, მასთან მიდიოდნენ, ესაუბრებოდნენ... საყვედურობდნენ: თქვენს ნახატებში ყველა ქალი და კაცი ლამაზია, აბა, ჩვენს ხელებს შეხედეთ, ნაშრომ ხელებსო... და მას მეათითასეც უწევდა იმის მტკიცება, რომ ხელოვანი ყველაფერში სილამაზეს ეძებს...

უკვე ასაკოვანი, მრავალჭირინახული ხელოვანი წერდა: „და ისევ თვალწინ მიდგას ცნობისმოყვარე პატარა ბიჭი. მას ძალიან უყვარს გაჭვინებული ცხენების და მინდორში მოფარფატე პეპლების ხატვა... მას ჩემი სახელი ჰქვია და მე მგავს... მე არ მინდა, რომ ის წლები უკვე გასული იყოს, ის წლები მაინც ჩემთან დარჩენენ“...

ეტყობა, ვიღაცამ ჰკითხა საბჭოთა სისტემით დათრგუნვილ მხატვარს, ხომ არ ნანობდა აქ დაბრუნებას. ლადოს უპასუხა: პარიზი ყველაფერს მპირდებოდა, მაგრამ აქ მე სულ მცირედც უსაზღვროდ მახარებს, რადგან ჩემს სამშობლოში ვარო.

მოდილიანი კაფე „როტონდაში“



მოქუფრულმა ცამ პირი გახსნა და თბილისის ქათქათა თოვლის საბანი გადაფარა. საუკუნის კიდევ ერთი მეასედი ისტორიის მარადიულობაში იკარგებოდა. ახალი წელი სადღოდელ გამზადებული ბელაურით ცმუკავდა, თრთოდა და თავისი ჟამის დადგომას სულმოუთქმელად ელოდა.

დადიანის ქუჩაზე, პატარა სახლის მეორე სართულზე, ორი ქალი ფაციფუცობდა. ძველებური, ლომისთათებიანი მაგიდა დიდი გემოვნებით გაეწყოთ. მრავალწლოვანი ჭურჭელი ხავერდის მწვანე სუფრაზე ისე განელაგებინათ, თითქოს მხატვარი ნატურმორტის დახატვას აპირებსო. აქა-იქ ჩადგმულ შანდლებში სხვადასხვა ფერის სანთლები მოეთავსებინათ. ფანჯრის რაფაზე ფერადი ბაფთებით მორთული ჩიჩილაკი დაედგათ.

— ინგა, მოდი, შვილო, დავესხდეთ. თერთმეტი ხდება.

— ახლავე, დედა, პურს დაეჭრი და მოვიდევარ, — სამზარეულოდან გამოსახა ქალიშვილმა. ოთახში საშუალოზე მაღალი, სიმბათიური ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. ხელში საპურე ეკავა:

— ქალბატონო ლიდა, — გაიღმა ინგამ, — ვაცილებთ ძველ წელს, — მაგიდასთან დაიხარა და საპურე შუაში ჩადგა.

— ვაცილებთ, ვაცილებთ, — ნაღვლიანი ხმით დაეთანხმა მშობელი, — სამოცდამეხუთედს ვაცილებ.

— ეგ არაფერი, დედაჩემო, — სკამი გამოიწია და მოკალათდა.

— ეკ, რაღა არაფერი. რამდენი წელიდა დამრჩა? არ მადირსე შენი გათხოვება, რომ პატრონს ჩაგაბარო და დაწყნარებული წავიდე ამ ქვეყნიდან. ბოლოს და ბოლოს, ერთი შეილაშვილის ღირსი აღარ ვარ?

— რა ვქნა, დედა? კაცები გადაგვარდნენ.

— შენი მოსაწონი ვერავინ მოიძებნა. როგორ, ამხელა ქალაქში ერთი ნორმალური კაცი ვერ ნახე?

— არ არიან-მეთქი! — გააგრძელა სიტყვა ქალიშვილმა, — ყველა, როგორც ნიეთს, ისე გიყურებს. აინტერესებთ, ფულიანი ოჯახიდან ხარ თუ არა. არც შენი ინტელექტი, პატიოსნება, ოჯახიშვილობა სჭირდებათ. გამათხოვრდნენ, გაბუქთახორდნენ, მზამზარეული ფუფუნება უნდათ...

— წყალი ნუ გადაწურე, — გააწყვეტინა დედა, — ვერც არ არის.

— კარგი, არ გვინდა მაგაზე ლაპარაკი, — ინგა შამპანურს გადასწვდა და გახსნა, — გავაცილოთ ძველი წელი, თორემ გაგვინაწყენდება.

დედა-შვილმა მიმავალი წელიწადი აღდგურდნენ. ინგამ ლორი გადაიღო და დაჭრას შეუდგა:

— ისე, ჩემს სამსახურში ერთი გერმანელი ძალიან მეკურკურება, — ეშმაკურად მოჭუტა თვალები.

— მერე? — სახეზე ცნობისმოყვარეობა აღებეჭდა ლიდას.

— მერე ის, რომ ნორმალური კაცია, განათლებული, შრომისმოყვარე. ცოტა ასაკოვანია, მაგრამ არ ეტყობა. ხშირად მწუქნის ყვავილებს და შესვენებაზე კაფეში მებატიყება,



ბესიკ კეკელიძე

ახალი წლის სჩუქარი

— კმაყოფილი გამომეტყველებით ჰყვებოდა ინგა.

— რამდენი წლისაა? ცოლგანაშვებია? აქამდე რატომ არ მითხარი? — კითხვები მიაყარა დედა.

— ჩემზე თხუთმეტი წლით უფროსია, უცოლოა. ჩვენ შორის სერიოზული არაფერია და რა უნდა მეთქვა? — გააკვირვა ქალმა.

— ამ დღეებში სადილს გავაკეთებ, სახლში დავგაბატყვით.

— არა, დედა, ჯერ ადრეა ფრიცის დაბატიყება.

— რა, ფრიცი ჰქვია? — დიმილი დაელო ლიდას.

— არა, ჰერბერტი. ფრიცს ხუმრობთ ვეძახი, — გაიცინა ინგამ.

— ისე, სიძე ქართველი მერჩინა. ის გერმანიაში წავიყვანს, მე დავრჩები ასე, მარტო.

— დედა, ჯერ ნადრევია ამაზე ლაპარაკი. მოდი, თემა შევცვალოთ და ახალ წელს გემრიელად შევხვდეთ, — ინგა წინ გადაიხარა, ჭადარაზე ხელი გადაუსვა, — იცოდე, მე სადაც არ უნდა წავიდე, მარტოს არ დაეტოვებ. ჩემო დედიკო, შენს მებტი არავინ მყავს, — სახე ახლოს მიუტანა, აკოცა და ჩაეკრა.

ტელეფონის ზარმა ჩახუტებული დედაშვილი დაამორა.

— გისმენთ! — ყურმილი აიღო ლიდამ, — მეც გილოცავ, შვილო. ახლავე დაუძახებ, — მოდი, ელზა ტელეფონთან.

— ზო, ელზა, კარგი. პირველისთვის მზად ვიქნები, — ყურმილი დაკიდა ინგამ, — თავისთან მებატიყება, ჯგუფილი გოგოები იკრიბებიან.

— უნდა წახვიდე, შვილო, მაგრამ ამ თოვლში რით წახვალ?

— პირველი საათისთვის ელზას ქმარი გამომივლის, — მაგიდასთან მოკალათდა ინგა.

— კარგი ქმარი ჰყავს ელზას?

— ეტება, ეტება და ბოლოს იპოვა ფულიანი, კახელი მუტრუკი, ცხოვრებაში ერთი წიგნიც არ წაუკითხავს. სამაგიეროდ ვაკეში ცხოვრობენ, ფუფუნებაში ცურავენ, დიდი პრეტენზიები აქვთ...

— მერე რა არის ამაში ცული?

— ცული ის არის, რომ ცოლქმრობაში ფული არ არის მთავარი, მთავარია სულიერი ურთიერთობა. როგორ, მნიშვნელობა არა აქვს, როგორ კაცთან ცხოვრობ? მარტო ჭამა-სმა და ბრილიანტები ხომ არ არის ყველაფერი. ცხოველები ხომ არა ვართ? — სიბრაზისგან წამოჭარხლდა ინგა.

— ნუ ხარ ასეთი კატეგორიული, — თვალებში შესცქეროდა ლიდა.

— დედა, არ შეიძლება სხვისი როლის თამაში. ერთი განახვა, ელზა როგორ ერევა გოგოების ოჯახურ ცხოვრებაში. ვერ გამოიგია, ამის უფლება ფულმა მისცა?!...

— იცი, რას გეტყვი?! — გააწყვეტინა დედა, — ქალს თუ არ უნდა, თავის პირადულში ცხვირს არავის ჩააყოფინებს. ასე რომ, შენი გოგოები სცოლავენ. ერევა იმიტომ, რომ რჩევას ეკითხებიან და ისიც თავისი ვიწრო გაგებით ეხმარება. შენს მეგობრებს ავიწყდებათ, რომ ოჯახური ნაგვის გარეთ გატანა არ შეიძლება. რაც შეეხება ქმარს, რადგანაც ის ბედნიერია, ესე იგი, იმსახურებს, რომ გვერდით ასეთი კაცი ჰყავდეს. ყველა ქოთანს თავისი სახურავი აქვს. ასე რომ, მიიღე ელზა ისეთი, როგორც არის და იფიქრე საკუთარი ოჯახის შექმნაზე. ის იდეალი, რომელიც გონებაში გაქვს, არ არსებობს. დაეშვი მიწაზე, ცხოვრებას რეალურად შეხვდე, — ლიდამ შამპანური ჩამოასხა.

ამ დროს ძველებურმა კედლის საათმა

ქალებს ახალი წლის დადგომა ამცნო.

– გაგვიმარჯოს, ჯანმრთელობის, ბედნიერების, სიხარულისა და რაც მთავარია, შენი გათხოვების წელი ყოფილიყოს, – დედამ ზევით ასწია შამპანურით სავსე ფუჟერი, რამდენიმე ცლუპი მოსვა.

– გაგვიმარჯოს, ვეცდები, იმედები გაგიმართლო, – თვალი ჩაუკრა ქალიშვილმა.

ოთახში ტელეფონის გაბმული ზარი გაისმა. ინგა წამოხტა, ყურმილი ყურზე მიიკრა:

– გისმენთ, – სახეზე კმაყოფილება აღებუჭდა, გაღიმიებული იდგა და სულგანაბული უსმენდა. დედა გუმანით ხვდებოდა მოსაუბრის ვინაობას, გაბრწყინებული თვალებით შვილს შესცქეროდა, – მეც, მეც, გელოდები და გოცნი ბერს, – ყურმილი დაკიდა ქალიშვილმა. დედისკენ შემობრუნდა, სახეზე ბედნიერება აღებუჭდვოდა. მარცხენა ფეხი მოხარა და მაგიდისკენ პატარა ბავშვივით ასკინკილით წავიდა:

– ფრიცმა დამირეკა, ახალი წელი მიმილოცა და ხელი მთხოვა. როცა ჩამოვალ, ვიქორწინოთ!

– რაო? – გაეხარდა ლიდას, – როდის ჩამოდის?

– ორ კვირაში, – ინგამ ფუჟერი ასწია, ბედნიერების სადღერძელო შესვა.

– კი, მაგრამ, მე არ უნდა გამაცნო? – გაკვირვებული და გაბრაზებული ტონი ერთმანეთში აერია დედას.

– ჯერ ჩამოვიდეს და გაგაცნობ, აბა რას ვიზამ, – უზომოდ გახარებული იყო ინგა.

– სად არის? თბილისში რატომ არ არის?

– საახალწლო შეგებულებაშია და თავისიანებთან, კიოლნში წავიდა. ახლა მოვეშაბლები, თორემ თამაზი გამოვიღის. უხერხულია, რომ ვალოდინო.

– კარგი, შვილო, თავს მიხედე. იცოდე, ჯერ არავისთან არაფერი თქვა.

– ვიცო, დედა, ვიცო. ჯერ გადაწყვეს, თქმას ყოველთვის მოვასწრებ, – გაიღიმა ინგამ და სიხარულივით თავბრუსხვეული, ოთახიდან გავიდა.

ლიდა ტელევიზორს მიუბრუნდა, მაგრამ ფიქრებით ქალიშვილის მომავალს დასტრიალებდა. ათასი აზრი გონებას უძღვრევდა. შიგადაშიგ, კედელზე ჩამოკიდებულ მეუღლის სურათს ისე აჰხედავდა, თითქოს რჩევას ეკითხებო.

– დედა, ეს კაბა მიხდება? – ცისფერ კაბაში გამოწყობილი წინ დაუდგა.

– ძალიან, ჩემო ლამაზო გოგო! – ათავალიერა ლიდამ ქალიშვილი, – ჩემს თავს მაგონებ ახალგაზრდობაში.

პირველი საათისთვის მანქანის სიგნალის ხმა გაისმა. ინგამ ფანჯრიდან გადაიხედა:

– მოვიდა, – დედის გასაგონად ჩაილაპარაკა. ლაბადა ჩაიცვა, კანფეტები მუჭით ჯიბეში ჩაიყარა, – არ მოიწყინო, – დაიხარა და აკოცა.

– არა, შვილო, ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურებ, მერე დაწევები. გასაღები წაიღე, არ დაიგვიანო.

ინგა ქუჩაში გავიდა. ასფალტზე დადე-

ბული თოვლის სისპეტაკე მანქანებისა და ხალხის ნაკვალევს შეებღალა. მანქანის კარი გააღო, წინა სავარძელზე მოთავსდა:

– თამაზ, გილოცავ ახალ წელს, – კანფეტი გაუწოდა და გადააკოცა.

– მეც გილოცავ. წავედით, ნანასაც გავუაროთ, მერე ჩვენთან ვივრიალოთ, – მანქანა დაძრა თამაზმა.

გზად ნანა ჩაისვეს და ვაკისკენ გაემუხრნენ. მანქანა ვაკის პარკთან, ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდა. მასპინძელმა სადარბაზოს კარი გააღო, სტუმრები შინ შეიპატიჟა. დერეფანში ჯგუფელებს ელზა შეეგება და სასტუმრო ოთახისკენ გაუძღვა.

– ვიდას ველოდებით? – ჰკითხა თამაზმა მეუღლეს.

– თამრიკო და მისი ქმარი მოვლენ და დავსხდეთ, – უპასუხა ელზამ, – ბიჭებო, გაიცანით ნანა და ინგა, – წარუდგინა ქალები დივანზე მოკალათებულ თამაზის ამხანაგებს.

– დათო, – ფეხზე წამოდგა და საითთაოდ ხელი ჩამოართვა შუახნის ბრვე მამაკაცმა.

– თენგო, – იგივე გაიმეორა შედარებით ახალგაზრდა სტუმარმა.

დაქალები გვერდიგვერდ სავარძლებში ჩასხდნენ.

– რას თოვს! – საუბრის დაწყება სცადა დათომ.

ინგამ ფსიქოლოგის თვალთ ათავალიერა მოსაუბრე. მოკლედ შეჭრილი, აქა-იქ ჭადარაზერული, ზღარბივით გაფშეკილი თმა, პატრონის ჯიუტ და ხეპრე ხასიათზე მეტყველებდა. ბავშვობაში გადატანილი ნაყვავილარის კვალი სახეზე დაღვივით აჩნდა. მსუქანი ტუჩების მოძრაობისას, ცხვირის კონწოხი ისე ჩაჰკრავდა ხოლმე, გვერდებოდა, მეთევზის ანკესზე თევზი გამოებოდა. მოდურად იყო ჩაცმული, მარჯვენა ხელზე ოქროს მსხვილი დასტანგი ეკეთა. წინასწარ დამუშავებული მანერები და წარბების შეჭმუხვით გამოხატული მედიდურობა ხაზს უსვამდა, რომ ეს კაცი, რომელიც სამთავრობო სავარძლის მფლობელი იქნებოდა. "ვაი, შენს პატრონს!" – გაიფიქრა გულში და დივანზე მოკალათებულ თენგოს, რომელსაც თავი ჟურნალში ჩაერგო, დააკვირდა. მისი ჩაცმულობა, ქცევა, მაჯაზე გაკეთებული, დათოსთან შედარებით წვრილი ოქროს სამაჯური, რანგით სიმდაბლებზე მეტყველებდა, რუსული მწევრავრით გრძელი სახე და წვრილი უღვაში კი ძალღვივით ერთგულ ხასიათზე მიანიშნებდა.

– ინგა, მოდი ერთი წუთით, დამეხმარე, – სამზარეულოდან დაუძახა ელზამ.

ინგა წამოდგა. ქალის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია, როგორ ათავალიერა დათომ.

– რაში დავეხმარო? – მიუახლოვდა სამზარეულოში მოფუსფუსე დაქალს.

– არაფერში, დასახმარებელი რა არის? თამაზმა ყველაფერი "სუპერ-მარკეტებიდან" მოიტანა. საქმე მაქვს, – გაღიმიებული შესცქეროდა ელზა, – გათხოვებას არ აპირებ? როდემდე უნდა იყო მარტო?

– გათხოვებას კი ვაპირებ, მაგრამ კანდი-

დატურა არ მყავს.

– აი, დათო, – სასტუმრო ოთახისკენ თავი გადააქნია დიასახლისმა, – გადასარევი ბიჭია, ფულიანი, მშვენიერ თანამდებობაზე. ერთი წლის წინ გამოირა ცოლს, ახლა კარგ კოვოს ეძებს. ოჯახის შექმნა უნდა და მოიფიქრე. ინგამ არაფერი უპასუხა. რამდენიმე თევზს ხელი მოჰკიდა და ოთახში გავიდა. ზარი გაისმა. თამაზმა კარი გააღო და თამრიკოს მეუღლესთან ერთად შეეგება:

– ელზა, მოდი, ნახე, ვინ მოვიდა, – დაუძახა ცოლს.

დიასახლისმა სტუმრები გადააკოცა და სასტუმრო ოთახისკენ გაუძღვა.

– გაიცანით, ჩემი დაქალი თამრიკო, მისი მეუღლე ზურა, – სტუმრები წარუდგინა დათოს და თენგოს.

– ახლა დავსხდეთ, – ხელში ღვინით სავსე ღოჭებით გამოვიდა სამზარეულოდან თამაზი და სტუმრებს მაგიდისკენ წაუძღვა.

მასპინძლის საახალწლო სუფრა უშურველი მონდომებით გაეწყო. მაგიდის თავსა და ბოლოში დიდი, წითელი კიბორჩხალები სალათის ფოთლებში განაბულიყვნენ. ცივად მოხარშული, თხლად დაჭრილი ზუთხი დიასახლისის კიბორჩხალებთან ახლოს მოეთავსებინა. გრძელ სინებზე, უზარმაზარ, შემწვარ ორავლებს საცოდავად დაელოთ პირი და გადმოკარკოული, თეთრი თვალებით რვაფუნას სალათს მიშტერებოდნენ. გემრიელად შებრაწული, დიდ ნაჭრებად დაჭრილი გოჭის ხორცი, იმ ბოლოკაჩრილი თავის ნაწილებს წარმოადგენდა, რომელიც სუფრის თავში დაებინავენთან და ყურებპარხილი, მოჭუტული თვალებით თამაზის სკამს შეჰყურებდა. მოხარშული, მსუქანი ღვინების გვერდით, ჯამბში ნივგვის ზუთით სავსე ბაჟე დაეღვათ. დიდრონ საწვენებში ინდაურის საცივი მადიანად გამოიყურებოდა. პატარა სამურაბებზე დადებული წითელი და შავი ხიზილალა მაგიდის სხვადასხვა ადგილას მიმოფანტათ. მოვარდისფრო რაჭულ ღორს ჯერ კიდევ ონშივარი ასდიოდა. მაგიდის შუაში ლამაზი ჭორბო იდო. აქეთ-იქით, მოვრძო სინებზე სამკუთხედად დაჭრილი გონინაყი და ჩურჩხელები ძველებურ ვაზებში ჩაწყობილი ციტრუსებისა და ყურძნის ქვეშ შეეცურებინათ.

– ვაჰ, რა სუფრაა, – კმაყოფილებისგან ხელისგულებს ერთმანეთს უსვამდა დათო და სუფრას ხარბი თვალთ შესცქეროდა, – კარგი ღვინო გვაქვს? – გადახედა მასპინძელს.

– მანავის მწვანეა, – სიამაყით უპასუხა თამაზმა.

სტუმრები სუფრას მიუხსდნენ. საჭმლის ბუსკუნისა და დანა-ჩანგლის ჭახაჭახის ხმამ მოიცვა იქაურობა. ყველა თავის თევზზე გადაღებულ უღუფას ჩაჰკირკიტებდა, დიასახლისის ნახევრავს უქებდა. თამაზმა სასმისები შეავსო და ახალი წლის დადგომა ყველას მიულოცა. ტრაფარეტული სადღერძელოები ერთმანეთს ცვლიდა. კაცები თანდათანობით ბახუსის აბლაბუდაში ეხვეოდნენ. კონტად გაწყობილი მაგიდა ისე აირდაირია, თითქოს მონღოლთა ურდოს გადა-

ერბინოს. თანამესუფრეებში გაუცხოვების გრძნობა დაიკარგა და როგორც ახალი წლის ღამეს სჩვევია ხოლმე, მხიარულება გაბატონდა. დათომ რამდენჯერმე გაიწვია ინგა საცეკვაოდ, გამუდმებით ტრფობით შესცქეროდა, უღიმოდა და ქათინაურებს არ იშურებდა. ინგასაც სიამოვნებდა ყურადღება, პატარა ბავშვივით სულ იცინოდა.

ღღისიკენ სტუმრებს დალლა შეეტყობო. შიგადაშიგ ყველა საათს დასცქეროდა. ბოლოს წამოიშალა. ინგა ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და განათებულ ქუჩას დააკვირდა. თოვას გადაელო.

– ინგას და ნანას სახლებში მე წაიყვან, – მასპინძლის გასაგონად წარმოთქვა დათომ და გოგოებს დერეფანში გაუძღვა. საკიდრიდან ლაბადები ჩამოსხსნა, რიგრიგობით ჩააცვა, ყველას დაემშვიდობნენ და სიცილი-კისკისით კიბეზე დაემშენენ.

ქუჩაში გასულეს ვაკის პარკიდან მონაბერი, ბროლივით სუფთა ჰაერი შეეგება. ჩამთბარ-ჩალულუნებული ლოყები მოუსუსხა და წითელი ფერი გადააკრა. სამივენი "ჯიპში" ჩასხდნენ. დათომ ძრავი გაახურა და მანქანა დაძრა. ფილარმონიასთან მიახლოებისას მძღოლმა ქალები შამპანურზე დაპატიჟა. ნანამ და ინგამ ერთმანეთს გადახედეს და დასთანხმდნენ. სასტუმრო "ივერ-ასისთან" წრე დაარტყეს და ახვლედიანის ქუჩისკენ გაემართნენ.

II

ახვლედიანის ქუჩა ჩახერგილი იყო ყვითელნორმინიანი, ღიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა მანქანებით. დათომ ძლივს მონახა ადგილი, რის ვაი-ვაგლახით გაჩერდნენ. იქაურთა უჩვეულოდ გაეკოხტავენინათ. მალაზიების ვიტრინები ათასნაირი ტორტითა და ყვავილების თაიგულებით მოერთით. დახლებზე შემწვარი გოჭები, წიწილები, სხვადასხვა თევზეული, ტკბილეული და ნაჭრის ძალიან დიდი, ლამაზი სათამაშოები გემოვნებით დაელაგებინათ.

– ახლავე მოვლა, – მიმართა დათომ ქალებს და ერთ-ერთი მალაზიისკენ გააბიჯა. შესასვლელთან საშინლად გამხდარი, ჭაღარა წვერ-ულვამიანი, მალალი, მოხუცი კაცი იდგა. ძველი ლაბადა ტანზე მჭიდროდ ჰქონდა შემოხვეული. დახუდულ ფეხსაცმელებს მშვიერი მგელივით დაელო პირი. თავი ისე ჩაეჭინდრა, რომ ნიკაპით საყელო გულზე მიჰბჯენოდა. შუბლზე ჩამოყრდილი, თიური თმა სახეს უფარავდა. მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაეყო, ხოლო მარცხენა ხელისგულზე გადმობრუნებული კახური ქუდი ელო. არ უხდებოდა მოხუცი ქუჩას.

დათო ისე საქმიანად შევიდა მალაზიაში, რომ მათხოვარი ვერც კი შეამჩნია. დახლოდა მისული, გამყიდველს რაღაცას უხსნიდა. ქალებმა დაინახეს, როგორ ამოიღლიავა ძალიან ლამაზი, რუხი ხავერდის, უხარმაზარი კურდღელი, შემდეგ შავი ვარდის ორი დიდი თაიგული დაიხელა, ფული გადაიხადა და კარისკენ გამოემართა. ქუჩაში გამოსულს მოხუცმა რაღაცა უთხრა. დათო მიუბრუნდა:

– რა გააჭირეთ საქმე ამ მათხოვრებმა! – დაუყვირა და სიბრაზისგან წამოწითლდა.

– აი, ასე დგას მთელი ღამე, ვერ მოვიშორეთ აქედან. წადი რა, ბიძია, დაგვანებე თავი. ხომ ხელავ, ჩვენც გვაწუხებ და მყიდველებსაც, – მხარი აუბა ზედმეტად მიხატულ-მოხატულმა გამყიდველმა ქალმა.

მოხუცმა დათოს ერთი ახედა და თავი დამნაშავესავით ისევ ჩაქინდრა. ინგას გული დაეწვა. ჩანთა გახსნა, ორლარიანი ამოიღო, ქუჩა სწრაფი ნაბიჯით გადაიარა და მათხოვარს კახურ ქუდში ფული ჩაუღო.

– დიდი მადლობა, შეილო, მრავალ ახალ წელს დაესწარი, – ძლივს ამოიღულულა ბერიკაცმა.

ინგა მანქანასთან დაბრუნდა. დათომ კურდღელი და თაიგული გაუწოდა:

– წლეულს კურდღლის წელიწადია, კიდევ ერთხელ გილოცავ, – ხელში მიაჩერა. – გმადლობთ, რატომ წუხდებით? – ძალაუბრებურად გაიღმა ქალმა.

– წამოდით, ამ რესტორანში შევიდეთ, – გაუყარა ხელკავი ქალებს და იქვე, მწკნინდ შედებოდა, ნაირფერად გაჩაჩხახებული შენობისკენ გაიყოლია.

კარი დაღვის თანამშრომელმა გაუღო:

– ვერ შევიშვებთ, ბატონო! – მკაცრი ტონით წარმოთქვა.

– ვითომ რათაო? – გამოაჯავრა დათომ.

– გერმანელებს აქვთ ნაქირავები.

– მერე ერთი მაგიდაც არ არის თავისუფალი?

– არა, ბატონო, კატეგორიულად ამიკრძალებს უცხო სეშვება, – უფრო გააჯავრა ფორმიანი.

– მიდი ერთი, უფროსს დამიძახე!

– ახლავე, – უპასუხა ახალგაზრდამ და კარი მიიხურა.

ცოტა ხანში ასაკოვანი, კოხტად ჩაცმული ქალი გამოვიდა:

– გისმენთ, ბატონო.

– რატომ არ მიშვებენ? იცით, მე საიდან ვარ? – დათომ გულის ჯიბეში ჩაიცურა ხელი და პირადობის მოწმობა ქაღალეზე ააფარა.

– გასაგებია, ბატონო დათო, მაგრამ გერმანიის საელჩომ დარბაზი მთელი ღამით იქირავა, ამის გამო უშიშროებიდან მკაცრად გაგვავრთხილეს, რომ მოსაწვევის გარეშე არავინ შემოვუშვათ. თორემ, რაზეა საუბარი. სხვა დროს მობრძანდით და სიამოვნებით გიმასპინძლებთ, – თვალებს უჭყუჭუნებდა რესტორნის ბატონი.

– გოგოებო, წამოდით, მოპირდაპირე რესტორანში შევიდეთ, – ფარ-ხმალი დაყარა დათომ.

– იქნებ არ ღირს? – იკითხა ნანამ.

– ჰო, მართლა, ექვსი საათი ხდება, საცაა გათენდება, – დაქალს მხარი აუბა ინგამ.

– არა, თითო ჭიქა შამპანური დავლით, მერე სახლებში დაგაბინავებთ, – გაჯიუტდა დათო.

რესტორანში შესულებს, კარშივე შეეგებნენ და დარბაზის ცენტრში, მაგიდასთან მოათავსეს.

– რა მოგართვათ? – მენიუ გაუწოდა

ოფიცინტმა.

– სამი ყავა, ნამცხვარი და ერთი ბოთლი შამპანური, – უპასუხა დათომ.

უკრავდა წყნარი მუსიკა. იქაურობა სივარეტის კამლით ისე იყო გაბოლილი, ბურუსი გეგონებოდა. მაგიდებთან ძირითადად უცხოელები იხდნენ. ფრანგული, გერმანული და ინგლისური საუბარი ერთმანეთში აჯაფსანდალივით არეულიყო. ზოგი წყვილი მაგიდებს შუა გახერგილი, ზანტი მოძრაობით ცეკვავდა. მიმტანმა ლანგარზე დალაგებული ყავა, შამპანური და ნამცხვარი სტუმრებს მიათვია. დათომ შამპანური ჩამოასხა. ფუფერი ასწია, საღვებრძელოს თქმა უნდოდა, მაგრამ ინგას რომ შეხედა, გაუკვირდა:

– რატომ ხარ ასე მოწყენილი?

– არა, მოწყენილი არ ვარ. უბრალოდ, იმ მოხუცზე ვფიქრობ, გარეთ რომ დგას და იყინება, – ნაღვლიანად უპასუხა ქალმა და მასპინძელს დააკვირდა. უძილობისა და სიმთვრალისგან ჩასისხლიანებული თვალეზი სანაშენი ბუღასავით გადმოჰკარკვლოდა. მსუქანი ქვედა ტუჩი უფრო გადმობრუცვოდა.

– რომელზე, იმ მათხოვარზე?

– ჰო, იმ მათხოვარზე, – დაეთანხმა ინგა, – აბა, რას გავგონებთ ის უბედური? – გადახედა თანამესუფრეებს.

– რას უნდა მაგონებდეს? გაუბედურებულ, უპატრონო კაცს, რომელსაც ხელის გამკვერის მეტი სხვა არა დარჩენია, – დაახასიათა ნანამ მოხუცი.

– ქალაქი სავსეა მათხოვრებითა და უპატრონოებით, არაფერსაც არ მაგონებს, – ნმამალა გაიფიქრა დათომ.

– მე, იცით, რას მაგონებს? – პაუზა ჩამოაგდო ინგამ. ორივეს გადახედა და ნაღველმორეულმა გაავრძედა, – უკიდევანო დათოვლილ მინდორზე ამოსულ უხარმაზარ, ტოტებდამარღვეულ, ბებერ მუხას, რომლის გარემოში ჩვენ ცულმომარჯვებულები ვღავართ და ისედაც თითზე ჩამოსათველ დარჩენილ დღეებს ცულის რაკარუკით ბოლოს ვუღებთ. ის ჩვენ აღარ გვკვირდება, ზედმეტი ტვირთია. ნუ გვაიწყობს, რომ ოდესღაც ჩვენც დაგებრდებით და რა გვადევს წინ, უფაღმა უწყის. მოდი, იმ მოხუცს გაუმარჯოს, – შამპანურით სავსე სასმისი სულმოუთქმელად გამოცალა.

– ჰოო, – ჩაფიქრდა დათო, – გაუმარჯოს იმ მოხუცს.

ინგამ ახედა, თვალეზი მოჭრუტა:

– მიდი რა, შემოიყვანე ის კაცი, ვაჭამოთ რამე.

მამაკაცი უსიტყვოდ წამოვდა. ოფიცინტთან მივიდა, რაღაც უთხრა და გარეთ გავიდა. რამდენიმე წუთში კარის ზღურბლზე დათო მათხოვართან ერთად გამოჩნდა. მოხუცი დაბნეულ თვალეზს აქეთ-იქით აცეცებდა. კახური ქუდი პალტოს ჯიბეში ჩაიცურა, ჭაღარაზე ხელი გადაისვა, საყელო გაისწორა.

– ბიძია, გაიცანი ინგა და ნანა, – წარუდგინა ქალები მოხუცს.

– თქვენ ავამუნათ ღმერთმა, შვილებო, – სკამი გამოიწია, ჩამოჯდა, – ისე ვარ გათო-

შილი, რომ სითბომ თითქოს მდულარე წყალი გადამასხა, მთელი სხეული დამიფუფქა. თან თავიც დამიბორიალა.

— რა გქვია, ბიძა? — ჰკითხა ინგამ.
— ნიკო პაპას მეძახიან, შვილო, — მოხუცმა შეხედა და გაშრა.

— რა მოგივიდა? — გაკვირვება ვერ დაძალა ქალმა.

— შენს თვალებს დავეძებდი, შვილო, — მოხუცი დაკვირვებით ათვალიერებდა ინგას სახეს.

— რად გინდა, ნიკო პაპა, ჩემი თვალები? — მე მხატვარი ვარ, შვილო. სიყვარულს ვხატავ და ამდენი ხანი თვალებს, შენაირ ლამაზ თვალებს ვეძებდი.

დათომ შამპანური ჩამოუსხა:
— ნიკო პაპა, მოდი, ახალ წელს გაუმარჯოს! ბედნიერება და სიხარული მოეტანოს! — მიუჭახუნა სასმისი.

— გაუმარჯოს, შვილო, გაუმარჯოს! — ინგას ვერ სწყვეტდა მზერას, — შენ რა გქვია, შვილო?

— მე ინგა მქვია, ბიძა, — გაუღიმა ქალმა.

ამ დროს ოფიცინტმა მწვადი, გოჭის ხორცი და თევზეული შემოიტანა. დათომ მიაწვდა.

— გმადლობთ, არ მშაია.

— ნიკო პაპა, ჭამე, მთელი დამე ქუჩაში დგახარ, — მიუგო ინგამ.

— ინგა, მე იმიტომ კი არ ვმთხოვრობ, რომ მშაია. საღებავი გამითავდა, შენი თვალის ფერი გამითავდა.

— სად ცხოვრობ, ბიძა? — ჰკითხა დათომ.

— აქვე, ელბაქიდის დადმართზე.

— იქ გაქვთ სახელოსნო?

— ყველაფერი იქ მაქვს, შვილო. თუ პატივს დამდებთ და მესტუმრებით, ჩემს ნახატებს გაჩვენებთ.

ინგას თვალები მოუწყვლიანდა:

— წაიდიო? — გადახედა თანამესუფრეებს.

— თუ ასე გინდა, წავიდეო, — დაეთანხმა დათო. ოფიცინტს დაუძახა, — ერთი, ეს ყველაფერი შეგვიხვიე. ორი ბოთლი შამპანურიც მოგიტანე, — ფული ამოიღო და ანგარიში გაუსწორა.

მოხუცი ელბაქიდის დადმართზე, ერთ-ერთი სახლის სარდაფში ცხოვრობდა. ნიკომ კარი გააღო, სტუმრები შინ შეიპატიჟა. მისი ავლადილება შედგებოდა ხის ტახტისაგან, რომელზეც ძველებური ფარდავი იყო გადაფარებული და სამფენს სკამებმემოწყობილი ტაბლისაგან. გავით გაღესილ კედლებზე სხვადასხვა ზომის ნახატები ეკიდა. სტუმრებმა ყველა სურათი დაკვირვებით დაათვალიერეს.

— ძალიან მომწონს, — ჩაილაპარაკა დათომ.

— რამხელა სევდაა ყველა სურათში, — თავისდა უნებურად წაიბუტბუტა ნანამ.

— ნიკო პაპა, რა გვარი ხარ? — სამფენზე ჩამოჯდა ინგა და მაგიდასთან აფუთფუთებულ მოხუცს, რომელიც სუფრას შლიდა, თვალი

გაუშტერა.

— მე, შვილო, გვარად ფხალაძე ვარ. წარმოშობით ზემო ყანაღურიდან ვახლავარ. დღეს, იმ სოფელში არავინ ცხოვრობს, — ნაღვლიანად წარმოთქვა მხატვარმა.

ამასობაში დათო და ნანაც მაგიდასთან მოთავსდნენ.

— ბიძა, ია ვინ არის, ყველა სურათთან რომ დავიკავშირებით? — იკითხა დაინტერესებულმა ნანამ.

მოხუცმა შეხედა, შემდეგ დათოს გადახედა:

— შვილო, ერთი ეგ შამპანური გასხენი და ჩამოასხი, — ზამთრის დამესავით ცივმა



სითხემ თლილი ღვინის ჭიქები შეორთქლა. მხატვარმა სასმისი აიღო, ყველას გადახედა. მზერა ინგაზე გაყვინა. მარცხენა ხელი წვერულგაშუზე გადაისვა და საღებავრძელოს თქმა, ლამის ჩურჩულით იწყო:

— ადამიანი ცხოვრების მანძილზე რამდენიმე ან ერთი გრძნობის მონა ხდება და როგორც ჭიანჭველა, ისე ფუსფუსებს მის ირგვლივ. ბედნიერია მაშინ, როდესაც თავის გრძნობის წადილს აისრულებს. რა, არ გინახავთ ხარბი ადამიანის გაბრწყინებული თვალები, როცა ძვირფას ნივთს შეიძენს? ანდა, პოეტის ანთებული და ნუშის ყვავილივით აფეთქებული მზერა, როდესაც ღონიერ და სულისშემძვრელ ლექსს წაგიკითხავთ? არ გინახავთ შეყვარებული თვალები, სატრფოს რომ შესციცინებენ? ამაზე ღიღებულები არაფერია, — მოხუცი წამით ფიქრის მორევში ჩაეფლო, შემდეგ ისევ ინგას ახედა და ჩურჩულითვე გააგრძელა, — შვილებო, სიყვარულს გაუმარჯოს. გრძნობას, რომელზეც დგას ცოდული დედამიწა. მასზედ ღიადი, უფალს არა შეუქმნია რა, — სასმისი გამოცალა.

— ნიკო პაპა, ია ვინ არის? — ხელმოკრულ ჰკითხა ნანამ.

— აკადემიაში რომ ვსწავლობდი, ჩემს ჯგუფში იყო ერთი ლამაზი, ცისფერთვალე გოგონა, ია, რომელიც თხემიდან ტერფამდე

შემიყვარდა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ მეხუთე კურსზე ავად გახდა და ღვთივ განისვენა. ფიზიკურად დამტოვა, მაგრამ სულიერად ჩემთან არის.

— აი, — სურათისკენ გაიშვირა ხელი მხატვარმა, — "იას ქორწილი". ის ყმაწვილი, გვერდით რომ უდგას, მე ვარ, შვილო. ჯეჯელობისას ასეთი ვიყავი. "ღედა ია" — ხელში რომ ჩვილი უჭირავს, ჩვენი პატარაა, — მოხუცს ცრემლი ჩამოუვარდა და გაშეშებული მზერა ტაბლას მიაპყრო.

— ნიკო პაპა, არავინა გყავს? — ჰკითხა ინგამ.

— არა, შვილო, არავინ. სანამ შემეძლო, საათებიც მქონდა აკადემიაში. გამოფენებშიც ვღებულობდი მონაწილეობას. ახლა კი, — ამოიოხრა მოხუცმა, — ყველას დავავიწყდი. მხატვარი ნიკო ფხალაძე არავის სჭირდება. აი, ასე დავჩრით მარტონი მე და ჩემი სიყვარული.

— ნიკო პაპა, არ ყიდი სურათებს? — ჰკითხა დათომ.

— არა, შვილო, სიყვარულის გაყიდვა როგორ შეიძლება. მე შეიძლება ვაჩუქო ვინმეს სიყვარული, — პური მიიტეხა მხატვარმა.

დათომ საფულე ამოიღო და გასხნა. იქიდან ოცლარიანი ამოაძვინა, მაგიდაზე დალო:

— საღებავს ხომ ეყოფა? — იკითხა დამნაშავესავით. გაახსენდა, თუ როგორ უყვია მოხუცს.

— კი, შვილო, — დაეთანხმა ნიკო. შამპანური ჩამოასხა, ჭიქა ასწია და სტუმრები დალოცა. მძიმედ წამოღვა. კედელთან მივიდა, ერთ სურათს დააკვირდა, ხელი გადაუსვა, ჩამოხსნა და ინგას მიუახლოვდა:

— აი, ეს სურათი შენი იყოს, — ბედნიერი სახით შესცქეროდა ქალს.

ინგამ გამოართვა. "გაზაფხული და ია" — ეწერა კუთხეში მხატვრის ხელით. ტილოზე ცისფერთვალეა, გაღიმებული ქალი უამრავი ყვავილის ფონზე იდგა.

— ღიდი მადლობა, ნიკო პაპა...

— მადლობა შენ, რომ ასეთი კეთილი და კარგი ადამიანი ხარ, — მოხუცი თავის ადგილს დაუბრუნდა.

— მე მგონი, წასვლის დროა, — საათს დახედა ნანამ.

სტუმრები მასპინძელს დაემშვიდობნენ და მანქანისკენ გასწიეს. ახალი წლის პირველი დღე დასაბადებლად გამზადებულიყო. დათომ ნანა თავის სახლთან დატოვა და დადიანის ქუჩისკენ გაემართნენ. მანქანა სახლთან გაჩერა:

— ინგა, ძალიან მომეწონე. მოდი, შევხვდეთ, — მთელი ტანით შემობრუნდა ქალისკენ.

— არა, დათო. ყველაფრისთვის ღიდი მადლობა, მაგრამ მე საქმრო მყავს, — წერტილი დაუსვა ქალმა მამაკაცში ახალგაზრდებულ გრძნობას. სურათს გადასწვდა, კარი გააღო და სახლისკენ წაიდა.

გაგრძელება იქნება



Toyota-ს ახალი მუცაცობი

„ტოიოტა“ RSC მოდური კუპისა და RAV4 ტიპის „ყველაგანმავლის“ უცნაურ კომბინაციას წარმოადგენს. კომპანია „ტოიოტა“ იმედოვნებს, რომ ავტომობილის უჩვეულო გარეგნული იერი, მისი ტექნიკური მახასიათებლები დიდად მოეწონება ახ-

ალგაზრდობას, რომელიც მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ფენას წარმოადგენს.

მოკლე უკანა ბამპერი, ოდნავ „გადმოკიდებული“ გვერდები, რომლებიც ხაზს უსვამს მის „ყველაგანმავლურ“ დანიშნულებას, ამავე

დროს კონტრასტშია მინის უკანა კართან.

RSC კალიფორნიელ დიზაინერთა გუნდმა შეიმუშავა და პირველად ჩიკაგოს საერთაშორისო საავტომობილო სალონზე იყო წარმოდგენილი. სპორტული ნახევარამპრავიანი ავტომობილი ე.წ. მინიმალ-იზმის პრინციპზე დაყრდნობით შეიქმნა, რაც ნათლად ჩანს ალუმი-ნისგან დამზადებულ მის კაბინაში, ჩამჩისფორმიანი სავარძლებით, სარბოლო ღვედებითა და სპორტული ფორმის საჭით.

RSC-ს მასობრივი წარმოების იდეა, კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, სავსებით რეალურია. კონცეპტი უკვე აღჭურვილია საკმაოდ მარტივი და ფუნქციური ძრავით.

„ტოიოტას“ ვარაუდით, ახალი კონცეპტი დაეხმარება, მომხმარებელთა ყურადღება მის მორიგ მოდელს – TOYOTA MATRIX-საც მიაპყროს, რომელიც შეერთებულ შტატებში მომავალი წლიდან გაიყიდება.

ხელმაჩვევ ოსტატი



ყველას გვახსოვს ბეტმენის ავტომობილი – რეაქტიული მანქანა, რომელიც წამებში გარბის ასეულობით კილომეტრს. თურმე მისი დაპატარავებული ასლის შექმნა სულაც არ ყოფილა რთული – საკმარისია მხოლოდ, ხელახლა შედგებოთ თქვენი მცირეელიტრაჟიანი მანქანა და ცოტაოდენი ტიუნინგითაც (ე.წ. დაყვანა-დამუშავება) შეიწუხოთ თავი.

სწორედ ამ მიზნით შეიძინა ერთმა ავტომოყვარულმა „პეჟო-206“, სტაფილოსფერი, 1,4 ლიტრიანი ძრავით. როგორც თავად აღნიშნავს, მანქანის უბრალო გადასხვაფერება საინტერესო არ არის – მთავარია, რაღაც უჩვეულო მოდელი აიღო ნიმუშად. ისიც ადგა და მოდუსი „რეაქტილია“ აირჩია. გვერდებზე პლასტიკი დაუმატა, ახალ ფერად შეღება, უკან ექსკლუზიური,



„რეაქტიული“ სპოილერი „დაასვა“, გამოცვალა საბორბლე დისკები, საბურავები და, საბოლოოდ, გარეგნულად თვალში საცემი და აბსოლუტურად უნი-

კალური ავტომობილი მიიღო. არადა, მას სრულიად არ ახასიათებს რაიმე განსაკუთრებული ტექნიკური სიახლე და არც კომფორტულობის თვალსაზრისით გამოირჩევა ჩვეულებრივი მსუბუქი ავტომობილისაგან, თუმცა პატრონს მთელი ეს სიამოვნება საკმაოდ ძვირი – 9.000-მდე ლოლარი დაუჯდა. ასე რომ, ავტომოყვარულებო, გაითვალისწინეთ: როცა ინდივიდუალურ ტიუნინგს გადაწყვეტთ, ჯერ კარგად დაითვალეთ ყველაფერი და დაადგინეთ – ახალი აქსესუარების შექმნა მანქანაზე მეტი ხომ არ ღაგიჯდებათ.



Oldsmobile-ი ახალ სილუეტს იძენს

„ჯენერალ მოტორის“ ერთ-ერთი ყველაზე ძველი და დიდი ქვედანაყოფი, წარმოების შემცირების მიუხედავად, ახალ მინივენს უშვებს.

OLDSMOBILE SILHOUETTE-მა გააერთიანა ამ კლასის ავტომობილების ყველა საუკეთესო თვისება და „ჰონდასა“ და „დაიმლერ კრაისლერის“ მსგავსი მოდელების სერიოზული კონკურენტობის პრეტენზია განაცხადა.

თავისი წინამორბედისაგან ის შემდეგი სიანხლებით გამოირჩევა: რადიატორის გისოსის ახალი ფორმა, ახლი სანათები, სავარძლების მესამე რიგი, რომელიც იატაკში ჩადის, რაც თავისთავად, უკვე სტანდარტად არის ქცეული GLS-ისა და PREMIERE-ის ვერსიებისთვის.

„სილუეტი 2001“-ს კომპლექტაციის სამი ვერსია ექნება: GL, GLS და PREMIERE. ეს უკანასკნელი ყველაზე ძვირფასად არის გაწყობილი, აქვს ტყავის სავარძლები, კლიმატის ორმაგი ზონალური კონტროლი, მის სტანდარტულ კომპლექტაციაში ვიდეოსისტემაც შედის. ის განსაკუთრებით მოსახერხებელია ოჯახისთვის, რომელიც დიდ დროს ატარებს მანქანაში და ბავშვების გართობის პრობლემაც აწუხებს. სატელევიზიო ეკრანი სახურავზე მაგრდება, მართვის სისტემა კი მანქანის წინა პანელზეა განლაგებული.

ავტომობილი აღჭურვილია მოძრავი ყურსასმენებით, მეორე რიგის სავარძლებში ჩამონტაჟებულია დინამიკები.

მანქანის კიდევ ერთი თავისებურებაა, უკუსვლის ხელსაწყო, რომელიც მძღოლს გაფრთხილებას გადასცემს, როცა მანქანის დაყენებისას, რაღაც საგანს უახლოვდება.


„სილუეტი“ ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი მართვისა და კომფორტაბელური საკიდრით, რომელიც არბილებს მოძრაობას.


მინივენის აღჭურვილობაში შედის GM ONSTAR სისტემა, რომლის მეშვეობითაც მძღოლს შეუძლია, ყველაზე ოპტიმალური მარშრუტი აირჩიოს, საჭიროების შემთხვევაში გამოიძახოს დახმარება ან ისარგებლოს ვირტუალური მრჩევლით (VIRTUAL ADVISOR), რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს ინტერნეტი, ხმოვანი სისტემის მეშვეობით, აგრეთვე „უკითხავს“ მძღოლს ელექტრონულ ფოსტას, ატყობინებს აქციების ფასსა და ახალი ამბების ნუსხას.

„სილუეტი“ 3,4 ლიტრიანი V6 ძრავით არის აღჭურვილი, რომლის სიმძლავრე 185 ცხ. ძალაა. ის წინამძრავიანია, ოთხსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი აქვს.

წვეის კონტროლი და ABC-ით აღჭურვილი მუხრუჭები „პრემიერის“ სტანდარტულ კომპლექტაციაში შედის და განსაკუთრებით გამოსადეგია უამინდობისას.

მძღოლისა და წინა სავარძელზე მჯდომი მგზავრის უსაფრთხოებას საჭაერო ბალიშები უზრუნველყოფს. საქარე და წინა გვერდითი ფანჯრები, უკანა მინა და გარე სარკეები არასდროს იყინება – თითოეული მათგანი ელექტროგამათბობლით არის აღჭურვილი.





„საგვანულო ნეკლასიონ“ მთრეინალი ბენიონი

დრიუს მისი ფესსაგმელებიც კი მოსწონდა. გოგონამ ღეტალურად შეისწავლა ისინი, როცა პოპულარულ კომიკოსთან – „ტომ გრინის შოუს“ წამყვანთან ერთად მიუყვებოდა ტელესტუდიის დერეფანს. ისინი კაფესკენ მიემართებოდნენ და გზაში გაუთავებლად ლაპარაკობდნენ. უფრო სწორად, ლაპარაკობდა ტომი, დრიუ კი უსმენდა და ახალ ნაცნობს სახეში ვერ უყურებდა – მის ფესსაგმელებს ათვალთვობდა და თან ფიქრობდა: „ეს „ის“ არის! ჩემი სიყვარული, ჩემი ბედი, ჩემი ბენიონება...“

დრიუს ტომი ერთი ნახვით შეუყვარდა. მის ცხოვრებაში ასეთი რამ პირველად მოხდა, როცა ტომი მას ერთ-ერთი მორიგი ტელეინტერვიუს შემდეგ შეხვდებოდა. თუმცა, რატომ და როგორ მოხდა ეს – არ იცოდა. ალბათ იმიტომ, რომ ტომი ლამაზი და მხიარული იყო, და იმიტომაც, რომ ეს ადრე თუ გვიან, უნდა მომხდარიყო: ათი წლის განმავლობაში ოცნებობდა დრიუ საყვარელ მამაკაცთან შეხვედრაზე. ახლა კი შეხვდა და თავიც მოაწონა (სხვაგვარად რატომ დააბთიებდა უცებ ყავის დასალევად?), დრიუ კი დაიბნა, იატაკს თვალს ვერ აშორებდა; უნდოდა გაეღიმა, ეჩვენებინა, რომ სკოლის მოსწავლე გოგონა კი არა, ზრდასრული ადამიანი იყო, თანაც კინოვარსკვლავი; ეშინოდა, არ გაწითლებულიყო, მაგრამ ძალა მოიკრიბა და ტომს თვალბრუნებდა, ტომის თვალბრუნებში, დაციანის ნაცვლად, სინაზე, აღფრთოვანება და იმედი ამოიკითხა...

იმავე საღამოს დრიუმ თავის მორიგ ოფიციალურ ბიოგრაფიას, ლიუკ უილსონს განუცხადა, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრდა. რა თქმა უნდა, ლიუკი ცუდი ყმაწვილი არ იყო, მათ ერთად სამი წელი იცხოვრეს,

ერთად მუშაობდნენ, ერთად აღნიშნეს შობა (დრიუ ცრემლის გარეშე ვერ იხსენებს, როგორ მოუწია მას, მკაცრ ვეგეტარიანელს, ცხოველთა უფლებების დამცველს, საშობაო ინდაურის ჭამა, ლიუკის მშობლებისთვის თავის მოსაწონებლად). მაგრამ რატომღაც ლიუკთან სამწლიანი ცხოვრების მანძილზე დრიუს არც ერთხელ არ ჰქონია ის ბენიონების გრძნობა, რომელიც ტომთან ერთად კაფეში ჭიქა ყავის სმისას განიცავდა.

„ყველაფერში დაზნაშავე დედაშენია – უმტკიცებდა ლიუკი – მან სიყვარული არ გასწავლა“... რაც მართალია, მართალია, დრიუს დედა – ვერშემდგარი მსახიობი ილდიკო ჯედი გოგონას თავისებურად ზრდიდა. დრიუ ძალიან ადრე გაიზარდა, ათი წლის ასაკში უკვე ნამდვილ კინოვარსკვლავად ითვლებოდა, საკმაოდ კარგი შემოსავლიც ჰქონდა და ფრიალ არაბავშვური ცხოვრებით ცხოვრობდა. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ილდიკოს მეგობარ-ახლობლებმა, გართობის მიზნით, დრიუ კოკაინსა და ვისკის სმას მიაჩვიეს. დედა ამას ხედავდა და საქმეში არ ერეოდა. ალბათ ამგვარად სურდა, დრიუს მამისთვის – ჯონ ბერიმორისთვის სამაგიერო გადაეხადა. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ გამოუსწორებელმა ლოთმა ქალი ცოლად მოიყვანა და ცხოვრება გაუშწარა, და მეორეც, იმის გამო, რომ საესტეტიკო არასასურველი ბავშვის გაჩენა აიბუღა და შემდეგ ორივე მიატოვა... ილდიკოც დროსა და ენერჯიას აღარ ხარჯავდა გოგონას აღზრდაზე, რადგან

დრიუ ბერიმორმა იმდენად ადვილად მიაღწია წარმატებას პოლივედში, რომ ბეჭერი მას ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად თვლის. მაგრამ რად უნდოდა გოგონას, რომ მისი სახე მილიონობით ადამიანისთვის ყოფილიყო ნაცნობი, თუ გვერდით საყვარელი, ახლობელი ადამიანი არ ეყოლებოდა?! 25 წლის ასაკში დრიუ თავს უკვე უბედურად თვლიდა, მაგრამ უეცრად სიყვარული ეწვია. თუმცა მის დიდ და ნამდვილ სიყვარულს წინ სერიოზული გამოცდა ელოდა...

დარწმუნებული იყო, ყველა ბერიმორი ლოთი და ნარკომანი იყო, ჯონის მამაც, ბაბუც და ბიძაც, დრიუსაც ერთი გზა დარჩენოდა – ნარკოლოგიურ კლინიკაში მოხვედრილიყო (13 წლის დრიუ მართლაც იქ აღმოჩნდა).

ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილებისგან დრიუ განიკურნა, დედასთან ყველაფერი კავშირი გაწყვიტა და დაიფიქრა, რომ ოდესმე აუცილებლად გახდებოდა ბენიონი, ეყოლებოდა საყვარელი ქმარი, შვილები და მათთვის დრიუ საშავალითი დედა იქნებოდა.

თხუთმეტი წლის ასაკში დრიუმ საინტერესო მამაკაცის ძებნა დაიწყო და ყველა მასთან მორაბიჭი ყმაწვილში მომავალი ქმრისა და თავისი შვილების მამის დანახვას ცდილობდა. ბეჭერი პატარ-პატარა რომანის შემდეგ, მისი ნამდვილი ბიოგრაფი, მსახიობი ჯედი უოლტერსი გახდა. დრიუ შეყვარებული არ იყო, მაგრამ ექვსი წლით უფროსი ჯედი მას ძალიან ავტორიტეტულ და საიმედო ადამიანად მიაჩნდა. დრიუ ვაჟის ყველა აზრს ეთანხმებოდა, ჯედის კი თავში საკმაოდ სულელური აზრები მოსდიოდა – მათ შორის ვლემბა გადაიღეს სურათი ჟურნალ „ინტერ“

სიყვარულ ლაბრადორტოტან ერთად პოლივედის მთაზე ნაყიდ მამულში



ვიუს“ გარეკანისთვის, გაიკეთეს სვირინგები – ანგლოზი დროში; ჯვების დროშაზე ეწერა „დრო“, დროს დროშაზე კი – „ჯეიმი“. საოცარი კი ის იყო, რომ ნახატი თანდათანობით ფერმკრთალდებოდა და ქრებოდა. დროუმ ჩათვალა, რომ ეს ცუდის ნიშანი იყო და მართალიც აღმოჩნდა. ქორწილის წინ ჯეიმამ დროუ მიატოვა.

მის ჯინაზე ქალი მალე გათხოვდა და ბარის მფლობელს, ჯერემი თომასს გაჰყვა, რომელსაც თითქმის არ იცნობდა. რა თქმა უნდა, ეს ქორწინება დიდხანს არ გაგრძელდებოდა. შემდეგ ბერიმორმა გადაწყვიტა, ცოლად გიტარისტ ერიკ ერლანდსონს გაჰყოლოდა, მაგრამ მათი რომანი ერთ წელსაც არ გაგრძელდა. ბრიუს არ უმართლებდა...

იქნებ დედამისი მართალიც იყო, როცა „მუდამ წარუმატებელი ბერიმორების საგვარეულო წყველაზე“ საუბრობდა. საყვარლები ერთმანეთს იძუენად ხშირად ცვლიდნენ, რომ დროუ მათი სახეების დამახსოვრებასაც ვერ ასწრებდა. საბოლოოდ, დროუმ დაასკვნა: მამაკაცები საერთოდ არ არიან იმის ღირსნი, რომ შეიყვარო და უერთგულო. მარკ ტვენის მაგალითით, რამდენადაც უკეთ გაიცნო ადამიანები, მით უფრო შეიყვარა ... ძაღლები. სამი ლაბრადორი – ფლოსი, ჰაილა და ტემპლტონი მისი ყველაზე ერთგული არსებები იყვნენ. და აი, უცებ ნამდვილი სიყვარული ეწვია, ისეთი, სუნთქვას რომ უკრავს. ეს ტომ გრინი იყო...

გაცნობიდან რამდენიმე თვეში ტომმა და დროუმ ყველას ამცნეს თავიანთი ნიშნობის შესახებ. სასაუბროდ გვემბეს – რამდენი შეილი ეყოლებოდათ, როგორ აღზრდიდნენ მათ... დროუ ბედნიერი იყო: ვინ თქვა, რომ მას სიყვარული არ შეუძლია? ძალიან კარგადაც შეუძლია!

2000 წლის მარტში მოწმენდილ ცაზე მუხვიით გავარდა ახალი ამბავი. რამდენიმე კვირის მანძილზე ტომი თავს შეუძლოდ გრძნობდა, გამოსაკვლევად ექიმებს მიმართა და საშინელი დიაგნოზი დაუსვეს: 28 წლის კაცს წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) კიბო აღმოაჩნდა. ექიმები არწმუნებდნენ, რომ ოპერაციის შემთხვევაში სიცოცხლის გადარჩენა შეიძლებოდა, შვილებზე და ნორმალურ ოჯახურ ცხოვრებაზე ოცნებას კი წყვილი უნდა გამოსთხოვებოდა.

ტომმა კი უთხრა: „გაიგე, დროუ, უბედურება მეწვია, შენ 25 წლის ხარ, მთელი ცხოვრება წინ გაქვს და არ ღირს, ეს ცხოვრება შეალიო აღამანს, რომელიც ნორმალურ ქმრობასაც ვერ გაგიწევს. შენ ოჯახი გჭირდება, კიდევ შეხვდები შენს მამაკაცს“. მეორე დღეს ტომი კლინიკაში დაწვა და ოპერაციისთვის მზადებას შეუდგა. დროუმ პალატაში კიდევ ერთი საწოლის დადგმა მოითხოვა.

რა თქმა უნდა, დროუმ ყური არ ათხოვა ტომის შეგონებას. ის მეტისმეტად დიდხანს ეძებდა მას, მეტისმეტად ძლიერ ელტვოდა მის პოვნას და არავითარ ავადმყოფობას არ

მისცემდა თავისი ნამდვილი სიყვარულის წართმევის უფლებას. რაც შეეხება შეილებზე ოცნებას... ყველა სიტუაციიდან არის გამოსავალი, მთავარია, ამის სურვილი გქონდეს.

დროუმ და ტომმა გამოსავალი იპოვეს: ტომის სპერმა გაყინეს და, უკეთესი დროის დადგომამდე, საგანგებო საცავში შეინახეს. სპეციალურად გაფორმებულ იურიდიულ საბუთში აღნიშნულია, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ამ სპერმით შეუძლია ისარგებლოს – დროუ ბერიმორია.

დროუს ისლა დარჩენილა, დაერწმუნებინა ტომი, რომ მასთან თავს ძველებურად ბედნიერად გრძნობდა. ვაჟს ქორწინების გაგონებაც აღარ უნდოდა, თუმცა ოპერაცია სიცოცხლეს გაუნანგრძობლებდა, მაგრამ განა შეიძლებოდა ასეთ ყოფას სიცოცხლე დარჩეოდა?! – ამ კითხვას ტომი სვამდა, დროუ კი, საბედნიეროდ, სხვანაირად ფიქრობდა.

უბირველეს ყოვლისა, დროუმ იგი დაარწმუნა, არ მიეტოვებინა „ტომ გრინის შოუ“. „როგორ შევძლებ გადაცემის მომზადებას კლინიკაში ყოფნისას?“ – გაოცდა ტომი. „გადაიღე გადაცემა იმის შესახებ, როგორ მკურნალობ კლინიკაში“ – შესთავაზა დროუმ. „რას ამბობ! ტელემედიცინის გამოყენებას ინვალიდი ვერ შეძლებს. არ მინდა, ვებრალებოდე ტელემედიცინის შესახებ“. „ჩვენც ავღეთ და შენი ავადმყოფობისგან სასუმარო თემა თავად შევქმნათ, ვერაფერს გაბედავს შენს შებრალებას“. ტომის იდეა მოეწონა. მან თავისი ოპერაცია ფირზე გადააღებინა, შემდეგ კი საკუთარი ირონიული კომენტარი ჩაწერა: „შეხედეთ, ახლა ეს თეთრ-ალათიანი ულმოებელი ადამიანები ჩემს შარვაში ჩაძვრებიან და ძალიან საჭირო რამის ამოჭრას შეუდგებიან... თქვენ ეი, ცოტა ფრთხილად, სულ მთლად ნუ ამოჭრით, ცოტა მაინც დამიტოვებთ!“

როგორც კი ტომი კლინიკიდან გაეწერა (ექიმებმა თქვეს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა), დროუმ ახალ-ახალი ზუმრობები მოიგონა. მაგალითად, მან ჟურნალისტები ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ კაფეში მიიწვია იმის სანახავად, როგორ შეიცვალა ტომი ოპერაციის შემდეგ. მაგიდასთან ტომი სიმპათიურ ყმაწვილთან ერთად იჯდა. უცრად ყმაწვილი ტომის მუხლებზე მოკალათდა და კოცნა დაუწყო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყმაწვილი – დროუ ბერიმორი იყო, მას ულვაშები ჰქონდა მიწებებული და მამაკაცის კოსტიუმი ეცვა. ზუმრობა ყველას ძალიან მოეწონა.

შემოდგომაზე კი დროუმ თვით ტომს მოუწყო სიურპრიზი. ერთ-ერთი ტელეშოუს დროს, რომელშიც ტომი მონაწილეობდა, დროუ საქორწინო კაბით გამოცხადდა და განაცხადა, რომ სურს ტომ გრინს იქვე, სტუდიაში გაჰყვეს ცოლად. შემდეგ დაამატა: „რა თქმა უნდა, ეს მხო-





ტომ გრინთან ერთად. 2001 წ. იანვარი

ლოდ ზუმრობაა. ამ სიტუაციაში რა დროს ქორწილია?! იკითხავთ – რა სიტუაციაში? – ტომს არ სურს ჩემი ცოლად მოყვანა. მე დიდი ხანია მზად ვარ, ეს არამზადა კი არა და არ მიხოვს ხელს... ძალიან გთხოვთ, ძვირფასო მამყურებლებო, იქნებ, როგორმე დაიყოლიოთ!“

ექიმები ოპერაციის შემდეგ თვალყურს ადევნებენ ტომს და გაცივებულნი არიან, რა სწრაფად აღიღგენს ის ძაღლებს: „ეს სასწაულია! რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია განწყობა და ავადმყოფის ნებისყოფა. ამ მხრივ ტომის საცოლის, დროუ ბერიმორის წყალობით, საქმე საუცხოოდ არის“. განარებულნი დროუ იღიმა ამ სიტყვების გაგონებაზე.

იგი დარწმუნებულია, რომ ექიმების პროგნოზის მიუხედავად, ადრე თუ გვიან, ტომი აუცილებლად გამოჯანმრთელდება (მედიცინა ზომ წინ მიდის), და კიდევ – მისი ოცნება ოჯახის შექმნაზე მალე ახდება...





სკბ შინ კინების თასი

ვერავინ შეძლებდა დაედგინა, რამდენად აფასებს საკუთარ თავს მსახიობი შონ კონერი, ერთი გარემოება რომ არა. მეორე ვარსკვლავს, მელ გიბსონს შესთავაზეს განესახიერებინა კონერი ფილმში – WHAT WOMEN WANT („რა უნდათ ქალებს“) და მან საჭიროდ ჩათვალა, თავისი გმირისთვის მიემართა ნებართვის ასაღებად. კონერიმ მცირედი ფიქრის შემდეგ დადებითად უპასუხა და ერთი პირობაც წამოაყენა: ერთ-ერთ საქველმოქმედო ფონდში, რომელსაც ის უწევს მზრუნველობას, ათი ათასი დოლარი უნდა გადაერიცხათ. სტუდია „პარამაუნტმა“ ხარჯი გაიღო და ჩეკი გააგზავნა. ზოგიერთი ვარსკვლავი კი ამის შემდეგ სერიოზულად ჩაფიქრდა – რა თანხით შეაფასონ საკუთარი თავი, თუ ასეთსავე სიტუაციაში აღმოჩნდებიან.



კაცსცდნის დნის უნდა ილტვო

წლის დამდეგს კინოვარსკვლავები კატასტროფების „ეპიდემიამ“ წააღწია. პირველი, სანდრა ბალოკი დაზარალდა: ტეხასის შტატიდან, მშობლიური ქალაქ ოსტინიდან, ბოიფრენდ ბობ შნაიდერთან ერთად, კერძო თვითმფრინავით მიფრინავდა. ჩრდილოეთ ვაიომინგის თავზე ის თოვლის ქარბუქში მოხვდა და თვითმფრინავს ფრთა და ცხვირი დაუზიანდა. მხოლოდ ორი მფრინავის ოსტატობისა და მოხერხებულობის წყალობით მოახერხა თვითმფრინავმა ავარიული დაჯდომის განხორციელება.



მადინა მხდლდ მუღლუსთან ითამაშეს

თხუთმეტი წლის წინ, როცა მადონამ შონ პენტან იქორწინა, მასთან ერთად ითამაშა ფილმში „შანხაის სიურპრიზი“. ახლა ის გაი რიჩის ცოლია და უკვე განაცხადა, რომ მთავარ როლს შეასრულებს ქმრის ფილმში „ხალი“ (THE MOLE).


ძველი ტრადიციის თანახმად, რიჩის ახალი შედევი ლონდონელი განგსტერების შესახებ იქნება. ამ თემას რიჩი უკვე შეეხო თავის წინა ორ სურათში – „კარტი, ფული და ორი ლულა“ და „ნაგლეჯი-2“. ახალი ფილმის სიუჟეტის მიხედვით, ბრიტანელ დამნაშავეებს შორის დამსმენი გაჩნდა, რომელიც რეგულარულად ასმენდა ადგილობრივ „ნათლიებს“. ამერიკელი კოლეგები ჯერ შორიდან ადევნებდნენ თვალს ამ განუკითხობას, მაგრამ როცა რეპრესიები მათაც შეეხო, ნისლიან ალბიონში სუპერქალი მიავლინეს, რომლის მოვალეობაც დამსმენის გამოვლენა იყო.

მწელია მადონას კარგ მსახიობად მიჩნევა – მისი ფილმების უმეტესობა სამარცხვინოდ ჩაფლავდა. თუმცა წყვილს ეს ნაკლებად აღელვებს. რიჩი ამტკიცებს, რომ მათი ერთობლივი შემოქმედების მიზეზი ის არის, რომ ცოლ-ქმარს ერთი წუთითაც არ სურს განშორება. ჯერჯერობით, ისინი განუყრელად ერთად არიან, მათ თაფლობის თვე ინგლისის სამხრეთით, სტინგის ვილაში გაატარეს.

„ჩვენ ვლოცულობდით, რომ თვითმფრინავი არ აფეთქებულიყო“, – ჰყვებოდა მსახიობი მეორე დღეს, ალბათ ლოცვამ უშველათ, რადგან არავის სერიოზული ტრავმა არ მიუღია.

უდანაკარგოდ დააღწია თავი ავარიას „სასიკვდილო იარაღის“ ვარსკვლავმა დენი გლოვერმა. ბნელ ღამეს მის მანქანაში პიცის დამტარებელი პატარა საბარგო ავტომობილი „შეიჭრა“. მსახიობის მანქანას აღრაფერი ეშველება, თვით გლოვერი კი მხოლოდ მსუბუქი ნაკაწრებით გადარჩა. გარდა ამისა, სულგრძელმა გლოვერმა სატვირთოს მძღოლს არანაირი პრეტენზია არ წაუყენა.

ჩაბლი შინს მუბაჟმიც უბიდრემან



ჰოლივუდის ამ ვარსკვლავის „საგმირო საქმეების“ შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მისი სახელი ელიტის კლიენტების მომსახურე სუტენიორი ქალის – ჰეიდი ფლეისის სიაში აღმოჩნდა. თურმე ჩარლი რეგულარულად სტუმრობდა ამ ქალბატონის გოგონებს. მალე ვინმე ბრიტანი ეშლენდმა შინს სასამართლოში უჩივლა: ის აცხადებდა, რომ მსახიობმა, მორიგი ცემისას, მარმარილოს სტატუეტის თავში ჩარტყმით კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა. ამას მოჰყვა პრესაში გამოქვეყნებული ცნობები ჩარლის პათოლოგიურ სექსუალურობაზე, ნარკომანობასა და ალკოჰოლიზმზე. ყოველივე ამის შემდეგ მუბაჟები, რომლებსაც ის ძალიან ცუდად ეპყრობოდა, მისი ღია ავტომობილის დანახვისას აქეთ-იქეთ გარბიან. არც სასამართლო პროცესებმა, არც იმულებითმა მკურნალობამ და არც მამის, მარტინ შინის მიერ ჩატარებულმა დიდაქტიკურმა საუბრებმა მასზე არ იმოქმედა.

ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე სკანდალური, XX საუკუნის ყველაზე ნაყოფიერი გერმანელი რეჟისორი რაინერ ვერნერ ფასბინდერი, იყო და რჩება დიდ გამოცანად. თუკი მისი ცხოვრების რომელიმე საიდუმლოს კიდევ ახვადა ფარდა, ისინი, თავის მხრივ, სხვა უფრო დამაინტრიგებელ ფაქტებს აძლევდნენ დასაბამს.



უძლავი შვილი

დიდი ხნის მანძილზე ბიოგრაფებს აკვირვებდათ თარიღების შეუსაბამობა: სახელგანთქმული რეჟისორი ინტერვიუებში, ასაკს ხან ერთი წლით იკლებდა, ხან ერთი წლით იმატებდა. დიდი ხნის მანძილზე ფასბინდერის დაბადების თარიღად 1946 წლის 31 მაისი ითვლებოდა. ბოლოს და ბოლოს, უკვე მისი სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს თარიღი მცდარია. სინამდვილეში ფასბინდერი 1945 წლის 31 მაისს დაიბადა. ახალ გერმანიასთან ერთად, რომელსაც შემდგომ, თავის ნაწარმოებებში ხოტბაც შეასხა და გათელა კიდევ. საოცარი დამთხვევაა. ან იქნებ ბელისწერაა? მოკლედ, კვლავ გამოცანები...

ხოლო გარდაიცვალა ფასბინდერი 1982 წლის 10 ივნისს – შესაბამისად, არა 36, არამედ 37 წლის ასაკში. სწორედ იმ ასაკში, რომელშიც გენიოსები კვდებიან.

ფასბინდერს ხშირად მარგინალს უწოდებენ. ის ბევრ რამეში მართლაც იყო მარგინალური პიროვნება – ნარკომანი, ბისექსუალი, სადომაზოხისტი, ადამიანი ყოველგვარი განათლების გარეშე. ამასთან, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, იგი სამთავრობო წრეებში ყველაზე აღიარებული შემოქმედი გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ თავის ფილმებში ყველაზე მეტად სწორედ ხელისუფალთ კიცხავდა.

25 წლის ფასბინდერმა ფილმისთვის „კატცელმახერი“ გფრ-ის სახელმწიფო პრემია მიიღო, თანაც ერთდროულად სამ კატეგორიაში – როგორც რე-

ჟისორმა, სცენარისტმა და მხატვარმა. მომდევნო 12 წლის მანძილზე კიდევ ოთხჯერ დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით – ფილმებისთვის „რატომა ბატონი რ. მიდრეკილი ამოკისადმი“ (1972), „სასოწარკვეთილება“ (1978), „მარია ბრაუნის ქორწინება“ (1979) და „ლოლა“ (1982).

და მაინც თანამემამულეთათვის ფასბინდერი სწორედ „კატცელმახერად“ (ბავარიულ სლენგზე „კატების გამჟღავნებელი“) – ფურიად, განკიცხულად და აუტსაიდერად რჩებოდა.

20 წლისამ ბერლინის კინო-სკოლაში რეჟისურის განყოფილებაზე დააპირა ჩაბარება. არ მიიღეს. უფრო მეტიც, უთხრეს, რომ მისგან რეჟისორი ვერასოდეს დადგებოდა! ოთხი წლის შემდეგ ბერლინის კინოფესტივალზე მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის „სიყვარული სიკვდილზე ცივია“ ჩვენება შედგა. ფილმი ჩაფლავდა – პრესამ უმოწყალოდ გააქილიკა ფასბინდერის ქმნილება, მაყურებელმა აბსოლუტური გულგრილობა გამოამჟღავნა მის მიმართ. წესით, ასეთი კრახის შემდეგ დამწყებ კინორეჟისორს ფარ-ხმალი უნდა დაეყარა. მაგრამ ფასბინდერი არ დანებდა: ერთი წლის შემდეგ პრაქტიკულად უფულოდ, „კატცელმახერი“ გადაიღო (თავად დაწერა, თავად შექმნა დეკორაციები,

ერთ-ერთი როლიც ითამაშა) და იმთავითვე გაკიცხული და საძულველი რეჟისორი, გერმანული კინოს ყველაზე დიდ იმედად იქცა.

დიდებამ და სახელმა ფასბინდერი ვერ შეცვალა. იგი კვლავ უწინდებურ გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა – უზარმაზარი რაოდენობის სხვადასხვა ნარკოტიკს ღებულობდა და ალკოჰოლს ეძაღებოდა. უწინდებურად გამოწვევად იქცეოდა და თანამოსაუბრეებს პირდაპირ პირში ახლიდა, რასაც მათზე ფიქრობდა. ტრადიციულ შავი ტყავის პიჯაკში, მასიურ სათვალესა და გაურეცხავ ჯინსებში გამოწყობილი ფასბინდერი ნიუ-იორკის გეების ბარების ხშირი სტუმარი იყო; ქალებსაც არ ივიწყებდა – 1970 წელს ცოლად შეირთო მსახიობი ინგრიდ



სცენა ფასბინდერის სპექტაკლიდან „ვერონიკა ფოსის სევდა“

კაენი, ორი წლის შემდეგ გაეყარა და კვლავ დაქორწინდა. ამჯერად იულინა ლორენცზე. ქორწილზე ხელისმომკიდედ თავისი საყვარელი (კაცი) წაიყვანა..

განვლილი წლების მანძილზე მრავალჯერ სცადეს ამ საოცარი ადამიანის პიროვნების გაანალიზება. სიცოცხლეში ბევრი მას ღორსა და არამზადას უწოდებდა, მაგრამ ყველაზე მკაცრი ობონენტებიც კი ვერ უარყოფდნენ მასში შეფარული გენიის ღვთაებრივ ნაპერწკალს. ფასბინდერის ერთ-ერთმა საყვარელმა, მსახიობმა და მხატვარმა კურს რააბმა ყველაზე ზუსტად გადმოსცა ფასბინდერის ხასიათის წინააღმდეგობანი: „მას ყოველთვის სიყვარული სწყუროდა და ამიტომ მუდამ გაბრაზებული იყო ცხოვრებაზე“.

ფასბინდერის შემოქმედება მისი ცხოვრების გაგრძელება იყო. ცხოვრება – შემოქმედებისა. 16 წლის მანძილზე მან 40 ფილმი გადაიღო; თითქმის ყველა ფილმისთვის თავად წერდა სცენარს. მრავალ მათგანში თავად თამაშობდა, თავად აკეთებდა დეკორაციებსა და თავადვე ოპერატორობდა. დავუმატოთ ამას 17 პიესა და ორი ტელეესერიალი და ჩვენ წინაშე წარმოდგება „კინონარკომანი“, რომლისთვისაც გადაღება ჰაერით აუცილებელია. მიუხედავად ასეთი ნაყოფიერი მუშაობისა, ფასბინდერი მუდამ ჩიოდა, რომ ძალიან ზარმაცია, რომ ცოტას მუშაობს და ჩანაფიქრის ნახევარსაც ვერ ახორციელებს.

ეკრანზე თავისი ცხოვრება გადა-

ჰქონდა. ფასბინდერის პირველი მამაკაცი-საყვარელი გახდა შემდგომში ცნობილი მსახიობი უდო კირი. 16 წლის ფასბინდერმა იგი გეების ბარში გაიცნო. 60-იანი წლების დასაწყისში კირი სუტენიორობდა და ნარკოტიკებით ვაჭრობდა. ახალბედა ყმაწვილს, მან სიამოვნებით გაანდო ერთსქესიანი სიყვარულის სიტკბოება. ფასბინდერიც ვალში არ დარჩენილა – კირი მან ვარსკვლავად აქცია. ამჟამად უდო კირი პრესტიჟულ ჰოლივუდურ ფილმებში მონაწილეობს და ალბათ, მდღეობით იგონებს იმ დღეს, როცა ბარში მორცხვ მოზარდს, რაინერ ვერნერს შეხვდა.

შემდგომში ფასბინდერის ფილმებში მონაწილე მსახიობთა უმრავლესობა მისი საყვარელი ხდებოდა. მაგრამ ყველას უდო კირით როლი გაუმართლა. ფასბინდერის ორმა საყვარელმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე: ერთ-ერთმა ციხის საკანში თავი ჩამოიხრჩო, მეორემ ვენები გადაიჭრა. მრავალი ფაქტი ადასტურებს იმას, რომ ფასბინდერს, როგორც ქალებთან, ისე მამაკაცებთან ურთიერთობაში ნებისმიერი სიბინძურისა და საძაგლობის ჩადენა შეეძლო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ იგი ამ ადამიანისადმი ცუდად იყო განწყობილი. უბრალოდ, ყველა ადამიანს იმ სპექტაკლის მონაწილედ თვლიდა, რომელსაც „რაინერ ვერნერ ფასბინდერის ცხოვრება“ ერქვა. ერთხელ მან უმოწყალოდ გალახა მსახიობი ირმა გერმანი, რომელიც ფილმ „პეტრა ფონ კანტის ცხარე ცრემლებში“ საცოდავი, ყველასგან მივიწყებული მდივანი ქალის როლს თამაშობდა. გალახა უმოწყალოდ, სადისტურად, პირდაპირ ქუჩაში. სამაგიეროდ რა ფილმი გამოვიდა!

ტუმცა, ფასბინდერის ქალებთან ურთიერთობა ცალკე საუბრის თემაა. როგორც ჩანს, ახალგაზრდობაში ის ცდილობდა, დაეძლია საკუთარი თავი და ჰეტეროსექსუალად გადაქცეულიყო, მაგრამ ქალთან სიახლოვის ყოველი მცდელობა მასში უფრო და უფრო ძლიერ ანტიპათიას იწვევდა. ირმა გერმანი ირწმუნებოდა, რომ რეჟისორმა ფიზიკური სიახლოვე შესთავაზა და უარის მიღების გამო სცემა ასე უმოწყალოდ. საერთო მეგობრები კი სრულებით საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ: „ირმა მას მოსვენებას არ აძლევდა და ფასბინდერმა გადაწყვიტა, მისთვის ჭკუა ესწავლებინა“.

უფრო მეტად რთული ურთიერთობა ჰქონდა ფასბინდერს მეორე მსახიობ ქალთან – ჰანა შიგულასთან. 1974 წელს მათ იჩხუბეს (ჩხუბის მიზეზს ისევ და ისევ ურთიერთსაწინააღმდეგოს ასახელებენ) და ოთხი წლის მანძილზე რეჟისორს მისი დანახვა არ სურდა. შემდეგ კი ფილმებში „მარია ბრაუნის ქორწინება“ და „ლილი მარლენში“ მიიწვია და მთელ მსოფლიოში სახელი გაუთქვა.

სიცოცხლის ბოლოსათვის ფასბინდერმა საბოლოოდ უარი თქვა სამაგალითო მეოჯახედ გადაქცევის იდეაზე, მთლიანად კაცებზე გადაერთო და ქალებისადმი მისი დამოკიდებულებაც რადიკალურად შეიცვალა. ფასბინდ-

ფასბინდერი მიუნხენის ერთ-ერთ ლუღხანაში



მარიო ალოფთან (მარცხნივ) და ღირკ ბოგარდთან ერთად გადასაღებ მოედანზე





ფილმზე „მარია ბრაუნის ქორწინება“ მუშაობისას

ერის ადრეულ ფილმებში ქალები დამანგრეველი საწყისის განსახიერებად გვევლინებიან. მისი ბოლო ფილმები კი ძლიერი და ჭკვიანი ქალების სადიდებელ ჰიმნად იქცა. ბოლო წლების ფასბინდერის შემოქმედებაში ქალები სიმბოლურ ფიგურებად იქცნენ. ისინი ასახიერებენ თავად გერმანიას – დამარცხებულსა და განადგურებულს, რომელიც ფერფლიდან აღმოცენდება... რომ შემდეგ კვლავ მეშხანობასა და მომხმარებლობის მორევში გადაეშვას.

ფასბინდერმა ეკრანზე აჩვენა და გაანალიზა გერმანიის ცხოვრების მთელი ეპოქა. ახალი საუკუნის ხელოვნებათმცოდნენი 70-იანი წლების გერმანიას უთუოდ „ფასბინდერისეულ ეპოქად“ მონათლავენ.

რაინერ ვერნერ ფასბინდერი 1945 წელს, მიუნხენის ერთ-ერთ ბურჟუაზიულ ოჯახში მოეგლინა ქვეყანას. ბავშვობიდანვე გრძობდა, რომ სხვებს არ ჰგავდა. მშობლები ხან ერთ კერძო სკოლაში უკრავდნენ თავს, ხან მეორეში – მაგრამ უშედეგოდ. ყმაწვილს სწავლა არ უნდოდა – მას მხოლოდ ფილმების ყურება სურდა და კვირაში 15 ამერიკულ სურათს ნახულობდა.

ამ დროისათვის კი გერმანიაში „ეკონომიკური საოცრების“ ხანა იდგა – ეკონომიკის ბუმს თან ახლდა მორალის სრული ქაოსი. სკოლებში მხოლოდ 1930 წლამდე ისტორიას ასწავლიდნენ. შვილის კითხვაზე, თუ როგორ ცხოვრობდა დედა ახალგაზრდობაში, ქარაფშუტობითა და შემოქმედებითი ნატურით განთქმული ლილო პემპაიტი პასუხობდა – სჯობს, წარსულზე არ იფიქრო და აწმყოთი იცხოვრო.

რაინერ ვერნერი 15 წლისა იყო, როცა მამას სრულებით მშვიდად გა-

ნუცხადა, რომ მამაკაცები იზიდავს. სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი გაუთავებელი ოდისეა ბარებსა და გეიკლუბებში. თუ რა სახსრებით ცხოვრობდა მომავალი ლეგენდარული რეჟისორი – უცნობია. ფასბინდერის ბიოგრაფები ამაზე საუბარს ერიდებიან, მაგრამ მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ მომავალი კინომესია ნარკოტიკების კურიერობითა და მამაკაცებთან მეძაობით ირჩენდა თავს. იმავდროულად ცდილობდა ფილმების გადაღებას და შეძლო ორი მოკლემეტრაჟიანი სურათის – „ქალაქის მაწანწალისა“ და „პატარა ქაოსის“ შექმნა, რომლებშიც მთავარ როლებს თავადვე ასრულებდა. 1967 წელს მიუნხენის თეატრალურ დასს მიეკედლა და ერთი წლის მანძილზე იმდენად „გაშინაურდა“ კულისებსა თუ სცენაზე, რომ მოახერხა საკუთარი დასის „ანტითეატრის“ ჩამოყალიბება, რომელშიც თავად წერდა პიესებს, თავად დგამდა სპექტაკლებს და როლებს აძლევდა თანამოაზრეებს, რომლებიც მზად იყვნენ მისთვის სიცოცხლე გაეწირათ. „თავის“ თეატრში ფასბინდერი დესპოტივით იქცეოდა: არავის ჰქონდა მისთვის წინააღმდეგობის გაწევის უფლება, მისი სიტყვა ყველასთვის კანონი იყო. დასის თითქმის ყველა წევრი – ქალებიც და მამაკაცებიც, მისი საყვარლები იყვნენ. რეჟისორი მათ უხვად ასაჩუქრებდა შესანიშნავი როლებით, ისინი კი, თავის მხრივ, ბრმა ერთგულებით პასუხობდნენ.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ფასბინდერმა გადაწყვიტა, რეკოლუციონერ ქალ როზა ლუქსემბურგზე ფილმი გადაეღო. მისი როლი დიდებული რომი შნაიდერს უნდა შეესრულები-



ნა. გადაღების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სახელგანთქმული მსახიობის უსიცოცხლო სხეული მისსავე სახლში იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, იგი გულის უკმარისობით დაიღუპა, არაოფიციალურით კი: თავი მოიკლა. ორი კვირის თავზე სიცოცხლეს გამოესალმა „ქონიანი ტახტი“ ფასბინდერიც. ოფიციალური ვერსია – სისხლმარღვების გადაკეტვა. არაოფიციალური (და მართალი) – ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზა.

ფასბინდერის სიკვდილის შემდეგ, გერმანული კინო „ჩაეშვა“ და მთელი შემოქმედებითი ძალები აშშ-ისკენ დაიძრა.

მაგრამ გავიდა წლები და რეჟისორთა ახალი თაობა ფასბინდერის მემკვიდრეობას დაუბრუნდა. შარშან ფრანგული კინოს კუმირმა ფრანსუა ოზონმა ფასბინდერის პიესის მიხედვით გადაიღო განმაურებული ფილმი „წვიმის წვეთები გავარვარებულ კლდეებზე“, ბერნარდ რაპმა კი ფასბინდერის სხვა პიესის მიხედვით გადაღებულ ფილმში „გემოვნების საქმე“, ქალაქ კონიაკის კინოფესტივალის პრიზი მიიღო.

ეჭვგარეშეა, რომ ახალ საუკუნეში ფასბინდერის ნაწარმოებებს ახალ-ახალი ტრიუმფები ელის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კინოსამყარო კიდევ მრავალჯერ მიუბრუნდება ამ გასაოცარი შემოქმედის ცხოვრებას და კიდევ მრავალჯერ ეცდება მისი უცნაური ბუნების ამოცნობას.





ლილს უკვე ისტორიას ჩაბარებული ათასწლეულის აღმოჩენად ვერ ჩავთვლით. გათხრების დროს, ინდის ველზე აღმოჩენილ იქნა ჩვენს ერამდე მესამე ათასწლეულის ქალაქი მოხენჯო-დარო, სადაც იპოვეს ღილი, რომელსაც მისაკერებლად განკუთვნილი ორი ნახვრეტიც კი ჰქონდა. ანტიკური ხანის გათხრებშიც გვხვდება ღილები, მართალია უფრო იშვიათად, მაგრამ საკმაოდ ლამაზი და მოოქრულიც კი.

მიუხედავად ამ ნივთების თანამედროვე ღილებთან უდიდესი მსგავსებისა, მათ დანიშნულებისამებრ არ იყენებდნენ – მათი საშუალებით ტანსაცმლის შეკერა არ ხდებოდა: უძველესი სამოსი იმგვარად იყო შეკერილი, რომ შეკერას საერთოდ არ საჭიროებდა – მას ქინძისთავებით ამაგრებდნენ. რაც შეეხება ნივთებს, რომელთაც ჩვენ ღილებად მივიჩნევთ, ისინი ამულეტის, თილისმის და უბრალოდ, სამშვენიის როლს ასრულებდნენ.

შუა საუკუნეების მიწურულს, ღიდი ხნით მივიწყებული ღილი კვლავ დაუბრუნდა ყოფას, მაგრამ ისევ სამშვენიის სახით. თავიდან ის წიგნის გარეკანს ამშვენებდა, XIII საუკუნიდან კი ტანსაცმელზე დაიმკვიდრა ადგილი და ფუფუნების საგნად იქცა. 1321 წელს ინგლისის მეფის, ედუარდ მეორის სამეფო ბულალტერიის ჩანაწერებში აღნიშნულია: „24 მაისს, ფლიტსთრითის მეწაღე რობერტ ვერმორისგან შეძენილია უმაღლესი მოხმარების ექვსი წყვილი ფეხსაცმელი, აბრეშუმის ფორებითა და მოოქრული ვერცხლის ღილებით გაწყობილი. თითოეულ წყვილში გადახდილია ხუთი შილინგი“.

მხოლოდ XIV საუკუნეში გაჩნდა ტანსაცმელზე ის ატრიბუტი, რის გარეშეც არ არსებობს ღილი – ეს იყო ღილკილო. მაგრამ თავიდან ღილისა და ღილკილოს წყვილს პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდა: ისინი ღიდი რაოდენობით

ღილი

იყო მიმოხვეული ქალის მოსაცმელის ფართო სახელოებზე, იდაყვის ქვემოთ. ღილებს მაშინ ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების, მინის, ბროლისა და სადაფისგან ამზადებდნენ. ყოველი მათგანი სოციალური სტატუსის რთულ იერარქიას გამოხატავდა. ამ მხრივ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ღილკილოს.

ღილისა და ღილკილოს კავშირი პირველად აბჯრის დამზადების ოსტატებმა დააფასეს სათანადოდ – მათი საშუალებით საიმედოდ იკვებოდა რაინდთა ჯავშანი. რა მიმართულებით შეიკვებოდა ღილი, ღიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მეომარი მტერს მარცხენა მხრის წინ წაწევით უახლოვდებოდა, რომელიც ფართო ჰქონდა დაცული, მნიშვნელოვანი იყო, რომ ტანსაცმლის მარცხენა კალთა მარჯვენაზე ზემოდან ყოფილიყო გადადებული, რათა მტრის ხმალს მათ შორის არსებულ ღრიტოში არ შეეღწია.

ასე წარმოიქმნა ტანსაცმლის შეკერის მამაკაცური სტილი, რომელიც დღესაც არსებობს.

სწორედ რაინდთა პერიოდიდან გახდა ღილი მებრძოლთა წოდების სიმბოლო და თავისი მნიშვნელობა ღიდი ხნით, მაშინაც კი შეინარჩუნა, როცა აბჯარი და ჯავშანი ხმარებიდან გაქრა, თუმცა ღილებ-

ის რაოდენობა მნიშვნელოვნად სჭარბობდა პრაქტიკული თვალსაზრისით საჭირო რაოდენობას. მაგალითად, 1757 წელს ინგლისელმა ჰერცოგმა ბედფორდმა ხუთი გირვანქა (ეს შეძლებული ხელოსნის ერთი თვის შემოსავალი იყო) გადაიხადა ასი ღილით გაწყობილ მუნდირში. ბრჭყვიალა ღილები იმდენად იყო გაივივებული ჯართან, რომ ამიშების შვეიცარიული რელიგიური სექტა, რომელიც სამხედრო სამსახურისაგან თავის დასაღწევად, XVIII საუკუნეში ამერიკაში გაიქცა, დღემდე უკრძალავს თავის წევრებს ტანსაცმელზე ღილების ტარებას.

1767 წელს ვინმე მეთიუ ბულტონმა ლონდონში, სოპოს კვარტალში ღილების სავაჭრო გახსნა. აღნიშნული ღილები უბრალო ლითონისგან იყო დამზადებული, მაგრამ ძვირფასი ლითონების იმიტაციას წარმოადგენდა. ამ უბრალო მეთოდმა ერთი დარტყმით გაანადგურა საკრალური მიდგომა ტანსაცმლის აღნიშნული ელემენტისადმი. მალე ბირმინგემში ამუშავდა ქარხანა, რომელიც ფოლადისგან დამზადებულ, იაფ ღილებს აწარმოებდა. 1807 წელს დანიელმა ბერტელ სანდერსმა ორი ცალკეული დისკისგან შემდგარი ღილი გამოიგონა და მაშინვე გაჩნდა ქვედა საცვლებისთვის განკუთვნილი, ტილოთი დაფარული, მსუბუქი ღილები. XIX საუკუნეში მის დასამზადებლად ყველაზე გავრცელებულ მასალად ძროხის ჩლიქი და მცენარე კოროზოს მერქანი იქცა. მოჩვენებითი დევალვაციის მიუხედავად, ღილი ღიდი ხნის მანძილზე მაინც უფროსის სტატუსთან ასოცირდებოდა.

ამჟამად ღილი აღარ წარმოადგენს რაიმე საზეიმო მოვლენის გამომხატველ ატრიბუტს, თანამედროვე ყოფაში ამ როლს მოღური საკინძე ასრულებს.

კვირის (12 - 18 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

თებერვალი - 20/II-20/III



თქვენი ექსტრა-აგანტური აზროვნებით, ქმედებებითა და ჩაცმულობით გარშემომყოფთ გააღიზიანებთ და გააოცებთ.

მეტად უჩვეულო იდეები დაგებადებით, მაგრამ აჯობებს მათ განხორციელებაზე ტყუილად დრო არ დაკარგოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნებები არ აცდებით.

მარტი - 21/III-20/IV



ყურადღებას ნუ მოაღუნებთ - ეს კვირა ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული პერიოდი იქნება თქვენს ცხოვრებაში. განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდეთ ჯანმრთელობას.

ფრთხილად იყავით, რაიმე შეცდომა არ დაუშვათ სამსახურში. მოკლედ, აჯობებს ერთკვირიანი შვებულება აიღოთ და შინიდან არ გახვიდეთ.

აპრილი - 21/IV-21/V



განაახლეთ ურთიერთობა ძველ ნაცნობებთან, შეეცადეთ შეიძინოთ ახალი მეგობრები, განუწყვეტილად ხალხში იტრიალეთ და წარმატებაც არ დააყოვნებს.

უკეთესი იქნება, თუ ახალ-ახალ კავშირებს პრაქტიკული მიზნებისთვის, მაგალითად, კარიერის შესაქმნელად გამოიყენებთ.

მაისი - 22/V-21/VI



ამ კვირაში მატერიალური პრობლემების მოგვარებას მოახერხებთ. შესაძლოა, დაგაწინაურონ, ხელფასი მოგიმატონ და


გვარიანად წაგახალისონ. ოღონდ, ყოველივე ეს იმ შემთხვევაში, თუ პირად ცხოვრებას გვერდზე გადადებთ და მთლიანად საქმეში ჩაუვლობით.

ივნისი - 22/VI-22/VII



ეცადეთ, თავი შეიკავოთ ნებისმიერი მოგზაურობისგან. იმიტომ კი არა, რომ იქ რაიმე სერიოზულ პრობლემებს გადაეყრებით, არამედ იმის გამო, რომ ახლასწორედ სახლი და სამსახურია ის ადგილი, სადაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევთ და ავტორიტეტს აიმაღლებთ. გარდა ამისა, დიდია სამსახურებრივი რომანის ალბათობა.

ივლისი - 23/VII-23/VIII



ეს კვირა თქვენგან დიდ მოთმინებას და დიდსულოვნებას მოითხოვს. შესაძლოა, სრულიად უმიზეზო კოფლიქტში ჩაერთოთ და სერიოზული სტრესიც მიიღოთ. თუ მოახერხებთ და ზუთშაბათამდე ამბიციებს მოთოკავთ, ფუჭ ნერვიულობას თავიდან აიცილებთ.

აგვისტო - 24/VIII-23/IX



თავს გაართმევთ იმ საქმეებს, რომელთა განხორციელების იმედი უკვე დაკარგული გქონდათ. ადვილად მოახერხებთ, აგრეთვე, შეფერხებული გარიგებებისა და უსიამოვნო მოლაპარაკებების თქვენს სასარგებლოდ წარმართვას. მოკლედ, თავად გაიხსენეთ, რის განსახორციელებლად არ გყოფნიდათ ძალა და ნერვები - ახლა გეყოფათ!

სექტემბერი - 24/IX-23/X



რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის, ვინც გიცინის, ყველა მეგობარი როდია. დროა, გაერკვეთ თქვენს გარემოცვაში

და საქმეში გამოცადოთ ე.წ. მეგობრები. ნუ შეგამინებთ მარტოობა, მალე თქვენს ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები მოხდება.

ოქტომბერი - 24/X-22/XI



ცოტაოდენი ოპტიმიზმი და თავდაჯერებულობა - და თქვენს ბედს, რომ იტყვიან, ძალი არ დაჰყვეს. იმ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, რომელიც გაინტერესებთ და მატერიალური მდგომარეობა მაშინვე გამოსწორდება. ფრთხილად იყავით - მოსალოდნელია პარტნიორთან ურთიერთობების დაძაბვა.

ნოემბერი - 23/XI-21/XII



ყველა და ყველაფერი გაღიზიანებთ და ნერვებს გიშლით. არაფერი გამოგდით, მაგრამ გულს მაინც ნუ გაიტეხთ - უმჯობესია, გარშემომყოფთ დაანახვოთ, როგორი მომთმენი, დამყოლი და უწყინარი პიროვნება ბრძანდებით. იქნებ, ასე მაინც შეინარჩუნოთ სამუშაო და ოჯახი. ფრთხილად, ძველი პარტნიორი შეეცდება თქვენთან ურთიერთობების განახლებას.

დეკემბერი - 22/XII-20/I



თქვენს ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებები იწყება. შესაძლოა, რაიმე მოულოდნელი და სასიამოვნო ამბავი გაიგოთ. სიხარულს მოგანიჭებთ მეგობრებთან ურთიერთობა და მრავალრიცხოვანი წვეულებაც. ფრთხილად იყავით, თქვენმა მოჭარბებულმა ემოციურობამ ოჯახში კონფლიქტი არ წარმოშვას.

იანვარი - 21/I-19/II



სრულიად უმიზეზოდ, აუტანელი მოწყენილობა და პესიმიზმი შეგიპყრობთ. ამიტომ ეცადეთ, ამ კვირაში ყოველთვის გვერდით გყავდეთ მეგობარი, ან ძვირფასი ადამიანი - მოკლედ, ის, ვინც მოგისმენთ და განუგებებთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ურთიერთობების სექსუალურ მხარეს.

ხართ თუ არა ყურადღებიანი



არიან ადამიანები, რომლებიც გამახვილებული ყურადღებით გამოირჩევიან: მათ არაფერი აკვირვებთ, არაფერი გამორჩებათ და მათი ჩიხში შეყვანაც შეუძლებელია.

მათ საპირისპიროდ, ზოგი დაბნეული და უყურადღებოა და უბრალო სიტუაციებშიც იბნევა. აღნიშნული ტესტი კიდევ ერთხელ ჩაგაფიქრებთ და საჭირო დასკვნების გაკეთებაშიც მოგეხმარებათ.

ქვემოთ მოყვანილ კითხვებს უპასუხეთ „კი“ ან „არა“:

1. ხშირად რჩებით წაგებული უყურადღებობის გამო?
2. უყვართ თუ არა, ნაცნობ-მეგობრებს თქვენი „გაშაყილება“?
3. შეგიძლიათ თუ არა, იყოთ დაკავებული რაიმე საქმით და იმავდროულად უსმინოთ, რას ლაპარაკობენ თქვენ გარშემო?
4. გიპოვიათ თუ არა, ოდესმე ქუჩაში ფული ან გასაღები?
5. ქუჩაზე გადასვლისას, ყურადღებით იყურებით თუ არა ორივე მხარეს?
6. შეგიძლიათ თუ არა, დეტალურად გაიხსენოთ ორი დღის წინ ნანახი ფილმი?
7. ღიზიანდებით თუ არა, როცა გაზეთის, ჟურნალის კითხვას, ტელევიზორის ყურებას ან რაიმე სხვა საინტერესო საქმიანობას გაწყვეტინებენ?
8. ამოწმებთ თუ არა დაბრუნებულ ხურდას ადგილზე?
9. ადვილად თუ პოულობთ საჭირო ნივთს თქვენს ბინაში?
10. გაკრთობთ თუ არა, ქუჩაში უეცარი დაძახება?

11. შეგშლიათ თუ არა, ერთი ადამიანი მეორეში?
12. შეგიძლიათ თუ არა, უშეცდომოდ დაასახელოთ ახლობელთა დაბადების დღეები?
13. ადვილად იღვიძებთ?
14. შეგიძლიათ თუ არა, დიდ ქალაქში სხვის დაუხმარებლად მიაგნოთ ადგილს (მუზეუმს, კინოთეატრს, მაღაზიას, დაწესებულებას), სადაც ერთი წლის წინ, მხოლოდ ერთხელ იყავით?

თითო ქულა იწერება: „კი“ პასუხის შემთხვევაში კითხვებზე: 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 13, 14, 15, „არა“ პასუხის შემთხვევაში კითხვებზე: 1, 7, 10, 11, 12.

დააჯამეთ მიღებული ქულები


11 და მეტი ქულა: თქვენ საოცრად ყურადღებიანი ადამიანი ხართ. ნამდვილად შესაშური მენსიერება და მახვილი ყურადღება გქონიათ. თქვენისთანა ადამიანი შესანიშნავად მოერგება ისეთ პროფესიებს როგორცაა: ფსიქოთერაპევტი, მზვერავი, პილოტი, მეტროს დისპეტჩერი, გამომძიებელი.

5-10 ქულა: საკმაოდ ყურადღებიანი ხართ, არაფერი მნიშვნელოვანი არ გავიწყდებათ, მაგრამ გარკვეულ სიტუაციაში დაბნეულობა გიპყრობთ, რაც ზოგჯერ სამწუხარო შედეგით მთავრდება. და მაინც, შეგიძლიათ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ: საჭირო დროს კონცენტრირებას ახდენთ და თქვენი ყურადღების მიღმა მნიშვნელოვანი მოვლენები არ რჩება. თუმცა, კონცენტრირებას უფრო ხშირად რომ ახდენდეთ, თქვენთვისაც უკეთესი იქნებოდა და თქვენი ახლობლებისთვისაც.

4 ქულა და ნაკლები: საკმაოდ დაბნეული ბრძანდებით და ეს თქვენთვის ბევრი უსიამოვნების მიზეზი ხდება. როცა ამის გამო გსაყვედურობენ, ღიმილით პასუხობთ, რომ მეოცნებე ადამიანი ხართ და ცხოვრებისეულ „წვრილმანებს“ ყურადღებას არ აქცევთ. მაგრამ საქმე მხოლოდ წვრილმანებს არ ეხება და თქვენი უყურადღებობის გამო სხვებიც ზარალდებიან. რომანტიზმი, ოცნება, „ღრუბლებში ფრენა“ და ზოგადად შემოქმედებითი ნატურისთვის დამახასიათებელი სხვა თვისებები ცუდი როდია, მაგრამ ნუ გავიწყდებათ რომ თქვენ მარტო არა ხართ და სოციალურ გარემოში ცხოვრობთ. ამიტომ თქვენი დაბნეულობა უწყინარი ნაკლი როდია. თავს ძალა დაატანეთ, ამ ნაკლის დანახვა და აღმოფხვრა არც ისე ძნელია: იყავით უფრო მობილიზებული და ხშირად ავარჯიშეთ გონება და მენსიერება.

ადნობი და IQ

იაპონიის სიბერის ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერები 2.000 პაციენტზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ალკოჰოლი ინტელექტის დონეს ამაღლებს. ექსპერიმენტში მონაწილე ადამიანების ასაკი 40-დან 79 წლამდე მერყობდა. გაირკვა, რომ მამაკაცები, რომლებიც ყოველდღიურად ნახევარ ლიტრ ლუდს, ღვინოს ან საკეს სვამენ IQ-ის (ინტელექტუალური კოეფიციენტი) 3,3 პუნქტით სჯაბნიან მათ, ვინც საერთოდ არ ეტანება ალკოჰოლს. ამასთან, ქალებში შესაბამისი განსხვავება 2,5 პუნქტით დაფიქსირდა. იაპონელი მეცნიერები მიღებულ შედეგებს მეცნიერულად ვერ ხსნიან და ინტელექტის დონის ასამაღლებლად ალკოჰოლის მიღებას ვერჯერობით არავის ურჩევენ, რადგან სპირტიანი სასმელების ხშირი მიღება ხომ ალკოჰოლიზმს იწვევს.




ერველი ქოხნილი

თვრამეტი წლის სპილო, რომელსაც ტკბილი გული ჰქვია, თექვსმეტი წლის კხატონგთან „შეაუღლეს“ და ქორწილს გადაუსადას. ასე ორიგინალურად აღნიშნეს 21-ე საუკუნის პირველი ვალენტი-ნობის დღე ინდოეთის ერთ ზოოპარკში. „შეყვარებულ“ წყვილს ტანსაცმელი სპეცმეკვეთით შეუკერეს, სუნამოც აკურეს და საგანგებოდ მორთულ მინდორში საქორწინო ცერემონიალიც აღასრულეს. მართალია, ტკბილი გული უკმაყოფილებას გამოხატავდა მომცრო ტანის სასიძოს გამო, მაგრამ ზოოპარკის დირექტორის გადაწყვეტილებასაც წინ ვერ აღუდგა: სპილოებს წელიწადის ამ დროს მყვირალობის პერიოდი ეწყებათ და თაფლობის თვე მშვიდად ჩაივლის – იმედოვნებს „მაყრიონი“.

უბეზუხი ადმახები

მელბურნის მუზეუმმა საკუთარი კოლექციის შესავსებად გიგანტური კალმარი შეიძინა, რომელიც ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროსთან თევზსაჭერი ტრაულერის ბადეში გაეხვია. იშვიათი ეგზემპლარი 250 კგ-ს იწონის, სხეული 4 მ-ის სიგრძისაა, ხოლო საცეცებთან ერთად 12 მ-ს აღწევს. ასეთი ზომის კალმარები ნახევარი კილომეტრის სიღრმეში ბინადრობენ. ცოცხალ კალმარებზე დაკვირვება აქამდე ვერაგინ შეძლო. ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის სანაპიროებთან ბოლო წლებში სულ 40 გიგანტური ზომის კალმარი დაიჭირეს,



რომელთაგან ყველა დაღუპული აღმოჩნდა. „ღრმა წყლებში მობინადრე ამ მონსტრისაგან, მანქანის საბურავის ხელსაწყოების გაკეთება შეიძლება, მაგრამ მისგან მომზადებულ კერძს, ხალიჩების საწმენდი სითხის გემო აქვს“ – განუცხადა ჟურნალისტებს მეცნიერმა მარკ ნორმანმა.



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი კვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა პანტელეიმონ გიორგაძემ. ვულოცავთ ბატონ პანტელეიმონს და ვუსურვებთ წარმატებებს!

ერთი გუნდი

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას ვთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. ვთხოვთ, შეავსოთ კვითარი და პასუხები გამოგივზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. კვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (13 მარტის) 13 საათამდე.



**„ფანტაზია“
ერთი გუნდი**



**„ფანტაზიორობს“
მკითხველი**

უკან გავშვობისვენ...

618/9

ახალი სხვა

**ქათი
ხიბირი**

**თავარიცა და კინოც
ინსტიტუტი**

**დინამიკური
ქათი დარსებულნიცა**

